



N11 (562)

17/III-23/III-2011

ფასი 1 ლარი

გზა



**„ჯაბასთან „გემრიელად“
პარ. კალიან ერთგულია“ ...**

**„სალომეს
გულისთვის
უემიქლია,
გული ამოვიღო“**

**„ამ სათემს
მხოლოდ
ვირველ
ტოლს ვანდობ“**

**„რუსეთიდან დაბრუნებული
მსახიობები თავს
მეფეებად გრძნობენ“**

ქართული პროზის საგანგებო

ტომი №55

სულხან-საბა ორბელიანი

სიბრძნე სისრულისა

უემიქლიათ უემიქნოთ

„გზის“ ამ მომართან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად

4 ლარი ღირს

უემღვაი ტომი

ნოდარ წულაისკირი



**რა უემიქლიაა მოსდეს
19 მარტს დედამიწაზე და რა
საფრთხის წინაშე უემიქლიაა
აქმოჩნდეს საქართველი?**

**„ატომმა უესაქლოა,
დედამიწა მთლიანად გაყინოს“**

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



**„ნიჭიერის“ მონაწილე
სუნიანტლო გოგონას
სევედიანი აგვაი**

**გოდარკი ნოსელინ მოქლვარს
პაბრინარქმა პოეტი უნოდა**



**„ჩამს უვიღს გიჟივილი მივაყვანე,
უემამოდ რომ გავაჩინე“**

**უას „თ და კ რესტორნები“ –
„მაქდონალდსი საქართველოს“
ოფიციალური განცხადება**



**აი, რა მიყვარს™
გარეკანის მ-4 გვერდზე**

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

დე-ნოლი® უშუალოდ მოქმედებს წყლულოვანი დაავადების

ბისმუტის ტრიკალოუმის დიციტრატი

და გასტრიტის წარმოშობ მიზეზებსა



✓ ანაღბურებს ჰელიკობაქტერიას

✓ ხელს უწყობს კუჭის ღორწოვან ბარსის შეხორცებას



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი “ ავერსი ფარმა” აღმაშენებლის 148/2

მიზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში, 4-დან 12 წლამდე ინიშნება დღეში 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, დებინება, დიარეა, ეაზხოზა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

რა იმალება გასტრიტის დიაგნოზის მიღება?

გასტრიტი – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი წყენი „გასტრონომიული სისუსტეები“-მშრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (Helicobacter pylori). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ღორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამომუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი – ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიასტე“- H.P.-ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.-სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6-ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის“ დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მკაფიანობის დამწვევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის“, მაგრამ დაქვეითებული მკაფიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მთელ ღორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P. -ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ღორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი დე-ნოლი თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სქემებში. დე-ნოლი წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ღორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ღორწოვანი გარსის აღდგენასა და შეხორცებას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა დე-ნოლის მიმართ. დე-ნოლი არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ დე-ნოლს.




www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE


ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ მუსგად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვაგყვები, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.“



ნიკო კეჭერაშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში“ მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერო და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, რადგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერთიფიკატი ავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე გესტირებაზე



ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოვეგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

სენალექსი

იზრქანი სიამოვნება
წარმოუდგენელი შვებისაგან!



ობიექტური არჩევანი:

- ატონიური შეკრულობისას
- ბუასილის დროს, პროქტიტებისა და უკანაგანის ბზარებისას
- არარაციონალურ ეკვასთან დაკავშირებული შეკრულობა
- სიტუაციის შეკრულობა
- აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
- მოქმედებს რობილად, უმტკინველოდ, ნელა.
- ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს გოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
- არ იწვევს შემდგომ შეკრულობას.



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ უქიმს

ფლუკოლდი

ფლუკოლდი თქვენი ოჯახის მემობარი-გაციების სალარაჯოა!



გამოსვლილი საშუალება,

თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში!



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ უქიმს

შპს „თ და კ რესტორნები“ – „მაკდონალდსი საქართველოს“ ოფისიალური განცხადება



„შპს „თ და კ რესტორნები“ – „მაკდონალდსი საქართველო“
გაცნობებთ, რომ კომპანია „მაკდონალდსი“ არ ახორციელებს თავისი
პროდუქციის მიწოდებას და არ გადასცემს თავისი პროდუქციის
მიწოდების განხორციელების უფლებას მესამე პირებს.

რეკლამა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას „მაკდონალდსი“-ს რესტორნებიდან კომპანია „მაკდონალდსი“-ს პროდუქციის მიწოდების შესახებ, არასათანადო რეკლამას წარმოადგენს, ვინაიდან:

- არა აქვს კავშირი კომპანია „მაკდონალდსი“-ს საქმიანობასთან;
- არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებსა და ინდივიდუალიზაციის საშუალებებზე უფლებების შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და დაცული „მაკდონალდსი“-ს სასაქონლო ნიშნების გამოყენება, როგორც არის: „მაკდონალდსი“, უფლებების მფლობელის (McDonald's Corporation — მაკდონალდს ქორფორეიშენ) ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

აგრეთვე, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ ამგვარ რეკლამას შეცდომაში შეჰყავს პოტენციური მომხმარებელი „მაკდონალდსი“-ს პროდუქციისთვის და ხარისხის თაობაზე, ვინაიდან:

1. პროდუქციის ხარისხის გარანტიები მისი დამზადებისა და რეალიზაციის დროს უზრუნველყოფილია საქართველოს საკვების უსაფრთხოების სტანდარტების და კომპანია „მაკდონალდსი“-ს შიდა სტანდარტების დაცვით.

2. კომპანია „მაკდონალდსი“-ს თანამშრომლების პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესზე დაშვება

ხდება მხოლოდ საკვების უსაფრთხოების სწავლებისა და ატესტაციის გავლის შემდეგ.

3. კომპანია „მაკდონალდსი“-ს თანამშრომლების პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესზე დაშვება ხდება მხოლოდ სავალდებულო სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, რომლის შედეგების მიხედვითაც კეთდება დასკვნა კვების პროდუქტებთან სამუშაოდ მუშაკის დაშვების შესაძლებლობის შესახებ.

ამ დროს, იმ პირებს, რომელნიც თქვენთან „მაკდონალდსი“-ს პროდუქციის მიწოდებას ახორციელებენ, არ შეუძლიათ მისი ხარისხის გარანტიის მოცემა, მათ არ გაუვლიათ საკვების უსაფრთხოების სწავლების კურსი და შესაძლოა, არ გააჩნიათ კვების პროდუქტებთან სამუშაოდ დასაშვებად სავალდებულო სამედიცინო შემოწმების გავლის დამადასტურებელი საბუთი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ კომპანია „მაკდონალდსი“-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თქვენთან მესამე პირების მიერ მიწოდებული „მაკდონალდსი“-ს პროდუქციის ხარისხზე და ასეთი მიწოდების განმახორციელებელი მესამე პირების მოქმედებებზე.

კომპანია „მაკდონალდსი“ არ წარმოადგენს თავისი პროდუქციის მიწოდების შესახებ რეკლამის შექმნისა და გავრცელების ინიციატორს ან მონაწილეს და რაიმე კავშირი რეკლამის შემკვეთებთან/რეკლამის გამავრცელებლებთან მას არ გააჩნია.




ერთი მიწის შვილები

თბილისში ჩამოსულ პატარა აფხაზ გოგონას გადაუდებელი ოპერაცია იმ ქართველმა ექიმმა გაუკეთა, რომელიც სეპარატისტულ აფხაზეთში „შავ სიაში“ ჰყავთ შეყვანილი.

10

სახე




„მეტი რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი გიყვარდეს?!“

„ჩემს პირად ცხოვრებაში „რაც“ არის, მაგრამ მოვლენები როგორ განვითარდება, არ ვიცი. საერთოდ, როცა რაღაცაზე წინასწარ ვლაპარაკობ, საქმე ყოველთვის მიფუჭდება“.

20

ცხოვრება

უსინათლო მომღერლის რთული ცხოვრება



„მეტროში 16 წლამდე მღეროდა. მერე უკვე შეღერებული გოგონა იყო და ამასთან, არ მინდოდა, მას ხმა დამახინჯებოდა — ვოკალურ ფაკულტეტზე ჩაბარებას აპირებდა. ამიტომ სამღერად მარტო მივდიოდი და დღემდე ასე ვიქცევი“.


30



- **მინიატიურები** 5
„აქტი“ მკვდარ ცხვართან
- **ქრელი მსოფლიო** 6
- **სტიქია** 7
პლანეტის ნახევარს ცუნამი წაღვევით ემუქრება?!
- **ერთი მიწის შვილები** 10
„ქართველ და აფხაზ მედიკოსებს შორის ურთიერთობა ომის შემდეგაც არ შეწყვეტილა“
- **ბიზნესი** 12
- **დეკლარაციები** 14
- **ოპოზიციის** 16
- **ეკრანს მიღმა** 18
ქარხნად ქცეული შემოქმედება, „მჩატე“ ფილმების ტალღა და არტისტული ტიპაჟები
- **ტანდემი** 20
„მეტი რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი გიყვარდეს!“
- **მომღერალი** 23
„ვაკის პარკი“ კვლავ აქტიურ სამზადისშია
- **კულინები** 24
რატომ დაევალა ბაჩო ქაჯაიას უცნაური საქმის გამოძიება კახა ჯოხაძეს
- **ოსტატი** 26
ხატის მადლით მინიჭებული უნარი
- **წყვილი** 27
„12 წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ მას ჯერ ხელი არ უთხოვია“
- **ნარკოტიკი** 30
უსინათლო მომღერლის რთული ცხოვრება, მეტროში სიმღერით გაჩენილი შემოსავალი და კონკურსებზე გულგატეხილი გოგონას იმედი
- **სულის სიბრძნე** 33
როგორ სწავლობენ ყრუ-მუნჯი ბავშვები ქართული ცეკვის ურთულეს ილეთებს
- **კრიმინალი** 34
ორმა მამაკაცმა ახალგაზრდა ქალი მოკლა

გზაგნილები

სამაგიერო ასე გადავუსადა




თუ გინდათ, რომ „გზაგნილებმა“ იარსებოს, უნდა მოინდომოთ (ვიცი, რომ ნიჭი არ გაკლიათ) და კარგი ამბები გამოიგზავნოთ, თორემ ხატრის გამო დაბეჭდილი მესიჯებისთვის თქვენ გამო იმდენჯერ „მომხვედრია“ მთავარი რედაქტორისგან, რომ ვერც კი დაითვლით...

76

■ შეჩარებული წამი	36
ჩხაკ-ჩხუკ და... გადაღებულია ანუ წამი, რომელიც უნდა დაიჭირო	
■ სხენის მიღმა	38
„მათი მუსიკა არქეოლოგიას ჰგავს — იქ ეძებენ და პოულობენ, სადაც ბევრმა არც კი იცის, რა ხდება...“	
■ პარსკვლავები	40
■ ისტორიის ლაბირინთები	42
ოსმალური დესანტის გადმოსხმა აფხაზეთში (1918 წ.)	
■ საქითხავი ქალბისათვის	45
■ ეს სამყაროა	47
■ ანტიდეპრესანტი	48
■ ავტო	48
■ ტაქარი	50
რა მნიშვნელობა აქვს სულიერ და ფიზიკურ მღვიძარებას?	
■ ჯანმრთელობა	52
კარაბადინი — უამრავი საჭირო რეცეპტი ერთ წიგნში	
■ შემოქმედი	54
„ყველა შეყვარებული უცხოელი მყავდა“	
■ მოქლარი	57
„ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს და მეც შემხვედრია ბევრი განსაცდელი“	
■ თინეჯარული კონფები	59
როგორ მოვხიბლოთ საყვარელი ადამიანი	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ რეალური	64
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული დებეჟივი	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	72
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
სამაგიერო ასე გადავუხადე	
■ ყველა ერთისათვის	80
„სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო, თავი კი არ უნდა მოიკლა“	
■ მოზილი-ზასია	82
■ მოზაიკა	88
■ გარემო	90
■ ჯილდო	91
■ ერუდიტი	92
„საშიში“ ზარი და ნაუკითხავი შედეგები	
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოვრი	97
■ საფირმო კროსოვრი	98

სამყარო



წამი, რომელის უნდა დაიჭირო

ადამიანის, ცხოველის, ფრინველისა თუ ბუნების სურათის გადაღება ერთნაირად საინტერესოა, მთავარია, „ის წამი“ დაიჭირო.

36

ადამიანი



რა კითხვას არ უპასუხებს პასტანო მატაპარიანი

„მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვიყავი, არ მანებებდნენ. გარდა იმისა, რომ კარგად უნდა მესწავლა, ოჯახური საქმეებითაც ვიყავი დაკავებული.“

54

გიბლუსი



ანტიკვარი



— დილა მშვიდობისა!
— გაუმარჯოს! გიხდება, ხომ იცი...
— რა?
— ჩემი მაისური. ვფიქრობ, საერთოდაც ხომ არ გაჩუქო?
— ძალიან დამავალე, — მორცხვად გაელიმა გოგონას, — მართლა, საუზმე მზად არის.

68

ტაიმ-აუტი



„საშიში“ ზარი და წაუკითხავი შედეგები

„ერთ წელს მსოფლიო ლიტერატურის გამოცდა სექტემბრისთვის გადავიტანე და ზაფხულში, ზღვაზე რომ წავედი, წიგნები თან წავიღე, ვირუჯებოდი და პარალელურად — ვკითხულობდი.“

92

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. #49**
ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge**
რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

„აქცი“ მკვდარ ცხვართან



შესავლის ნაცვლად

იაპონიაში დატროალეზულ უბედურებასთან დაკავშირებით ადამიანს რამეზე რომ გაეღიმება, ის ხომ არ უნდა იყოს მთლად ნორმალური?!

ჰოდა, მე ვარ ასეთი არანორმალური, რადგან, გამეღიმა კი არა, სიცილით კინალამ გავიგუდე (თან საკუთარი თავის მრცხვენოდა, რა მაცინებს-მეთქი?!), როდესაც „ნიუსები“ ამოვიკითხე: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ბრიფინგზე განაცხადა, — საქართველოს მთავრობაში იაპონიისთვის ფინანსური(!!!) დახმარების საკითხი იხილება! თვითონაც კი გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ეგ საერთოდ ეგრე — „გაკვირვებულ“ იყურება ხოლმე და ახლაც სრულიად სერიოზულად ლაპარაკობდა.

აი, სწორედ მაშინ ამიტყდა სიცილი, თანაც ისე, რომ შალიკომ რომ ცეზარ ჩოჩელის სახლთან მკვდარი ცხვარი მიიტანა, ისიც კი გადამავიწყდა...

არადა, მთელი ამ „პროვოკაციის“ ამ აქციისთვის მიძღვნას ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირაში მიშამაც მაგრად „გაატრამპა“ და საერთოდ — სისულელეებით საკმაოდ დახუნძლული დღეები იყო.

მაგრამ კალანდაძემ მაინც დაგლიჯა, რა! იაპონიას უნდა დავეხმაროთო, ფინანსურადო!

რა ვიფიქრე, იცით? რომელიმე ქართველი ჩინოსან-მილიარდერი რომ გარდაიცვალოს (იაპონია დიდხანს იყოს, მაგათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამ დღეებში, რომ უკვდავი ხალხია) და მე რომ 20-ლარიანი „გადასახურავით“ (გურიში და, მგონი, სხვაგანაც ასე ეძახიან მიცვალებულის ოჯახისთვის შესანევ ფულს) მივიდე...

ჰო, ტრამპს რაც შეეხება, ბრძანა, — მიშა ჩემი ძმაცა და მე კიდევ, შეიძლება, ამერიკის მომავალი პრეზიდენტი გახდეთ! აი, ასე — იცის ჩვენმა პრეზიდენტმა მეგობრების შერჩევა...

ვაჰ! რა გამახსენდა! იაპონიისთვის მისატან ფულს ეტყობა, ტრამპი ასესხებს და მერე, როგორც ხდება ხოლმე საქმავაცოში — აღარ გამოართმევს!

ისე, ქართველები მაინც მოუთმენელი ხალხი ვართ — სანამ ეს ამას ფულს მისცემს, სანამ ეს დათვლის-დაიანგარიშებს, სანამ ჩვენ ჩვენს წილს მოგვეცემს, მაგას ველოდო და — ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, უფრო ზუსტად კი დაცვის წევრმა მალაზიაში „რამერუმები“ მოიპარა! თანაც, ძალიან „ორიგინალური“ მეთოდით — ნივთს, რომელსაც ფასის იარლიყი ჰქონდა დაწებებული წარწერით — \$34.97, მოაძრო და სხვა დაანება, წარწერით — \$10.97! ამ ყველაფერს კი ზუსტად მის თავთან მოთავსებული რამდენიმე ვიდეოკამერა აფიქსირებდა!

აი, ძალიან მაგარია, უმაგრესია!

რა მაინტერესებს, იცით? ყველა-ყველა და, დაცვის წევრს ვიდეოკამერის არსებობის შესახებ არაფერი უნდა ჰქონდეს გაგონილი? და საერთოდ, ასეთი — უსირცხვი-

ლობაზე რომ არაფერი ვთქვათ — დებილი, შეიძლება, ვინმეს, მით უმეტეს სახელმწიფოს მეთაურს იცავდეს?!

გვარად შარიფოვი ყოფილა (ეს ისე, ინფორმაციისთვის და თუ ვინმე რაიმე სხვა მიზეზს დაინახავს ამ დაკონკრეტებაში, ეს მისი პრობლემაა).

გასული კვირა იმითაც იყო გამორჩეული ჩემთვის, რომ სასურსათო ვაუჩერი მომიტანეს — როგორც პრეზიდენტმა ბრძანა და ჩვენც აღვნიშნეთ წინა „პროვოკაციაში“, ერთ „კაი სუფრას“ უნდა ეყოს.

აქ რაღა გეშაყირებაო?! — იტყვიო, რისი საშუალება აქვს, იმით გვეხმარებაო (იაპონიისთვის ხომ აქვს?!). კი, ბატონო, მადლობა და აღარაფერს ვამბობ, მაგრამ ვინ მომიტანა ის ვაუჩერი, იცით? ვინ და ორმა, „ბიიშამიტხოვია“ და, მუტრუკმა! როგორც ცხონებული ბებიჩემი იტყოდა, — „უღელში რომ შეგება, ერთ ჰექტარს გადახნავდნენ“!

ერთი ფარატინა ქალაღლის დასარიგებლად ასე წყვილ-წყვილად დადიან — ყოველ შემთხვევაში, ჩემს უბანში ასეა. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ეს ვაუჩერების დარიგების ერთ-ერთი მთავარი „სიკეთე ყოფილა“ — რამდენიმე ათასი ადამიანი კიდევ დასაქმდო.

დალოცვილო, სამ-სამი კაცი გამოგზავნეთ, ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი... უფრო მეტი არ დასაქმდება?..



P.S.

ეჰ, რაღა გამოვიდა — „შალიკოს მკვდარი ცხვრის აქტზე“ მინდოდა მელაპარაკე და ისევ ხელისუფლებისკენ წამიცდა კალამი კი არა და, კლავიატურა (იმ ცხვარს, თუ „ნაცხვარულს“ სპეციალურად ვუნოდებ ასე, იმიტომ, რომ „ადამიანურად“ დაკლულისა არაფერი ეტყობოდა; სურათზეც ჩანს, რომ ნადირისაგან გამოხრულ ჩონჩხს ჰგავდა)...

რადგან ადგილი აქ მართლაც აღარ გვაქვს, მხოლოდ იმას გეტყვიო, ყველაზე მეტად რა მომეწონა მთელ ამ აქტში (შალვა ხომ მუდმივად გვაოცებს ორიგინალობით): თქვენ გგონიათ, ცხვრის ჩონჩხი? ან ჩოჩელის გამოგზავნილ ღვინოს რომ წიხლი ამოსცხო? ან დედ-მამა რო აგინა „საპოზიციო“?

არა, ბატონებო — მე მისი (ან მისი დიზაინერის) „რეტროიდეამ“ აღმაფრთოვანა ყავისფერმა ტყავის ქურთუკმა კი არა, 80-იანი წლების თბილისური საკომისიო მაღაზიები რომ გამახსენა, არამედ საქამრეზე დარდიმანდულად ჩამოვიდებულმა გასაღებების ასმულამ!

ჩვენა, რა, ჯიგარია! — აქსესუარის გამო ასე შეაფასა ჩემმა მეზობელმა, „მარშრუტკის შოფერმა“, რომელსაც საზუბის გაუქმების შემდეგ, მხოლოდ შალიკოს იმედილა აქვს...

პროვოკატორი



ქვეყანა

იზზლიანი ჩვილი



იაპონიაში მიაგის პრეფექტურის ქალაქ იზონიმაკუში ნანგრევებში მოყოლილი 4 თვის გოგონა სასწაულებრივად გადაურჩა დაღუპვას. ჩვილი, რომელიც სახლის ნანგრევების ქვეშ 3 დღე იმყოფებოდა, მაშველებმა სრულიად უვნებელი და ჯანმრთელი იპოვეს. გოგონასგან განსხვავებით, არ გაუმართლა ათასობით ადამიანს, რომელთა სიცოცხლე 9-ბალიანმა მიწისძვრამ და ცუნამიმ შეინირა. სტიქიის შედეგად ათეულათასობით ადამიანია დაღუპული. ატომური ელექტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებიდან 180 ათასზე მეტი მოქალაქეა ევაკუირებული. მიწისძვრის შედეგად, სადგურზე რამდენიმე აფეთქება მოხდა, რამაც 4 ადამიანი შეინირა, ათეულობით პირმა კი დასხივება მიიღო.



ბარაკ და მიშელ ობამები ელისაბედ მეორეს გაუნაწყენდნენ

ბარაკ და მიშელ ობამები დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს იმის გამო გაუნაწყენდნენ, რომ პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის ქორწილში არ მიიწვიეს. საერთოდ, მიშელსა და ბარაკს უკმაყოფილების დამალვა არ სჩვევიათ. მაგალითად, შარშან მიშელ ობამამ ოპრა უინფრის მიმართ ანტიპათია არ დაფარა და განაცხადა, — იმედი მაქვს, ოპრას ახალი სატელევიზიო პროექტი ჩავარდებაო. ამჯერად ობამებმა სამეფო ოჯახის საქციელი ელისაბედ მეორის მხრიდან შეურაცხყოფად მიიღეს. სამეფო ქორწილი აპრილშია დაგეგმილი.

აქსიები ატომური ელექტროსადგურების წინააღმდეგ



მსოფლიო პატრიარქი, ბართლომეოს პირველი მსოფლიოს მოუწოდებს, უარი თქვას ატომურ ელექტროსადგურებზე. პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ატომური ელექტროსადგურები იაპონიისთვის გაცხილებით საშიშია, ვიდრე მიწისძვრა და ცუნამი. ბართლომეოს პირველის განცხადების შემდეგ, გერმანიამ 7 ატომური ელექტროსადგურის გაჩერება გადაწყვიტა. შვეიცარიამ კი მთელი ატომური პროგრამა შეაჩერა: იაპონიაში განვითარებულ მოვლენებს გააანალიზებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ ადგილობრივი ატომური ელექტროსადგურების მომავალს. შვეიცარიაში მოქმედი 4 ატომური ელექტროსადგურის 5 რეაქტორი ქვეყნისთვის საჭირო ენერჯის 40%-ს გამოიმუშავებს. ხუთივე რეაქტორი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ამუშავდა.

აშშ-ში მსგავს ზომებს ჯერჯერობით მხოლოდ განიხილავენ. რუსეთი კი „როსატომის“ პროგრამის შეჩერებას არ აპირებს.

23 წლის ქალი ბებია გახდა



ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა ბებია 23 წლის რუმინელი ქალია. რიფკა სტანესკომ პირველი შვილი 12 წლის ასაკში გააჩინა. საქმე ის არის, რომ გოგონა ოჯახიდან 11 წლის ასაკში გაიქცა და ცოლად გაჰყვა 13 წლის ბიჭს, რომელთანაც მშობლები ურთიერთობას უშლიდნენ. როგორც ჩანს, შვილიც დედის კვალს გაჰყვა და 11 წლის ასაკში იმშობიარა. მას ვაჟი გაუჩნდა.

დღემდე ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა ბებია 29 წლის იტალიელი ჯულია ელია იყო.



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



11 წლის გოგონა აინუბაინზე ჭკვიანი აღმოჩნდა

თანამედროვე გენიოსებთან — ბილ გეითსთან და სტივენ ჰოკინგთან ერთად, ახლა უკვე 11 წლის ბრიტანელ გოგონას — ვიქტორია კაუისს მოიხსენიებენ. გოგონას IQ-ს (ინტელექტის კოეფიციენტი) მაჩვენებელი 162-ია, რითიც მან არა მხოლოდ გეითსსა და ჰოკინგს, არამედ აინუბაინსაც კი გაუსწრო 2%-ით. ვიქტორია ზიგმუნდ ფროიდზე (156), ნაპოლეონ ბონაპარტზე (145) და ჰილარი კლინტონზე (140) ჭკვიანიცაა — მათი მაჩვენებლები გოგონას IQ-ზე გაცილებით დაბალია. ვიქტორიას აინტერესებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მოსწონს ექსპერიმენტების ჩატარება; უკრავს ვიოლონჩელოსა და საქსოფონზე; სურს, ვეტერინარის პროფესიას დაეუფლოს. ვიქტორია კაუისი პლანეტის ყველაზე ჭკვიანი ადამიანების ასოციაციის — „მენსის“ წევრია.



ელიტური სასტუმრო კაღაბისტვის

პარიზში ძალღებისთვის ელიტური სასტუმრო გაიხსნა. სასტუმროში, რომელსაც Actual Dogs ეწოდება, ძაღლებს მაღალი ხარისხის საკვების მირთმევა, მოსახერხებელ დივანზე დასვენება და ტელევიზორში საყვარელი გადაცემის ან ფილმის ყურება შეუძლიათ. მათ განკარგულებაშია აგრეთვე: მასაჟის სალონი, აუზი, სათამაშო ოთახი, სავარჯიშოების სპეციალური კომპლექსი... ძაღლის პატრონს სასტუმროში ოთხფეხა მეგობრის დატოვება დღე-ღამეში 26-35 ევრომდე დაუჯდება.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა სათუნა ბახტურიძემ

პლანეტის ნახევარს ცუნამი წალაკვით ემუქრება?!

აკოკალიფსი თუ გაზვიადებული წარმოდგენები?

იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ევროპელმა ასტროფიზიკოსებმა შემაშფოთებელი პროგნოზი გააკეთეს: მათი თქმით, 19 მარტს მთვარესა და დედამიწას შორის მანძილი მინიმუმამდე — 356 ათას კილომეტრამდე შემცირდება, რასაც დედამიწაზე უამრავი სტიქიური უბედურება და ბუნებრივი კატასტროფა მოჰყვება.



სათუნა ბახტურიძე

როგორც ცნობილია, 11 მარტს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის სიძლიერემ 9,0 მაგნიტუდას მიაღწია. ეპიცენტრი ტოკიოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, 373 კილომეტრის მოშორებით დაფიქსირდა. მიწისქვეშა ბიძგებმა ცუნამი გამოიწვია, ტალღების სიმაღლემ 10 მეტრს მიაღწია. სტიქიამ რამდენიმე დასახლებული პუნქტი სრულიად განადგურა და ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს იაპონიაში 1933 წლის შემდეგ ყველაზე ძლიერი მიწისძვრა იყო (მაშინ მიწისძვრის სიძლიერემ 9 ბალი შეადგინა, ცუნამის დროს კი ტალღების სიმაღლე 30 მეტრს აღწევდა). ადგილობრივი მეტეოროლოგიური სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყანაში 7 და მეტი მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები 19 მარტამდე გაგრძელდება. მიწისძვრამ

ცუნამისთან ერთად, ვულკანის გააქტიურებაც გამოიწვია — ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, მიაძაკის პრეფექტურაში (კუნძული კიუსიუ) ვულკანმა სინმოუ დაიწყო ამოფრქვევა. მიაძაკის პრეფექტურის ხელისუფლებამ ამოფრქვევას, საფრთხის სკალის მიხედვით, 3 ბალი მიანიჭა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ მიწისძვრის შედეგად, რამდენიმე აფეთქება მოხდა ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ზე. ავარიამ კი რადიაციის გაჟონვა გამოიწვია... „ფუკუსიმა-1“ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგურია, რომელიც ელექტროენერგიით მთელ ტოკიოს ამარაგებს. ელექტროსადგურის სრული სიმძლავრე 8.800 მეგავატია. შედარებისთვის — ჩერ-

თალიზი
თვის ბალანსირების კლინიკა

გვ. 03326666 გ. 27 8095 25 37 38
www.talizi.ge



ამ ზონაში სტიქიური უბედურება ხშირად, ცალკეულ ქვეყანაში 100 წელიწადში ერთხელ ხდება



ნობილის ატომური ელექტროსადგური ავარიამდე 3.800 მეგავატს გამოიმუშავებდა...

NASA-ში (აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული სამმართველო) უკვე დაადგინეს, რომ იაპონიის მიწისძვრამ დედამიწის ღერძი 17 სანტიმეტრით გადახარა. NASA-ს რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიის სპეციალისტის, რიჩარდ გროსის განცხადებით, ამ ფაქტმა დღეღამის 1,8 მიკრონამით შემცირება გამოიწვია.

რა შედეგი მოჰყვება დედამიწის ღერძის 17 სანტიმეტრით გადახრას, რა შეიძლება მოხდეს 19 მარტს დედამიწაზე და რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო? — ეს კითხვები გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, **თამაზ ჭელიძეს** დაუსვს.

— ბატონო თამაზ, ცუნამის საშიშროების შესახებ უკვე გააფრთხილეს კურილიის კუნძულებისა და სასალინოს მოსახლეობა. გავრცელდა ცნობა, რომ სამხრეთ კურილიის სანაპიროზე ტალღების სიმაღლემ 3 მეტრს მიაღწია. კიდევ რომელი რეგიონები მდებარეობს რისკის ზონაში?

— ცუნამის პოტენციური შეტევის ადგილებად მიჩნეულია: ინდონეზია, ფილიპინები, ჰავაის კუნძულები, ჰაი-

ტი, ნაურუ, ნიკარაგუა, ავსტრალია, კანადა, ჩილე-მექსიკის სანაპირო ზოლი და აშშ-ის თითქმის მთელი დასავლეთ სანაპირო ანუ — წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები. აღსანიშნავია ისიც, რომ უახლოეს მომავალში სან-ფრანცისკოში ელოდებიან მიწისძვრას. წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს მეცნიერები „ცეცხლოვან რკალს“ სწორედ იმიტომ ეძახიან, რომ ამ ზონაში სტიქიური უბედურება ხშირად, ცალკეულ ქვეყანაში 100 წელიწადში ერთხელ ხდება. ზუსტად 100 წელია გასული, რაც სან-ფრანცისკოში ასეთი მასშტაბის მიწისძვრა არ მომხდარა. 1906 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს, თვითმხილველთა მოგონებების მიხედვით, მიწის „ტალღები“ 1 მ სიმაღლეს აღწევდა.

— ყველაზე მასშტაბური მიწისძვრა სად და როდის მოხდა?

— ყველაზე ძლიერი მიწისძვრა 1960 წელს ალასკაში მოხდა (9,6 მაგნიტუდა), თუმცა მასზე არანაკლები სიძლიერის იყო შარშან ჩილეში მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც 9 ბალი შეადგინა.

— წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მომხდარმა სტიქიამ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოსა და მის რელიეფზე?

— წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მომხდარი სტიქია საქართველოში მიწისძვრის პროვოცირებას ვერ მოახდენს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან მიწისძვრა არ მოხდება...

— ჩვენი ქვეყანა რამდენბალიან ზოლში იმყოფება?

— ჩვენთან 7 მაგნიტუდაა დაფიქსირებული. საერთოდ, კავკასია ნაკლებად სეისმურ ზონად მიიჩნევა, ასე რომ, განსაკუთრებულ კატასტროფას არ უნდა ველოდოთ. არც ცუნამის შიში უნდა გვექონდეს.

— დედამიწის ღერძის 17 სანტიმეტრით გადახრას რა შედეგი მოჰყვება?

— დედამიწის ეკვატორი 40 ათასი კილომეტრის სიგრძისაა და მისი ღერძი 25 გრადუსით ისე-

დაც გადახრილია. ასე რომ, ღერძის 17 სმ-ით გადახრა ძალზე უმნიშვნელოა და საგანგაშო შედეგებს არ გამოიწვევს. სხვათა შორის, ყველა დიდი მიწისძვრა დედამიწის ღერძის გადახრას იწვევს, გადახრებს კი შესაძლოა, კომპენსირების ეფექტიც მოჰყვეს, რაც ბალანსის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. ასეთივე პანიკა იყო ჩილეს მიწისძვრის შემდეგ. მაშინ დედამიწა 8 სანტიმეტრით გადაიხარა. როგორც ხედავთ, არაფერი მომხდარა. არც ახლა მოხდება რაიმე განსაკუთრებული.

— არც 19 მარტისთვის უნდა ველოდოთ კატასტროფებს?

— არა, 19 მარტს დედამიწის ზედაპირთან მთვარის მაქსიმალურად მოახლოებას არანაირი დამანგრეველი შედეგი და ბუნებრივი კატაკლიზმი არ მოჰყვება. ასეთ პროგნოზს ასტროლოგები აკეთებენ — ასტროლოგია კი ზუსტი მეცნიერება არ არის. ფიზიკოსები და მეცნიერები ამ პერიოდში რაიმე განსაკუთრებულს არ ელოდებიან. მთვარე დედამიწას 18 ან 19 წელიწადში ერთხელ უახლოვდება, მაგრამ ამას ჯერ გლობალური კატასტროფა არ მოჰყოლია. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება, რაღაც მართლაც მოხდეს, მაგრამ მეტისმეტად მასშტაბური არ იქნება.

— და მაინც, ეს „რაღაც“ რა შეიძლება იყოს?

— მთვარის დედამიწასთან მოახლოებამ შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. ტრიგერის ეფექტი, რაც სადღაც მოსალოდნელ მიწისძვრაზე მცირე დანამატს გულისხმობს. ერთი სიტყვით, სტიქიური უბედურება და ბუნებრივი კატასტროფა არც 19 მარტს და არც 2012 წელს არ მოხდება. ყველა ასეთი

ღერძის 17 სმ-ით გადახრა ძალზე უმნიშვნელოა და საგანგაშო შედეგებს არ გამოიწვევს





ამჯერად მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხელსაწყოები მწყობრიდან გამოვიდა და იაპონელებმა ვერ მიიღეს განგაშის მაუწყებელი სიგნალი

ვარაუდი გაზვიადებულია.

— ევროპელი ფიზიკოსები შიშობენ, რომ იაპონიაში ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი აფეთქებები რადიოაქტიური ნეთიერებების გაჟონვას გამოიწვევს და იაპონიასთან ერთად, ევროპის მოსახლეობასაც შეუქმნის საფრთხეს. ფიზიკოს სებასტიან პულიუ-გლობაილის აზრით, ფუკუსიმა და ჩერნობილის მოვლენები თანაბარი დონისაა. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

— ფუკუსიმა ატომური ელექტროსადგური გაცილებით მაღალი სტანდარტებითაა აგებული, ვიდრე ჩერნობილის იყო. გარდა ამისა, ფუკუსიმაში მხოლოდ წყალბადი აფეთქდა და არა — რეაქტორი. იაპონელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ურანის შემცველი ღეროები არ დადნეს (ანუ ის, რაც ჩერნობილში მოხდა). თუ რადიაცია მაინც ვერ შეაჩერეს, ციბირს, კამჩატკასა და ჩინეთს მაინც ვერ გასცდება. არც ევროპას და არც ჩვენ, საფრთხე არ გვემუქრება.

— ცნობილია, რომ იაპონელებს აქვთ სეისმოლოგიური ხელსაწყოები, რომლებიც მინისძვრისა და ცუნამის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე რეაგირებს. როგორ გგონიათ — ამჯერად რატომ არ რეაგირებდა ეს დანადგარები?

— დიას, მოსალოდნელ სტიქიურ მოვლენაზე იაპონური სეისმოლოგიური ხელსაწყოები რამდენიმე წუთით ადრე რეაგირებს. ასეთ დროს ავტომატურად ჩერდება მატარებლები და მეტრო, ითიშება გაზსადენი და ყველა ის სისტემა, რომელიც ცეცხლსამიშია. სამწუხაროდ, ამჯერად მინისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხელსაწყოები მწყობრიდან გამოვიდა და იაპონელებმა ვერ მიიღეს განგაშის მაუწყებელი სიგნალი.

— ატომური ელექტროსადგურების აფეთქება, გასშირებული მინისძვრა თუ ვულკანი გლობალური დათბობის პროცესს სომ არ დააჩქარებს?

— ვერ ვიტყვი, რომ მინისძვრა და ვულკანი ბოლო დროს გასშირდა, უბრალოდ, ადრე ადამიანები ასეთ პროცესებს საფუძვლიანად ვერ იკვლევდნენ და შესაბამისად, ინფორმაციაც ნაკლები იყო. მინისძვრა — არა, მაგრამ ამ მოვლენით გამოწვეული კატასტროფა ნამდვილად გასშირდა.

და. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ადამიანები მთიდან ბარში ჩამოვიდნენ, გამრავლდნენ, მრავალსართულიანი შენობები ააშენეს და ნგრევასაც უფრო მეტი ეფექტი აქვს. რაც შეეხება გლობალურ დათბობას — საფრთხე რეალურია: დედამიწის ატმოსფეროს ტემპერატურა ნამდვილად იზრდება. თუ დედამიწაზე ვითარება არ შეიცვალა და ადამიანებმა ჰაერში ნახშირორჟანგის შესამცირებლად რაიმე ზომები არ მიიღეს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ამერიკასა და ჩინეთში არსებული ქარხნებისა და ქვესადგურებიდან განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის ენ. სითბური გაზი გამოიყოფა. თუ ისევ ასე გაგრძელდა, საუკუნის ბოლოს მყინვარები დნობას დაიწყებს, ოკეანის დონე აიწევს და წყნარი ოკეანის აუზის ბევრი ქვეყანა წყალში ჩაიძირება.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ნასას მეცნიერთა ვერსია იმის შესახებ, რომ გლობალური დათბობისგან შესაძლოა, მცირე ბირთვულმა ომმა გვიხსნას?

— ეს რეალურია, ბირთვულ ომს დედამიწის გაგრილება ნამდვილად შეუძლია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ „ვაის გავეყაროთ და

ვუის შევეყაროთ“.

— რას გულისხმობთ?

— ატომმა შესაძლოა, დედამიწა მთლიანად გაყინოს, ამიტომ ბირთვულ ომზე ფიქრს უმჯობესია, ჰაერში ენ. სითბური გაზების შემცირებაზე ვიზრუნოთ და საერთოდ, ბუნებას გავეფრთხილდეთ.

P.S. საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის თხოვნით, ვაქვეყნებთ სამძიმრის წერილს, რომლითაც მან საქართველოში იაპონიის ელჩს — ბატონ მასაი-ოში კამოჰარას მიმართა:

„ქართველი ხალხის და ასოციაციის სახელით გამოვხატავ ღრმა მწუხარებას ჩვენი მეგობარი იაპონელი ხალხის მიმართ, რომელსაც საუბედუროდ, კატასტროფა დაატყდა თავს. ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვდგავართ, გულისტვივრით განვიცდით მომხდარს. ღმერთს ვვევდრებით, რომ ეს ტრაგედია აღარ გამოვრდეს და იაპონიამ იცხოვროს მშვიდად.

ასოციაციის პრეზიდენტი — კარლო ქველაძე“.





„ქართველ და აფხაზ მედიკოსებს შორის

ურთიერთობა ომის შედეგად არ შეწყვეტილა“

ლალი პაპასკირი

„სანამ ენგურის ხიდამდე მოვიდოდი, არ ვიცო, რამდენჯერ ვინატრე სიკვდილი... იმ ხალხთან მოვიდი, ვისაც წლების წინ ტყვიას ვესროდი და დიდი ხნის განმავლობაში მტრად

ნება საფრთხე, ადამიანი ყველაფრისთვის მზად არის... ასეთ სახიფათო გზაზე, შვილი მეუღლეს ვერ ვანდევ და თავად გამოვყევი. მეგონა, თბილისში ჩამოსულს, ან პირდაპირ ტყვედ ამიყვანდნენ, ან ადგილზე დამხვრეტდნენ, მაგრამ მაინც გავრისკე... ზუგდი-

სახე მაინც დამამასსოვრდა... ეს კაცი სოსუმში მყავდა ნანახი. ქალაქის დაცემამდე რამდენიმე საათით ადრე, საოპერაციოში იარაღით შემომივარდა და მითხრა, — ინსტრუმენტები და ნარკოტიკი აიღე და გამომეყევი, თანამებრძოლი მიკვდებაო... თვალში მისი იარაღი მომხვდა, რომელიც გადაპარსულ თავს წარბიდან კეფამდე ზოლად სერავდა... არ შემშინებია-მეთქი, ვერ გეტყვი, მაგრამ იმნუთას მსოლოდ საოპერაციო მაგიდაზე მყოფ დაჭრილზე ვფიქრობდი, ამიტომ ვუთხარი, — აქ მოიყვანეთ, მანამდე კი ამას მიჭებდამეთქი. პასუხად იარაღი გადატენა და საოპერაციო ნათურა და სეფი დაცხრილა... ის ოპერაცია ჩვეულებრივი ლამპის შუქზე გავაკეთე. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი რისკი გავწიე. საბედნიეროდ, დაჭრილი გადარჩა. მსოლოდ გარეთ გასვლის შემდეგ შევნიშნე, რომ მის ტყვიას ჩემთვის მკლავის კუნთი გაეხვრიტა... მერე კი ევაკუაცია გამოაცხადეს, ავადმყოფებთანად სასწრაფოდ ვერტიმფრენში ჩავსხეს და თბილისში გადმოგვადრინეს. მოგვიანებით რამდენიმე ჩემი კოლეგის დახვრეტის ამბავი შევიტყვე... ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ იმ აფხაზის ნახვა მაინც გამიკვირდა. ქუდი რომ მოიხადა, მისი გამობილი წარბი მომხვდა თვალში. არ ვიცო, თვითონ მიცნო თუ არა, მაგრამ მე მამინვე ვიცანი. მისი გააფხული სახე გამახსენდა. შვილის ავადმყოფობას დაეჩინებინა... ჩემთვის მთავარია, პაციენტი გადარჩეს და მის წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს. ან შეილმა მშობლის ცოდვისთვის რატომ უნდა აგოს პასუხი?!“ ქართველი ექიმი, ჩემს შეკითხვაზე, — პაციენტის გადასარჩენად აფხაზეთში რომ მოგინიოთ გადასვლა, გარისკავთ-მეთქი? — დაუფიქრებლად მპასუხობს, — კონფლიქტის ზონაში ნებისმიერ დროს წავალო...



რუსეთში მითხრეს, ამ საქმეს თქვენი „მოძმე“ ქართველები აკეთებენო

მივიჩნევდი... მერე კი ისე შეიცვალა ცხოვრება, რომ მათი დახმარება დამჭირდა. ჩემი შვილი თანდაყოლილი პათოლოგიით დაიბადა, ორივე ფილტვი დახურული ჰქონდა და მუდმივად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო... სოსუმში ვცხოვრობთ, მაგრამ ის ადგილი გარეუბნად მიიჩნევა. დასახლებაში ორი ექიმი გვყავს: ერთი სპეციალობით ზოოვეტერინარია, მეორე — თერაპევტი, მაგრამ ორივეს ლამის მინიოპერაციებსაც ვაკეთებინებთ... ცხადია, მათ ჩემი შვილისნაირი ავადმყოფის მკურნალობის არც საშუალება აქვთ და არც ინვენტარი. ვიცოდი, რომ არც სოსუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისვლას ჰქონდა აზრი, მაგრამ მაინც მივედი. იქიდან რუსეთში გაგვგზავნეს... როცა მოსკოვის შესამე სახელმწიფო კლინიკაში მივედი და ბავშვი გასინჯეს, ნახევრად ხუმრობით მითხრეს: — ამ საქმეს თქვენი „მოძმე“ ქართველები ჩვენზე უკეთესად აკეთებენ და „სოლენჩნაია გრუზიას“ უნდა ეწვიოთ... თვალთ დამიბნელდა. მე რომ დამჭირვებოდა, ფეხს არ გავდგამდი, მაგრამ როცა შვილის სიცოცხლეს ექმ-

დის სადგურზე ბილეთების სალაროს რიგში დავდექი. ჩემდა გასაკვირად, ისე შემხვდნენ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც შველა უნდა... ჩემს გოგონას დიდხანს ფეხზე დგომა არ შეუძლია, მაგრამ ისე ვიყავი დაბნეული, კუთხეში დალაგებული სკამები არც კი შემინიშნავს... უცხო ადამიანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და სალარომდე გზა გამითავისუფლეს...“ — ეს იმ აფხაზი კაცის ნაამბობია, რომლის შვილსაც თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში ქართველმა ექიმებმა სიცოცხლე აჩუქეს. აღელვებულმა მამამ მსოლოდ ის მითხრა, მთელი ცხოვრება მათი მაღლიერი ვიქნებიო...
თბილისში ჩამოსულ პატარა აფხაზ გოგონას გადაუდებელი ოპერაცია იმ ქართველმა ექიმმა გაუკეთა, რომელიც სეპარატისტულ აფხაზეთში „შავ სიაში“ ჰყავთ შეყვანილი.
„ჩემი კაბინეტის კართან ატუზული მამაკაცი რომ დავინახე, მივხვდი, რომ სადღაც მყავდა ნანახი... 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და უამრავ პაციენტთან მქონია ურთიერთობა. ყველა არ მახსოვს, მაგრამ რამდენიმეს

სიახლე როდია, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში, მედიცინის სფეროში არსებული პრობლემები დღითი დღე მწვავდება. ამაზე ბოლო დროს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში სამკურნალოდ ჩამოსული თუ ჩამოყვანილი აფხაზი პაციენტების რაოდენობაც მონშობს... აფხაზურ ჯანდაცვაში არსებულ საკადრო შიმშილსა და სავალალო შედეგებს ჩემმა აფხაზმა კოლეგამ — აჰსნი. პრესს-ის ჟურნალისტმა, მატისა ჯენიამ საკმაოდ ვრცელი სტა-



ში ონკოლოგიურად დაავადებულთა უპრეცედენტო რაოდენობა გამოვლინდა, ვინაიდან ავადმყოფები სპეციალისტებს დროულად ვერ მიმართავენ და ექიმთან მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა დაავადება ბოლო სტადიას აღწევს. იმავე შეხვედრაზე პარლამენტარმა ბატალ კობახიამ ერთი კურიოზული „საიდუმლო გაამხილა“: „მთელ აფხაზეთში მხოლოდ ერთი ნეიროქირურგია და ისიც — მღვდელმსახური, გვარად სვინუხოვი. როცა ავადმყოფს გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, მისი ახლობლები იძულებული არიან, სვინუხოვი საღვთო მსახურებას მოსწვევიტონ და ოპერაციის ჩასატარებლად წაიყვანონ“...

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წლეულს ერთ-ერთმა რუსულმა კომპანიამ პანსიონატისთვის განკუთვნილი, ფრანგული წარმოების სამედიცინო აპარატურის 2 კომპლექტი ჩაიტანა. ამ უახლესი ტექნიკის მომსახურებას 60-მდე კვალიფიციური კადრი ესაჭიროება, მაგრამ მისი ათვისების სურვილი მხოლოდ ორმა ადამიანმა გამოთქვა — ეროვნებით ქართველმა და სომეხმა ექიმებმა... ჰოდა, კომპანიამ მთელი ეს სიმდიდრე აფხაზეთიდან სოჭში გაზიდა...

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1991 წელს აფხაზეთში სულ 2121 სხვადასხვა სპეციალობის ექიმი მუშაობდა. მთელ აფხაზეთში 46 საავადმყოფო და 130 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარების ცენტრი ფუნქციონირებდა. 80-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნებით აფხაზი 100-მდე ექიმი და 300-ზე მეტი საშუალო მედიკოსი იყო... ცნობისთვის — პირველი აფთიაქი სოხუმში 1863 წელს ქუთაისელ ფარმაცევტთა ინიციატივით გაიხსნა. 1990 წლისთვის აფხაზეთში 45 აფთიაქი და 111 სააფთიაქო პუნქტი მუშაობდა.

„კავკასიის ექსპერტთა კლუბის“ ინფორმაციით, „სეპარატისტულ აფხაზეთში თითქმის ყველა სფეროში განიცდიან კადრების სიმცირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონში რუსი მოსამსახურეების ჩასახლება გარდაუვალია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რუსეთში სამკურნალოდ საჭირო თანხის გადახდა მხოლოდ თითო-ორი აფხაზისთვის არის ხელმისაწვდომი, ამიტომაც ისინი ქართველ ექიმებთან მკურნალობას ამჯობნიან... საქმე ის გახლავთ, რომ ქართველ და აფხაზ მედიკოსებს შორის ურთიერთობა 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგაც არ განწყვეტილა...“ — აღნიშნავს „კავკასიის ექსპერტთა კლუბი“.

ფუფუნებასთან ასოცირებული ამერიკელი ინვესტორის რისკიანი ნაბიჯი

„ქართულ ეკონომიკაში დონალდ ტრამპის სახელის დაკავშირებას კი მნიშვნელოვანია“

„მისი სახელი სიმდიდრესთან, ფუფუნებასა და პრივილეგიასთან ასოცირდება — დონალდ ტრამპი ნიუ-იორკსა და მთელ ამერიკაში მომხიბვლელობისა და ფულის სინონიმია“, — ამ სიტყვებით ამერიკელ მილიარდერ დონალდ ტრამპს, წამყვან დასავლურ მედიასაშუალებებში ხშირად მოიხსენებენ...

შარშან შემოდგომაზე გაფრცვლდა ინფორმაცია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი დეველოპერი, დონალდ ტრამპი საქართველოში ინვესტიციის ჩადებითაც დაინტერესდა. ამ ფაქტს ქართველ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მაშინაც მოჰყვა, ბევრმა მიხეილ სააკაშვილის „ცისფერი ოცნება“ კი უწოდა... ნიუ-იორკში 11 მარტს გამართული იმ შეხვედრის შემდეგ, რომლის დროსაც ტრამპთან ხელშეკრულება გაფორმდა, მითქმა-მოთქმას ახალი იმპულსი მიეცა...

ლალი პაპასკირი

ირაკლი ლეჰმინაძე, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:

— დონალდ ტრამპის კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსთვის უდავოდ პოზიტიური მოვლენაა. თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ამიერკავკასიაში კი არაა, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომლის მიმართაც ტრამპი ბიზნესდაინტერესებას იჩენს. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი, საკმაოდ სოლიდური კაპიტალის მფლობელი და როცა ასეთი დონის ბიზნესმენი შემოდის ქვეყანაში და ხმადასმულად აცხადებს, რომ აქ ბიზნესისთვის კარგი პირობებია, ეს უამრავი ინვესტორისთვის იქნება სიგნალი, რათა მას მიჰბაძონ. გარდა ამისა, ხელშეკრულება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ 250-300 მილიონამდე დოლარი პრაქტიკულად, იმ თანხის ნახევარია, რაც შარშან მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ინვესტიციის სახით შემოვიდა.

— თუმცა, ბატონო ირაკლი, ლოგიკურად იბადება შეკითხვა — რატომ შეაჩერა დონალდ ტრამპმა არჩევანი მაინცდამაინც საქართველოზე?

— პირველ რიგში, ეს ალბათ მაინც, პირადი ურთიერთობის დონეზე გადაწყდა. ჩემი აზრით, ტრამპის ორგანიზაციაში პრეზიდენტის პირადად ვიზიტმა დიდი როლი ითამაშა... ქართულ და უცხოურ პრესაში ხშირ-

ად ლაპარაკობენ, — საქართველოს ეკონომიკაში ტრამპი კი არ დებს ფულს, უბრალოდ, მისი ბრენდი შემოდისო. ეს უკვე ხელშეკრულების დეტალებია, რომელიც კონფიდენციალურია და მასზე ცოტას თუ მიუხვდება ხელი. ასე რომ, ხელაღებით იმაზე ლაპარაკი, რომ ასე არ ხდება და ვილაც გვატყუებს, უბრალოდ, არასერიოზულია. მაგრამ ასეც რომ იყოს და ეს ყველაფერი ქართული ეკონომიკისთვის პიარის გაკეთებას ემსახურებოდეს, ჩვენთვის მაინც მოგებინა, ვინაიდან სწორად წარმართულ პიარს ბევრი რამ შეუძლია.

— რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს: ტრამპი „რესპუბლიკელების“ პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. რამდენად სავარაუდოა, რომ მისი ეს ნაბიჯი ბუშისა და მაკეინის საქართველოსადმი კეთილგანწყობის გაგრძელება იყოს, რომელიც რუსეთისთვის ასეთი შინაარსის გზავნილს შეიცავს: თქვენგან განსხვავებით, საქართველო — დემოკრატიულად განვითარებადი სახელმწიფოა?

— რუსეთი არადემოკრატიული ქვეყანაა, სადაც კორუფციის მაჩვენებელი მაღალია, ხოლო განვითარების დონე — დაბალი. საინვესტიციო თვალსაზრისით, ის მსოფლიოს ოთხ გლობალურ ბაზარში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიანად მიიჩნევა. ამიტომაც, რაც უფრო მეტ ინვესტორს შემოვიყვანთ რუსეთისგან დამოუკიდებლად, რაც უფრო მეტ ეკონომიკურ



წარმატებას მივალწვეთ, ცხადია, ჩვენი უკეთესი იქნება. ამით პატარა საქართველო მსოფლიოს დაანახევებს, რომ ბევრ რამეში რუსეთზე წინ დგას. ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საქართველო მაინც ვითარდება: მის მიერ განხორციელებული რეფორმების წყალობით, ბიზნესურთიერთობები მარტივდება და ამას რეალური შედეგი მოჰყვება... საქმე ის არის, რომ ჩვენი წარმატების რუსეთისთვის დამტკიცებას მხოლოდ ეკონომიკური კი არა, განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა და საფუძველი აქვს: რუსეთს საქართველოს ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული და მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა მაინც ვითარდება. როცა ამ ხელშეკრულების პოლიტიკურ მხარეზე ვსაუბრობთ, აფხაზი და ოსი საზოგადოების ფაქტორი არ უნდა გამოვტოვოთ, განსაკუთრებით კი — შავი ზღვისპირა რეგიონი. აფხაზეთში ტურიზმის განვითარებისთვის საუცხოო ბუნებრივი პირობებია, მაგრამ იქაურ მოსახლეობას მაინც უკიდურესად მძიმე ცხოვრება აქვს... ასე რომ, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, ასეთი ინვესტიორის საქართველოში შემოსვლა, თუნდაც შორეულ პერსპექტივაზეც გათვლითაც კი მომგებია, რადგან ეს სახელმწიფოს პროგრესულ განვითარებას უსვამს ხაზს.



ტრამპს, „სილქ როუდს“ და „სოსიეტი ჯენერალს“ ისეთი პრობლემების შექმნას ვერ გაუბედავენ, როგორსაც ადგილობრივ წვრილ მეწარმეებს უქმნიან

ზნესმენი დაიჭირეს კიდევ; ნაწილი — სამართლიანად, ბევრიც — უსამართლოდ. ამგვარად, მთლიანობაში, ბიზნესზე ადმინისტრაციული ზენოლა ხორციელდება. მაგრამ როცა ქვეყანაში ტრამპის დონის ინვესტორი და მისი მსგავსი საერთაშორისო ბრენდები შემოდიან, მათ მყარი გარანტიები და სამთავრობო მხარდაჭერა აქვთ. ამაში გასაკვირი არაფერია. საქართველოსნაირ ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდები მყარი გარანტიების გარეშე არც შემოდიან, ვინაიდან დიდ კაპიტალს ყოველთვის სჭირდება მხარდაჭერა და ამას იღებენ კიდევ. სახელმწიფო მათ უამრავ კომფორტს უქმნის, რადგან მათი შემოსვლა ქვეყნისთვის პრესტიჟულია... ტრამპს, „სილქ როუდს“ და „სოსიეტი ჯენერალს“ ისეთი პრობლემების შე-

ქმნას ვერ გაუბედავენ, როგორსაც ადგილობრივ წვრილ მეწარმეებს უქმნიან. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი: ტრამპისთვის 250-300 მილიონს გადაამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, შესაძლოა, მან ეს თანხა საქართველოსნაირ ეგზოტიკურ ქვეყანაში უბრალოდ ინტერესის გამო ჩადო და ამით ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოში რისკიანი ბიზნესმენის პიარი გაიკეთა... ალბათ მოისმინეთ ამერიკელი მილიარდერის საკმაოდ ამბიციური პოლიტიკური განცხადება, რომელიც მან მიხეილ სააკაშვილის მისამართით გააკეთა: ამერიკის შერთებული შტატები უნდა ამაყობდეს, რომ საქართველოს მსგავსი პარტნიორი ჰყავსო. როცა ამ სიტყვებს ერთი პატარა ქვეყნის ლიდერის მიმართ ტრამპის დონის ინვესტორი მსოფლიოს გასაგონად წარმოთქვამს, ეს ბევრ რამეზე მიანიშნებს. მან ყველას დაანახვა, რომ თანამშრომლობს ახალგაზრდა, რეფორმატორ ქვეყანასთან და თავისი გაბედული ნაბიჯით ისიც დაამტკიცა, რომ იქ საკმაოდ სოლიდური ინვესტიციის ჩადება შეიძლება — ანუ ტრამპის მიზნები იმაზე შორს მიდის, ვიდრე ეს ერთ კონკრეტულ ქვეყანაში ფულის ჩადებაა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლების დიპლომატიამ წარმატებას მიაღწია.

— თუ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ სურათს გადავხედავთ, თითქმის ყოველდღე გვესმის დიდი თუ მცირე ბიზნესის დატერორების ამბავი... ფაქტია, რომ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არა აქვს მდგრადი ეკონომიკა და ასეთ დროს, მსოფლიოში ერთერთი უმსხვილესი დეველოპერი აპირებს შემოსვლას. ამ შემთხვევაში, სამთავრობო გარანტიები თუ არსებობს?

— ძალიან კარგი შეკითხვაა. საქმე ის არის, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება მართლაც საკმაოდ იოლია: გვაქვს ლიბერალური კანონი, კორუფციის დონეც დაბალია, მაგრამ ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩანს ასე, სინამდვილეში კი, ბიზნესის წარმოება და მით უმეტეს, მოგების მიღება საკმაოდ ძნელია. საგადასახადო კოდექსში უამრავი დეტალია, რომელსაც სრულყოფა და გამარტივება სჭირდება, ვინაიდან ასეთი კანონმდებლობა ბიზნესმენებს პრობლემებს უქმნის. ბევრი კომპანია დაილუქა, ზოგმა არსებობა შეწყვიტა. ბევრი ბი-

<p>მუხის მაგიდა-სკამები</p>	<p>საძინებელი</p> <p>ახალი კოლექცია!</p>
<p>ავეჯის სალონი "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
<p>1640 1369 ლარი</p> <p>კუთხის დივანი</p>	<p>2980 2500 ლარი</p> <p>ტყავის სამეული</p>
<p>აღ. ზაზაბავის 14^ბ ☎ 38 88 11 ც. დადიანის 7, "ძარვასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge</p>	

უსახლკარო კობა ხაბაზის ძვირფასი დანაკარგი და დეკლარაციის სარჩილი ფურცლები

ჩვენი ქვეყნის ჩინოვნიკთა თუ პარლამენტართა ცხოვრება-ქონების მიმართ საზოგადოების ინტერესი არასდროს წელდება. ყველას აინტერესებს, ვინ როგორ და რა შემოსავლით ცხოვრობს. ამიტომ გადაწყვიტეთ, წლების წინ შემოღებულ რუბრიკას — „დეკლარაციები“ კვლავაც დაფუძრუნდეთ და შეძლებისდაგვარად ჩაგახედოთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ჯიბეებსა და წლების მანძილზე ნაგროვებ სიმდიდრეში... ამჯერად დეკლარაციის ამპლუაში წარმოგიდგინებ პარლამენტარ კობა ხაბაზს, რომლის ქონებაც არაერთხელ გამხდარა ქორის საგანი. არადა, ბატონ კობას თურმე დღემდე საკუთარი სახლიც კი ვერ შეუძენია...

ინტერვიუ

დღის:

კობა ხაბაზი ქობულეთში, სოფელ აჭყვისთავში 1967 წლის 26 ივლისს დაიბადა. ოჯახი მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ არც გაჭირვება ახსოვს. ბატონი კობას მამა პროფესიით აგრონომი გახლდათ და ამიერკავკასიის სამკურნალო და არომატული მცენარეების საკვლევ ინსტიტუტში მუშაობდა, დედა სკოლის ბიბლიოთეკარი იყო და ამავე დროს, სატყვასაც ასწავლიდა. გარდა ამისა, ხაბაზების ოჯახს დამატებითი შემოსავალიც ჰქონდა ციტრუსიდან, რომელიც თურმე წელიწადში დაახლოებით 10.000 მანეთს შეადგენდა. ეს თანხა კი, ვისაც გახსოვთ, იმ დროისთვის ურიგო სულაც არ იყო...

კობა ხაბაზის მეუღლე — მანანა რობაქიძე გუდაუთაში 1970 წლის 14 აგვისტოს არის დაბადებული. წყვილს 2 შვილი ჰყავს — 17 წლის ზურაბი და 14 წლის ნინო.

„25 წელია, ქირით ვსხობრობ...“

კობა ხაბაზის ქონებრივი დეკლარაციის რამდენიმე ფურცელი შევსებული არ არის და მხოლოდ ასეა მითითებული — მონაცემებს არ შეიცავს. დიხს, დეკლარაციის სახელზე ჯერჯერობით არც უძრავი ქონება ირიცხება და არც მოძრავი. ზოგიერთივე მისთვის არც მშობლებს დაუტოვებიათ რაიმე, ვერც თვითონ მოუგროვებია ქონების შესაძენად დიდი თანხა და, როგორც ჩანს, არც ცოლის მშობის მხრივ გაუმართლა. რას იზამ, ყველას როდი უმართლებს...

— ბატონო კობა, მითხარო, რომ გაჭირვება არასდროს გიგრძნიათ და ფული მეტ-ნაკლებად ყოველთვის გქონდათ. როგორ მოხდა, რომ ბინა დღემდე არ გაქვთ?

— უფულოდ ნამდვილად არასდროს ვყოფილვარ, ზოგჯერ მეტი მქონდა, ზოგჯერ — ნაკლები. გარდა იმისა,

რომ მშობლები მაძლევდნენ განსაზღვრულ თანხას, 200 მანეთს, როგორც ფრიადოსანი სტუდენტი, სტიპენდიასაც ვიღებდი — 50 მანეთი მქონდა. უნდა ვალიარო, რომ ეს ფული 5-10 დღე მყოფინდა. „წარმატებით“ ვხარჯავდი, მერე კი ისევ მშობლებს ან ჩემს დას ვთხოვდი ხოლმე. თბილისში 3 სტუდენტის შენახვა იოლი ხომ არ იყო?! ოჯახის მთელი შემოსავალი მე და ჩემს და-ძმას გვხმარდებოდა. ბინის შესაძენად ფულის მოგროვებას როგორღა მოახერხებდნენ? მით უმეტეს, რომ დაზოგვის უნარით ვერც მე დავიკვებინი.

— რატომ? მხარჯველი ხართ?

— დღევანდელი დღით ვცხოვრობ. მუთაქაში ფულის შენახვა არ შემიძლია. ვხარჯავ, რაც მაქვს. მილიონიც რომ მქონდეს, ერთ დღეში დავხარჯავ.

— რაში?

— ქობულეთში 80000 კაცი ცხოვრობს და მათთვის ვიყიდი აკაპულკოზე გასამგზავრებელ ბილეთებს (ახლა, მოდი და, ნუ ინატრებთ, ქობულეთელებო, თქვენი თანამემამულის გამდიდრებას... სხვათა შორის, დეკლარაციის ასეთი მხარჯველი ხასიათის გამო და კიდევ იმიტომ, რომ მისთვის ფული ღირებული არ არის, მისგან წარმატებული ბიზნესმენი არასდროს დადგება... მეგობარს უთქვამს, თუ დღე-ღამეში 18 საათი გლვიძავს და აქედან 17 — მხოლოდ ფულზე ფიქრობ, და კიდევ — თუ შეგიძლია, დღეში 2 ლარი იშოვო და აქედან ერთი დახარჯო, მხოლოდ მაშინ შეიძლება, ბიზნესი წამოიწყო და თან — დიდი წარმატებითაცო. რადგან არც ერთი შეუძლია და არც მეორე, ამიტომაც არის ბატონი კობა პარლამენტში და არა — ბიზნესში. — ავტ.)...

— ისევ თქვენს უძრავ ქონებას დაფუძრუნდეთ: როგორც ვიცი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას აპირებდით.

— სტუდენტობიდან დღემდე, აგერ უკვე 25 წელია, ქირით ვცხოვრობ. თბილისის რომელ უბანსა და ქუჩაზე არ



500 ლარის მარტო საწვავი მჭირდება, ერთი ამდენიც — მობილურით საუბარში მესხარჯება...

მიცხოვრია?!. 40-მდე ბინა მაქვს გამოცვლილი. ვილაც იტყვის, ამდენი წელი ქირის გადახდას, ბარემ ბინა ეყიდაო, მაგრამ ერთდროულად დიდი თანხა არასდროს მქონია. 3-4 წლის წინ ბანკიდან სესხი გამოვიტანე. ყოველთვიურად 900 დოლარი უნდა შემეტანა, მაგრამ ვერ შევქელი და სესხი რამდენიმე თვეში უკან დავაბრუნე.

— ბატონო კობა, ფულის შენახვაზე მეტად, ხარჯვა გცვარებიო. ალბათ გინტელდებათ ხელფასით ცხოვრება, მით უმეტეს, ამბობთ, — ერთნაირი წარმატებით ვხარჯავ 1 ლარსაც და 100 ლარსაცო.

— ამბობენ, დეპუტატებს ძალიან დიდი ხელფასები გვაქვს. ერთი შეხედვით, მართლაც ასეა (ცნობისათვის, დეპუტატის ყოველთვიური შემოსავალი თვეში დაახლოებით 2.250 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ პრემიის სახით, ხელფასის ოდენობის პრემიასაც იღებს. რაიონიდან ჩამოსულ უბინაო დეპუტატებს სახელმწიფო 530 ლარს ბინის ქირისთვისაც უხდის და 150-ლარიანი დაზღვევითაც უზრუნველყოფს. — ავტ.) ეს თანხა საკმარისი იქნებოდა მაშინ, სოფელში ან რაიონში რომ ვცხოვრობდე, მაგრამ როდესაც თბილისში ცხოვრობ და დეპუტატი ხარ, ძალიან მცირეა. 500 ლარის მარტო საწვავი მჭირდება, ერთი ამდენიც — მობილურით საუბარში მესხარჯება. უმეტესად, გზაწვანილი — „გთხოვ, დამირეკე“ მომდის... კი არ ვწუნუნებ, უბრალოდ აღვნიშნავ, რა ხარჯი აქვს პარლამენტარობას. დალევა არ მიყვარს და რესტორნებში მე არ დავდივარ, მეგობრებთან ერთად ბილიარდს თუ ვით-



მაშე, ეგ არის ჩემი გართობა. ოჯახიც ხომ უნდა შევიინახო?! 1.000 ლარს ყოველთვე მანანას ვაძლევ. ამიტომ ზოგჯერ თვეში 300-400 ლარის „მინუსში“ ვარ და ე.წ. საკრედიტო ბარათებით ვსარგებლობ. ვისაც ჰგონია, რომ ბევრი ფული მაქვს, ჩემს ყველა ბარათს ვაჩუქებ, ოღონდ იმ პირობით, თუ ყველა დავალიანებას დაფარავს.

— ვალი ბევრი გაქვთ? დეკლარაციაში მითითებულია, რომ რამდენიმე ბანკში საკრედიტო ბარათი გაქვთ აღებული?

— სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბარათით 14.000 ლარი მაქვს გამოტანილი და ნელ-ნელა ვფარავ. როდესაც ხელფასი არ მყოფნის, ისევ გამომაქვს და ასე... არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ბარათზე ლიმიტი ერიცხებოდა და ამით არ სარგებლობდა.

— თქვენი მეუღლე ამას როგორ ეგუება?

— რა ვიცი, წუწუნა არ არის. ჩემგან განსხვავებით, მას შეუძლია, 1.000 ლარი ყოველთვიურად ბავშვების სწავლისთვის, კვებისა და ჩაცმისთვის იმყოფინოს.

— თვითნაც ხომ მუშაობს? შარშან მისმა ხელფასმა 8.165 ლარს მიაღწია. რამდენი აქვს თვეში?

— ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მუშაობდა და 600 ლარი ჰქონდა ხელფასი, მაგრამ რეორგანიზაციის გამო გაათავისუფლეს. გული დასწყდა, რადგან თავისი ფული ჰქონდა და როგორც უნდოდა, ისე ხარჯავდა. ერთერთმა გაზეთმა დეპუტატების დეკლარაციებში გამოაქვეყნა, სადაც ცინიკურად დაწერეს, რომ არც მე და არც მანანას არ გვექონდა სახლები, აგარაკები, ავტომობილები, მაგრამ სამაგიეროდ, მეუღლე მუშაობსო. ახლა კი გავახარებ მათ და ვეტყვი, რომ არც სახლი გვაქვს, არც აგარაკი და აღარც მანანა მუშაობს...

„არს ვალი მიყვარს და არს ფულის განსახება“

კობა საბაზისთვის ფული კი არ არის ღირებული, არამედ — ის პრინციპები, რომლებსაც ემსახურება. ამიტომაც თავის დროზე, ასლან აბაშიძის სარფიანი შეთავაზება — კარგ სამსახურისა და 100.000 დოლარის „გადანახვის“ თაობაზე — არაფრად ჩაუგდია. ფული არ უყვარს, მაგრამ მიიჩნევს, რომ საჭირო რამეა... სხვათა შორის, არც ფულის განსახება ჰყვარებია დეპუტატს, თუ რატომ — თავად მისგან შეიტყობთ:

— რამდენჯერმე დიდი თანხა გავასესხე, რასაც ჩემთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია. ამიტომ, როდესაც მცირე თანხის სესხებას მთხოვენ, ვეუბნები ხოლმე, — როცა გვექნება, მაშინ დამიბრუნენ-მეთქი. ასე აღარც მევალე შენუხდება და აღარც მე ვინერვიულებ

იმაზე, დამიბრუნებს თუ არა ვალს. ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთი ჩემი მეგობარი საზღვარგარეთ მიდიოდა და ბილეთი რომ იყიდა, ფული აღარ დარჩა. ჯიბეები მოვიქექე და ზუსტად 82 დოლარი აღმომაჩნდა. სულ მივეცი. ნლების შემდეგ ჩამოვიდა და მანაც ზუსტად 82 დოლარი დამიბრუნა, თან — პატარა ყუთით რალაც მაჩუქა. სამწუხაროდ, საჩუქარი რომელიღაც ბარში დამრჩა. ვიფიქრე, რომ სუნამო იყო და ძალიანაც აღარ ვინერვიულე. ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა და როდესაც მკითხა, — ჩემი ნაჩუქარი საათი რატომ არ გიკეთიაო? — გამოიკვირდა. თურმე 82 დოლართან ერთად, 8.200-დოლარიანი საათიც უჩუქებია. ძალიან კი დამწყდა გული, მაგრამ რალა დროს?!

— ბატონო კობა, ავტომობილიც არ გყავთ? მოძრავი ქონების გრაფაში არაფერია მითითებული.

— როგორ არ მყავს?! ერთი წელიც არ იქნება, რაც ვიყიდე. ძველი გავყიდე, დაახლოებით 3.000 დოლარი დავამატე და ამერიკიდან აუქციონით გამოვიწერე „სუბარუს“ ჯიბი. განბაუებიან-რემონტიანად, 15.000 დაჯდა.

— გილოცავთ! წელს შეესებულ დეკლარაციაში კიდევ რამე ხომ არ მოხდება ისეთი, რაც ახლახან შეიძინეთ?

— ჩემს მეგობრებთან ერთად, თბილისში მინის ნაკვეთი ვიყიდე და სახლს ვაშენებთ. რამდენიმე კვირის წინ კიდევ ერთხელ გავრისკე და ბანკიდან კიდევ გამოვიტანე სესხი. იმედი მაქვს, ამჯერად გადახდას შევძლებ და უკან დასაბრუნებელი არ გამიხდება. გვინდა, აშენებული ფართობის ნაწილი გავყიდოთ და სესხის ნაწილი ასე დაეფაროთ. ასე უსახლკაროდ მართლაც როდემდე ვიქნები?! ჩემი შვილები გაიხარდნენ და სტაბილური საცხოვრებელი ფეჭირდებან.

— მოსხაროთ, ფულის დაზოგვა არ შეგიძლიათ, თუმცა ნაღდი ფულის — 10.000 დოლარის მოგროვება მინც მოგიხერხებიათ...


— ალბათ იცით, რომ ჩემს ძმასთან ერთად, მეფუტკრეობას მივდევი. ახლა ჩემი ძმა უვლის. 55 სკა გვაქვს და წელიწადში სამუალოდ, 15.000 ლარის შემოსავალს გვაძლევს. დაახლოებით ტონამდე თავლს ვიღებთ და მთელი წლის განმავლობაში ვყიდით. ფუტკრების, ყუთების რაოდენობას ხომ ვერ მიფუთითებ დეკლარაციაში ან ხომ არ ჩაწერ, ვთქვით, 800 კილო თავლი მაქვს-მეთქი?! ცოტა არ იყოს, უხერხულობას ქმნის ამის მითითება. ეს 10.000 სწორედ ის თანხაა, რაც ნლების განმავლობაში თავლის რეალიზაციიდან მერგო, მაგრამ არ ვხარჯავ.

— თქვენ თუ გიყვართ შრომა?

— არ მიყვარს, უბრალოდ, ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ ეს საჭიროა. თუ გამიჭირდა, თავდაყირაც დავდებები, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თავდაყირა დავიდემა მომწონს?! სხვათა შორის, 90-იან წლებში ქობულეთში რომ დავბრუნდი და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩავეუდექი სათავეში, პროტესტის ნიშნად, მშენებლობაზე მუშად დავინწყე მუშაობა და პირველი ხელფასიც მაშინ ავიღე — 200 მანეთი. ხალხი ამბობდა, მიტინგებს იმიტომ ატარებთ, რომ მუშაობა გეზარებათო და ამიტომ გადავწყვიტე, ფიზიკურად მეშრომა.

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

საუბროს დასასრულს, დეპუტატმა მუსხან მაჭავარიანის ერთი პატარა ლექსი გაიხსენა, რომელიც თურმე პოეტმა მასთან ფულის სასესხებლად მისულ ნაცნობს უთხრა: „სული მას-ესხა ღმერთმა/ ხორცი მასესხა მინამ/ თავით ფეხამდე სესხმა/ შენ რალა მოგცე სესხად!“. და დამატება ალბათ, ასეთი გრძობა გაუწოდება კაცს ჩემი ქონებრივი დეკლარაციის გაცნობისასო. იმედია, ასე იფიქრებენ სხვებიც და დარწმუნდებიან, რომ არ ღირს კობა საბაზთან ფულის სასესხებლად მისვლა. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე კვირის წინ ხომ თავად ისესხა ბანკიდან არცთუ ისე ცოტა ფული- ვალს კი გადახდა უნდა.

 **თქვენი შვილი 5- 6 წლისაა და ვერ გადაწყვიტოთ, გზაღაა თუ არა სკოლისთვის?**

პრაქტიკული ფსიქოლოგიის სენტრი „პიკი“ გთავაზობთ სკოლისთვის გზაოების დიაგნოსტიკას.

ტესტირება საინტერესო და სახალისო ფორმით ტარდება. თქვენ შეიტყობთ, რამდენად კარგად აქვს განვითარებული ბავშვის მეხსიერება, მეტყველება, ინსტრუქციით მოქმედების, ლოგიკური აზროვნების, გარემოში ორიენტაციის და ადაპტაციის უნარი. ტესტირების შედეგები და ფსიქოლოგის რეკომენდაცია წერილობითი ფორმით გადმოგიცემათ.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

მის: ბარნოვის №71 ტელ: 895 28 60 40



ხელისუფლების მიერ კონსტრუქციულ ოპოზიციად შეფასებული პოლიტიკური გუნდი ბოლო დროს უმრავლესობას აქტიურად აკრიტიკებს. „არაკომპეტენტურები და დემაგოგები“ — ასეთი ეპითეტებით „ნაციონალები“ „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან ვეფხვაძემ მას შემდეგ შეამკო, რაც ის პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომათა დარბაზიდან გააძევა. რამდენიმე დღის წინ მთავარმა „ქრისტიან-დემოკრატმა“, გიორგი თარგამაძემ კი განაცხადა: „თუ საარჩევნო გზით ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ფანჯარა დაიხურება, ავტომატურად გაიხსნება მეორე ფანჯარა... მერე ნურავინ შეგვეკითხება, რას ვიზამთ“... შეცვალეს თუ არა პოლიტიკური კურსი „ქრისტიან-დემოკრატებმა“ და აპირებენ თუ არა რადიკალური ოპოზიციის იდეების გაზიარებას? — ამის გარკვევას ლევან ვეფხვაძესთან საუბრობას შევეცადე.

საბუნა ბახტურიძე

— ბატონო ლევან, უხერხულობას ხომ არ გრძნობთ იმის გამო, რომ კონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენელი საპარლამენტო დარბაზიდან ხმაურის გამო გაგაძევეს?

— საპარლამენტო დარბაზიდან მხოლოდ იმიტომ გამაძევეს, რომ იურიდიულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრებმა, თავიანთი არაკომპეტენტურობის გამო, ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაცემა ვერ შეძლეს. მათ ისიც კი არ იციან, რატომ უჭერენ მხარს ამა თუ იმ კანონპროექტს. იმ დღეს, როცა სხდომათა დარბაზი დამატოვებინეს, საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო დავებში იუსტიციის სამინისტრო ერთვება. ეს უწყება პრაქტიკულად, პროკურატურაა. კერძო პირსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავაში პროკურატურის ჩართვა არასწორია — ასეთ დროს, მხარეთა თანასწორობის პრინციპი ირღვევა. ეს ბიზნესზე ზეწოლად მიმაჩნია. ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი კითხვა მქონდა, მაგრამ მათი დასმის საშუალება არ მომცეს.

— უმრავლესობის წარმომადგენლები აქეთ გდებენ ბრალს არაკომპეტენტურობაში...

— ეს მმართველი გუნდის ახალი სტრატეგიაა. ოპოზიციის ერთ ნაწილს რუსეთის აგენტებად ნათ-

დარბაზიდან გაძევებული ლევან ვეფხვაძის დანახული ოპოზიციის კურსი

„ქრისტიან-დემოკრატები“ „ნაციონალებს“ ემუქრებიან...



ან საკუთარი ნებით, ცივილიზებული გზით წაგა ხელისუფლებიდან, ან სავალალო დღეში ჩააგდებს ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც

ანი პენსია კი არ უნდა მიულოცოს, არამედ ბოდიში უნდა მოუხადოს, რომ დანაკლისს შესაბამისად ვერ უნაზღაურებს. აღმამფოთებელია ისიც, რომ ოდნავ გაზრდილი პენსია ხალხს მხოლოდ 1-ელი სექტემბრიდან დაურიგდება. ხელისუფლება თავადვე ამბობს, რომ ქვეყანაში ყველაზე რთული, კრიზისული პერიოდი აპრილსა და მაისში იქნება. თუ პენსიონერები კრიზისულ პერიოდს ვერ გადაურჩებიან და შიმშილით სული ამოიხდებათ, სექტემბერში პენსია რაღად უნდათ?!


— შეგიძლიათ დაუხუსტებოთ გვითხრათ, რომ ბიუჯეტი მმართველ გუნდს პენსიის უფრო მეტად გაზრდის საშუალებას აძლევს?

ლავენ, მეორე ნაწილს კი — არაკომპეტენტურად, თუმცა ვერც ერთ ბრალდებას ადასტურებენ და ვერც — მეორეს. უნდათ, რომ მთელი ოპოზიციის დისკრედიტაცია მოახდინონ და საზოგადოება, როცა მოუნდებათ, მაშინ მოატყუონ და გააბრიყვონ. სულ ცოტა ხნის წინ ხელისუფლების წარმომადგენლებმა პენსიონერებს საზეიმო ვითარებაში ამცნეს, — უახლოეს მომავალში პენსიას მოგიმატებთო. რეალურად, მთავრობა პენსიას კი არ ზრდის, არამედ პენსიის ინდექსაციას ახორციელებს. იმას, რასაც პენსიონერი რამდენიმე თვის წინ 80 ლარით შეიძენდა, დღეს 100 ლარით ნამდვილად ვეღარ შეიძენს. ამის მიზეზი — სასაქონლო ბაზარზე 30%-იანი მატებაა. ნამდვილად მისასალმებელია, რომ თბილისელებს პენსია 10 ლარით, რეგიონში მცხოვრებლებს კი — 20 ლარით გაუზარდეს და ამით სოციალურ უთანასწორობას ბოლო მოეღო. ისიც კარგია, რომ ამ სანყალ ხალხს რაღაცით მაინც შევეწვევით, მაგრამ ეს საზეიმო ნამდვილად არ არის. ხელისუფლებამ საზოგადოებას 100-ლარი-

ჩვენ თავის დროზე დავესვით კითხვა, თუ სად და რა რაოდენობის თანხები იხარჯებოდა სარეზერვო ფონდებიდან, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. ბიუჯეტში არსებულ თანხების გადაანგარიშების საშუალება რომ გვექონდეს, ამ კითხვებზე პასუხს აუცილებლად გაცემდით. ძალიან საექვოდ არის გასაიდუმლოებული სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

— „ქრისტიან-დემოკრატები“ პოლიტიკური კურსის შეცვლასა და რადიკალური ოპოზიციის იდეების გაზიარებას ხომ არ აპირებთ?

— არა. მართალია, ქვეყანაში ძალზე მძიმე სოციალური ფონია, ხელისუფლება კი თავისი ახალი ინიციატივებითა და გადანყვეტილებებით ხალხს კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს, მაგრამ სიტუაციის რეველუციური გზით შეცვლას მაინც არ ვემხრობით. პარტიები, რომლებიც საპროტესტო



წიგნი

როგორც უნდა ნაიხითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

28 მარტიდან – 4 აპრილამდე



უჩიხ მახია ხუმახი

11-დან – 18 აპრილამდე



ფიქუჩიყ ბუბუჩიყი

2-დან – 9 მაისამდე



უბახ ჰო

*და სხვა ფიქუჩიყი...
ყოველ ორ წელიწადში
„წინააღმდეგობის“
ქრონიკა!*

14-დან – 21 მარტამდე

წიგნი 9

წარღვა დიკენსი

„დავიდ ჩოკარფილდი“

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

ნაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უხვე ბამოსანი ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმე, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი **შეიძინეთ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**


გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო გომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელპა.ჯი



სახსე

ქარხნად ქცეული უემოქმედაზა, „მჩატე“ ფილმების ტალღა და არტისტული ტიპაჟები

მართალია, საქართველოში მსახიობს გადასაღებ მოედანზე მუშაობა ხშირად რთულ პირობებში უწევს, მაგრამ საშუალება აქვს, რეჟისორთან მხოლოდ შემოქმედებაზე ისაუბროს, თანხასთან და სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს კი აგენტები აგვარებენ. მსახიობის, ეკბ ანდრონიკაშვილის სააგენტო ქართველ და უცხოელ რეჟისორებს მსახიობების შერჩევის საშუალებას აძლევს. მსახიობთა მონაცემთა ბაზაში უცხოელებიც არიან განწევრებული (მაგალითად, ისრაელში მცხოვრები მარია ოვანოვა, რომელიც სერიალში — „ქალაქის ტყვია“ მონაწილეობისთვის საქართველოში ჩამოიყვანეს). სააგენტოს მიერ დასაქმებული მსახიობი ჰონორარის გარკვეულ პროცენტს ფირმას უხდის. რამდენიმეწლიანი არსებობის მანძილზე, კონტრაქტის პირობები მსახიობმა მხოლოდ ერთხელ დაარღვია: ია სუსტიკაშვილსა და სააგენტოს შორის მომხდარ განმარტებულ კონფლიქტს ვგულისხმობთ, რომელიც ახალი კონტრაქტის დადებით დაგვირგვინდა...



საერთოდ, მსახიობს სააგენტოსთვის შემოსავლის 20%-ზე მეტს გადახდა არც ერთ ხელშეკრულებაში არ აკისრია

თუ მოკლანაშვილი

— ყველა კონტრაქტი კონფიდენციალურია. თუ მსახიობი ჩვენთან დადებული კონტრაქტის პირობებს არ შეასრულებს, მის წინააღმდეგ საჯარიმო სანქციები ამოქმედდება. სააგენტოში განწევრებული მსახიობის გადაღებასთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებას ჩვენ წარვმართავთ — ეს ჩვენი მთავარი პირობა და მოვალეობაა. თუ მოლაპარაკებას თავად მსახიობი წარმართავს, ამის შესახებ ტელეეკრანიდან არ უნდა ვიგებდეთ, საქმის კურსში დროულად უნდა ჩავგაყენოს. ყოფილა შემთხვევა, როცა მსახიობს ჩვენთან დაურეკავს და უთქვამს, სამუშაოს მთავაზობენ, მათი პირობები ჩემთვის მისაღებიაო და შესრულებული სამუშაოდან აღებული თანხის გარკვეული პროცენტი სააგენტოსთვის გადაუხდია.

— ქართველი რეჟისორები ხშირად მოგმართავენ?

— ჩვენი მონაცემთა ბაზით უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართველი რეჟისორები ინტერესდებიან. როცა ფილმის გადაღებას გეგმავენ, ჩვენს საიტს ათვალიერებენ და მას პოულობენ, ვინც სურთ — საიტი მსახიობთა მოძებნას ძალიან აიოლებს.

შემდეგ რეჟისორები გვიკავშირდებიან და შერჩეულ მსახიობებთან პირადად ვახვედრებთ, კასტინგს ვატარებთ... როცა სცენარს გვაძლევენ, თითოეული პერსონაჟისთვის რამდენიმე მსახიობს ვარჩევთ და რეჟისორს ვთავაზობთ.

— როცა მსახიობი თქვენთან თანამშრომლობას იწყებს, წინასწარ გითანხმდებათ, რომ მაგალითად, რომელიმე ჟანრის ფილმში მონაწილეობას არ მიიღებს?

— მსახიობმა რომ არ გამაფრთხილოს, შეთავაზების მიღების შემთხვევაში, მას მაინც ვურეკავთ. მსახიობის ნაცვლად დამკვეთს პასუხს ჩვენ ვერ გაცევით. მას უარის თქმა ნებისმიერ სამუშაოზე თავისუფლად შეუძლია. მაგალითად, თუკი მან გვითხრა, რეკლამაში გადასაღებად არ შემანუხით, მხოლოდ ფილმებში მონაწილეობა მიმდო, ეს ჩვენთვის მისაღებია. პროფესიონალ მსახიობებთან გარკვეულ ხელშეკრულებას ვდებთ, ე.წ. ტიპაჟებთან — არა. საერთოდ, მსახიობს სააგენტოსთვის შემოსავლის 20%-ზე მეტს გადახდა არც ერთ ხელშეკრულებაში არ აკისრია. გააჩნია, მსახიობი რამდენად დიდი მოთხოვნით სარგებლობს. შეიძლება, პროექტები თვითონაც მოიტანოს. მაგალითად, თუ მსახიობი ცნობილია, მას ჩვენ გარეშე უკავშირდებიან, მაგრამ ურჩევნია, მის ნაცვლად, მოლაპარაკებები აგენტებმა წარმართონ. ეს პრესტიჟის საკითხია — თანხასა და სამუშაო პირობებზე თავად მსახიობი არ ვაჭრობს. ამ ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ, კონტრაქტს ვუდგენთ (იურისტი გვყავს).. შესრულებული სამუშაოდან აღებული თანხის გარკვეულ პროცენტს სწორედ ამ მომსახურებისთვის ვიღებთ.

— რა პირობებს უნდა აკმაყოფი-



ლებდეს მსახიობი, რომელსაც თქვენს სააგენტოსთან თანამშრომლობა სურს?

— კინოსთვის ყველანაირი ტიპაჟია საჭირო: ლამაზი, უშნო, დაბალი, მაღალი... ასე რომ, „ფეისკონტროლი“ არ გვაქვს, რადგან ვინ რაში გამოდგება, წინასწარ არავინ იცის. ჩვენი სააგენტო კერძო ორგანიზაციაა. ამიტომ შეგვიძლია, მსახიობი რაღაც კრიტერიუმით არ მივიღოთ — ამის სრული უფლება გვაქვს, მაგრამ ეს, როგორც წესი, არ ხდება. ნებისმიერი გარეგნობის მსახიობით ვინტერესდებით.



ეკა ანდრონიკაშვილი (მარცხნივ) და ნატო მურვანიძე (მარჯვნივ) გადასაღებ მოედანზე

— აუცილებელია, თქვენთან თანამშრომლობის მსურველი პროფესიით მსახიობი იყოს?

— არა. მსახიობების გარდა, რეჟისორები ხშირად ტიპაჟებს იყენებენ — უცნობ სახეებზე დიდი მოთხოვნაა, ძირითადად, რეკლამებში გადასაღებად. კინოგადაღებისთვის ყველას პროფესიონალი ურჩევნია.

— ენ. „ტიპაჟები“ მონაცემთა ბაზაში გასაწვრებად რაიმე კასტინგს გადიან?

— არა. უბრალოდ, ანკეტას ავსებენ. როცა დამკვეთი ტიპაჟს გვთხოვს, ე.ი. მას ეს ადამიანი მსახიობური დატვირთვით არ სჭირდება. ბევრ რეკლამაში ისეთი ადამიანები მონაწილეობენ, რომლებიც პროფესიით მსახიობები არ არიან. მათი როლები მსახიობურ ოსტატობას არ მოითხოვს. ქართველი ხალხი არტისტულია. რადგან ადამიანს სააგენტოში განევრება მოუნდა, ე.ი. საკუთარ თავში რაღაც პოტენციალს გრძნობს. სააგენტოსთვისაც მომგებიანია, როცა ბაზაში ბევრი სხვადასხვა გარეგნობის ადამიანი ჰყავს.

— გარკვეული ხნის შემდეგ, ტიპაჟებს მსახიობობის, ფილმებში მონაწილეობის ამბიცია არ უჩნდებათ?

— თეატრისგან განსხვავებით, ფილმსა თუ რეკლამაში მონაწილეობისთვის აუცილებელი არ არის, რომ ადამიანს თეატრალური უნივერსიტეტი ჰქონდეს დამთავრებული, თუმცა პირადად მე, პროფესიონალების გამოყენების მომხრე ვარ. ქართველებს ბევრი კინომსახიობი გვყავს, რომელთაც სამსახიობო ფაქულტეტი არ დაუმთავრებიათ — ლიკა ქაჯურაძე, თემიკო ჩირგაძე, ქეთი კანტიძე... თუ ადამიანი ნიჭიერია, რეკლამაში მონაწილეობას ახერხებს, კინოშიც შეიძლება გამოდგეს — დატვირთვას გააჩნია.

— საქართველოს გარდა, რომელ

ქვეყნებთან თანამშრომლობთ?

— ხშირი კონტაქტი გვქონდა და დღემდე გვაქვს რუსეთთან (ახლახან ვ მსახიობი სერიოზულ როლზე დავაკავეთ); ასევე — პოლონეთთან, ჩეხეთსა და სლოვაკეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ლიტვასთან...

— ერთერთი პირველი ქვეყანა, რომელიც ქართველი მსახიობებით დაინტერესდა, რომელი იყო?

— ლიტვა. რეკლამაში მონაწილეობისთვის იქ დათო ჩალათაშვილი გავგზავნეთ. აზერბაიჯანთან, სომხეთთან ხშირი კონტაქტი გვაქვს.

— სააგენტოში რამდენი მსახიობია განეწვრებული?

— დაახლოებით 380.

— უცხოელებს როგორ გარეგნობის მსახიობებზე აქვთ მოთხოვნა?

— ძირითადად, ქართული გარეგნობით ინტერესდებიან, თუმცა ახლახან ინდოეთიდან ესპანური გარეგნობის მოდელი ბიჭები და სპორტული აღნაგობის, ლამაზი გოგონები გვთხოვენ. კიდევ სხვა პროექტები მზადდება. მაგალითად, ერთი ფილმისთვის კასტინგი ჩავატარეთ. ეს ფილმი ამერიკული ბაზრისთვის კეთდება.

— ამერიკელებს რა მოთხოვნები ჰქონდათ?

— მსახიობებმა ინგლისური ენა კარ-

გად უნდა იცოდნენ.

— მსახიობებისთვის ინგლისურის ცოდნა რამდენად პრობლემურია?

— ბოლო დროს, ინგლისურენოვან მსახიობებზე მოთხოვნა გაიზარდა. უცხოელების კინოგადაღებებს რომ ვუმასპინძლოთ, ინგლისურის ცოდნა აუცილებელია. ფილმები უკვე ქართულ ტელეარხებზეც კი ინგლისურ ენაზე გადის. ახალგაზრდა თაობა ინგლისურ ენას კარგად ფლობს. ასაკი რაც უფრო „იზრდება“, ინგლისურის ცოდნაც „პრობლემდება“. მაგალითად, ინგლისურის მცოდნე, 40 წლის კარგი მსახიობების მცირე არჩევანი გვაქვს. წინათ

ეს პრობლემა აქტუალური არ იყო, ახლა კი უცხოელი ინვესტორები საქართველოში ჩამოდიან და ფილმებს იღებენ. ამიტომ აუცილებელია, მსახიობმა ინგლისური იცოდეს, როლი რომ არ დაკარგოს.

— რეჟისორები თუ რისკავენ და ისეთ მსახიობს, რომელმაც ინგლისური არ იცის, როლზე ამტკიცებენ?

— კი, რისკავენ. საერთოდ, პროფე-

Advertisement for 'ბიზნესი' (Business) featuring a girl with books and text: 'ბიზნესი წიგნის მაღაზიათა ქართული სახარტოვალოში', 'წაიკითხე წიგნები უწყობს იქნები!', 'ახალი მაღაზია უკვე გლდანში A BATHING ABE №50 და ქუთაისში თეატრალური №34'.



სიონალი მსახიობი ტრენინგებს მიჩვეულია და შეიძლება, ჩინურადაც ითამაშოს, თუკი ტექსტი წინასწარ ეწება. ტექსტის დამასოვრების პრობლემა მსახიობს ნაკლებად აქვს, მაგრამ როცა მსახიობმა უცხო ენა არ იცის, ფრაზების გამოთქმის სისწორეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე — თამაშს. ამიტომ მსახიობებს ვურჩევ, ინგლისური ენის შესწავლა მიზნად დაისახონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, სერიოზული როლები დაკარგონ.

— ინდური ფილმის შემთხვევაში როგორა საქმე?

— ინდოელებმა ჯერ მხოლოდ საქართველოს ბუნება გადაიღეს და ჩვენი ქვეყნის ბუნების „პიარ-რგოლი“ ინდოეთში წაიღეს. ახლა გადაწყვეტენ, საქართველოში გადაღებების დაწყება უნდათ თუ არა. სავარაუდოდ, გაზაფხულზე ჩამოვლენ. ჯერ-ჯერობით მოთხოვნა რეკლამებზეა.

— თქვენი მსახიობები უცხოელ და ქართველ რეჟისორებთან რა პირობებში მუშაობენ?

— უცხოელების გადასაღებ მოედანზე ბევრად უფრო დიდი წესრიგია, ვიდრე — ქართველების (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ). გადასაღებ მოედანზე მთავარი მსახიობია. რეჟისორმა ეს თუ არ იცის, ფილმი წარმატებული ვერ იქნება. როლის კარგად შესასრულებლად მსახიობს დასვენება, მოვლა სჭირდება. რუსეთში, გადაღებიდან დაბრუნებული ქართველი მსახიობები თავს მეფეებად გრძნობდნენ. იქ მათთვის აეროპორტში დამხვედრ მძღოლს ისიც კი უკითხავს, მანქანა მოგნონთ თუ გა-

მოგიცვალოთ? აქ მსახიობს ასე არავინ ექცევა, რაც ძალიან სამწუხაროა. სერიალების გადაღებისას, მსახიობები საკმაოდ რთულ პირობებში იმყოფებიან, რადგან გადასაღებ მოედანზე ყოფნა ძალიან დიხანს უწევთ, იღლებიან და ეს ეკრანზეც ჩანს — ისე ვეღარ თამაშობენ, როგორც რეჟისორი ითხოვს. ეს ყველაფერი პროდუქციანზეც მოქმედებს. შემოქმედება ქარხნად არ უნდა იქცეს.

— სწორია შემთხვევა, როცა რეჟისორი სცენარს გაძლევთ და შემდგომში მსახიობების შერჩევას მთლიანად თქვენ განდობთ?

— შევდეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი, რომელმაც ჩვენი კასტინგის მეშვეობით როლზე 14 მსახიობი დაამტკიცა, რომლებიც საქართველოში გადასაღებად დასჭირდებოდა... ფილისთვის სრული კასტინგაც ჩაგვიტარებია. მაგალითად, „დეტექტივების“ პირველი სეზონისთვის სცენარს გვიგზავნიდნენ და ყველა პერსონაჟისთვის შესაფერის მსახიობს ვარჩევდით.

— „დეტექტივების“ პერსონაჟებისთვის მსახიობების მორგება რთული იყო?

— შრომატევადი, მაგრამ საინტერესო. გადაღებები ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა — სცენარი მოგვდიოდა და 2 დღეში მთელი სერიისთვის ხალხს შეკრებილი უნდა გვეყოლოდა.

— ამჟამად ქართველი რეჟისორები რა ჟანრის ფილმებით ინტერესდებიან?

— ნარკომანიის, ომის შესახებ ფილმების ტალღამ გადაიარა. მძიმე, ნეგატიური დატვირთვის ფილმები უკვე გავილდ ეტაპად მიმაჩნია. ჯობს, ისეთი სურათები გადაიღონ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის პიარს მოხმარდება... მეორე მხრივ, გასართობი, „მჩატე“ ფილმების ტალღა წამოვიდა, მაგალითად — „ყველაფერი კარგად იქნება“. ერთი-ორი სერიოზული, მაღალი მხატვრული ღირებულებების მქონე ფილმებიც გამოერია.

— მაგალითად?
— არ მინდა, დავასახელო, რადგან ნებისმიერი ფილმის გადაღებას სერიოზულად ვუდგები და კასტინგს პროფესიონალურად ვაკეთებ.

— თქვენც მსახიობი ბრძანდებით. თქვენზე სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ხართ?

— დიას, როგორც მსახიობი, მონაცემთა ბაზაში ხელშეკრულებით ვარ, მაგრამ როცა რეჟისორების მხრიდან პირადად ჩემზეა მოთხოვნა, მოლაპარაკებას სააგენტოს სხვა წარმომადგენლებს ვანდობ — ასე მიჩვევია...

ეთო ყორღანაშვილი

„იმედის დილის“ შესმატკვილებული ტელენამეყანები — ჯაბა კილაძე და სალომე გოგიაშვილი ერთმანეთს თავისუფალ დროსაც სწირად უთმობენ. როგორც სალომემ აღნიშნა, თავად მაყურებელიც კარგად ხვდება, რომ მასა და ჯაბას ერთმანეთი ძალიან უყვართ. მართალია, მათ ეთერში სიხარული „დაფრინავს“, მაგრამ მაგალითად, კლუბში ჯაბასთან ერთად მისულ სალომეს გოგონების რისხვა ატყდება თავს...

— სამუშაო რეჟიმს როგორ შეეგუეთ? დილით ადრე ადგომა არ გიჭირთ?

სალომე გოგიაშვილი:
— რა თქმა უნდა, გვირჩევნია, რომ გვიანობამდე გვეძინოს, მაგრამ „იმედის დილაში“ ძალიან კარგი გარემოა. ჯაბას დადებითი აურა აქვს, ერთად კარგად ვერთობით. მასთან ერთად გადაცემის წაყვანის პროცესი ისე მიყვარს, რომ დილით გაღვიძება ნამდვილად არ მიჭირს.

ჯაბა კილაძე:
— სამსახურისკენ გულს მიუხარია...

— ერთმანეთს მანამდეც იცნობდით, ვიდრე „იმედის დილის“ ეთერში თქვენი ტანდემი შედგებოდა?

სალომე:
— დაახლოებით, 3 წელია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ (საერთო მეგობრის — კახა მიქიაშვილის მეშვეობით).

ჯაბა:
— სალომე აგვისტოს ომის პერიოდში გავიცანი.

სალომე:
— მეგობარი გაჭირვებაში უნდა ნახო! ყოველ წუთს თბილისის დაბომბვას რომ ველოდებოდით, ჯაბა ჩემს სახლში სწორედ მაშინ აღმოჩნდა. მოვლენების განვითარებას ერთად ვადევნებდით თვალყურს. ისე დავახლოვდით, რომ ვეღარ ვხვდები, კახასთან უფრო დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, თუ — ჯაბასთან. ასე მგონია, მთელი ცხოვრება ჯაბასთან ერთად ვარ.

— ერთმანეთში განსაკუთრებულად რა მოგწონთ?

ჯაბა:
— როცა ადამიანთან დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მიგიხარია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ხასიათის თვისებები ძალიან მოგწონს. სალომეს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს, კარგი, კეთილი ადამიანია, — მეტი რაღა





„მეტი რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი გიყვარდეს?!“

არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი გიყვარდეს?!

სალომი:

— მეგობრები სულ მაშაყირებენ, რადგან როცა კაცზე ლაპარაკს ვინცე, საბოლოო ჯამში, ვიგინები, ვიფურთხები, ვინწყევლები!.. ზოგადად, კაცები ჩემთვის ძალიან „მძიმე“ არსებები არიან: თითქოს ყველა ერთი სახისაა, სხვადასხვა განშტოებით... ჯაბას შემთხვევაში, საქმე სხვანაირადაა: ის არ მძაბავს. მასთან „გემრიელად“ ვარ. ჯაბას კარგი მეგობრობა შეუძლია. არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს. ძალიან ერთგულია... მგონი, ეს ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც საჭიროა ადამიანისთვის, რომელთანაც შეიძლება, „გახსნილი“ და მეგობრული იყო.

— როცა შეყვარებულები ხართ, ეს ფაქტი თქვენს საქმიანობაზე დადებითად მოქმედებს?

— კი. ეს ყველა ქალის შემთხვევაში ასეა! როცა ფლირტი გაქვს ან შეყვარებული ხარ, დილით გაღვიძებაც უფრო მეტად გიხარია და ფორმაში ყოფნაც, რადგან სტიმიული გაქვს...

— ფაქტია, რომ დღეს აქტიურად მუშაობ — ტელევიზიაში, რადიოში... ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შენს პირად ცხოვრებაში რაღაც ახალი ხდება?

— არა. რა თქმა უნდა, ჩემს პირად ცხოვრებაში „რაღაც“ არის, მაგრამ მოვლენები როგორ განვითარდება, არ ვიცი. საერთოდ, როცა რაღაცაზე წინასწარ ვლაპარაკობ, საქმე ყოველთვის მიფუჭდება. ამიტომ გადავწყვიტე: წინასწარ არაფერი ვთქვა. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ არსებობს ადამიანი, ვინც სტიმულს მაძლევს. მის გამო, „9 სამსახურში“ მუშაობა უფრო მიაღვივდება.

— ჯაბა, სიყვარული შენზეც დადებითად მოქმედებს?

— სულ ვმუშაობ და შეყვარებული იმვითად ვარ. სამუშაო გრაფიკის ისე ვარ შეჩვეული, რომ ამისათვის დამატებითი სტიმულატორები არ მჭირდება.

— „იმედის დილა“ ხშირად ხელისხელწაკიდებულებს მიგყავთ. ამას გადაცემის ფორმატი მოითხოვს თუ ერთმანეთის მიმართ გრძნობა გაგჩნდა?

— სალომეს დიდი ხანია, ვიცნობ, მაგრამ მაინცდამაინც „იმედის დილა-



ერთმანეთთან ისეთ თემებზე საუბარი შეგვიძლია, რამაც სხვასთან ვერ ვილაპარაკებ

ის“ სავარძელში „გამეხსნა“ (იცინიან)... სალომე ძალიან ლამაზი, დახვეწილი ადამიანია. ყველანაირ კრიტიკურ რეზიუმს აკმაყოფილებს, მაგრამ ცხოვრება ასეთია: ვილაც გიყვარდება, ვილაც მეგობარი ხდება... საბედნიეროდ, საკუთარი თავი სალომეს ოჯახის წევრად მიმაჩნია. მას საკუთარი დისგან არ ვასხვავებ.

სალომი:

— ერთმანეთთან ისეთ თემებზე საუბარი შეგვიძლია, რაზეც სხვასთან ვერ ვილაპარაკებ. ხომ ამბობენ, ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობა არ არსებობს? ჩემი და ჯაბას მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ არსებობს. ხშირად ჯაბა ისეთ რჩევას მაძლევს, რასაც მეგობარი გოგონა ნამდვილად ვერ მომცემს. თან, გოგოსა და ბიჭს შორის მეგობრობისას, შური ბევრად ნაკლებია, ვიდრე — გოგონების მეგობრობის დროს. ჩემს დაქალებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯაბა

უკეთეს რჩევას მომცემს, ვიდრე — ნებისმიერი მეგობარი გოგონა. ამას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ვამბობ.

ჯაბა:

— სალომეს გულისთვის შემოძლია, გული ამოვიღო საგულედან...

— თავდაპირველად, „იმედის დილაში“ ჯაბას მენწყვილე თითქოს მარბამ ფოლოგუა უნდა ყოფილიყო, სალომესი კი — კახა მიქაშვილი...

სალომი:

— ახლა წყვილები ხშირად ვიცვლებით, რათა მაყურებელს ერთი და იგივე არ მოჰბერდეს. ეს ცვლილება ძალიან მომწონს, რადგან ჯაბასთანაც კარგად ვგრძნობ თავს და კახასთანაც. მოკლედ, ასეთი „აღრევა“ ჩემთვის და ალბათ მაყურებლისთვისაც ძალიან სასიამოვნოა.

— მეგობრებმა ერთად მუშაობას თავიდანვე იოლად აუღეთ ალლო?

საუბრაოებს და უჩველს აპლიტრა!

გადასვამ „შუადღე“

შეხვედებით-
მუსიკალური პროგრამა

შოთა შაბაძის 1200-046 1600 საათობდ.

www.palitrav.ge



ჯაბა:

— კი, ეგრევე! სალომე „მსუბუქი“ ადამიანია (ცხადია, მსუბუქი ყოფაცხევს არ ვგულისხმობ). ძალიან სწრაფად აზროვნებს — „პინგ-პონგია“, რა (იცი-ნის)!

სალომე:

— თურმე დუეტში მუშაობა ყველაზე რთულია! როცა გადაცემა მე და კახას მიგვყავს, ამბობენ, რომ კახა ბევრს ლაპარაკობს, მე კი ჩუმად ვარ; როცა ეთერში ჯაბასთან ერთად ვარ, ამბობენ, — ერთმანეთი ისე გიყვართ, ეს ეთერსაც ეტყობაო. მართლაც, ჩვენს ეთერში სიხარული „დაფრინავს“. ჯაბასთან მუშაობისას სრული ჰარმონია მაქვს. კახასთან მუშაობაც მომწონს. მასთან ძალიან დაძაბული ვარ ხოლმე: კახა ეთერში სულ იკბინება და ვუსმენ, რომ რამე არ გამოიშვაროს.

— **შენ და ჯაბას ეთერში ყოფნისას, რაიმე გაუთვალისწინებელი სიტუაცია ხომ არ შექმნილა?**

— შეიძლება, დილით ისე გავითიშო, რომ ვერც მივხვდეთ, რაზე ვლაპარაკობ. ამ დროს ჯაბას გადავხედავ და თვალებით ვაგრძნობინებ — გასაჭირში ვარ, მიშველე-მეთქი. ჯაბა მაშინვე ხვდება და ლაპარაკს ჩემ ნაცვლად აგრძელებს. როგორც ალენიშნე, ძალიან დიდი ხნის მეგობრები ვართ, რაც მუშაობის პროცესს აიოლებს — ჯაბა უცებ ხვდება, რისი თქმა მინდა.

— **სამსახურის გარეთ, ხშირად ურთიერთობთ?**

— კი. თუ თავისუფალი დრო გვაქვს, ძირითადად, ერთად ვართ. ერთად დავდივართ კლუბებში...

ჯაბა:

— „ნაშეში“...

სალომე:

— ის ჩემს „ნაშებს“ აფასებს, მე — მისას (იციინათ).

— **ერთმანეთს საიდუმლოებებს უყვებით?**

ჯაბა:

— რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანი ყველაფერს საკუთარ თავსაც არ უმხელს.

სალომე:

— ჯაბა პოპულარული, სიმპათიური მამაკაცია. კლუბში ერთად ყოფნის დროს, გოგონები ჩემ მიმართ აგრესიით განწყობენ, რადგან ვერ მიხვდნენ, ჯაბასთან რა ურთიერთობა მაკავშირებდა. მეჯახებოდნენ, ორჯერ ხელიც მკრეს... იძულებული გავხდით, წამოვსულიყავით, თორემ ალბათ დამჭრიდნენ... ჩემთვის ყველაზე დასაფასებელია, როცა მამაკაცი ქალებთან ურთიერთობის შესახებ არ ჰყვება. წარმოიდგინე, ჯაბამ

თავისი „გადრომების“ შესახებ ყოველდღე რომ მიამბოს (იციინის). ნამდვილი მამაკაცები ასეთ რაღაცებს არ ჰყვებიან. თუ ვინმეს ოდნავ სერიოზულად შეხედა, საქმის კურსში აუცილებლად მიაყენებს.

ჯაბა:

— ყველაზე მეტად მაშინ ვინერვიულებ, როცა ჩემს რჩეულს სალომეს გავაცნობ.

— **ძალიან კრიტიკულია?**

— ობიექტურია. ძალიან კარგი გემოვნება და შეფასების უნარი აქვს.

— **ყოფილა შემთხვევა, როცა შენი მონონებული გოგონა სალომეს დაუწუნია?**

სალომე:

— როგორ არ ყოფილა?!

ჯაბა:

— ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ სალომესთვის ვინმე გამეცნო, მას კი დაუწუნია. უბრალოდ, კონკრეტული გოგონას შესახებ სალომესთვის რაღაც მიკითხავს, მას კი „ორი სიტყვა“ უთქვამს.

— **სალომე ჯაბას გვერდით მყოფი ქალის შეფასებისას მკაცრი ხარ?**

— მთლად დედამთილივით არ ვარ. ისეც არ ხდება, რომ ჯაბას ჩემთან გოგონები მოჰყავდეს, მე კი მათ ვეუბნებოდე, — მოშორდით აქედან-მეთქი, — მაგრამ ჯაბას გვერდით კონტაქტისებრ ქალს თუ დავინახავ, მართლა ვინერვიულდები და ვეცდები, მეგობარს თვალი ავუხილო. ასეთი რაღაც ჯერ არ მომხდარა და დარწმუნებული ვარ, არც მოხდება, რადგან ჯაბა გოიმი, „სინელიდან“ წამოსული არ არის. გამოცდილია და იცის, მის გვერდით როგორი ქალი შეიძლება იყოს.

— **როგორი ქალი?**

— აუცილებელი არ არის, ციდან ვარსკვლავებს წყევტდეს, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობა უნდა ჰქონდეს. ცოტათი განათლებული, ინტელექტუალური უნდა იყოს, რათა მასთან საუბარი შესაძლებელი იყოს. მინდა, სიგიჟემდე, თავდავიწყებით უყვარდეს ჯაბა და მისი პროფესია, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოირიცხულია, ჯაბასთან ერთად იცხოვროს. როგორც კი ჯაბასთან „ჭიდაობას“ დაიწყებს — მე უფრო მაგარი ვარო, მათი ურთიერთობა დამთავრდება. ამ ბიჭს განვითარება უნდა აცადოს. თუ არჩევანის წინაშე დააყენებს — ან ჩემი სიყვარული, ან — თეატრიო, მე ვიძლევი პირობას, რომ არაფერი გამოუვათ. ჯაბა უკვე ძალიან პოპულარულია. ამ ეტაპზე, მისი გაჩერება არ შეიძლება.

ჯაბა:

— აბსოლუტურად ვეთანხმები. სალომეს რაც შეეხება, მას პრობლემებ-

თან გამკლავება შეუძლია. თავყანისმცემლებს ზედმეტის უფლებას არ აძლევს. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. ამიტომ ზუსტად იცის, როგორი ადამიანი სჭირდება გვერდით.

— **სალომე, როგორი ადამიანი გჭირდება?**

— თუ ოდესმე კიდევ გავგიჟდი და ოჯახის შექმნა გადავწყვიტე, გთხოვთ, „ასათიანში“ ჩამაბაროთ. თუ ვერ მოასწრებთ, მაშინ გვერდით ისეთი მამაკაცი მინდა, რომელიც პროფესიული კუთხით არ „შემბოჭავს“. მგონი, საცოდაობა იქნება, ჯაბასთან ერთად გადაცემის წაყვანის ნაცვლად, ხაჭაპურის ცხობა რომ ვისწავლო. ისეთი ადამიანი მინდა გვერდით, ვინც ჩემს საქმიანობას დააფასებს, ძალიან ვეყვარები. არ მინდა, აფერისტი იყოს (იციინის)...

— **ამას წინათ, ეთერში ახსენე**

— **გათხოვება ჩვევაში გადამეზარდაო. მართლა ხომ არაფერს ვაპირებ?**

— ჩემი გათხოვება სისულელე იქნება: 2 შვილი მყავს, სამსახური მაქვს — ძალიან დაკავებული ვარ. მხოლოდ ბეჭედს ხომ არ გავიკეთებ და მერე 24 საათის განმავლობაში, სამსახურში ხომ არ ვიჯდები?!

— **ჯაბა, ოჯახის კიდევ ერთხელ შექმნას არც შენ აპირებ?**

— მე არასდროს არაფერს ვაპირებ (იციინის)...

— **ერთმანეთთან თქვენი შვილებიც მეგობრობენ? მათ საკმარის დროს უთმობთ?**

— ჩემი გოგონა ახლა უნდა მენახა, მაგრამ... ჩვენს შვილებს ჯერ ერთმანეთთან სტუმრად მისვლა დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

სალომე:

— სამადიეროდ, ერთმანეთს დაბადების დღეებზე სტუმრობენ ხოლმე. ჩემმა გოგონამ — მაშომ თავის დაბადების დღეზე ჯაბა დაპატიჟა. მთელი დღის განმავლობაში მეკითხებოდა, — ხომ აუცილებლად მოვაო? როცა ჯაბა გვესტუმრა, ეს ჩემი შვილისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო, რადგან მაშკამ მეგობრებს დაუმტკიცა, რომ ჯაბასთან მისი ნაცნობობის ამბავი გამოგონილი არაა (იციინის)!

— **დაბოლოს, თქვენს კარიერაში კიდევ რაიმე სიახლე ხომ არაა?**

ჯაბა:

— ამჟამად თეატრში ვარ დაკავებული და „დეკამერონის“ პრემიერას ველოდები.

სალომე:

— „დილის ეთერში“, რადიოში მუშაობას განვაგრძობ. ტელემყურებელს მალე სიურპრიზს შევთავაზებ...



„ვაკის პარკი“ კვლავ აქტიურ სამზადისშია

სანგრძლივი პაუზის შემდეგ ჯგუფმა — „ვაკის პარკი“ — ახალ ალბომზე მუშაობა დაიწყო. ბევრისთვის საყვარელი მუსიკოსი და ჯგუფის სოლისტი, ზაზა ხუციშვილი ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრება.

ტური ჟღერადობაა დაცული.

— ჩამოთვლილი ჯგუფებიდან რომელიმეს გავლენას თუ განიცდის „ვაკის პარკი“?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, როცა მელოდიას ვქმნი, თუ სხვას ჰგავს, ვცდილობ, შევცვალო, არანაირებამდე ჩემი შევიტანო. მაგრამ ის, რომ მოვახერხო, ჯგუფი „ვაკის პარკი“ აბსოლუტურად თვითმყოფადი იყოს, წარმოუდგენელია, რადგან ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მუსიკიდან ვისწავლე — დაკვრაც, არანაირებაც და სხვა.

— რა ასაკში ისწავლეთ გიტარაზე დაკვრა?

— სხვათა შორის, საკმაოდ გვიან. სკოლის პერიოდში მუსიკა მაინც დამაინც არ მიტაცებდა. პირველი კურსიდან... მანამდე ფორტეპიანოს განხრით დავამთავრე მუსიკალური სკოლა, მაგრამ გაკვეთილებზე დიდი ენთუზიაზმით არ დავდიოდი. როკმუსიკის მოსმენა რომ დავიწყე, მერე გიტარაზე დაკვრის სურვილი გამიჩნდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში რამდენიმე ჯგუფში ვუკრავდი — „რვაფეხა“, დადა დადიანთან ერთად; შემდეგ, ჭილაშვილების ანსამბლში; 1991 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ დიდი პაუზა მქონდა და უკვე 1996 წელს „ვაკის პარკი“ ჩამოვაყალიბე.

— რამ გამოიწვია ასეთი სანგრძლივი შემოქმედებითი პაუზა?

— ბევრი მიზეზი იყო, მათ შორის, ქვეყანაში არსებული სიტუაცია. ამ 7-8 წელიწადში შოუბიზნესიც უკან-უკან წავიდა. ადრე სპორტის სასახლეში კონცერტზე დარბაზი ივსებოდა. დიდ კონცერტს მუსიკოსი წელიწადში 1-2-ჯერ თუ გააკეთებდა, დანარჩენ დროს სხვაგანაც უნდა დაუკრა. მაშინ კლუბები იყო, ახლა ეს ყველაფერი მკვდარია და სამთავრობო კონცერტების გარდა არაფერია. გაყიდვები გაჩერებულია. „მაესტრო“ იყო ის მუსიკალური არხი, სადაც კლიბი ტრიალებდა და საზოგადოება უყურებდა. ახლანდელ მუსიკალურ ტელევიზიებს იმდენად დაბალი რეიტინგი აქვთ, რომ ალბათობა იმისა, რომ ხალხი ნახავს და შენს ჩაღებულ ინვესტიციას კონცერტებითა და ალბომებით ამოიღებ, ფაქტობრივად, არ არსებობს. გარდა ამ ყველაფრისა, მიზეზი ისიც იყო, რომ დავოჯახდი, შვილი შეგვეძინა, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს და გიტარისკენ რომ ვიყურები, ნერვიულობს (იცინის) — რატომღაც არ უყვარს მუსიკა.

თამთა დადეშელი

— შემოქმედებითი კუთხით რა სიახლეებია ამჟამად ჯგუფ „ვაკის პარკი“ში?

— ჯერჯერობით მუშაობის პროცესში ვართ — რეპეტიციები გვაქვს, სიმღერებს ვამუშავებთ, რომლებიც ძირითადად, იმ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას ასახავს, რაც დღეს საქართველოშია. შექმნილმა სიტუაციამ მიბიძგა, ასეთი სტილის ალბომი გავაკეთო. ვფიქრობ, რომ სერიოზული ნიშნა, რომელიც ცარიელია და გადავწყვიტეთ, ჩვენ შევავსოთ. ალბომზე მუშაობას როდის დავასრულებთ, ძნელი სათქმელია; რამდენიმე ახალი ხმის ჩამწერი კომპანია გაიხსნა, საიდანაც შემოთავაზებები გვაქვს და ვისთან ვითანამშრომლებთ, მოგვიანებით გადავწყვეტთ.

— რატომ შეარჩიეთ სახელწოდება Underground?

— ეს სამუშაო სახელია. თვითონ მასშედილაში შექმნილი სიტუაცია მაფიქრებინებს, რომ იმ არსებებსა და მედიასაშუალებებზე, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს, ჩვენი პროდუქციის გაშვება მინიცდამაინც სასიამოვნო არ იქნება.

— როგორი სტილი იქნება? მას-სოფს, თქვენი ბოლო ალბომის — „პოპროკის“ სიმღერებიც დაახლოებით პოლიტიკური, პატრიოტული შინაარსის იყო, მუსიკა კი — ძალიან მელოდური და „ლაითი“ როკი. ახალი ალბომიც მსგავსი იქნება?

— „პოპროკი“ უფრო მსუბუქად მოსასმენი ალბომი გახლდათ — სიტყვათა თამაში იყო. როგორც ფილმის ყურების დროს პოპკორნი იჭმება ადვილად, ასევე ადვილად მოსასმენი გვინდოდა ყოფილიყო და ამიტომაც შევარჩიეთ ასეთი სახელი. Underground გაამართლებს თავის სახელს და შედარებით მძიმე როკი იქნება.

— ტექსტისა და მუსიკის ავტორი ამჯერადაც თქვენ ხართ?

— დიახ. ჩვენ მხოლოდ ერთი ალბომი გვაქვს, რომელშიც სხვა ავტორების სიმღერებიც შევიდა — „ვაკის პარკი“ მეგობრებთან ერთად“, დანარჩენი, როგორც წესი, ჩემი სიმღერებია. ახალ ალბომში 10-12 ახალი სიმღერა იქნება.

— გარდა მუსიკისა, რას საქმი-

ყველაფერი მემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მუსიკიდან ვისწავლე — დაკვრაც, არანაირებაც და სხვა



ანობთ?

— ყოველ პარასკევს, რადიო „უცნობში“ გადაცემა მიმყავს, სახელწოდებით — „მონკავშირი“. ძალიან მიტაცებს ნადირობა; 2 ძალიან მყავს, რომლებსაც ხშირად ვასერინებ და ვავარჯიშებ. ახლა სეზონი დაიხურა და მიხარია, რომ მუსიკისთვის ბევრი დრო მაქვს. იმედია, ალბომს მოკლე ხანში გავაკეთებთ.

— თქვენ თუ მისდევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს?

— დიახ. იცით, თუ ადამიანი არაჯანსაღად ცხოვრობს, ის ვერ ინადირებს. რომ ამ მოგატყუოთ, ნადირობისას დაახლოებით 15-20 კმ-ს გავდივართ ფეხით, ზოგჯერ — ნაკლებს...

— რა ჯიშის ძაღლები გყავთ?

— ინგლისური სეტერი და რუსული მდევარი.

— სად დადინართ სანადიროდ?

— გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა ნებისმიერი ადგილასაა ნებადართული. რაც შეეხება ისეთ ნადირფრინველს, რომლებზე ნადირობაც მხოლოდ სანადირო მეურნეობებშია შესაძლებელი, შესაბამისად, იქ დავდივარ, სადაც ისინი ბინადრობენ.

— როგორც ვიცით, დისკების შეგროვებაც გიყვართ და კარგი კოლექცია გაქვთ.

— დიახ, როკმუსიკისადმი ჩემი სიყვარულიდან გამომდინარე, საკმაოდ ბევრი დისკი მაქვს: Beatles, Rolling Stones, Led Zeppelin, Pink Floyd, Deep purple, Queens, Red Hot Chilly Peppers, U2 და სხვა. სხვათა შორის, უცნობმა — გია გაჩეჩილაძემ მაჩუქა Pink Floyd-ის ალბომი Wish you were here, 24-კარატის ოქროს საკოლექციო დისკი, რომელიც სტუდიაში დამზადებული ორიგინალის პირველი პირის ასლია, ანუ აბსოლუ-



— რამდენი წლის არის თქვენი გოგონა?

— ნინო-ლიზა მისში 6 წლის გახდება.

— როგორც ვიცი, ამ სახელის დარქმევა რალაც პატარა ამბავს უკავშირდება, იქნებ გვიამბოთ...

— სანამ ნინო-ლიზა დაიბადებოდა, მე და ჩემი მეუღლე ბიძაშვილმა ბოდბის მონასტერში წაგვიყვანა. ახალშექმნილი ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, ღვთისადმი ყველაზე დიდი სათხოვარი ბავშვია; ჩვენც მოვილოცეთ იქაურობა და ზუსტად 9 თვის-თავზე ჩემი ბიძაშვილის ოჯახში ბიჭი დაიბადა, ჩვენ კი გოგონა შეგვეძინა. გადამწყვეტილი გვექონდა, ბებიჩემის სახელი — ლიზა დაგვერქმია და რადგან ეს ამბავი ბოდბეს დაუკავშირდა, 2 სახელი დავარქვი.

— ალბათ ბევრჯერ უკითხავთ, მაგრამ არ შემიძლია, არ შევეხოთ ამ თემას — პრეზიდენტის შვილს გიტარაზე დაკვრას ასწავლიდით. როგორ დაახასიათებდით მას?

— ედუარდ სააკაშვილს 3 წელი ვამეცადინებდი. ძალიან კარგი ბავშვია, არ იგრძნობა, რომ პრეზიდენტის შვილია, ისეთი თავმდაბალი, მონესრიგებული და ნიჭიერია. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს ბევრ საკითხში არ ვეთანხმები და განსხვავებული პოზიცია მაქვს, აბსოლუტურად სხვაა ჩემი პოზიცია მისი ოჯახის მიმართ — დიდ პატივს ვცემ. ახლა არანაირი კავშირი არ მაქვს, ჩემი პოლიტიკური განცხადებების შემდეგ ეს კონტაქტი განწყდა.

— სხვა მოსწავლეები თუ გყავთ?

— არა. იცით, მუსიკოსი კარგი პედაგოგიც რომ იყოს, ცოტა სხვა თვისებები, ჩამოყალიბებული მეთოდიკა უნდა ჰქონდეს. არ მივიჩნევ თავს პედაგოგად. როგორც აღვნიშნე, „ბითლზის“ სიმღერები ძალიან მიყვარს, ედუარდსაც ამ სიმღერების სწავლა უნდოდა და ამიტომ ვამეცადინებდი. ბავშვს ფუნდამენტური განათლება რომ მიეცე, ამისთვის მზად არ ვარ.

— ალბომის გამოშვების შემდეგ თუ აპირებთ კონცერტის გამართვას?

— ვფიქრობთ. ჯერ „აგორება“ უნდა, სიმღერები და კლიპები უნდა „დატრიალდეს“. ხალხმა ხომ უნდა მოისმინოს, რომ კონცერტზე მოვიდეს!.. ვნახოთ. საერთოდ, მუსიკოსი და მენეჯერი, ვინც კონცერტს ხელს მოჰკიდებს, საზოგადოების მაჯისცემას უნდა გრძნობდეს და დაახლოებით 70%-იანი სიზუსტით მაინც უნდა გათვალოს, როგორი დასწრება იქნება. ვნახოთ, მომავალი გვაჩვენებს.

რატომ დაევალა ბაჩო ქაჯაიას უსწაური საქმის გამოძიება კახა ჯოხაძეს

ტაქსისტ გივის 2 ცოლი ჰყავდა და 2 ბინა ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა... ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელმა შემთხვევამ გივის ეს საიდუმლო გამოაშკარავა და ტაქსის მძღოლის ლამაზად შენიღბულ ცხოვრებას საფრთხე შეექმნა. საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, მან ათასგვარ სრიკს მიმართა, მაგრამ მის მიერ მოგონილ თითოეულ ტყუილს ახალი მოჰყვა, რამაც ძალზე კომიკურ და გამოუვალ სიტუაციაში ჩააგდო თვითონაც და მისი გარემოცვაც...



ამ პროფესიის ადამიანებს არ ვიცნობ და ამიგომაც გამოვიდა ჩემი პერსონაჟი ასეთი დაბნეული...

ეს „ტაქსისტი“ — ბაჩო ქაჯაიას პერსონაჟი გახლავთ, სიტუაცია კი სანდრო ანტეტელის სახ. თეატრის სცენაზე გათამაშდა. რეჟისორმა მალხაზ ასლამაზაშვილმა ინგლისელი დრამატურგის, რეი კუნის პიესის მიხედვით — „გივი ტაქსისტის სიყვარულის ისტორია“ დადგა, რომლის პრემიერაც ცოტა ხნის წინ შედგა. მსახიობებს — ბაჩო ქაჯაიას, კახა ჯოხაძესა და გიორგი დევაძეს სპექტაკლის დაწყებამდე ვესაუბრე.

ლალი ფასია

— გამარჯობა, ემზადებით სპექტაკლისთვის?

ბაჩო:

— დიას, ხომ ხედავთ, გვანცა (მსახიობი გვანცა კანდელაკი. — ავტ.) შარფს მიკეთებს: ტრადიცია გვაქვს ასეთი — მან ჩემი კოსტიუმის სრულყოფაში ბოლო შტრიხები უნდა შეიტანოს. სპექტაკლში პარტნიორები ვართ — პირველი ცოლის როლს თამაშობს. ასე რომ, ამ საქმეს მხოლოდ პირველ ცოლს ვანდობ...

— აჰა, ჩემო საყვარელო, შარფიც გაგიკეთე და ნავედი, — უთხრა გვანცამ და საგრიმიოროდან გავიდა. — გამადლობ, ძვირფასო, — გაუღიმა პარტნიორს ბაჩომ.

— მოდი, სანამ სპექტაკლი დაიწყება, ცოტა გავისაუბროთ.

კახა:

— მზად ვართ და გისმენთ.

— საინტერესოა, როგორ იწყება ის დღე, როდესაც სალამოს სპექტაკლი გაქვთ სათამაშო?

ბაჩო:

— თეატრში 1 საათით ადრე მაინც უნდა მოხვიდე, შენს თავში ჩაიკეტო და იმ გმირზე იფიქრო, ვინც უნდა

განასახიერო: ვინ არის, საიდან მოდის და რა უნდა...

კახა:

— როდესაც სპექტაკლი მაქვს, სხვა ვერაფრისთვის ვიცლი... მოკლედ, იმ დღეს, სხვანაირად თენდება და შუადღეც სხვანაირია (იღიმება). მართლა მაგარი გრძნობაა, როცა იცი, რომ სალამოს კახა ჯოხაძე კი არა, ვილაც სხვა ადამიანი უნდა იყოს...

გიორგი დევაძე კარგი იქნება, თუ ყველა მსახიობი თეატრში 1 საათით ადრე მაინც მოვა





ბიორბი:

— ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს ათასი პრობლემა აქვს. ამასთან, მსახიობებს მხოლოდ ერთ ადგილას როდი უნევთ მუშაობა — ყველა გადაბრუნება და სამსუხაროდ, დიდიდან როლზე განსაკუთრებულად ვერ ფიქრობ, მაგრამ როგორც ბაჩომ აღნიშნა, კარგი იქნება, თუ ყველა მსახიობი თეატრში 1 საათით ადრე მიიწვი მოვა და სანამ სცენაზე გავა, საკუთარ თავთან განმარტოვდებამ.

ბაჩო:

— ახლა თქვენთან საუბრით ვარდევთ კიდევ ძირითად პრინციპებს, იცით?..

— მერე ეს სპექტაკლის ხარისხზე იმოქმედებს?

— ამას სპექტაკლის მსვლელობის დროს ან ბოლოს გაევიგებთ (იციანია).

პახა:

— მაგალითად, დღეს მსახიობების ნაწილი 12 საათიდან თეატრში ვართ და ვმუშაობთ. „ჩემ“ გვაქვს — ერთ-ერთი მსახიობი ავად გაგვიხდა და მას სხვა შეცვლის.

ბაჩო:

— თამთა პატაშურის (ჩემს მეორე ცოლს განასახიერებს) ავადმყოფობის შესახებ დღეს დილით შევიტყვევთ, ხოლო ანი მატუაშვილს, რომელმაც ის უნდა შეცვალოს, მხოლოდ 5-6 საათი ჰქონდა როლის მოსამზადებლად!..

— როგორც ვიცი, ის სამივე თქვენგანის პარტნიორია. მასთან რეპეტიციის გავლა სცენაზე თუ მოასწარით?

— რეპეტიცია ამ დილით დაიწყო; მე, მოუცლელობის გამო, მხოლოდ შუადღეს შევუერთდი. მოკლედ, ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნა... მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ანი ნიჭიერი ადამიანია და ახლა მან უნდა გადაგვარჩინოს...

— კახა, ამ სპექტაკლზე მონეული მსახიობი ხარ და როგორც ვიცი, რეკომენდაცია ბაჩომ გაგინია, არა? ბაჩო:

— როლზე, რომელსაც კახა ასრულებს, სხვა იყო დანიშნული, მაგრამ მან ვერ შეძლო მუშაობის გაგრძელება და წავიდა. მერე კახას ვკითხე, თუ ჰქონდა სპექტაკლში მონაწილეობის სურვილი? რა თქმა უნდა — რეჟისორსაც. უარი არც ერთს არ უთქვამს. გამოვიდა, რომ შუამავალი აღმოჩნდი...

— ბაჩო, შენ მიერ განსახიერებულ „ტაქსისტი“ გივიზე რას იტყვი?

— იმ ადამიანს ჩემს ხასიათთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგანაც სამინელო მატყუარაა. არ ვიტყვი, არავინ მომიტყუებია-მეთქი,

მაგრამ კეთილი ტყუილებისაც არ მჯერა. ტყუილი — ტყუილია და მას მოკლე ფეხები აქვს!

— კახა, შენი პერსონაჟი საპატრულოს გამოძიებელი, საკმაოდ დაბნეული კაცია...

— ამ პროფესიის ადამიანებს არ ვიცნობ და ამიტომაც გამოვიდა ჩემი პერსონაჟი ასეთი დაბნეული. თუმცა არც დრამატურგს შეუქმნია მაინცდამაინც ჭკვიანი პერსონაჟი...

— გიორგი, შენი გმირი კი ძალიან აქტიური, ემოციური, მგრძობიარე და მეგობრობისთვის თავდადებული ადამიანია...

— მე „ტაქსისტი“ გივის ძმაცავი ვარ. მგონია, რომ ყველა მეგობარი იმავს გააკეთებს და ისევე შეეცდება, მხარში ამოუდგეს მეგობარს და დაეხმაროს, როგორც ჩემი გმირი — სერგო. როგორც ცხოვრებაში ხდება, იქაც ასეა: ჩამითრია როლმა ბოლომდე და მეც მივყვივი.

— ბაჩოს პერსონაჟების ცოლების ცვლა რაღაც, მოსწირდა...

— ჰო, შემოქმედებით ცხოვრებაში მრავალცოლიანობა დამებედა (სერიალში — მესამე ცოლი მყავს, აქ კი ერთდროულად 2 ცოლის პატრონი ვარ). მისხარია, რომ ეს მხოლოდ ჩემს სასცენო ცხოვრებაში ხდება.

პახა:

— საერთოდ, მსახიობებს მრავალცოლიანობა სჩვევიათ, მაგრამ ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს, ჩვენ არ გვემოქმედებს.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ტექსტი დაგვიწყნათ?

ბიორბი:

— ბიჭებიც დამეთანხმებიან — სანამ სპექტაკლი დაიწყება (ყოველ შემთხვევაში, ჩემს თავზე ვლამაზობ) საოცრად ნერვიულობ; გგონია, რომ ტექსტი არ გახსოვს. მაგრამ საკმარისია, სცენაზე ერთი ნაბიჯი გადადგა, უკვე ის პერსონაჟი ხდები, რომელსაც ასახიერებ და ყველაფერი გახსენდება. ისე, იმპროვიზაციების დიდოსტატი — კახაა. ტექსტის შეცვლა „ამის მოგონილია“. მაყურებელმა მისი მონაწილეობით სპექტაკლი სამჯერ რომ ნახოს, იმდენ იმპროვიზაციას ნახავს, რომ გაცდებამ.

ერთმანეთს სპექტაკლის ბოლომდე დავემშვიდობეთ. მსახიობები საგრძობადან სცენისკენ გაემართნენ; მე დარბაზში გადავიწაცვლე. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. ანი მატუაშვილმა, რომელიც იმ დღეს კოლეგას ცვლიდა,



საგრძობადან

შესანიშნავად გაართვა თავი ახალ როლს. წარმოდგენის შემდეგ, პირობის თანახმად, რესპონდენტებს ისევ საგრძობადანში მივავითხე. კოსტიუმები უკვე გამოეცვალათ და მზად იყვნენ, კიდევ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხათ, მაგრამ მოულოდნელად, ბაჩო ქაჯაიამ შემოვთვალა იყვირა, — საფულე დაგვარგეო!.. დიდი ამბავი ატყდა — ყველანი საფულეს ეძებდნენ. მე კი, ამ ფაქტით შენუხებული, ერთი საგრძობადანს შეორევი დავეყვებოდი. ბაჩომ შენობა კუთხე-კუთხე შემოიარა... საფულის ძებნაში გართული, თეატრის შესასვლელთან, თინეიჯერმა ფანებმა შენიშნეს, შემოეხვივნენ და მასთან სურათის გადაღების სურვილი გამოთქვეს. რა ესურათებოდა, მაგრამ პოპულარული მსახიობი ფანებს უარს როგორ ეტყოდა?! ამასობაში კი, სად იყო და სად არა, მასთან კოლეგა — გიორგი ქსოვრელი გაჩნდა: ბაჩო, გაგეხუმრე, აი, შენი საფულე! „ჩაგიტარე“ თუ არა „შუა ქალაქი“, სხვებს რომ ეოხუნჯებო?!



ცხოვრება

ხატის მადლით მინიჭებული უნარი

„ბზის“ ფურცლებზე არაერთხელ დანერგა უფლისგან მოვლენილ სასწაულებზე, რომელთაც ადამიანები გაოცებაში მოჰყავს. ამჯერად კიდევ ერთ სასწაულზე გვინდა გვიამბოთ. თორნიკე ჭიკოშვილმა ერთ მშვენიერ დღეს, ხატების შექმნა დაიწყო (მანამდე ეს საქმე არასდროს უცდია). როგორც ამბობს, მასზე ღვთიური მადლი გადმოვიდა...



„ქალიან მინდა, მთავარანგელოზ მიქაელის ხატი შექმნა“

ელენე ბასილიძე

— საესტრადო-თეატრალურ სასწაულებელში ესწავლობდი, მაგრამ თბილისის ომის დანებების შემდეგ, სწავლას თავი დავანებე და ეკლესიაში სტიქაროსანი გახდი. საერთოდ, ყოველთვის მიყვარდა ხატები. სადაც კი ამა თუ იმ ხატს ვნახავდი, მაშინვე ვყიდულობდი. მასხოვს, ერთხელ, ახალი ჯინსი ხატში გადავცვალე, რადგანაც ოცნებად მქონდა — ძველი, XVIII-XIX საუკუნეების ხატი შემეძინა...

— მომიყვი, როგორ გადმოვიდა უფლის მადლი შენზე.

— პეტრე-პავლეს ეკლესიაში არის სასწაულთმოქმედი ხატი — „შენ ხარ ვენახი“, რომელიც თითო კვირით ოჯახებში დაბრძანდება. მეც ჩავეწერე იმ ადამიანთა სიაში, ვისაც უნდოდა, რომ

ხატი შინ მიებრძანებინა. ხატის სახლში მობრძანებისას, შინ არ გახლდით და გვიან, ნაქეიფარ-ნასვამი დავბრუნდი. ხატისთვის დაუფდომელი ლოცვა უნდა წამეკითხა, მაგრამ ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორღაც ძალები მოვიკრიბე და ლოცვა მაინც წავიკითხე. 1 კვირის განმავლობაში ხატს ოჯახში დიდი სიხარულით ვმასპინძლობდი... როცა ადამიანზე მადლი გადმოდის, მას სინანულის გრძნობა უძლიერდება. მთელი იმ კვირის განმავლობაში მძაფრად განვიცდიდი სინანულს, ცრემლების დასამალად თვალებზე პირსახოცს ვიფარებდი, რომ ოჯახის წევრები არ დამეძახა. ლოცვის დროს ღვთისმშობელს ოჯახის, ქვეყნისა და ადამიანების კეთილდღეობას ვთხოვდი. ერთ-ერთი ლოცვისას, დედაღვთისმშობელს შევთხოვე, — ერთი ძველებური ხატი მინდა

ბისერებითაც შევამკე და ცოტა ფორმა შევეცვალე... მოგვიანებით კი ხატების შექმნა ტიხრულ-ბარელიეფური მოზაიკით დავიწყე.

— და როგორც ვიცი, ამ ტექნოლოგიის საავტორო უფლებაც დაცვა, არა?

— კი, როცა ამ ტექნოლოგიაზე საავტორო უფლებას ვიცავდი, მითხრეს, — ჯერჯერობით ვინმეს ტიხრულ-ბარელიეფური მოზაიკა რომ გაეკეთებინა, ამის მსგავსი არაფერი გვამენიაო. ტექნოლოგია ნელ-ნელა დავხვეწე და განვაფართოვე. ამ საქმემ ძალიან ჩამითრია... ხატებზე თითოეული ბისერი პინცეტითაა დასმული. როგორც აღმოჩნდა, ჩემს ნამუშევრებში სწორედ ეს სირთულე დაფასდა.

— როგორც ვხვდები, ხატებზე მუშაობას ბევრ დროს ანდობენ.

— კი, თითოეულ ნამუშევარს საკმაოდ დრო სჭირდება. ზოგს — 7-8 თვე, ზოგსაც — მთელი წელი... „მირქმის ხატი“ პატრიარქს შევწირე, იგი სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული და მხოლოდ მირქმის დღესასწაულზე გამოაბრძანებენ ხოლმე. წმინდა გიორგის ხატი „სახალხო ბანკის“ თანამშრომლებს გერგეტის სამების ტაძარში გავატანე, ეს ხატი იქ პატრიარქის კელიაშია დაბრძანებული. სხვათა შორის, იმ წელს, როცა უფალმა ხატების შექმნის ნიჭი მიბოძა, ვაჟი შემეძინა, რომელსაც კეფაზე დაბადებიდან ისეთი ლაქა დაჰყვა, რომელიც ფრთებგამოიღო არნივს წააგავს.

— როდესაც ხატზე დიდხანს მუშაობ, შეგდევ იოლია მასთან შელევ?



ხატებზე თითოეული ბისერი პინცეტითაა დასმული

„12 წელია, რას ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ მას ჯერ ხელი არ უთხოვია“

სიყვარულის შესახებ იმდენი საინტერესო და უცნაური ამბავი მსმენია, რომ კიდევ თუ რამე გამიკვირდებოდა, არ მეგონა. სარბო ლონდაძის თავგადასავალი პირველად მეგობარმა მიაბო. მითხრა, რომ 62 წლის მამაკაცს 28 წლის, ულამაზესი ქალბატონი ჰყავს ცოლად და რაც მთავარია, უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთიო. რაღა დაგიმალოთ და, არ დავიჯერე... ჩემმა მეგობარმა კი საკუთარი სიმართლის დამტკიცება გადაწყვიტა და ამბის მთავარ გმირს, რომელიც კახეთში, კერძოდ, თელავის რაიონის სოფელ ართანაში ცხოვრობს, შინ ვწვიეთ. როდესაც საცურაო აუზითა და დეკორატიული ყვავილებით მორთულ ეზოს მივაღწიეთ და ორსართულიანი ვილაც შევათვალიერე, ვიფიქრე, რომ სერგოსა და ანას უსაზღვრო სიყვარულის „საიდუმლო“ უკვე ვიცოდი, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ შევცდი...

რუსი ანისა და ქართველი სერგოს სიყვარულის ამბავი

სათუნა ბახტურიძე

მასპინძელი — ბატონი სერგო ეზოში შემოგვეგება და ბუხრის პირას, ქართული კერძებითა და უცხოური დელიკატესებით განყოფილ სუფრასთან მიგვიპატიუა. ანიაც (მისი მუღღლე) ღიმილით შეგვხვდა და გულთბილად მიგვილო. ვიდრე სუფრასთან მოვკალათდებოდით, სასტუმრო ოთახში სასიამოვნო გარეგნობის, მსცოვანი ქალბატონი შემოვიდა, გვითხრა, რომ ბატონი სერგოს დედა იყო. თბილისური ამბები გამოგვიტოვა, თავისიც გვიამბო... გაგვიკვირდა — ქალბატონი რომელსაც, 62 წლის შვილი ჰყავდა, ერთობ მხნედ გამოიყურებოდა. როდესაც ასაკი ვკითხეთ, ერთხანს ჩაფიქრდა, გაიღიმა და გვითხრა, რომ 63 წლისაა, მაგრამ შვილისა და რძლის წყალობით, თავს შესანიშნავად გრძნობს. ბატონმა სერგომ კი ჩუმად ჩაგვილაპარაკა, — უკვე მესამე წელია, ამბობს, რომ 63 წლის არისო, — და სუფრასთან მიგვიპატიუა. დრო არ, დავკარგეთ და მასპინძლებს ვთხოვეთ, თავიანთი სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ მოეთხროთ. ანია რუსია (ბატონმა სერგომ ის პერმის ოლქიდან ჩამოიყვანა) და ჯერ მხოლოდ 2 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს, ქართული უკვე კარგად ესმის.

ანია:

— მაინტერესებდა, როგორი იყო მისი სასიყვარულო თავგადასავლები, ვიდრე მე გამიცნობდა, მაგრამ არ მიაბო.

სარბო:

— პირველად, ჩემი კლასელი შემიყვარდა. ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა, მაგრამ ვერაფერს ვუთხრებოდი. დარეჯანი ერქვა. სხვა ბიჭი მოსწონდა და ზედაც არ მიყურებდა. ერთხელ, ჩემი თვალით დავინახე, რომ თავის შეყვარებულთან ერთად სეირნობდა. ძალიან განვიცადე

და ტყეში გავიქეცი. სწორედ მაშინ დაწვნიე პირველი ლექსი. სხვათა შორის, ის ლექსი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაშიც“ დაიბეჭდა.

— ლექსებს წერთ?

— ახლა აღარ ვწერ... თუ ნებას მომცემთ, დარეჯანისთვის მიძღვნილ იამბიკოს (სახელგამოყვანილი ლექსი) წაგიკითხავთ.

— ბრძანეთ.

— დარია და ირგვლივ ყველაფერი ხარობს/ ასწლოვანი მუხის ტოტზე ჩამომჯდარი გვრიტი გალობს/ რა ლამაზად ჩქეფს მდინარე, როგორ შარობს/ ელავს მზე და ფუტკრის გუნდი მინდვრისაკენ მიჰქრის, ჩქარობს/ ჯეირანთა ჯოგი მოჩანს კლდოვან მთაზე/ არწივთ გუნდი ლაღადა ჰქრის მალაღ ცაზე/ ნათლად მოჩანს თეთრი ფარა მთის კალთაზე/ სალაშურის კვნესა ისმის მწყემსის კარზე/ საქართველო — აი, მხარე, სადაცა ჩქეფს სილამაზე/ ერთთა და სილამაზით განთქმულია ქვეყანაზე/ მინდოდა, გამოსულიყო — დარეჯანს სერგოსგან, მაგრამ ვერ შევძელი და გამოვიდა — დარეჯანს სე...

— ანა სად გაიცნით?

— რუსეთში. სხვათა შორის, იქ 40 წელი ვიცხოვრე. საქართველოში სულ რაღაც 2 წლის წინ დავბრუნდი, ანისთან ერთად. დედამისს კარგად ვიცნობდი. თავად ანია მაშინ 17 წლის იყო, მაგრამ მომატყუა, — 19 წლის ვარო. მას შემდეგ ერთად ვართ. კარგი გოგოა, სკოლა ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული. მე უმაღლესი განათლების მიღებაშიც დავეხმარე. უკვე 12 წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ.

— მისი გულის მოგება როგორ მოახერხებ?

— აბა, მაგას ჰკითხეთ, როგორ მოახერხა ჩემი გულის მოგება!..

ანია:

— დედაჩემი საკონდიტრო მაღაზი-

— იოლი არ არის, მაგრამ ჩემს ნამუშევრებს ეკლესიაზე უკეთეს ადგილს სად მივუჩენ? ვიფიქრე, გამეყიდა კიდევც, მაგრამ ისინი ძალიან ძვირი ღირს, ბევრი იმდენს ვერც გადაიხდის. ამჟამად მხოლოდ დავით აღმაშენებლის ხატი მაქვს დასრულებული და ვაპირებ, ეკლესიას შევწირო. რატომღაც მგონია, რომ სწორედ დავით აღმაშენებელი მიუძღვება ჩემს საქმიანობას...

— როგორც ვიცი, არ ხატავ და ხატისთვის ესკიზს როგორ ქმნი?

— როცა დავით აღმაშენებლის ხატს ვქმნიდი, ჩანახატი მისი 3 ხატის მიხედვით შევქმენი. მუშაობის დროს ხშირად გავცდები ხოლმე ჩანახატის საზღვრებს, ოღონდ ხატს საეკლესიო კანონიკის დაცვით ვქმნი. მოზაიკაზე მუშაობისას თავისით მოდის იდეა — თუ რა, როგორ უნდა გავაკეთო. რაც შეეხება წმინდა გიორგის ხატს, მასში რუსული და ქართული ხატების ელემენტებია შერწყმული. წმინდანის თავი ქართულია, მისი ცხენი და მახვილი კი რუსული ხატის მიხედვით შევქმენი. რაც მთავარია, ერთმანეთს ბუნებრივად შეერწყა.

— ახლა თუ მუშაობ რომელიმე ხატზე?

— ახალი ნამუშევრის შესაქმნელად ჯერჯერობით ძალებს ვიკრებ. ძალიან მინდა, მთავარანგელოზ მიქაელის ხატი შევქმნა.

— როგორც ვიცი, ვენეციური შუშის ტექნოლოგიასაც სწავლობ...

— კი. ამ ტექნოლოგიის შესწავლა მინიატიურული ნამუშევრების შექმნაში დამეხმარება. როცა გადაწყვიტე, მინიატიურები გამეკეთებინა, ვერ ვიშოვე ისეთი წვრილი ბისერი, რომელიც მჭირდებოდა. ამიტომაც მინდა, ვისწავლო ვენეციური შუშის წარმოება და თავად გავაკეთო მასალა, რომელიც მერე ნამუშევრისთვის დამჭირდება.

— წარმატებებს გისურვებ!





ის ადმინისტრატორი იყო. მე ტექნიკუმში ეკონომიკას ვსწავლობდი. ნახევარწლიანი სამუშაო გამოცდილება მჭირდებოდა და დედამ ერთ-ერთ განყოფილებაში გამყიდველად მომანყო. ეს ბატონი (მეუღლეს უყურებს. — ავტ.) იქ ხშირად შემოდის. მოკლედ, ერთხელ იყიდა ტორტი, კანფეტები, ყვავილების უზარმაზარი თაიგული, ფული გადაიხადა და ყველაფერი იქვე დატოვა. მას შემდეგ ხან რას ყიდულობდა, ხან — რას...

— პირველად რომ დაინახეთ, რა იფიქრეთ მასზე?

— ცუდი არაფერი...

— ხელი როგორ გთხოვათ?

— ამ წინადადებას მისგან დღემდე ველოდები.

— რას გულისხმობთ?

— ჯერ არც ჯვარი გვაქვს დანერვილი და არც ხელი მოგვიწერია.

სარგო:

— მგონი, ამ საკითხს უახლოეს მომავალში მოვამკვრივებ და ქორწილში აუცილებლად დაგვატყუებთ...

— სამშობლოს დატოვება და უცხო გარემოში თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდა?

ანია:

— ერთად ცხოვრება რუსეთში დავინწყეთ. საქართველოში რამდენჯერმე ერთად ჩამოვდით. აქაურობა მომეწონა, თანაც ისე ძალიან, რომ სერგოს თავად ვაძალებდი, წამიყვანე-მეთქი. ყველგან კარგია, სადაც საყვარელი ადამიანი გეგულება.

— მშობლებმა თუ მოგინონეს არჩევანი?

— დედაჩემი სერგოს დიდი ხნის განმავლობაში იცნობდა. სხვათა შორის, ის არასდროს ერეოდა უხეშად ჩემს პირად ცხოვრებაში.

— საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იმედი ხომ არ გაგიცრუვდათ?

— არა, ასე რომ ყოფილიყო, ახლა აქ არ ვიქნებოდი. სერგოს არასდროს დაუძალებია, რომ აქ მის გვერდით მეცხოვრა. ახლაც მეუბნება, — თუ გინდა, ან აქ რამე არ მოგწონს, შეგიძლია, რუსეთში დაბრუნდეთ, — მაგრამ აქ ძალიან მომწონს, სიმშვიდეა...

სარგო:

— ერთი კითხვა მეც მაქვს, ხომ შეიძლება?

ანია:

— რა თქმა უნდა.

სარგო:

— ამბობენ, რომ შენ ჩემს ფულს გამოჰყევი ცოლად. ასეა?

ანია:

— სოლიკამსკში (იქ, სადაც ვცხოვრობდით) ამბობდნენ, რომ რამდენიმე ბინა მიყიდე, მათ შორის — მოსკოვშიც; რომ აგარაკი მაქვს, ბრილიან-

ტის სამკაულები... მე ხომ მსგავსი არაფერი გამაჩნია! ასეთ რამეზე არც კი ვფიქრობ.

— ანა, მაინც რითი მოგნობლათ ბატონმა სერგომ?

— მასში ყველაფერი მსიბლავს...

— რითი განსხვავდება ქართველი მამაკაცი თქვენი თანამემამულე კაცებისგან?

— ვაჟკაცურობით. დამყოლი და იოლად სამართავი კაცები არ მიყვარს. თუ ქმარი მეტყვის, რომ ეს ასე უნდა იყოს, ასეც ვაკეთებ...

— რაიმეზე თუ კამათობთ?

— მხოლოდ მაშინ ვკამათობ, როდესაც საჭესთან ვზივარ: სულ მეუბნება, — ნელა იარეო.

სარგო:

— და კიდევ იმას ვსაყვედურობ, რომ თავისთვის არაფერს ყიდულობს. ნებისმიერი სოფლელი ქალის გარდერობში უფრო მეტი სამოსი იქნება, ვიდრე ანიას აქვს.

— ანა, ქართული სადილების მომზადება თუ იცით?

— ყველაფერი, რასაც სუფრაზე ხედავთ, ჩემი მომზადებულია, მწვადისა და მუჟუჟის გარდა. ერთხელ 28-კაციანი სუფრა მარტომ გავშალე. მერე თავადვე მიკვირდა, ნუთუ მართლა მე მოვამზადე ეს ყველაფერი-მეთქი?!

— ბატონო სერგო, იღბლიანი კაცი ხართ არ შეგეშინდათ, როდესაც ასეთ ლამაზ, ახალგაზრდა და მომზიბვლელ ქალზე დაქორწინება გადაწყვიტეთ?

— ახლაც მეშინია...

— მგონი, ანა თქვენი პირველი მეუღლე არ არის.

— მართალია. ვიდრე ანიას გავიცნობდი, ორჯერ ვიყავი დაქორწინებული. პირველი ცოლისგან ორი შვილი მყავს — 30 წლის ალექსანდრე და 25 წლის მარინა. ისინი ახლა თავ-თავიანთ მეუღლეებთან ერთად, გერმანიაში ცხოვრობენ. მეორე მეუღლისგანაც 2 შვილი მყავს: 17 წლის თამარიკო და 13 წლის ილარიონი. ესენი დასაოჯახებლები არიან და ჩემთან ერთად ცხოვრობენ ართანში. აქ რომ ჩამოვიყვანე, ქართული ენა საერთოდ არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ქართულ სკოლაში შევიყვანე.

— თქვენი ყოფილი მეუღლე როგორ შეგეუბნა შვილების საქართველოში გადმოსვლას?

— ის ოქსანა ტახტუნოვაა, მე — სერგო ლონლაძე. ამით ყველაფერია ნათქვამი. ისე, ბავშვები დედას ყოველდღე ელაპარაკებოდა ტელეფონით.

— ანა, გერებთან ერთად ცხოვრება არ გიჭირთ?

— არა, პირიქით — ერთმანეთს კარგად ვუგებთ. ლარიკი (ილარიონი) ერთი წლის იყო, როდესაც გავიცანი. დედასა

და მამაზე მეტად, ჩემთან ერთად ყოფნა უხაროდა. სახლიდან რომ გავდიოდი, ტიროდა, არ წახვიდეთ.

— საკუთარ შვილზე არ გიფიქრათ?

— ვნახოთ, როგორ აგვეწყობა საქმე. ალბათ ამაზეც ვიზრუნებთ.

— ბატონო სერგო, ყოფილ მეუღლეებზე რას გვეტყვით?

— რუსეთში რომ წავედი, მალევე დავოჯახდი. სამშენებლო ორგანიზაციაში, სადაც ბრიგადის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, ერთი გოგონა მომეწონა. მერე გაირკვა, რომ ბავშვობისას ის საქართველოში ყოფილა ნაყოფი — მამამისს თელაველი ძმაკაცი ჰყოლია და მასთან რამდენჯერმე ჩამოსულან. ამ ფაქტით ვისარგებლე და საქართველოს კიდევ ერთხელ მონახულება შევთავაზე. ამ მოგზაურობის დროს პირველი შვილი შემეძინა, მერე მეორეც მიჰყვა. რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთს დავშორდი და ისევ რუსზე ვიქორწინე. აი, ანიაც რუსია.

— საქართველოდან წასვლისა და შემდეგ უკან დაბრუნების მიზეზიც გითხარით.

— 23 წლის ვიყავი, როდესაც ყვარელში ავტოპროფილაქტორიუმის დირექტორად დამნიშნეს. კომუნისტების დროს, 40 წელზე ქვემოთ ახალგაზრდა პირს თანამდებობაზე არ ნიშნავდნენ. ამ პოსტზე ბენდიერი შემთხვევის წყალობით მოვხვდი. 1 ნაფარეული მეგობარი მყავდა, რომელიც მატარებლის გამცილებლად მუშაობდა. ერთ დღესაც მოვიდა და მითხრა, — იაროსლავლში მგზავნიან, ცისტერნებით დატვირთულ ვაგონს მიყვები, უკან დაბრუნებისას ეს ცისტერნები ცარიელი იქნება და მოდი, მოიფიქრე, ისეთი რა ჩამოვიტანო, ცოტა ხეირი რომ ვნახო. ავდექი და გურჯაანის „პროფილაქტიკის“ დირექტორს ვკითხე, იაროსლავლიდან ხომ არაფრის ჩამოტანა გინდა-მეთქი? მაშინ „ვოლგის“ საბურავის ქარხნული ფასი 30 მანეთი იყო, აქ კი 200 მანეთად იყიდებოდა, მაგრამ იმის შოვნაც ჭირდა. დირექტორმა მითხრა, — თუ საბურავებს ჩამომიტან, „მალარიჩი“ ჩემზე იყოსო. გადავფრინდი იაროსლავლში, თითო საბურავი 15 მანეთად ვიყიდე, ჩემს ნაფარეულელ მეგობართან ერთად ცისტერნები დავტვირთე და გურჯაანში ჩამოვიტანე. ამასობაში საბურავის ფასი 300 მანეთი გამხდარიყო. დირექტორი სიხარულისგან კინალამ გაგიჟდა. მეორე დღესვე ეზოში ახალთახალი შავი „ვოლგა“ დამიყენა. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში კი მან ყვარელში „პროფილაქტიკა“ გახსნა და დირექტორად დამნიშნა. 2 წელი ვიმუშავე. მერე ცუკას პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძე დანიშნეს, რომელმაც ქვეყანაში



„წმენდა“ დაინყო. ჯერ მედიცინის მუშაკებს დაერია, მერე — მეღვინეებს... „ავტოროფილაქტიკის“ დირექტორებსაც რომ მიადგა და თელაველი და გურჯაანელი დირექტორები ციხეში გამოამწყვდია, ვიფიქრე, სანამ დროა, გავასწრებ-მეთქი. საბჭოთა კავშირის რუკასთან თვალდახუჭული დავდექი და ვთქვი, რომ თითს რა ადგილსაც დავადებდი, იქ წავიდოდი. ასე მოვხვდი იამალის ნახევარკუნძულზე. თავიდან ვფიქრობდი, რომ ერთ წელიწადში ისევ უკან დავბრუნდებოდი, მაგრამ იქ ისეთი სიტუაცია იყო, ვეღარ შეველიე.

ნალობის კურსში ჩართეს. კვლევაში სულ 35 ავადმყოფი მონაწილეობდა: მათგან 25-ს საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზი დაუდგინდა, სამს — ხორხის კიბო, სამს — პირის ღრუს ფსკერის კიბო, ორს — ძუძუს კიბო, ორსაც — ფილტვის კიბო. ბიოლოგიურად აქტიურ კვებით დანამატებს ავადმყოფები იღებდნენ შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით.

ადამიანიდან ასევე მოიხმარდა. მას შემდეგ ამ იდეაზე ფიქრი ერთი დღითაც არ შემინწყვეტია. ერთხელ ყელის ძლიერი ტკივილი ვიგრძენი და დედაჩემმა ბადაგი დამალეინა. საოცარი შედეგი ჰქონდა — მოკლე ხანში ტკივილი დამიამდა. გაოცება ვერ დავფარე, დედამ კი მითხრა, — ბავშვი რომ იყავი, ყელის ტკივილისას ყოველთვის ბადაგს გასმევდიო.



სერგო ღონდაძე, მისი მეუღლე — ქალბატონი ანია და ვაჟიშვილი — ილარიონი

— რას ვერ შევლიეთ?
— საქართველოში საშუალო ხელფასი 150 მანეთი იყო, მე კი იქ 3.000 მანეთი მქონდა.

— ასეთი დიდი ხელფასი რატომ გქონდათ?

— ურთულეს კლიმატურ პირობებში გვინევდა ყოფნა. ირგვლივ ჭაობი იყო, ხალხი ციგებზე დადგმულ ხის სახლებში ცხოვრობდა. თავიდან სამშენებლო ორგანიზაციაში „ბრიგადირი“ ვიყავი, მერე ოსტატი გახვდი. ერთხანს, სამმართველოს უფროსიც გახლდით. ტრესტის მმართველის პოსტამდე მივალნიე.

— რუსეთიდან წამოსვლა იმიტომ ხომ არ მოგიხდათ, რომ როგორც ქართველს, გაგინრობდნენ?

— არა, ჩემი დაბრუნება რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული. ძმა დამელუბა და მოხუცი დედა მართოდ დარჩა. გარდა ამისა, ჩემს ანისაც ძალიან უნდოდა აქ ჩამოსვლა. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ... იცით, ამის ბევრს არ ჯერა, შეიძლება, არც თქვენ დაიჯეროთ, მაგრამ — ჩემს ქვეყანაზე შემტკივა გული და მინდა, რომ უცხოეთში მიღებული გამოცდილება და ნაშოვნი ფული საქართველოს მოვახმარო. ბიზნესის გარდა, საკმაოდ სოლიდური პენსიაც მაქვს და უზრუნველად ცხოვრებაც შემიძლია. არც ლუკმაპურის შოვნაზე მიწვევს ფიქრი და არც სხვა პრობლემები მაქვს მოსაგვარებელი. ახლა ჩემი ერთადერთი საზრუნავი — ჩემი ხალხია. საქართველოში რომ ჩამოვდი, სახლი თელავშიც შევიძინე, მაგრამ იქ ერთი ღამეც არ გამითენებია. თბილისშიც უპრობლემოდ შემიძლია ბინის ყიდვა, მაგრამ აქ, ართანაში ჩემი მშობლების სახლში ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. 70 თუ 80 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, თხილისა და ვენახის პლანტაციები მაქვს გაშენებული. ყურძენს მხოლოდ ღვინის დასაყენებლად როდი ვიყენებ. საფერავის ჯიშის ყურძენსგან „ნატვიტს“ ვამზადებ. ეს არის აბსოლუტურად ნატურალური პროდუქტი, რომელმაც ქართველი მედიკოსების დიდი ინტერესი გამოიწვია. ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში „ნატვიტი“ პაციენტების მკურ-

პრეპარატების ეფექტიანობა მოწმდებოდა ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის, სხივურ თერაპიაზე რეაქციების შესწავლისა და ჰემატოლოგიური ანალიზის დინამიკის მიხედვით. კვლევებმა ცხადყო, რომ ჩემ მიერ შექმნილ პროდუქტს, საოცრად კარგი შედეგი ჰქონდა. კვებითი დანამატი კარგად მოქმედებს სხივური თერაპიის პროცესშიც. „ნატვიტს“ მე და ჩემი ოჯახის წევრებაც ესვამთ — პროფილაქტიკის მიზნით. დედაჩემი ასე კარგად რომ გამოიყურება და ასაკის დამალვის ხასიათზეა, ეგეც „ნატვიტის“ შედეგია.

— დიდი ხანია, ამ პროდუქტს ამზადებთ?

— არც ისე. რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ერთ მშვენიერ დღეს თელავის რაიონში, სოფელ სანიორეში გახლდით ჩასული. შემოდგომა იდგა და რთველი იყო გაჩაღებული. ღვინის ქარხანაშიც გავიარე. მაშინ პირველად ვნახე ატირებული გლეხი, რომელმაც მოიყვანა მოსავალი, მთელი წელი შრომაში გაატარა, დაკრიფა ყურძენი, მიიტანა ქარხანაში ჩასაბარებლად, მაგრამ რიგის მოლოდინში დაკრეფილმა ყურძენმა წვენი გაუშვა და ეს ღვითური სითხე ძირს დაიღვარა. მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, — ნუთუ ამ დალოცვილი ყურძენსგან, ღვინისა და ფელამუმის გარდა, სხვა არაფრის წარმოება არ შეიძლება-მეთქი? თუ წმინდა მარკეტინგული თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, ღვინოს პირობითად, 100-დან 10-15 ადამიანი მოიხმარს. სურვილი მქონდა, ყურძენსგან შემექმნა პროდუქტი, რომელსაც პირობითად, 100

სწორედ ეს გახდა კიდევ ერთი ბიძგი დასახული მიზნის მისაღწევად. მოვიწვიე საუკეთესო ტექნოლოგები და ვთხოვე, ყურძენის წვენისგან ბადაგზე უკეთესი პროდუქტი შექმნათ. მივიღეთ ყურძენის კონცენტრატი. გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ყურძენის წვენის დადუღების ტექნოლოგია ისეთია, რომ წვენს ბოლომდე შენარჩუნებული აქვს ყველა ვიტამინი და მინერალური ნივთიერება. ამ კონცენტრატისგან საფუარიც დავამზადეთ და მიემართეთ საპატრიარქოს საცხოვრებელს თხოვნით, ამოეღოთ მოხმარებიდან ჩვეულებრივი საფუარი, რომელიც ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს და ჩვენ მიერ დამზადებული, ყურძენის კონცენტრატის საფუარი გამოიყენებინათ. ძალიან არომატული და გემრიელი პური გამოცხვა. 5 დღის შემდეგაც ისეთივე ახალი იყო, როგორც ახალგამომცხვარი. ყურძენის კონცენტრატისგან ვამზადებთ შოკოლადს, ნაყინს. შევქმენი სპეციალური ბოთლი, რაშიც კონცენტრატით სავსე კაფსულა დევს და გემოვნების შესაბამისად, გაზირებული ან არაგაზირებული წყალი ასხია. ხელის ერთი მარტივი მოძრაობაა საჭირო, რომ კაფსულა გასკდეს და კონცენტრატი წყალს შეერიოს, რითაც ყურძენის არომატულ, ნატურალურ წვენს მივიღებთ. ამ ყველაფერს გამდიდრების მიზნით არ ვაკეთებ. ბოლო დროს სენტიმენტალური გავხდი — მინდა, ჩემს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოვუტანო. ალბათ ჩემი ასეთი დამოკიდებულება ასაკმაც განაპირობა.



უსინათლო მომღერლის რთული ცხოვრება, მეტროში სიმღერით გაჩენილი უემოსავალი და კონკურსებზე გულგატახილი გოგონას იმედი

პროექტ „ნიჭიერის“ მონაწილე — ნატალი ვეფხვაძე ალბათ, ყველას ახსოვს: უსინათლო გოგონას მიერ შესრულებულმა სიმღერამ — „საქართველო“ მაყურებელი ფეხზე დააყენა, ბევრს თვალზე ცრემლიც მოადგა... ამჟამად, ნატალი უსინათლოთა კავშირის ფოლკლორულ ანსამბლში — „ნანა“ მღერის, რაც ნიჭიერი გოგონასთვის ნამდვილად ცოტაა. მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მას მუსიკალურ კონკურსებში მონაწილეობაზე უარს სშირად ეუბნებოდნენ. ერთი პერიოდი, გულგატახილმა გოგონამ სიმღერაც კი შეწყვიტა... თავდაპირველად, „ნიჭიერში“ ნატალის დედასთან ერთად სიმღერა იგეგმებოდა. დედამისი — ქალბატონი ლელა ვეფხვაძე იმ უსინათლო გოგონებიდან ერთ-ერთი გახლავთ, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს ქართველ ხალხს სიმღერით ამხნევებდა...

„ნიჭიერში“ ნატოს გამოსვლის შემდეგ, ქალბატონი ლელა მეტროში სიმღერას (რაც მისი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა) ველარ ახერხებს, რადგან მისი შვილით აღფრთოვანებული ხალხის მილოცვების მოსმენა უხდება... ვინაიდან ქალბატონს ძალზე საინტერესო ცხოვრება აქვს გავლილი, საუბარიც მასთან სწორედ მისი წარსული ცხოვრებისთვის თვალის გადავლებით დავიწყეთ.

იმო ყორღანაშვილი

ლელა ვეფხვაძე:

— ჩემი მშობლები ცდილობდნენ, რომ მე და ჩემი დები ინტელექტუალურ ადამიანებად ჩამოვეყალიბებინეთ. მე და ჩემს ერთ დას მხედველობის პრობლემა გვაქვს. ამიტომ ჩვენს უფროს დას აიძულებდნენ, რომ ჩვენთვის წიგნები წავკითხა; მამაჩემი ფილოლოგი იყო — სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული — ლექსებს წერდა. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა — შეეძლო, საჭმელი არ ეყიდა, სამაგიეროდ, წიგნს აუცილებლად იყიდდა. მე და ჩემი და უსინათლო ბავშვთა სკოლაში (ახლანდელი 202-ე საჯარო სკოლა) ვსწავლობდით. ჩვენთვის წიგნის კითხვა ბევრ რამეს ნიშნავს



1989 წლის 9 აპრილის ღამე გაცნობიერებული მქონდა, რომ რეალური საფრთხე არსებობდა

— სამყაროს ნაკითხულით აღვიქვამთ. ვერ ვიტყვი, რომ გადასარევი მოსწავლე ვიყავი — გაკვეთილების მომზადებით თავს ზედმეტად არ ვიტვირთავდი. მუსიკა ბავშვობიდან მიყვარს. სკოლაში 2 გუნდი იყო, რომელთაც პატარებისა და დიდების გუნდს ეძახდნენ. მცირე ასაკში კარგი პედაგოგი — სერგო არტემოვი გვასწავლიდა. „დიდების გუნდში“ გადასვლის შემდეგ კი — ნანა კაპანაძე, რომელიც ჩემი შვილის — ნატოს გუნდის მასწავლებელიც იყო... სწავლა კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტში (ხალხური საკრავების განხრით) მინდოდა. სკოლის დირექტორმა დახასიათება გამიფუჭა — რეჟიმს ვერ ეგუება, დაუმორჩილებელია, შეუძლია, უფროსს სშირად შეეპასუხოს... შემრცხვა. ასეთ დახასიათებას ინსტიტუტში ვერ მივიტანდი.

— მართლა ისეთი იყავით, როგორც დახასიათებაში ეწერა?

— ცელქი ნამდვილად ვიყავი — მამას ბიჭად ვყავდი „ჩაფიქრებული“, მაგრამ გოგონა გაჩნდი (ილიმის). ადამიანების ჩაგვრას ვერ ვიტანდი. ჩვენთან ისეთი ბავშვებიც სწავლობდნენ, რომლებსაც თვალთან დაკავშირებული



ლელა-შვილი — ლელა და ნატალი ვეფხვაძეები

ლი პრობლემები ვიზუალურადაც ეტყობოდათ. ერთხელ ოლიმპიადა ტარდებოდა. მის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილე გოგონას დირექტორმა რომ შეხედა, თქვა: — სცენაზე ეს უნდა დამიყენოთ?! ეს სიტყვები ჩემთვის მხოლოდ იმ გოგონას შეურაცხყოფას არ ნიშნავდა. პროტესტის ნიშნად დარბაზი დავტოვე. საბოლოო ჯამში, ის გოგონა ოლიმპიადიდან არ „მოუხსნიათ“... სხვის დამცირებას ვერასოდეს ვეგუებოდი.

— მსგავსი პრობლემები თქვენც გექმნებოდათ?

— კარგი მოსწავლე არ ვიყავი, მაგრამ რადგან ხალხურ საკრავებზე ვუკრავდი და ვმღეროდი, ეს გარკვეულ პრივილეგიას მანიჭებდა. შესაბამისად, ნაკლებად შეურაცხყოფდნენ, თუმცა დახასიათება მაინც გამიფუჭეს. მართალია, მაშინ ინსტიტუტში ვერ ჩავაბარე, მაგრამ „უსინათლოთა კავშირის“ საგუნდო კაპელაში მომღერლად მიმიღეს. 1980-1992 წლებში იქ ვმუშაობდი. ჩემი ბუნების გამო, პრობლემები იქაც შემექმნა. საბოლოოდ, მეგობრები მიხვდნენ, რომ კონფლიქტური ადამიანი არ ვიყავი და რალაცების დათმობა შემეძლო...



1988 წელს, საქართველოში, საბჭოთა რეჟიმის მიმართ საპროტესტო აქციები ტარდებოდა. ამიტომ, „ნოემბრის შიმშილობაზე“ წავედი. იქ „უსინათლოთა საზოგადოებიდან“ კიდევ ბევრნი იყვნენ... ხოლო 1989 წლის 5 აპრილიდან კი მე და ჩემი მეგობრები — დონარა ცხადიაშვილი, ზაირა გელაშვილი, თინიკო ბირკაძე აქციებზე ერთად დავდიოდით... 8 აპრილის, ღამესაც ჩვეულებრივად შევიკრიბეთ. გაცნობიერებული მქონდა, რომ რეალური საფრთხე არსებობდა. საერთოდ, რისკიანი ადამიანი ვარ — საფრთხისკენ მიმინევს გული. ჩემს მეგობრებს დავუკავშირდი — გოგონებო, საფრთხე რეალურია და თუ გეშინიათ, ნუ წამოხვალთ-მეთქი. შიშის გრძნობა მათაც არ ჰქონიათ. დონარას და თინიკოს მეუღლეები ჰყავდათ. მათ ქმრებს არ სურდათ, რომ ისინი ღამით შინ არ ყოფილიყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მუდამ „ბრძოლა“ მჭირდებოდა. ერთ-ერთის მეუღლე მეჩხუბებოდა — ტანკები დადიან და გინდა, დაიხოცოთო?! იმდენი ველაპარაკე, რომ ბოლოს მეუღლესთან ერთად, თავადაც წამოვიდა... უსინათლოებს ხალხი ძალიან თბილად გვხვდებოდა. 9 აპრილის ღამეს უწმინდესი მობრძანდა და მომიტინგეებს გვთხო-

ვა, დავშლილიყავით. მაგრამ იქიდან არავინ წასულა... უწმინდესის გაფრთხილებისა და ლოცვის შემდეგ, აქციის მონაწილეებმა ითხოვეს, — გოგონებმა ისევ სიმღერით გაგვახსნევინო. როცა მთავრობის სასახლესთან ტანკების შემოსვლის შესახებ გამოცხადდა, გვითხრეს, — ვისაც ეშინია, აქცია დატოვოსო. აქციიდან არ წავსულვართ, რადგანაც ვგრძნობდი, იქ მყოფი ადამიანებისთვის საყრდენი ვიყავით — ბოლომდე ვმღეროდით... უამრავ ხალხში მეგობრებმა ერთმანეთი დავკარგეთ — ხალხის სხვადასხვა ტალღაში მოვეყვით. ადამიანები ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ. კედელს მიკრულს სუნთქვა მიჭირდა — გზა გამითავისუფლეს. მილიციის კორდონს გავეყვი. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ბევრი ადამიანი დაიხოცებოდა...

თინიკო და ჩემი და ვიპოვე. გვირაბში ჩასულები გაგვაფრთხილეს, — ზემოთ რუსი ჯარისკაცები ხალხს ნიჩბებით ხოცავენო. წივილ-კივილის ხმა გვესმოდა... ხალხს დაღუპულები ვეგონეთ. გაუხარდათ, როცა უსინათლო მომღერლები ცოცხლები დაგვინახეს.

— **ახსენეთ, რომ მეგობრების მეუღლეები მათი ცოლების აქციებზე სთარულის წინააღმდეგი იყვნენო.**

თქვენი მეუღლის რეაქცია როგორ იყო? მაშინ ნატო 2 წლის იყო, არა?

— დიახ. მაშინ მეუღლე არ მყავდა. ერთი ადამიანი მიყვარდა. ნატო სწორედ ამ სიყვარულის ნაყოფია. 20 წლის ვიყავი, როცა ნატოს მამა გავიცანი. მუსიკოსი იყო. მუსიკამ დაგვახლოვა. რთული ბუნების ადამიანი იყო, მაგრამ ძალიან მიყვარდა. სამწუხაროდ, უნდა ვალიარო, რომ მას ოჯახი ჰქონდა, მაგრამ მისთვის ოჯახი არ ამირევია... საბოლოოდ, ის მაინც თავის ოჯახში დარჩა. მამის მხრიდან, ნატოს ტყუილი და-ძმა (12 წლით უფროსი) ჰყავს. 2 წელია, რაც ნატოს მამა დაიღუპა. მანამდე შვილს იშვიათად, მაგრამ მაინც ნახულობდა. ბოლოს პატიების სათხოვნელად მოვიდა, რადგან ფაქტობრივად, ჩემს შვილს მამობა ვერ გაუწია (თუმცა მისგან არაფერს ვითხოვდი). შვილის ნახვის შემდეგ, მისგან ასეთი მესიჯი მივიღე: — დიდი მადლობა, რომ ასეთი კარგი შვილი გამიზარდეთო. ბავშვის რჩენა არ მიჭირდა, მაგრამ მას მამა სჭირდებოდა. შეიძლება, ჩემს შვილს ტკივილი მივაყენე, უმამოდ რომ გავაჩინე, მაგრამ მაშინ ასე მივიჩინე საჭიროდ. ნატომ ერთხელ მითხრა: — ჩემს შვილს ასეთი ტკივილისთვის არ გავიმეტებ-

2011 №3 მარტის ნომარი

ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი

მნიშვნელოვანი პროზა.

ნამდვილი პოეზია

ცნობილი ფრანგი ელასიკოსის ანრი გრუაიას რომანი „ეგლებიერების ოჯახი“

რამონ ღელ ვალიე-ინტანის „ჯაპიტანის ქალიშვილი“ - ციკლიდან

„ბარბაროსული პიესები“

აპრილი 2011 №3

ლიტერატურული

2011 წლის 2 ნომარი

ავტორები

- ზემო ქაშუბაძე
- ნინო ვეჯუშვილი
- შალვა მამუკაძე
- ნინო ივანიძე

პოეზია

- შალვა მამუკაძე
- შალვა ლომიძე
- ნინო ნადიმაძე

თარგმანი

- ელენიკა კახილა
- ივანე ვალიე
- დიმიტრი ვეჯუშვილი
- დიმიტრი კახილაძე
- ვლადიმერ ივანიძე

ფოტოები

- ირაკლი ჯანაშია

ლიტერატურა

- მამია ღელ ვალიე-ინტანის პიესები

ნერვოზი

- ანა ბარბაროსული

ამბროსიო - მ.

გამბა - ი.

მამია ღელ ვალიე-ინტანის პიესები



დიო. მერე ბოდში მომიხადა... ამჟამად, მეუღლე და კიდევ ერთი ქალიშვილი — ანანო მყავს. მეუღლე უსინათლოა, ანანოს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს. ერთი პერიოდი, მეუღლესთან ურთიერთობა დამეძაბა. შემდეგ ჩვენს შეცდომებს მივხვდით და ცხოვრება ისევ ერთად განვაგრძეთ. ჩემს შვილებს ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. ნატო სახლიდან არ გადის, თუ ანანომ არ „შეამონმა“ — როგორ გამოიყურება (ილიმის).

— თქვენმა გოგონამ მუსიკალური ნიჭი როდის გამოავლინა?

— შეიძლება, ბევრისთვის დაუჯერებელი იყოს, მაგრამ წლისა და 3 თვის იყო, როცა მელოდია გამართულად იმღერა. მანამდეც ლილინებდა. ფორტეპიანოზე დაკვრასაც ვახერხებ. დაკვრისას ნატოს კალთაში ვისვამდი და ვამღერებდი. მის მიერ შესრულებული პირველი სიმღერა — „რა კარგია ჩურჩხელა“ გახლდათ. „რა კარგია ჩურჩხელა“ ვერ ამბობდა და „აკალია ჩუჩიაო“, — მღეროდა. ძალიან საყვარელი იყო (ილიმის)... 2-3 წლის ასაკში, ისეთი კარგი სმენა ჰქონდა, რომ როცა აკორდს შეცდომით ავიღებდი, მეტყობდა — ლას უკლავ, გოგოო! ნატოს ბავშვობას ცუდი პერიოდი დაემთხვა: 1992 წელს ჩვენი კაპელის ლიკვიდაცია მოხდა. უმუშევრად, მხოლოდ პენსიის ამარა დავრჩი. სახლში შუქი რომ არ გვქონდა, ბავშვი რალაცით ხომ უნდა გამერთო? სიმღერას თამაშ-თამაშით ვასწავლიდი. 1994 წელს ძალიან გამიჭირდა. ერთ ღამეს ნატო მშიერი დავაძინე: დენი არ იყო და ლობიო ვერ მოვხარშე. შუქი ღამის 12 საათზე ჩართეს. „ერთი გაკეთება“ ხახვილა მქონდა. ღამით ნა-

ტომ წამოიტირა, მასთან გავედი, ამა-სობაში ის ხახვიც დამეწვა... მთელი ღამე ვტიროდი. ვიფიქრე, რა გახდა ჩემი თავმოყვარეობა, ბავშვი მშიერი ხომ არ მეყოლება-მეთქი? პირველად, სამღერად ისნის ბაზრობაზე გავედი. ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა — ნატოზე ველეავდი. მაშინ ის 8 წლის იყო. ერთადერთი, მაშინ ის მიხაროდა, რომ ნატო ვერ ხედავდა, რადგან ჩემი ცრემლების დანახვა არ შეეძლო... ბავშვობაშიც ძლიერი და ლამაზი ხმა ჰქონდა. გულგრილად ვერაგინ უსმენდა. მალე სამღერად მეტროში გადავინაცვლე, რადგან იქ ზამთარში თბილა, ზაფხულში კი — გრილა. ნატოს სიმღერა მხოლოდ საათ-ნახევრის განმავლობაში უნევედა ხოლმე. შვილის სიმღერით გამდიდრებას ანუ ბავშვის ექსპლუატაციას არ ვაპირებდი. მეტროში 16 წლამდე მღეროდა. მერე უკვე შეღერებული გოგონა იყო და ამასთან, არ მინდოდა, მას ხმა დამახინჯებოდა — ვოკალურ ფაკულტეტზე ჩაბარებას აპირებდი. ამიტომ სამღერად მარტო მივდიოდი და დღემდე ასე ვიქცევი. მეტროში ხშირად ვარ, თუმცა შეიძლება, ლილოს, ელიავას ბაზრობაზე, სამების საკათედრო ტაძრის გზაზეც მნახონ. ჩემი მიზანია, რომ მსმენელს არ მოვებზრდე.

— ნატომ უსინათლოთა სკოლა დაამთავრა?

— დიას. „ნიჭიერი“ მისი სიმღერის შემდეგ, საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა: ნატო ხედავს — სცენიდან უკან დამოუკიდებლად გაიქცაო! ნატო ფილარმონიის სცენას კარგად იცნობს — კონცერტებზე ყოველთვის თან მახლდა და საქველმოქმედო საღამოებში თავადაც მონაწილეობდა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: — აბა, სცენაზე ვანო თარხნიშვილმა რატომ გაიყვანაო? ნატომ არ იცოდა, სცენაზე სად უნდა გაჩერებულიყო, უკან კი იოლად დაბრუნდებოდა, რადგან მისთვის ფილარმონიის სცენა უცხო არაა. არ მინდა, ხალხმა იფიქროს, რომ ეს ყველაფერი ბლეფია!.. უსინათლოთა სკოლის დამთავრების შემდეგ, თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (მაშინ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის, კინოსა და თეატრის სამსახიობო ინსტიტუტი ერქვა) ჩააბარა. თავის ფაკულტეტზე ერთდერთი ბავშვი იყო, ვინც გამოცდაზე 100 ქულა მიიღო. თავის დროზე, მეც იმავე ინსტიტუტში ვსწავლობდი. რადგან უსინათლო ვიყავი, ინსტიტუტში ჩემს საბუთებს არ იღებდნენ, სანამ გამოცდებში ჩემი მონაწილეობის შესახებ, განათლების სამინისტროდან სპეციალური ბრძა-

ნება არ მიიღეს. ქართული ენის გამოცდაზე უმაღლესი შეფასება მივიღე. ბრაილის შრიფტით წერაკითხვა სწავლისთვის ბარიერს არ წარმოადგენს. რაც ბრაილის შრიფტით არ იყო დაბეჭდილი, იმის სწავლაში კურსელები, მეგობრები მხმარებოდნენ... ინსტიტუტი ნატომაც წარმატებით დაამთავრა. ბევრ მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობდა: ესპანეთში, ბულგარეთში, ერევანში. საქართველოსგან განსხვავებით, საზღვარგარეთ უსინათლობა ბარიერს არ უქმნიდა. აქ კონკრეტულად არ ეუბნებოდნენ, რომ კონკურსში ნატოს მონაწილეობასთან დაკავშირებული უარი მის უსინათლობას უკავშირდებოდა. კონკურსების წარმომადგენელთა პასუხი ასეთი იყო: „კარგი გოგონა ხარ, მაგრამ...“

— სატელევიზიო კონკურსებს გულისხმობთ?

— კი. შეიძლება, მონაწილეობის საშუალებას კონკურსის ფორმატი არ აძლევდა. მინდა, ასე ვიფიქრო...

— უცხოეთში კონკურსებში მონაწილეობისას რამე შეთავაზებები არ მიუღია?

— კი. ესპანეთიდან, ბულგარეთიდან, მაგრამ მისი კონკურსში მონაწილეობა ჩვენ უნდა დაგვეფინანსებინა, რისი საშუალებაც ნამდვილად არ მქონდა. მეტროში სიმღერით შეგროვებული ფულით ნატოს საზღვარგარეთ კონკურსში მონაწილეობის დაფინანსება ძალიან რთულია.

— მეტროში, ქუჩაში სიმღერა თქვენი ოჯახის ერთადერთი შემოსავალია?

— დიას. ქირით ვცხოვრობთ. ბინის ქირას კომუნალური გადასახადებიც ემატება. რთულია, მწირი შემოსავლით ამდენ რამეს „განვდე“.

— „ნიჭიერში“ ნატოს მონაწილეობა ვისი იდეა იყო?

— შარშანაც მინდოდა, ამ პროექტში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ სხვა კონკურსებზე გულგატეხილმა ჩემს შეთავაზებაზე კატეგორიული უარი მითხრა — გინდა, გავგიჟდე? ყველგან მეუბნებიან, ნიჭიერი ხარ, მაგრამ კონკურსებზე არ მიშვებენო! ყველაფრის რწმენა დაკარგული ჰქონდა. ერთი პერიოდი, სიმღერაც აღარ უნდოდა. სიმღერა ისე უყვარს, რომ ამ განცდამ მალე გაუარა, თუმცა კონკურსებზე გასვლა მაინც არ უნდოდა. მე და მისმა მეგობარმა — ლუკამ განაცხადი ჩუმად შევაკეთე. ნატოს უარს, მის გამოფხიზლებას არ დაველოდეთ (ილიმის)... „ნიჭიერი“ სიმღერის შემდეგ, თითქოს ჩემს შვილს სტიმულიც მიეცა. ვნახოთ, რა იქნება...



ნაგალის პირველი მეხვედრა მამასთან



როგორ სწავლობენ ყრუ-მუნჯი ბავშვები ქართული საკვის ურთულას ილათიებს

ცოტა ხნის წინ, ინტერნეტში, ერთ ვიდეორგოლს ნაგანყდი — ნიუთელროხიანი ბავშვები მთიულურს ცეკვავდნენ. თვალებს არ დავუჯერებ, როცა შევიტყვე, რომ ისინი ყრუ-მუნჯთა სკოლის აღსაზრდელები იყვნენ. უფრო მეტის გასაგებად, თავად ამ სასწავლებელს ვწვივ.

საბურთალოზე, 203-ე სკოლის მიგნება არ გამჭირვებია. დიდი ეზოს ცენტრში, რკინის ბოძზე, საქართველოს დროშაა აღმართული, დერეფნებში ბავშვების ნახატები კიდია. ყველაფერი ისეა, როგორც ჩვეულებრივ სკოლაში. ერთი განსხვავებით: ზარი აქ არასდროს ირეკება.

ლევან შიკოლიანი

ონა ინაოროყვა, ყრუ და სმენადაქვეითებული 203-ე სკოლის დირექტორის მოადგილე:

— საქართველოში ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების 2 სკოლა არსებობდა. ახლახან ბათუმში კიდევ ერთი გაიხსნა. ამ სკოლებში აღსაზრდელები 6 წლიდან მიიღებიან. თბილისში ფუნქციონირებს ბაგაბაღიც, რომელმაც ბავშვს სკოლაში მისვლამდე 300 სიტყვა უნდა ასწავლოს, მაგრამ, ვერ ახერხებს.

— ამის მიზეზი რა არის?

— 3 წლის შვილს მშობელი ვერ ელევა, ჰგონია, რომ დაიჩაგრება, ამიტომ ხშირია გაცდენა. სწავლებას ნულიდან ვიწყებთ. დედის და მამის სურათების ჩვენებით ვაცნობთ მათ სახელებს.

— როგორია სწავლის მეთოდი?

— ადრე, შესტების გამოყენება გვეკრძალებოდა. საბჭოთა პერიოდში მასსოვს, საჩვენებელ გაკვეთილს ვატარებდი, რომელსაც განათლების რაიონული განყოფილებიდან ესწრებოდნენ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. გაკვეთილის ბოლოს ერთ-ერთ მოსწავლეს ხელით ჩემკენ ვანიშნე და ვუთხარი: „მოდი!“ ეს დიდ ნაკლად ჩამითვალეს — შესტის ენა როგორ გამოიყენო!

ახლა პირიქითაა — ბავშვმა რომ გარე სამყარო ადვილად აღიქვას,

შესტები უნდა გამოიყენო. ყრუს უნდა „დაუყენო“ (ათქმევინო) ყველა ბგერა, რომ გასაგებად ილაპარაკოს და სანამ იმ ბგერას ასწავლი, ხომ უნდა გაიცნოს ყველაფერი? ჩვენს სკოლაში შესტების გაკვეთილებს კვირაში 5 საათი ეთმობა. ყველა ბავშვს თავისი შესაძლებლობები აქვს და ამიტომ სწავლება ინდივიდუალურად მიმდინარეობს. ამჟამად სკოლაში 176 მოსწავლეა. სმენადაქვეითებულ ბავშვს სიტყვები ასე თუ ისე, ესმის, ამიტომ ის ყრუზე წინ დგას. ყრუთათვის გამოიყენება დაქტილური ანუ თითების ანბანი. სანამ ყველა ბგერას „დააყენებ“, ხომ უნდა იცოდეს, რომ ეს ვთქვით, ქალაქია, ეს კი მაგიდა? განათლების სამინისტროს პროექტ — „ირმის ნახტომის“ ფარგლებში გვაქვს კომპიუტერები და ვცდილობთ, სწავლებაში თანამედროვე პროგრამები გამოვიყენოთ. ერთი ბავშვი გყავს ცერებრალური დამბლით დაავადებული. იცით, როგორ იყო? საკუთარ თავს ვერ უჯლიდა, ვერ აზროვნებდა, ვერ გამოხატავდა, რა უნდოდა. მაინც მივიღეთ. ახლა თავს უჯლის, ცდილობს, რომ ჩაერთოს შრომაში, რაღაცებს წერს, თითებით ანგარიშობს. „დედა“, „მამა“, „მომე“ — საკომუნიკაციო სიტყვებიც ისწავლა.

სკოლაში გვაქვს ხელსაქმის გაკვეთილები — ბავშვები ქარგავენ, ქსოვენ, თექაზე მუშაობენ. ტარდება გამოფენა-გაყიდვები. დიდი სტიმულია, როცა ხედავენ, რომ ხალხს მოსწონს მათი ნამუშევარი.

— მანდატური ვერ შეე

ნიშნე, თქვენს სკოლას ეს რეფორმა არ შეეხება?

— არა, თუმცა, სკოლაში არის მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც ბავშვებს ყველანაირად ამოწმებს. ჯგუფში არიან: ფსიქოლოგი, მეტყველების პედაგოგი, თერაპევტი და სხვა სპეციალისტები. მანდატური საჭიროა, მაგრამ არა ისეთი ფორმით, როგორც სხვა სკოლებში. მათ შესტური მეტყველება უნდა იცოდნენ. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება: აქ ძალიან კარგი დირექტორი — ირაკლი ხეთელელი იყო, დიდი და წარმოსადეგი კაცი. სკოლაში ახალი მოსული იყო და შესტების ენა ჯერ არ იცოდა. ბავშვებს მისი ემინოდათ. ერთხელ, როცა



ისეთ იღვტებს აკეთებენ, რომლის შესრულებასაც მოლაპარაკე ბავშვი ვერ შეძლებს

დერეფანში მიდიოდა, ბავშვი მიუახლოვდა, თავთან ხელი მიიღო და შესტებით რაღაც ანიშნა, მეორემაც ასე გააკეთა. გაგიჟდა ცხოვრებულ: ამ ბავშვებს გენერალი ხომ არ ვგონივარო? ამ დროს კი მოსწავლეები ეუბნებოდნენ — „მე ტუალეტში მიინდა“ (იცინის). ვიცი, რომ ბევრ სკოლაში მოსწავლეები მანდატურებთან მეგობრობენ, ამიტომ როცა ბავშვი რამეს შემოგჩივლებს, ხომ უნდა გაიგო, რა უნდა?

— რა ხდება, როდესაც ისინი სკოლას ამთავრებენ, შეუძლიათ, რომ სადმე დასაქმდნენ?

— ეს სერიოზული პრობლემაა, ადრე სპეციალური ფაბრიკა-ქარხნები იყო, სადაც ჩვენი კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ, მაგრამ ყველა დაიხურა. ადამიანი, რომელიც ამ სკოლას დაამთავრებს, მშობლის



ბავშვმა რომ გარე სამყარო ადვილად აღიქვას, შესტები უნდა გამოიყენო

იმედად რჩება. ყრუთა საზოგადოება ცდილობს, მათ ხელი შეუწყოს. მაგალითად, ჩვენი ერთი მოსწავლე აეროპორტში დაასაქმეს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

ქალბატონ ნონასთან საუბრის შემდეგ ცეკვის რეპეტიციას დავესწარი. მასწავლებელს ხელში ჯოხი ეჭირა, რომელსაც იატაკს დროდადრო დაპკრავდა ხოლმე. ყრუ-მუნჯები მუსიკას ვერ აღიქვამენ, მაგრამ იატაკიდან წამოსული რხევის მეშვეობით, ფეხებით გრძნობენ რიტმს, მერე ამ ტალღას ყურით აღიქვამენ და ქართული ხალხური ცეკვების ურთულეს ილუტებს ასე სწავლობენ.

ურა ზუზიაშვილი, ცეკვის მასწავლებელი:

— იმისათვის, რომ ბავშვმა ცეკვა შეძლოს, 5 წელია საჭირო. ეს ყველაფერი უდიდეს შრომას მოითხოვს.

— როგორია პირველი გაკვეთილი?

— პირველად ვარჯიში თავისუფალია, ვასწავლით ელემენტარულს: როგორ დაიჭირონ ტანი სწორად და სხვა მარტივ მოძრაობებს. შემდგომ კი ჯოხის მეშვეობით ცეკვასაც სწავლობენ. სხვათა შორის, ისეთ ილუტებს აკეთებენ, რომლის შესრულებასაც მოლაპარაკე ბავშვი ვერ შეძლებს.

16 წლის ნიკუშამ სმენა 4 წლის ასაკში დაკარგა. მას შემდეგ სხვა ბავშვების მსგავსად, თითოეული ბგერის სწავლამ თავიდან მოუწია. ჩემ მიერ დასმულ კითხვებს ტუჩების მოძრაობაზე დაკვირვებით აღიქვამდა.

ნიკუშა:

— სხვა ბავშვებთან ლაპარაკი არ მიჭირს, ყველაფერს ვხვდები, რასაც მეკითხებიან, ჟესტების ენითაც ვსაუბრობ. სკოლა მიყვარს, აქ ბევრი მეგობარი მყავს.

— რას აპირებ, სკოლას რომ დაამთავრებ?

— მინდა, უნივერსიტეტში ჩავაბარო, არქიტექტორი გავხდე და ბევრი სახლი ავაშენო. კარგად ვხატავ და ბევრი ფული მექნება (ილიმის).

— ბევრი ფული რად გინდა?

— ყველას უნდა დავეხმარო, ვისაც უჭირს.

პირველკლასელებთან კლასში შესვლისას, ბავშვები ფეხზე წამოშიდგნენ და ინტერესით დამაკვირდნენ. ოლიკო ფანჯელაშვილი ბავშვებს ასობგერა „რ“-ს წარმოუქმას ინდივიდუალურად უხსნიდა. ჯერი საბაზე მიდგა. საბამ დაიმორცხვა, ჯერ კუთხეში მდგარი ბებოსკენ გაეცა თვალი, მერე — ჩემკენ. მესამე ცდაზე კი შეუცდომლად იმეორებდა — „რ“...

ორმა მამაკაცმა ახალგაზრდა ქალი მოკლა

„...გიორგიმ მითხრა, ბინაში იყავი, ნუ დაბორიალებ, მეც იქ მოვალ. მართლაც მოვიდა... მირჩია, ნათია მომეცილებინა — „აბანოში“ გამეგუდა. დანარჩენს, თვითონ მოაგვარებდა...“

შემზარავი მკვლელობის დაბლაგი

თბილისი

„...ორჯერ შევიყვანე საბაზანოში, მაგრამ მოკვლა ვერ შევძელი. გამოვედი და ვუთხარი, — ამას ვერ გავაკეთებდი: ნათიას ოჯახსაც ვიცნობდი და ჩემი მისამართიც იცოდნენ. ამ დროს გიორგიმ დაიძახა, — რა ვერა, ბიჭო, ამის ბოზი დედაცო! — აბაზანაში შევარდა და ნათიას დახრჩობა დაუწყო. მეც დაიძახა, ხელები და ფეხები რომ დამეჭირა. ნათიას ფეხები მე მეჭირა, ნახევარ წუთში წინააღმდეგობა შეწყვიტა... შემდეგ გიორგიმ მითხრა, მალაზიიდან ჭურჭლის ყელე და ცელოფანის პარკები მომეტანა. როცა ბინაში შეებრუნდი, ნათია უკვე „ვანაში“ ჰყავდა ჩანწვნილი და თავი და ხელები მოჭრილი ჰქონდა, მას დანით ანანევრებდა. სხეულის ნაწილები პარკებში ჩავაწყვეთ და დავსკოჩეთ. მერე ყველაფერი დიდ ჩანთაში მოვათავსეთ. გიორგიმ ნათიას ნივთებიც მომთხოვა, ისიც ჩანთაში ჩაყარა. ასე ჩავდეთ ცხედარი მანქანის საბარგულში. წავიდა და დამიბარა, — ბინას მიხედე, დანარჩენს მე მოვუვლიო. აბაზანა ყელეთი კარგად გავრეცხე და იქიდან წავედი... გიორგის მესამე დღეს შევხვდი, აინტერესებდა, ფული სად იყო. თან დაამატა, — ნუ გეშინია, ყველაფერი ხუთთანზეაო. ვუთხარი, რომ 7 ათასი დოლარი იყო დარჩენილი. 4.000 დოლარი მივეცი, იცოტავა და 500 დოლარიც დავუმატე. როცა გკითხე, — გვამი სად იყო, არ მიპასუხა. ჩავაცივდი. მერე მითხრა, — ნათიას თავი ჩემი სადარბაზოს სარდაფში ჩავმარხე, — სხეულის დანარჩენი ნაწილები სად წაიღო, არ დაუზუსტებია, — ამ საქმეზე რაც ნაკლები გეცოდინება, უკეთესიაო“. — ეს განსასჯელის ჩვენების ფრაგმენტი. ამ ჩვენებით დაკარგული ახალგაზრდა ქალის საქმე გაიხსნა.

ოჯახი ნათიას დიდხანს ეძებდა. მისი საქმე, გამოძიებულს კარგა ხანს თაროზე ჰქონდა შემოდებული, სანამ დაკარგული ქალის ახლო მეგობარი მამაკაცი არ დააკავეს. მას ჰეროინი აღმოუჩინეს. პოლიციელებმა ისიც იცოდნენ, რომ ბოლო დროს გოგონა მასთან ცხოვრობდა. იგი ამ კუთხითაც დაჰკითხეს. სიმართლის აღიარების სანაცვლოდ, საპრო-

ცესო გარიგებას დაჰპირდნენ. შემზარავი დანაშაულის დეტალებიც საბოლოოდ გაცხადდა.

გაირკვა, რომ ორმა მამაკაცმა ქალი ჯერ მოახრჩო, შემდეგ კი მისი სხეული დანით დაანწევრა. მოგვიანებით, მკვლელობაში ბრალდებული — გიორგიც დააპატიმრეს. ის მეგობარმა დიმიტრიმ ამხილა. ახალგაზრდა ქალის დანაწევრებული ცხედარიც სხვადასხვა ადგილას იპოვეს. მოკვლელობის ვინაობა დედის დნმ-თან იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა. ცხედარი ნამდვილად ნათიასი იყო.

ბრალდებული გიორგი დღემდე დანაშაულს არ აღიარებს, მაგრამ საქმეზე 3 ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არსებობს. გიორგის 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დიმიტრის — საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს — ნარკოტიკისთვის 2 წელი, ხოლო მკვლელობისთვის — 13 წელი მიესაჯა, მაგრამ ის სიმსივნით, ციხის სავადმყოფოში გარდაიცვალა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

2006 წელს, ნათიამ დიმიტრი თურქეთში გაიწყო, ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ესპანეთში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტეს. საქართველოში დაბრუნდნენ. მშობლებისგან მალულად, ნათიამ ბათუმში საკუთარი ბინა 28.000 დოლარად გაყიდა. ბინის გაყიდვის საშუაშავლო გადაიხადა, ნაწილით გადასახადები დაფარა და დარჩენილი თანხა — 20.000 დოლარი, შესანახად მეგობარ მამაკაცს გადასცა. ამის შემდეგ თბილისში ჩამოვიდნენ, რათა ვიზების საკითხი მოეგვარებინათ. დიმიტრიმ ნათიას ფული სიძეს ბანკში შეატანინა. უთხრა, რომ ეს თანხა თურქეთში იშოვა. ვიზის მოსაპოვებლად კი დახმარებისთვის ყოფილ მეზობელსა და ბავშვობის მეგობარს, პოლიციელ გიორგის მიაკითხა. 3 დღეში ბანკში შეტანილი თანხის ნაწილი, უკან გამოიტანა და 8.000 დოლარად ავტომანქანა — „ფოლკსვაგენი“ იყიდა მერე კი გიორგის სამსახურში კვლავ მიაკითხა. არ დაუმალავს, მეგობარმა ქალმა საზღვარგარეთ წასასვლელად ბათუმში ბინა რომ გაყიდა და თბილისში, მასთან ერთად, ქირით ბინას ეძებდა. გიორგიმ მეგობარს



გლდანულაში დეიდაშვილის ბინაში დროებით ცხოვრება შესთავაზა.

გამოძიების მტკიცებით, დიმიტრი და ნათია იმ ბინაში რამდენიმე დღე ცხოვრობდნენ. მეგობარმა მამაკაცებმა კი ახალგაზრდა ქალის მოკვლა გადაწყვიტეს. ამ გზით მისი ბინის თანხის დაუფლება უნდოდათ. დიმიტრის მტკიცებით, ქალის მოკვლა გიორგიმ შესთავაზა. დანაშაულის შემდეგ ნათიას ფულით ნაყიდი მანქანაც დიდხანს მას ჰქონდა. — მოგვიანებით მანქანა გამოვართვი, შემეშინდა, ჩემ გარეშე არ გაყვიდა და 7.000 დოლარად გაყვიდე; შემდეგ ტელეფონის ნომერი გამოცვალე, გიორგის ჩემთან რომ არ დაერეკაო.

განაჩენი გიორგის ადვოკატებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ისინი განსასჯელის გამართლებას ითხოვდნენ. სანამ საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავდა, დიმიტრიმ სასამართლოს განცხადებით მიმართა და გარკვეული გარემოებების დასაზუსტებლად, დაკითხვა მოითხოვა. ამჯერად, წინასწარ გამოძიებაში და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები უარყო. განმარტა, რომ მკვლელობა მართომ ჩაიდინა და მისი მეგობარი გიორგი ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო იყო.

დიმიტრის შეცვლილი ჩვენებიდან:

— ნათია მე მოკვალი. ვიცოდი, თავს არ დამანებებდა და ცხოვრებას დამინგრევდა, რადგან ცოლშვილიანი ვარ... მასაჟს უუკეთებდი და დავახრჩვე, შემდეგ გვამი დავანაწევრე და სხვადასხვა ადგილას დავმარხე... ტანსაცმელიც დავწვი. ამის შემდეგ გიორგის მიუღწევის დაბადების დღეზე წავედი... გადავწყვიტე, გიორგისთვის ყველაფერი მეთქვა. მან მითხრა, — თუ სერიოზული საქმეა, სიფხიზლეში ვილაპარაკოთო. მეორე დღეს, კაფეში, ყველაფერი უფამზე. მითხრა, — მეჩვენებინა ის ადგილი, სადაც სხეულის ნაწილები გადაყარე; წავედით, მაგრამ იქ ვერაფერი ვნახეთ... პოლიციამ ნარკოტიკზე დამაკავა. არ ვიცი, როგორ აღმოჩნდა ნაბალი ჩემს ჯიბეში. როცა ნათიას მკვლელობის საქმეზე ჩვენება მომთხოვეს, მეგონა, გიორგიმ „ჩამიშვა“, რადგან მომხდარის შესახებ სხვამ არაფერი იცოდა, ამიტომ იგი ცრუდ ვამხილე. როცა დავრწმუნდი, რომ არ დავუბუღებდივარ, გადავწყვიტე, სიმართლე ვთქვა და ახლა ვამბობ კიდევ სიმართლეს.

საკასაციო პალატამ მისი შეცვლილი ჩვენება არ გაიზიარა. მიიჩნია, რომ ამჟამად წინააღმდეგობა იყო, როგორც გიორგის ჩვენებასთან, ასევე სხვა მტკიცებულებებთან.

ბრალდებული გიორგი მხოლოდ დანაშაულის დაფარვას აღიარებს.

გიორგის ჩვენებიდან:


— ამ ფაქტამდე 5-6 წლით ადრე, დიმიტრის მეზობლად ბინა გავეყიდე და მასთან ურთიერთობა აღარ მქონია. თურქეთიდან რომ ჩამოვიდა, შევხვდი და ვილაპარაკეთ. საუბარში მითხრა, რომ მანქანა იყიდა და მართვის მოწმობა პოლიციამ წაართვა. ჩემი მანქანა გასაყიდად ბაზრობაზე უნდა დამეტოვებინა, ამიტომ მანქანა მას ვთხოვე. საჭესთან მოწმობის გარეშე ვერ დაჯდებოდა... რაც შეეხება მკვლელობას, ამის შესახებ მითხრა, რომ ვარკუთილში ქალი მოკლა და გვამი ხევში გადააგდო, — მოკლულის თავი კახეთის გზაზე დავმარხე და მას ვეღარ მივაგ-

იპოვა წინააღმდეგობები. ის ამბობდა, — დიმიტრის ბინის გასაღები ნათიას მკვლელობის ამბის მოყოლის შემდეგ გადავეციო. სისხლის ლაქები კი სხვაზე მიუთითებდა. „ნათელია, დიმიტრი ცდილობს, მართლმსაჯულება შეცდომაში შეიყვანოს და პასუხისმგებლობა ააცილოს მკვლელობაში თანამონაწილეს“, — სასამართლო ასეთ დასკვნამდე მივიდა.

ახალგაზრდა ქალის ახლობლები დანაშაულების უმკაცრესად დასჯას ითხოვდნენ.

მოკლულის დედის ჩვენებიდან:

— ნათია თურქეთიდან რომ დაბრუნდა, ბინის გაყიდა უნდოდა. უარი



გამოძიების მტკიცებით, დიმიტრი და ნათია იმ ბინაში რამდენიმე დღე ცხოვრობდნენ. მეგობარმა მამაკაცებმა კი ახალგაზრდა ქალის მოკვლა გადაწყვიტეს

ნებო. მომხდარი სამართალდამცველებს იმიტომ არ უფამზე, რომ არ დავიჯერე... მე სრულიად უდანაშაულო ვარ.

განსასჯელის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ გიორგის დასადასაშაულებლად, მტკიცებულებები არ არსებობდა. არაერთი შუამდგომლობა დააყენეს, მაგრამ სასამართლომ არც ერთი არ გაიზიარა. ადვოკატების მტკიცებით, გიორგი ფულის გამო ასეთ საშინელ მკვლელობას არ ჩაიდენდა, რადგან კოონომიურად არ უჭირდა.

სასამართლომ ეს არგუმენტები არ გაიზიარა. გლდანულაში, გიორგის ნათესავის ბინაში, შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, სისხლის ლაქები აღმოჩნდა. ექსპერტიზის დასკვნით, სისხლის ლაქები ნათიასი იყო.


სასამართლოსთვის ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა ისიც, რომ ისეთი სუსტი აღნაგობის ადამიანს, როგორც დიმიტრი იყო, მართო მოქერხებინა ნათიას მოკვლა, სხეულის დანაწევრება და სახლიდან ცხედრის გატანა.

სასამართლომ გიორგის ჩვენებაშიც

ვუთხარით, განაწყენდა. ბინის საბუთები ბუბიასთან ინახებოდა. მას შემდეგ არ გვინახავს. ბოლოს, 2007 წლის 26 იანვარს დარეკა და თქვა, — ბინა გავეყიდეო. მყიდველი მართლა გამოჩნდა. ის ადასტურებდა, რომ ამ ყიდვა-გაყიდვას ვინმე დიმიტრი ესწრებოდა და ბინის მთელი თანხა მას გადასცეს. ამის შემდეგ ორივეს ვეძებდით.

განაჩენი უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა. ყოფილ პოლიციელს ჯგუფურად, ანგარებით ჩადენილი მკვლელობისთვის, საბოლოოდ, 19 წელი მიესაჯა. მას საქმის გასაჩივრება მხოლოდ ევროსასამართლოში შეუძლია.

ცოტა ხნის წინ, გიორგის ადვოკატმა სასამართლოს ისევ მიმართა. ამჯერად, სასჯელის გადავადება ითხოვა, ბრალდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო. ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც წარადგინა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა არც ამჯერად დააკმაყოფილა და გიორგი პატიმრობაში დატოვა.



სამყარო

ჩხაკ-ჩხუკ და... გადაღებულია ანუ წამი, რომელიც უნდა დაიჭირო

მისი ფოტოები რამდენჯერმე „დამეხმარა“ ჩვენს ჟურნალში სტატიების გასალამაზებლად. ძალიან უშუალო, მოსიყვარულე, ხალისიანი და დაუზარელი ადამიანია. და რაც მთავარია, მშვენიერ ფოტოებს იღებს. ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეცნო ახალგაზრდა ფოტოგრაფი დათუნა აბასივი.

ირმა ხარშილაძე

— „ჯიპას“ სკოლა დავამთავრე ფოტოჟურნალისტიკის სპეციალობით. მას შემდეგ ერთხანს ჟურნალ „მადიანის“ ფოტოდირექტორადაც ვმუშაობდი, რადიო „აფხაზეთის ხმის“ ჟურნალისტიკა ვიყავი... მოკლედ, თან სკოლაში ვსწავლობდი, პარალელურად კი — „ჯიპაში“, რადიოში, ჟურნალში ვმუშაობდი და უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლადაც ვემზადებოდი. ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ კურსზე

ვსწავლობ, თან პროდიუსერ თავო დოლაბერიძესთან და კიდევ ბევრ ადგილას ვმუშაობ.

— **ყოჩაღ! ბევრი რამ მოგისწრია, არადა, 19 წლის მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გახდი! დათუნა, ძირითადად, რას ან ვის უღებ ან რისი გადაღება გსიამოვნებს?**

— მთავარია, მაგარი კადრი დავიჭირო, რა მნიშვნელობა აქვს, ღონისძიებას გადავიღებ თუ ბუნებას?! ხშირად ვმოგზაურობ საქართველოში — ხან ვარძიაში ვარ, ხან მცხეთაში ან კიდევ სადმე, აეროპორტთანაც ვთანამშრომლობ, ჯომარდობაზეც ხშირად მიწვევენ. ასე რომ, არცთუ ბევრი თავისუფალი დრო მაქვს... გადაღება ბავშვობიდან მიყვარდა, ვიდეოკამერითაც ხშირად ვიღებდი. მერე, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, დედაჩემის თხოვნით შევედი „ჯიპას“ ფოტოჟურნალისტიკის კურსებზე. დედაც მშვენიერ ფოტოებს იღებს, მაგრამ მხოლოდ მოყვარულია, ალბათ ამიტომ მოისურვა, რომ მაინც შემეცნავლა ეს საქმე პროფესიულად. თავიდან დიდად არ მეხალისებოდა, მაგრამ ნელ-ნელა ძალიან დავინტერესდი. სხვათა შორის, სპორტსმენიც ვარ — ბავშვობიდან ფრენბურთის ვთამაშობ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ვიყავი. კარგი მონაცემი მქონდა და ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა ინდივიდუალურადაც კი მავარჯიშებდა. ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით გამოსვლა შემომთავაზეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვარჯიშისთვის დრო აღარ მრჩება... საერთოდ, ერთფეროვნება არ მიყვარს. ერთი საქმის დიდხანს კეთება იოლად მბეზრდება, ამიტომ მიირჩევნია,



დატვირთული ვიყო, ბევრი ვიმუშაო და ძალიან დავიღალე, ვიდრე მხოლოდ ერთ საქმეს ვმსახურებ.

— **რა არის შენთვის შეჩერებული წამი — ფოტოკადრი?**

— რალაც ამბავი, რომელსაც ერთი წამი იტევს. ზედიზედ შეიძლება, 7-8-ჯერ ჩავაჩხაკუნო აპარატი, მაგრამ მხოლოდ ერთი კადრი აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ამბის „მთხრობელი“. ერთი-ორჯერ საერთოდ ვერ დამიჭერია მომენტი, რისი ალბეჭდაც მინდოდა და ყველა კადრი წამიშლია.

— **ადამიანების გადაღება უფრო საინტერესოა შენთვის თუ პეიზაჟის?**

— ადამიანის, ცხოველის, ფრინველისა თუ ბუნების სურათის გადაღება ერთნაირად საინტერესოა, მთავარია, „ის წამი“ დაიჭირო. აი, ახლა, აპარატი რომ მქონდეს, სიამოვნებით გადავიღებდი შავ-თეთრ ფოტოს.

— **რა უცნაურია ფერადი სამოსი მაცვია და ფერადი კუბოკრული კეპი მასურავს, შენ კი შავ-თეთრი ფოტოს გადაღება მოგინდა...**

— საქმეც ეგაა: ამწუთას ასე დავინახე, რეტროს სტილში და ამ წამს შავ-თეთრად „შევჩერებდი“. ყოველთვის ფერად ფოტოს ვიღებ, მაგრამ ხშირად „ვაშავებთვებ“ — ფერად ფოტოზე მეტად, შავ-თეთრი მიყვარს. თითქოს სხვა გემო აქვს.

— **ძველი ფოტოების დათვა-**



შეიძლება, 7-8-ჯერ ჩავაჩხაკუნო აპარატი, მაგრამ მხოლოდ ერთი კადრი აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ამბის „მთხრობელი“



ადამიანის, ცხოველის, ფრინველისა თუ ბუნების სურათის გადაღება ერთნაირად საინტერესოა

ლიერება გიყვარს? ან შეგიდარებია იმ ფოტოებზე აღბეჭდილი ადამიანების გამომეტყველება ამ საუკუნის ადამიანების გამომეტყველებისთვის?

— ფოტოპორტრეტი ბევრ რამეს გეუბნება: კონკრეტული ადამიანის ხასიათსაც გიხსნის და იმ ეპოქის ბუნებასაც გამოხატავს სამოსით, დგომის მანერით, პოზით, გამოხედვით... პროფესიისა და მიუხედავად, ბევრნაირი ადამიანისთვის გადამიღია ფოტო: ხელოვანისთვის, პოლიტიკოსისთვის...

— პრეზიდენტისთვისაც?
— მე — არა, ჩემს აპარატს — კი (იციანის). ალბათ, ის დროც მოვა, პრეზიდენტს რომ გადავუღებ.

— ფოტოსესიის ჩატარება რთულია? ამ დროს ხომ შენ აძლევ ამოცანას მოდელს, ის კი ან გაიგებს, ან ვერა.

— იოლი ნამდვილად არ არის. ხანდახან ძალზე მოსაბუზრებელიცაა, მაგრამ საქმეა და უნდა გააკეთო. შენ ყოველთვის გეხალისება ინტერვიუს მომზადება? ასე ვარ მეც. მაგრამ ყოველთვის გეხალისება გადაღება ახალ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქეიფობს და ხალისობს, მე კი — ვმუშაობ. არადა, წესით, უნდა მეზარებოდეს, არა (იციანის)? მაგრამ ბევრი ბედნიერი სახის აღბეჭდვა ძალიან სასიამოვნოა. წელს, საახალწლოდ, მაგალითად, უსაყვარლეს ადამიანებს ვუღებდი: ჩემს ნათლიებს ფოტოხელოვან დავით კაკულიასა და პროდი-

უსერ თავო დოლაბერიძეს და მათ სამეგობროს. ჩემმა ლექტორმა გამაცნო დათო, დათომ კი — თავო. მაშინ გრიგორიანელი ვიყავი. მართლმადიდებლურადაც ამ ადამიანებმა მომნათლეს და საქმიანობაშიც ძალიან მეხმარებიან. ჩემს წარმატებაშიც სწორედ დათოს და თავოს მიუძღვით დიდი წვლილი.

— პაპარაცული ფოტოები გადაგიღია და სადმე დავიბეჭდავს?

— არა. რატომ უნდა გაავანარო ვინმე, არ მესმის... თუმცა ერთ ფოტოში თუ ვინმე მილიონს შემომთავაზებს, ეგებ გადავიღო კიდევ, ოღონდ ობიექტი სრულიად უცნობი უნდა იყოს (იციანის). ისე კი, მაინც არ მესმის, რატომ უნდა ვუბოროტო ვინმეს!

— მოსაბუზრებელი და იძულებითი გადაღება ფოტოების ხარისხს ეტყობა?

— უკვე ისე მაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი გადაღება, ხარისხს არასდროს დაეტყობა: ლამის თვალდახუჭული ვიღებ და თანაც კარგ ფოტოს.

— კარგი რამ თქვა: თვალდახუჭული ვის ან რას გადაუღებდი ფოტოს, როგორ კადრს აღბეჭდავდი, ისე რომ შედეგის ნახვით დიდი სიამოვნება მიგელო?

— (ჩაფიქრდა) დედაჩემს — სედას. არადა, საშინლად არ უყვარს, მას რომ უღებენ. ჩემი უძვირფასესი ადამიანი სწორედ დედაა და ამქვეყნად რა უნდა მთხოვოს, რომ არ შევუსრულო. საერთოდ, ჩვენს ოჯახში თითქმის ყველა ხელოვანი ვართ: დედა მოყვარუ-

ლი ფოტოგრაფია და პროფესიონალი „მანიკიურმა“, უფროსი ძმა — გენა 22 წლისაა და ფოტოების გადაღება მასაც ძალიან უყვარს, პროფესიით კი მზარეულია, არაჩვეულებრივ კრძებს ამზადებს. მაგრამ შინ ძალიან „ზარმაცობს“ და დიდი ხვეწნა-მუდარა სჭირდება, რამე რომ მოგვიმზადოს. აი, მამა კი, მიზა პროზაული საქმითაა დაკავებული — გაყიდვების მენეჯერია და დისტრიბუციონში მუშაობს, თუმცა არქიტექტურის



მთავარია, „ის წამი“ დაიჭირო



ლამის თვალდახუჭული ვიღებ და თანაც კარგ ფოტოს

ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.

— შეყვარებული გყავს?

— შეყვარებული?... (უარის თქმას აპირებდა, მაგრამ გამომეტყველებამ გაყიდა და თავის დაქნევით დამიდასტურა. — ავტ.).

— არ გითქვამს იმ გოგონასთვის?

— კი, იცის, მაგრამ რალაც პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი (ილიმის). თუმცა ცოლის შერთვას 25 წლამდე არ ვაპირებ, ასე რომ, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

— ფოტოგამოფენა გქონდა?

— ჯერ არა. მინდა, მრავალფეროვანი გამოფენა მქონდეს, ამიტომ არ ვჭქარობ. ვფიქრობ, ჯერ საქართველოში მოვანყო, მერე — საზღვარგარეთ. იმედი მაქვს, გამოფენაზე მენვევი.



„მათი მუსიკა არქეოლოგიას ჰგავს — იმ ეპოხენ და პოპულოზენ, სადას ბეპრმა არს კი ისის, რა ხდებოა...“

საქართველოში არაერთი როკჯგუფი არსებობს, თუმცა საზოგადოებამ ცოტა თუ იცის მათ შესახებ... ალტერნატიული მუსიკით მეც იშვიათად ვინტერესდები, მაგრამ როცა ჯგუფ „ელსინორის“ მიერ შესრულებულ, იმპროვიზებულ კომპოზიციას მოვუსმინე, რომელიც ბიჭებმა ჩემთვის დაუკრეს, აღფრთოვანება ვერ დავფარე. თურმე დაკვრისას შესაძლოა, ორლანოს ან პიანინოს სადგამმა ადგილი შეიცვალოს, ამასთან, ვირტუოზობა პიანისტმა ფეხითაც კი შეძლოს მასზე დაკვრა. საუბარი ფროიდსა და ფილოსოფიაზე დავენიწყეთ და ჯგუფის ამბავზე გადავედით. ნიჭიერ მუსიკოსებს ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვთ და ალბათ მალე მათ შემოქმედებას საზოგადოების დიდი ნაწილიც გაეცნობა...

ელენე ბასილიძე

დათო ზუზიაშვილი, „ელსინორის“ ვოკალისტი:

— სიმღერა 23 წლის ასაკში დავიწყე. მესამე წელია, რაც ვმღერი. იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი ვარ, მაგრამ საკუთარი პროფესიით არასოდეს მიმუშავია. სიმართლე გითხრათ, არც მაქვს სურვილი. სიმღერის ტექსტებსა და ლექსებს 17 წლიდან ვწერ. ადრევე მივხვდი, რომ ჩემი საქმე სწორედ მუსიკის შექმნა იყო. თავდაპირველად ბენდში — „ნიკოტინი“ დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავდი. ამ ბენდის დაშლის შემდეგ „ელსინორი“ შევექმენით. უკვე მესამე წელია, ერთად ვმუშაობთ. თავიდან ბენდში სხვა ვოკალისტი გვყავდა, მაგრამ მივხვდი, რომ ხშირად სხვა ადამიანი იმ ემოციასა და მუხტს ვერ გამოხატავს, რაც ტექსტის წერისას შენ გქონდა ჩაფიქრებული. ამიტომაც გადავწყვიტე, სიმღერა თავად შემსრულებინა და ძალაუწიებურად, ვოკალზე გადავერთე. ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ. სიახლეების არ გვეშინია. როცა გუნდი ყალიბდებოდა, სახელიცა და მიმართულებაც განსხვავებული ავირჩიეთ.

— **რატომ დაირქვით „ელსინორი“?**

— სახელი ინგმარ ბერგმანის ფილმიდან ავიღეთ. ფილმის მონაწილეები, რომელთაც სიკვდილი ფეხდაფეხ დასდევს, ცდილობენ, ელსინორამდე მიაღწიონ, სადაც გადარჩებიან... თავად ბერგმანმა კი ეს სახელი შექსპირის „ჰამლეტიდან“ აიღო. დღეს ჩვენს ბენდში 4 წევრია: დიტო დეკანოსიძე — დრამერი, ბექა ინაური



ძირითადად, მე ვწერ, თუმცა თავისი წვლილი ყველას შეაქვს. უკვე 150 სიმღერა გვაქვს,

— გიტარისტი, ბესო ცაავა — „კლავიში“ და „ბასი“. თავიდანვე უარი ვთქვით „ბასისტზე“; დღეს ბესო ცალი ხელით პიანინოსა და ორგანოს, მეორით კი — „ბასის“ პარტიას უკრავს. ჩვენი ჯგუფი ექსპერიმენტულია, ამიტომ შევეცადეთ, ბუნებრივ ნიჭზე დაყრდნობილი ყოფილიყო...

— **და ექსპერიმენტმა გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია...**

— კი, მაგრამ გვინდა, საერთაშორისო დონეზე გავიდეთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. როკმუსიკაში ყველაზე დიდი დატვირთვა იდეაზე მოდის. გვინდა, ჩვენი მუსიკა მსმენელამდე კარგად მივიტანოთ. დღეს ადამიანებს ისეთი

ყოფითი პრობლემები აწუხებთ, შეიძლება, ჩვენი მუსიკისთვის სულაც არ სცხელოდეთ, მაგრამ მთავარია, ჩვენი ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ.

— **სიმღერებს თავად წერთ?**

— დიახ, ძირითადად, მე ვწერ, თუმცა თავისი წვლილი ყველას შეაქვს. უკვე 150 სიმღერა გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, სტუდიურად ჩანწერილი — მხოლოდ ორი. ინტერნეტში რამდენიმე ჩანაწერი გვაქვს დადებული, მაგრამ ეს ძირითადად, სადემონსტრაციო ვერსიებია. სტუდიაში ხანგრძლივი მუშაობა გვჭირდება და ჩვენი მეგობარი — ჯაბა, რომელსაც საკუთარი სტუდია აქვს, ძალიან გვეხმარება. სხვათა შორის, ამას წინათ, შვედეთიდან გვთხოვეს, ჩვენი სიმღერების ჩანაწერები მიგვეწოდებინა, მაგრამ თავი შევიკავეთ — საქართველოში ჩანწერილი სიმღერის გაგზავნა ვერ გავბედეთ...

— **როგორც ვიცო, თვის ბოლოს როკფესტივალზე ხართ მინწეული...**

— კი, „თეატრში ათონელზე“ გამართება რამდენიმედიანი ფესტივალი, რომელიც ჯგუფ „სანდას“ ინიციატივით ტარდება. მათი ინტერესია, რომ როკის ჟანრში მომუშავე ახალგაზრდა, „ანდერგრაუნდში“ მყოფი შემსრულებლები გააცნოს საზოგადოებას. ამ ფესტივალს აღმოსავლეთ ევროპის არაერთი პროდიუსერი დაესწრება. დიდი შანსია, რომ ბევრი ჯგუფი მოეწონოს...

— **როგორც ვიცო, ბევრ კონცერტში მონაწილეობაზე უარს ამბობთ...**

— კი, ბევრ კონცერტზე გამოვსულვართ და გვიმღერია, მაგრამ 2 წლის წინ, აგვისტოს ომი ახალი დასრულებული იყო და, ერთ-ერთი კონცერტის ბანერზე ვილაც „ჭკვიანს“ Stop, Russia! მიუწერია. რეალურად, ამ კონცერტის ორგანიზატორებს, ბოდიში და, სულ არ აინტერესებდათ ომში დაღუპული ბიჭები და ათასობით დევნილი ადამიანი; ომის თემით მანიპულირებდნენ, ფულის შოვნა უნდოდათ და ამიტომაც, პრინციპის გამო ვთქვით უარი ამ კონცერტ-



ში მონანილეობაზე! ასე მოხდა კიდევ სხვა კონცერტებთან დაკავშირებითაც... 60-70-იან წლებში როკ-მუსიკამ გაათავისუფლა საზოგადოება, როკმუსიკის მსმენელები ფაქტობრივად, ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდნენ. როცა როკმუსიკოსს ირქმევ, ამით დიდ პასუხისმგებლობას იღებ: უსამართლობისა და ბევრი უკულმართობის მიმართ პროტესტის გრძობა უნდა გქონდეს



როცა როკმუსიკოსს ირქმევ, ამით დიდ პასუხისმგებლობას იღებ: უსამართლობისა და ბევრი უკულმართობის მიმართ პროტესტის გრძობა უნდა გქონდეს

— თქვენს ერთ-ერთ სიმღერაზე გადაღებული კლიპი ტელევიზიითაც გადიოდა...

— სიმღერას — Like a Robin Hood ერქვა. ამ ტელევიზიის გარდა, სხვაგანაც ტრიალებს კლიპები, მაგრამ იქ ისეთი მოთხოვნებია, რომელსაც ჩვენ არ და ვერ დავაკმაყოფილებთ: სიმღერის „დატრიალებისთვის“ ფულის გადახდა არ გვიღირს. ამ სიმღერამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩვენ რობინ ჰუდი უსამართლობასთან ბრძოლის სიმბოლოდ წარმოვაჩინეთ, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც რობინ ჰუდი იყო, უსამართლობასთან ბრძოლა რომ შეძლო. არადა, ჩვენი გმირი, როგორც ისტორიის ნაწილი კი არა, არამედ როგორც მულტფილმის პერსონაჟი, ისე აღიქმეს. ზოგისთვის რობინ ჰუდი — ის „ჩულქებიანი ტიპია“, რომელიც მულტფილმში „შრეკი“ „იჩითება“ (იციინიან). სულ აიგდეს იდეა, მაგრამ არა უშავს...

— სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— გეგმები რამდენჯერაც „დავალაგეთ“, იმდენჯერ ყველაფერი აგვურია. ოკეანეში მცურავი ზვიგენებივით ვართ, დინებას მივყვებით, მაგრამ თუ რაიმე საინტერესო გამოჩნდა, მაშინვე მტაცებლებივით დავეტაკებით ხოლმე (ილიმის). ჩვენი სამომავლო გეგმები — მუსიკის კეთება და საკუთარი ხელოვნების დახვეწა. მხოლოდ საუბრით კი არა, ჩვენი მუსიკით გვინდა, საზოგადოებას თავი გავაცნოთ. მუშაობაში ვართ ჩაფლულები და იმედია, ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებს.

— ჯაბა, შეიძლება ითქვას, რომ ბიჭების პროდიუსერის ფუნქციასაც ითავსებ...

ჯაბა გურდული, ხმის ჩამწერი სტუდიის — Fresh Fish Records დამფუძნებელი:

— ბიჭებს დიდი ხანია, ვიცნობ.

60-70-იანი წლების მუსიკას უკრავენ და ხშირად ისეთ რალაცას „აცოცხლებენ“, რაც მუსიკალურმა სამყარომ არაფრით არ უნდა დაივიწყოს. ერთად ვვითარდებით და ერთმანეთს ხელს ვუწყობთ. რაც შეეხება პროდიუსერობას, ეს ცოტა თამამი ნათქვამია: უბრალოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ ვეხმარები.

— როგორც ვიცი, ალტერნატიული მუსიკა ძირითადად, შენს სტუდიაში იქმნება...

— მართალია. მაგრამ ისეთი ურთიერთობა, როგორც ამ ბიჭებთან მაქვს, არც ერთ სხვა შემსრულებელთან არ მაკავშირებს. ყველაფერი ფინანსებთან ხომ არ უნდა დავაკავშიროთ! დღეს ჩვენს სფეროში იშვიათად თუ კეთდება ფული. ამას წინათ, ბიჭები ამბობდნენ, — ეს სფერო თუ ძალიან არ გიყვარს, ფულის ჩადება არც ღირს, ჯობს, საშაურზე გახსნაო... „ელსინორის“ ბიჭები სუფთა მუსიკალური თვალსაზრისით ისეთ მუსიკას ქმნიან, რომელიც საჭირობოროტო იდეებს ეხება: საკუთარი თავის გამოხატვის, პროტესტის... გულწრფელად მინდა, ბიჭებს წარმატებები ვუსურვო. მათი მუსიკა არქეოლოგიას ჰგავს — იქ ეძებენ და პოულობენ, სადაც ბევრმა არც კი იცის, რა ხდება!..

ისტორიულ-ზემეცნებითი ჟურნალი

მარტის ნომერი

ისტორიული-ზემეცნებითი ჟურნალი №5, 2011, თბილისი, 48 გვერდი 2 ლარი

ისტორიანი

„ქაჩოვანი“ ქაჩი

ქაჩოვანი შინდელი მიხაილ ხელი

საქმეცნებითი „სიან(ჰ)მასიხის“ სათავეებთან

მთავარი რედაქტორი **ჯაბა საგუშია**



მეოცე საუკუნის ულამაზეს შავკრემან ქალთა ათეული

უხსოვარი დროიდან რატომღაც მიაჩნიათ, რომ შავი ფერი ბოროტებას ემსახურება, თეთრი — სიკეთეს; რომ შავი ცუდია, თეთრი — კარგი, შავი — ცოდვის სიმბოლოა, თეთრი კი — სინამდის... მაგრამ შავი ფერი ხომ ძალზე ლამაზია! ამის დასადასტურებლად, გასული საუკუნის ულამაზეს შავკრემან ქალთა რეიტინგს გთავაზობთ.



ოდრი ჰეპბერნი

მინიატიურული და დახვეწილი ქალბატონი — ოდრი ჰეპბერნი ფილმების — „ვახშამი ტიფანისთან“ და „საბრინა“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ სტილის განსახიერებად და ახალ ესთეტიკურ ფასეულობათა დამკვიდრების სიმბოლოდ იქცა. თუ მანამდე გარეგნულ სილამაზეზე დაფუძნებულ, ზედმინეწით ქალურ ნატურას აფასებდნენ, უნაზესმა, ნატიფმა ოდრიმ ყველაფრის შეცვლა შეძლო და ინტელექ-

ტუალურობა, მდიდარი სულიერი სამყარო წამოსწია წინა პლანზე.

ელიზაბეტ ტეილორი

უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ჰოლივუდის იმპერატრიცად“ წოდებულ ელიზაბეტ ტეილორს ბადალი არ მოეძებნება და მართლაც, ფილმების — „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“ და „კატა გახურებულ სახურავზე“ ხილვის შემდგომ შეუძლებელია, ამ აზრს არ დაეთანხმო... მამაკაცები — ელიზაბეტს, თავად კი — მამაკაცებს აღმერთებდა და ამას ვარსკვლავის 8 ქორწინებაც ადასტურებს.

ვივიენ ლი

ეს საოცარი მსახიობი გარეგნულად ფაქიზი, მაგრამ სულით ძლიერი ქალების როლებს თამაშობდა. სწორედ ასეთები იყვნენ მისი გმირები — სკარლეთ ო'ჰარა ფილმში „ქარნაღებულნი“ და ბლანშ დიუბუა სურათში „ტრამპაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“. ვივიენ ლი მთელი ცხოვრება მძიმე სენს ებრძოდა და ალბათ სწორედ ამიტომ განასახიერებდა წარმატებით მამაც ქალებს.

კეტრინ ჰეპბერნი

მტკიცე ნებისყოფის ამ ქალბატონს ფემინისტები დღემდე საუკუნის



საუკეთესო მსახიობ ქალად მიიჩნევენ და მართლაც, კეტრინ ჰეპბერნის სამსახიობო კარიერა გარკვეული თვალსაზრისით, რევოლუციური იყო. მან იმის დამტკიცება შეძლო, რომ 40 წლის შესრულების შემდეგ სულაც არ არის აუცილებელი, ქალი სახლში ჩაიკეტოს და თავისი სილამაზისა და ახალგაზრდობის ჭკნობის პროცესი ყველას დაუმალოს. კეტრინ ჰეპბერნმა საუკეთესო როლები სწორედ ამ ასაკის შემდეგ ითამაშა და ეკრანზე შესანიშნავადაც გამოიყურებოდა.

ჯინა ლოლობრიჯიდა

მომაჯადოებელი იტალიელი მსახიობი ქალი XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე ქალური სილამაზის სიმბოლოდ გადაიქცა. მისი უმთავრესი იარაღი — იშვიათი სილამაზე, მჩქეფარე სექსუალურობა და ტემპერამენტი იყო. სხვათა შორის,





პენელოპას სახელი უკვე მშვენიერების მოყვარულმა ნებისმიერმა ადამიანმა იცოდა. სახის უჩვეულო ნაკვთებმა, შესანიშნავმა თმამ და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მკვიდრთათვის დამახასიათებელმა ვნებიანობამ მსახიობს მსოფლიო პოპულარობა მოუტანა.

სალმა ჰაიეკი

კარგა ხანს მიაჩნდათ, რომ სალმა ჰაიეკი ყველაზე უკეთ, ვამპირებისა და სასონარკვეთილ მუსიკოსთა მეგობარი გოგონების როლებს თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მექსიკელმა ვარსკვლავმა ფრიდა კალოს როლში, საოცარი სულიერი სიღრმე და რთული ხასიათი წარმოაჩინა, კრიტიკოსებმა თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარეს. სალმას ნაამბობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ბავშვობაში მხოლოდ ლამაზ მკერდზე ოცნებობდა და მართლაც, მისი ფიგურა იმის დადასტურებაა, რომ ბავშვობის სანუკვარი ოცნება შესაძლებელია ახდეს...

იტალიური ეკრანის ქალღმერთის ტემპერამენტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სამსახიობო კარიერის დასრულების შემდგომ ჯინა ლოლობრიჯიდა პოლიტიკაში ჩაება.

ჟაკლინ კენედი

მომხიბვლელი არისტოკრატი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის ყველაზე ახალგაზრდა პირველი ლედი და ამერიკაში ყველაზე პოპულარული ქალი გახდა. პრეზიდენტ კენედის მკვლელის შემდეგ ჟაკლინი ბიზნესის „მეგობრეს“ — არისტოტელე ონასისს გაჰყვა ცოლად, ამით მთელი ამერიკა ააღაპარა. მისი მთავარი ღირსებაც ხომ ეს იყო — სახელოვანი ქმრების გვერდით ჟაკლინი მუდამ თავისი ქარიზმატულობით ელავდა.

პენელოპა კრუსი

პენელოპა კრუსი თავდაპირველად, მხოლოდ ევროპული კინოს ვარსკვლავი იყო. მაგრამ ჰოლივუდში მისი მსგავსი ქალების ფასი კარგად იციან და აი, ძველ კონტინენტზე მიღწეული წარმატებიდან მცირე ხანში



კეტრინ ზეტა-ჯონსი

„ჰოლივუდელი შაჰრზადი“ — კეტრინ ზეტა-ჯონსი კალიფორნიის ბორცვების მკვიდრთა შორის ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც სალმა ჰაიეკთან და პენელოპა კრუსთან ერთად, ქერათმიან ქალ-



მონიკა ბელუჩი

მოდელი, მსახიობი, „ქალღმერთი“... გასული საუკუნის 90-იან წლებში გამხდარი, ბრტყელმკერდიანი, რალაციტ ბიჭების მსგავსი, არასექსუალური ქალები იყო მოდაში და ქალური მომხიბვლელობის მთავარი კომპონენტები — ლამაზი მკერდი, განიერი თეძოები, მხრებზე ჩამოშლილი თმა, დაბინდული მზერა მოდის კვარცხლბეკზე სწორედ უმბრიელმა ლამაზმანმა დააბრუნა.

თა სრული გამარჯვების ეპოქაში, შავგვრემან მზეთუნახავთა დროშა ამაყად ააფრიალა და თუ პენელოპა და სალმა ლათინური ამერიკის მკვიდრთათვის დამახასიათებელი ვნებიანობითა და იმპულსურობით გამოირჩევიან, ჭეშმარიტ ბრიტანელს, ოდნავ ცივ კეტრინ ზეტა-ჯონსს ემოციების გაკონტროლება შეუძლია და სწორედ ამით არის განსაკუთრებულად მომხიბვლელი.

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

ოსმალური ღესანის გადმოსვლა აფხაზეთში (1918 წ.)

მისილ ლაბაქა

1918 წლის 3 მარტს, იმხანად გერმანული საიმპერატორო არმიის მიერ ოკუპირებულ ბრესტ-ლიტოვსკის ციხე-ქაზარეში (თანამედროვე ქ. ბრესტ, ბელორუსია) ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ — გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება დასრულდა. ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთმა, ფაქტობრივად, თავი დამარცხებულად აღიარა და I მოფლიო ომსაც გამოეყენა. ბრესტ-ლიტოვსკის 14 პუნქტის შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი ამიერდან უკრაინაზე, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთზე, გერმანიის სასარგებლოდ უნდა ამბობდა, ხოლო კავკასიაში ოსმალეთს გადასცემდა ბათუმისა და ყარსის ოლქებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოლაპარაკებაზე ქართული დელეგაცია წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად ქართული მიზნების გასწავსება არავის გაუშროტესტებია. ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო შეთანხმების რატიფიკაცია სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო სესიამ იმავე წლის 15 მარტს მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების დადებამდე — 1918 წლის 1-ელ (14) იანვარს ოსმალეთის არმიის მე-3 კავკასიური არმიის სარდალმა, გენერალმა მეჰმედ ვეჰიბ-ფაშამ, სამხედრო მინისტრ ენვერ-ფაშას საგანგებო რწმუნებით, ტფილისში ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატს (ენ. „ოზაკომს“), რომელიც რუსეთის დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა, გაუგზავნა წერილი, სადაც კერძოდ, ნათქვამი იყო: „მის აღმატებულებას ენვერ-ფაშას სურს გაიგოს, რა გზით შეიძლება დამოკიდებულება აღდგეს დამოუკიდებელ კავკასიურ მთავრობასთან და რა წინადადებები აქვს კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას ორივე მხარეს შორის მშვიდობიანობის აღდგენის მიზნით“. ვეჰიბ-ფაშას წერილმა ტფილისში დიდი შეშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია; კომისარიატის მესვეურებმა ორი კვირა იმსჯელეს, მაგრამ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა ვერაფრით მოხერხდა. საბოლოოდ, ოსმალებს მეტისმეტად ბუნდოვანი პასუხი გასცეს — ჩვენი გადაწყვეტილებები რუსეთის დროებით მთავრობასთან უნდა შევთანხმდეთ. ამასობაში, რუსეთში ოქტომბრის ბოლშევიკური



აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, თავადი გაგამ მარშანია

გადატრიალება მოხდა და დროებით მთავრობამ არსებობა შეწყვიტა. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები 1-ელ მარტს განახლდა და ვეჰიბ-ფაშამ მასში მონაწილეობა კომისარიატის სამართლებრივ მემკვიდრეს — ამიერკავკასიის სეიმს შესთავაზა.

ოსმალეთი იმხანად, არა მარტო ყარსსა და ბათუმზე, არამედ მთელ კავკასიაზეც აცხადებდა პრეტენზიას. რეგიონის კვლავაც რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა სტამბოლში კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნდა და ამიერკავკასიის კომისარიატისგანაც სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას: „ძალიან გვსურს, მივიღოთ მყარი გარანტია იმისა, რომ კავკასიაში რუსეთი აღარასოდეს დაბრუნდება“, — სწერდა ოსმალეთის იმჟამინდელი სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა გერმანულ გენერალ ფრიდრიხ ფონ კრესენშტაინს, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიაში გერმანულ სამხედრო მისიას ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალეთში არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ჩრდილოკავკასიური დიასპორა, რომლის წარმომადგენლებს — 1864-1878 წლებში კავკასიიდან გადმოხვენილ მუჰაჯირებს — სამშობლოში დარჩენილ თანამემამულეებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. ოსმალეთის მესვეურები რუსეთისაგან გამოყოფის მოსურნე ჩრდილოკავკასიელებს ოფიციალურად უჭერდნენ მხარს და მათთან სწორედ მუჰაჯირთა მეშვეობით ურთიერთობდნენ. მუ-

ჰაჯირებს შორის, სხვა კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთშიც ბლომად იყვნენ, რომელთაც თავადი ჯამალ-ბეი მარშანია (ამარშანი) მეთაურობდა. დაუზუსტებელი ცნობებით, ის ნებელდის მფლობელის, 1867 წელს ოსმალეთში გადასახლებული კვაჯ მარშანიას შვილი იყო და, როგორც თავადვე ხშირად ამბობდა, რუსებთან დიდი ხნის ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. აფხაზი მუჰაჯირების სხვა მესვეურთაგან გამოირჩეოდნენ ოსმალური არმიის ოფიცრები — სულეიმან ბგანბა და მეჰმეთ-ბეი მარლანია, აგრეთვე — პროფესორი მუსტაფა ბუთბა, რომელმაც 1918 წელს, ლათინური გრაფიკის საფუძველზე, აფხაზური ანბანი შეადგინა. ეს ხალხი მიიჩნევდა, რომ აფხაზეთს საქართველოსთან კავშირი უნდა გაენწყვიტა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შესულიყო.

1918 წლის თებერვალში, როცა საგანგებო კომისარიატმა მთელი უფლებამოსილება ამიერკავკასიის სეიმს გადაბარა, ამ უკანასკნელის მესვეურთა მიმართ გენერალ ვეჰიბ-ფაშას შეთავაზება — ბრესტ-ლიტოვსკის დელეგაცია გამოგზავნეთ — სასაცილოდაც კი ჟღერდა, ვინაიდან ჯერ ერთი, კავკასიის მომავალთან დაკავშირებით, როგორც უკვე ითქვა, ოსმალეთს თავისი გეგმები ჰქონდა და, მეორეც — ყოფილი ტრაპიზონის ფრონტის მიმართულებით ოსმალური არმია შეტევას კვლავ აგრძელებდა. ამგვარ ფონზე, სეიმი, რომელიც რუსეთში მომხდარ საბჭოთა გადატრიალებას არ ცნობდა და შესაბამისად, ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებასაც აბსოლუტურად უკანონოდ მიიჩნევდა, ოსმალეთთან სეპარატულ მოლაპარაკებაზე დათანხმდა. 1918 წლის 14 მარტს, ტრაპიზონში გაიმართა სამშვიდობო კონფერენცია, რო-



მელესანტე მუჰაჯირების მეთაური, თავადი ჯამალ-ბეი მარშანია (მის მარჯვნივ) ოსმალთა ოფიცრებთან ერთად



მელზეც ენვერ-ფაშამ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციას ალუთქვა, რომ ოსმალეთი რეგიონში სამუდამოდ დათმობდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელზეც მანამდე გარკვეული პრეტენზია ჰქონდა, სანაცვლოდ კი ამიერკავკასიის სეიმს ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება უნდა ეცნო; ასევე, რასაკვირველია, ბათუმისა და ყარსის ოლქების ოსმალეთისადმი გადაცემას დათანხმებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაური — აკაკი ჩხენკელი ენვერ-ფაშას შემოთავაზებას კი დათანხმდა, მაგრამ როდესაც საკუთარი გადამწყვეტილება ტფილისს აცნობა, გამოირკვა, რომ დედაქალაქში ბათუმისა და ყარსის ოლქთა დათმობაზე საუბარიც კი არ სურდათ. ასე რომ, 1918 წლის 30 მარტს, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. ოსმალეთის არმიამ აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევა მეორე დღესვე განაახლა და 1-ელ (14) აპრილს ქ. ბათუმში დაიკავა.

ყოველივე ამის შემდგომ, სტამბოლის მესვეურებმა ეტაპობრივად, ენ. „კავკასიური გეგმების“ განხორციელებას მიჰყვეს ხელი: უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ემისრები გაგზავნეს ჩრდილო კავკასიაში, სადაც დამოუკიდებლობის მომხრეებს, ბოლშევიკებსა და მეფის რუსეთის აღდგენის მოსურნე „თეთრ მოძრაობას“ შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. სიტუაცია ასევე ძალზე დაძაბული იყო აფხაზეთშიც — იქ ერთმანეთს ბოლშევიკები და თავდაზნაურები უპირისპირდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ხსენებული დაპირისპირება ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებიდან მოყოლებული და ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის დროსაც მიმდინარეობდა.

აფხაზმა ბოლშევიკებმა, ეფრემ ემბასა და ნესტორ ლაკობას მეთაურობით, ამიერკავკასიის სეიმსა და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის არსებული უთანხმოებით ისარგებლეს და სოხუმის ოლქის გუდაუთის მახრამში 1918 წლის მარტის დასაწყისში, მინის რეფორმის არასწორად გატარების საბაბით, ადგილობრივი გლეხები ააჯანყეს. 26 მარტს ბოლშევიკებმა ქალაქი სოხუმიც კი დაიკავეს, მთელ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ საგანგებო დადგენილებაც მიიღეს. იმავე დროულად, ბოლშევიკები ირწმუნებოდნენ, რომ შემდგომში თვით ამიერკავკასიის სეიმის დამხობაც ჰქონდათ განზრახული.

სოხუმის ოლქს (აფხაზეთს) იმხანად, ამიერკავკასიის სეიმისადმი (ფაქტობრივად — საქართველოსადმი) დაქვემდებარებული, აფხაზეთის სახალხო საბჭო მართავდა. მის მესვეურთა შორის იყვნენ

როგორც პროქართულად, ისე პროოსმალურად განწყობილი პირებიც; თუმცა გუდაუთაში ბოლშევიკური ამბოხის დანაშაულისთანავე, საბჭოს ყველა წევრმა ერთსულვნად მიიღო გადამწყვეტილება იმის თაობაზე, რომ უნესრიგობის აღმოფხვრა სეიმისთვის ეთხოვა. სწორედ აფხაზთა მიმართვის საფუძველზე, ტფილისში საჭიროდ მიიჩნიეს, სოხუმის ოლქში სახალხო გვარდიის ნაწილები გაეგზავნათ, რომელთაც სოხუმის მკვიდრი, ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა.

ამ ყველაფრის პარალელურად, ოსმალთაგან ოკუპირებულ ბათუმში ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება ხელახლა დაიწყო. ამიერკავკასიის დელეგაციას, რომელსაც კვლავაც აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა, ამჯერად ტფილისთან ყველა საკითხი წინასწარ შეთანხმებული ჰქონდა; ჩხენკელი თანახმა იყო, რომ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების პირობები ეცნო და მოლაპარაკებაც მათზე დაყრდნობით გაეგრძელებინა, მაგრამ ოსმალები ამას უკვე აღარ სჯერდებოდნენ, — ამიერკავკასიასთან იმდენად დიდი ტერი-

განაცხადეს, რომ ისინი ჩრდილოკავკასიელ მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას



ქართული არმიის შემადგენლობაში მებრძოლი ყუბანელი კაზაკები

მოითხოვდნენ. ეს განცხადება ოსმალების მიერ იყო ინსპირირებული, რადგან მთიელთა რესპუბლიკამ სწორედ მათი მხარდაჭერით, ბათუმის მოლაპარაკებათა დანაშაულის დღეს — 11 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა; აფხაზეთში, საქართველოს სახალხო გვარდია კი ისევ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა.

1918 წლის 16 მაისს სახალხო გვარდია მდინარე კოდორს მიადგა. ვალიკო ჯუღელმა ბოლშევიკებს, საღამოს 5 საათამდე იარაღის დაყრის მოთხოვნით, ულტიმატუმი წაუყენა. გვარდიის ნაწილებს საარტილერიო ცეცხლით უპასუხეს. გვარდიელებმა, გააფთრებული ბრძოლის შედეგად, კოდორის ხიდიც დაიკავეს და მტერსაც უკან დაახევინეს. „ხელში ჩავიგდეთ 10 ზარბაზანი, 7 ტყვიამფრქვევი და მრავალი ტყვე“, — შეატყობინა ჯუღელმა დეკემბით ტფილისში სეიმს. მეორე დღეს — 17 მაისს ქართული სამხედრო ნაწილები სოხუმში შევიდნენ, რომლის მცხოვრებლებიც მათ ოვაციებით შეხვდნენ: „ბოლშევიკებს კიდევ დავატოვებინეთ 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდალი ვინტოვკები. გარდა ამისა, ჩვენმა სამხედრო გემმა გუდაუთასთან დააკავა ბოლშევიკთა ხომალდი“, — წერდა გაზეთი „ერთობა“ 1918 წლის 21 მაისს. რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოცხადდა.

1918 წლის 29 მაისს სოხუმიდან ტფილისში გამოგზავნილ საიდუმლო ანგარიშში ვალიკო ჯუღელი იტყობინებოდა, რომ მისმა ჯარისკაცებმა მდინარე კოდორის შესართავთან ახლომდებარე სოფლებში ოსმალეთიდან გადმოსული რამდენიმე მუჰაჯირი დააკავეს. ჯუღელ-



პოლკოვნიკი ვიორგი თუხარელი

ტორიული პრეტენზია ჰქონდათ, რომ მათივე მოკავშირე ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის წარმომადგენლებიც კი, აღშფოთებულ ვერ ფარავდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს: ამიერკავკასიის დელეგაციის ორმა აფხაზმა წევრმა — ს. ბასარიამ და მ. ბაგაფშმა მოულოდნელად



ლის თქმით, დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ისინი სადივერსიო ჯგუფის წევრები იყვნენ და აფხაზეთში პროოსმალური პროპაგანდა ევალებოდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანდო ისტორიული წყაროების ცნობით, სტამბოლის მესვეურები აფხაზეთში ჯარების შეყვანას ვერ კიდევ 1918 წლის მარტის დასაწყის-

კავალერისტების ასეულიც იცავდა.

ამგვარ ვითარებაში, აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1918 წლის 8-11 ივნისს სასწრაფოდ გააფორმა საქართველოს ცენტრალურ მთავრობასთან საგანგებო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის უფლებამოსილებებს განსაზღვრავდა. საინტერესოა, რომ ამ შეთანხმების მე-3 და მე-5 მუხლების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიის მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ტფილისს უნდა დაეფინანსებინა; მე-6 და მე-8 მუხლებით, აფხაზეთში საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი კანონები ვრცელდებოდა; ასევე, საგარეო-პოლიტიკური და თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხებიც, მე-4 მუხლის ძალით,

საბჭოს თავმჯდომარემ — ვარლამ შერვაშიძემ ეს მცდელობა დროზე აღკვეთა. მანვე, მუჰაჯირთა დესანტთან მოსალაპარაკებლად, სახალხო საბჭოს წევრები — დიმიტრი გულია, ვასილ ლურჯუა და ანდრო ჭოჭუა გაგზავნა.

რასაკვირველია, აფხაზეთში ოსმალური დესანტის გადმოსხმის თაობაზე მალე ტფილისშიც ყველაფერი შეიტყვეს. გამორიკვა, რომ დესანტის გადმოსხმას ოსმალთა მიერ ოკუპირებული ბათუმიდან ხელმძღვანელობდა თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, რომელიც ამავდროულად, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრიც გახლდათ. აფხაზეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას სისხლის სამართლის საქმე აღძრა. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ზემოთ ხსენებულმა სამმა წევრმა მუჰაჯირებთან მოლაპარაკება ვერაფრით შეძლო. ამასობაში, გენერალმა მანიაშვილმა სიტუაციის დასარეგულირებლად, კოდორის შესართავისკენ პოლკოვნიკ გიორგი თუხარელის ქვედანაყოფი გამოგზავნა, რომელსაც ქართული არმიის შემადგენლობაში მებრძოლი, ყუბანის უკრაინული რადას კაზაკების ერთი ასეულიც ახლდა. თუხარელმა კოდორის ორივე ნაპირზე მდებარე სოფლებში გამაგრებულ მუჰაჯირებს სასტიკად შეუტია და 1918 წლის ივლისის ბოლოს მათი წინააღმდეგობაც დაძლია. 15 აგვისტოს ღამით, მოქვის მონასტერთან ქართველ მეომრებსა და ოსმალურ დესანტს შორის გადამწყვეტი შეტაკება მოხდა. მუჰაჯირთა უმეტესობა ბრძოლისას განადგურდა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა. ეს ტყვეები, თუხარელის ბრძანებით, შემდგომში ფელუკებით ისევ უკან — ოსმალეთისაკენ გაგზავნეს. გარდა ამისა, ქართულმა არმიამ გამოავლინა და დააკავა დესანტის მომხრე ადგილობრივ მეამბოხეთა უმეტესობა, მათ შორის — თავადი ტატამ მარშანია, რომლის მშობლიურ სოფელ, ჯგერდაში კაზაკებმა მარშანიას გვარის 7-8 კომლს სახლები გადაუნწეს.



ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის წევრები. ცენტრში მის პრეზიდენტი, ჩეჩენი მილიონერი აბდულ-მეჯიდ (თაგა) ჩერმოყვი

ში, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციის პარალელურად გეგმავდნენ, მაგრამ ამის განხორციელებაში მათ, უნებურად, ეშა-ლაკობას ბოლშევიკურმა ამბოხმა შეუშალა ხელი — საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირებისა სულთნის კარზე ცეცხლივით ემინოდათ, რადგანაც ოსმალური არმიის რიგით ჯარისკაცებს შორის ბოლშევიკური იდეები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მოგვიანებით — 1918 წლის 10 მაისს ოსმალებმა კოდორის შესართავთან დივერსანტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი გადმოსხეს. მათ პროოსმალურ პროპაგანდასთან ერთად, მთიელებთან კავშირის დამყარებაც ევალებოდათ. ცხადია, ვერც ერთი დავალება ვეღარ შეასრულეს, რადგანაც ათიოდე დღეში თითქმის ყველა მათგანი ქართულმა გვარდამ დაატყვევა.

ტფილისში უნდა გადაჭრილიყო. სხვათა შორის, 8-11 ივნისის ხელშეკრულება სწორედ ეთნიკურ აფხაზთა უმრავლესობის მოთხოვნით დაიდო, რამდენადაც ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლისას მათ მხოლოდ საქართველოს იმედი ჰქონდათ. აქვე დაფიქრებთ იმასაც, რომ იმ დღეებში დაძაბული ვითარება სუფევდა საქართველოს სამხრეთშიც, სადაც ოსმალური არმია იყო შესული. ასე რომ, აფხაზებს ემინოდათ, ტფილისიდან ქართული არმია სამხრეთში არ გაეწვიათ და სოხუმი ბოლშევიკთა პირისპირ დაუტყველი არ დარჩენილიყო. ამიტომაც, როგორც ითქვა, ხელშეკრულება სასწრაფოდ გაფორმდა. მალე აფხაზეთის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად სახელგანთქმული ქართველი გენერალი, გიორგი მანიაშვილი დაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ ტფილისში ვალიკო ჯუღელის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე ჯეროვანი რეაგირება ვერც კი მოახწრეს — მოულოდნელად, დღუშეთში ბოლშევიკურმა ამბოხმა იფეთქა, ხოლო აფხაზეთში აჯანყებულებმა ჩრდილოკავკასიელ თანამოაზრეთ სთხოვეს დახმარება. ყუბანისა და შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკებიდან აფხაზეთში 2 ათასამდე მოხალისე ჩამოვიდა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შეუტია. ამ დროს ვალიკო ჯუღელი უკვე დღუშეთის მარაში იმყოფებოდა, ხოლო აფხაზეთში დარჩენილი ქართველი მეომრების რაოდენობა ორ ასეულს ოდნავ აღემატებოდა. აქვე დავფიქრებთ, რომ ქართველთა მხარდამხარ, აფხაზეთის დასახლებულ პუნქტებს ბოლშევიკთაგან აფხაზი

სწორედ მაშინ, როდესაც გენერალმა მანიაშვილმა აფხაზეთიდან მოკლე ხანში განდევნა ბოლშევიკები და სოჭიც კი აიღო, მდინარე კოდორის შესართავთან, 1918 წლის 27 ივნისს ოსმალეთმა ათასკაციანი დესანტი გადმოსხა. იგი თითქმის მთლიანად აფხაზი მუჰაჯირებისგან შედგებოდა და ჯამალ-ბეი მარშანია ედგა სათავეში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დესანტს, ნაპირზე გადმოსვლისთანავე, აფხაზეთის სახალხო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ჯამალ-ბეის ნათესავი, ტატამ მარშანიაც შეუერთდა, რომელიც სახალხო საბჭოში პროოსმალურ ფრაქციას მეთაურობდა. მათ აიყოლიეს აფხაზური მოსახლეობის ერთი ნაწილი და სამხედრო გადატრიალების მოწყობა სცადეს, მაგრამ ამაოდ — აფხაზეთის სახალხო

დესანტის გადმოსხდომის საქმესთან დაკავშირებით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ, თავადმა ვარლამ შერვაშიძემ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში საბჭოს წევრობის მანდატი ჩამოართვა ალექსანდრე შერვაშიძეს, ტატამ მარშანიას, ვეგუა კიუტსა და ოსმალებთან კავშირში მხილებულ კიდევ სხვა პირებს. მათ მაგივრად სხვა წევრები აირჩიეს; საბჭო, ხელახალი შემადგენლობით; მოქვის ბრძოლის შემდეგ, 16 აგვისტოს შეიკრიბა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დაადასტურა. ასე რომ, ოსმალური ავანტიურა წარუმატებლად დასრულდა.



რჩევები დიასახლისებს



ქერცლი გამჭვირვალე ლორწოთია დაფარული, თვალები კი არც უფერულია და არც ამღვრეული. თუ შიგნეულს დააწვებით, ღრმული ხელის ალებითანავე ამოივსება.

*კაკალი, მოგესხენებათ, ცხიმს შეიცავს, ამიტომ უმჯობესია საყინულეში შეინახოთ, რათა არ გამოშრეს და ნოყიერება არ დაკარგოს.

*საშხაპის კარი განმინდეთ ძმარში დასველებული ღრუბლით — კარზე ორთქლისა და წყლის ნალექი აღარ გაჩნდება.

*თუ სასწრაფოდ გჭირდებათ დაჭმუჭნილი პერანგის დაუთოება, მაგრამ უთო ხელთ არ გაქვთ, დაკიდეთ ის აბაზანის თავზე და მოუშვით ცხელი წყალი. აბაზანის კარი დახურეთ. რაც უფრო მეტხანს გააჩერებთ ტანისამოსს ორთქელში, მით უკეთესად გასწორდება მასზე ნაკეცები.

*ახალია თუ არა თევზი, შემდეგნაირად შეიტყობთ: ახალი თევზის

*თუ მუქი ფერის ტრიკოტაჟის ტანსაცმლის ზედაპირი აპრიალდა, ის ქაფქაფა ყავაში დასველებული უხეში ჯაგრისით უნდა განმინდოთ.

*მინის ან ბროლის ლარნაკი, რომელშიც დიდხანს ეწყობი ყვავილები, კარგავს ბზინვარებას და კედლებზე ნალექი და ნადები უჩნდება, რომელიც მარილებისგან არის წარმოქმნილი. ჩაასხით ლარნაკში ძმრისა და მარილის ხსნარი და ერთხანს გააჩერეთ.

როგორ შევინარჩუნოთ სახლში წესრიგი და სისუფთავე მინიმალური ძალისხმევით?

დაიცავით რამდენიმე წესი:

- დაყავით სახლი ზონებად.
- ყოველდღე მხოლოდ თითო ზონა დაალაგეთ. ამისთვის 15 წუთიც გეყოფათ.
- გადაყარეთ უსარგებლო ძველმანები.
- ყოველდღიურად, როგორც დაკავებულიც უნდა იყოთ, ბზინვარებაზე განმინდეთ სამზარეულოს ნიჟარა.
- მოაწყვეთ გენერალური დალაგება კვირაში ერთხელ.
- ნუ დაელოდებით სახლის მეტისმეტად გაჭუჭყიანებას.



სახლდახლო მაკიაჟი

თუ ძალზე მოუტყეველი ხართ და მოკლე დროში გინვით მაკიაჟის განახლება, გირჩევთ ჩვენ რეკომენდაციები გაითვალისწინოთ:

• ბამბიანი ჩხირით აკურატულად მოიცილეთ მაკიაჟის ზედმეტი ფენა, გააახლეთ თვალის ჩრდილი, ტუჩის კონტური გაიმკვეთრეთ და წაისვით პომადა. სახეზე კი მსუბუქად გადაისვით პუდრი.

• თუ შინ ხართ, სახე კოსმეტიკური რძით განმინდეთ, შეისხით ცივი წყალი, გადაისვით ყინულის ნატეხი — ეს სახეს ბუნებრივ ელფერს მიანიჭებს. შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ. კანი უკვე განმენდილია, დას-




ვენებული და მზადაა მაკიაჟის გასაახლებლად.

• ტონალური კრემი თანაბრად და ბუნებრივად გადანაწილდება სახესა და ყელზე, თუ მას სწრაფი მოძრაობით წაისვამთ. ცალკეული დეფექტები ისპეციალური ფანქრით დაფარეთ.

• თხევადი კონტური მხოლოდ თვალის ზედა ნაწილში წაისვით. გაიკეთეთ თხელი, აკურატული ხაზი.

• ყავისფერი ტუში მაკიაჟს გაცილებით ბუნებრივ ელფერს შესძენს.

• მქრქალი პომადა დახვეწილი მაკიაჟის საუკეთესო ფინალია. პომადა ფუნჯით წაისვით, რადგან გაცილებით თანაბრად განაწილდება, დიდხანს გაძლებს და კონტურსაც უკეთ გამოკვეთს.



• ფრჩხილებზე ლაქის წასმა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. თუ ამისთვის დრო არ გყოფნით, უბრალოდ, ფრჩხილებს სწორი ფორმა მიეცით. იდეალური ვარიანტია, თუ ლაქი პომადის ფერს შეესაბამება.

• სუნამო ქალისათვის საკმაოდ ეფექტური იარაღია, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ — მძაფრი სურნელი გარშემო მყოფების უკურაქციას იწვევს. ასე რომ, იპკურეთ რამდენიმე წვეთი ყურის უკან, ხელის მტევანზე და ყელზე. ეს სრულებით საკმარისია. ■

უყუჩაძე!

www.palitrav.ge
PALITRA
 TV-RADIO
 ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!



იუმორი პარტნიორთან დაბაახლოებით

იუმორი ადამიანის მეექვსე გრძნობაა, რომლის გარეშე ცხოვრება ერთფეროვანი და უხალისო ხდება.

კითხვაზე — რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად პარტნიორში? — გამოკითხულ მამაკაცთა უმრავლესობამ ერთგულებისა და მეგობრობის შემდეგ, იუმორის გრძნობა დაასახელა. იუმორი ადამიანებს ემოციების გამოსატვის საშუალებას აძლევს, აუმჯობესებს მათ ფიზიკურ მდგომარეობას, არეგულირებს წნევას, გულისა და ტვინის მუშაობას... და ყველაფერს თავი რომ დაფანტოთ, ღიმილი ადამიანებს, უბრალოდ, ერთმანეთს აახლოებს.



სტირებს. მართალია, არავინ გიმლით, იყოთ ჭკვიანი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამა თუ იმ ნაწარმებიდან მოყვანილი ციტატები სასუმაროდ ნამდვილად არ გამოგადგებათ — მით უფრო მაშინ, თუ ის ნაწარმები სხვებს არა აქვთ ნაკითხული.

ადამიანების გასამხიარულებლად, უმჯობესია, საინტერესო ამბავს მოჰყვეთ, და სასურველია — საკუთარ თავზე. ამასთანავე, აუცილებელია, თქვენ მიერ მოყოლილი ამბავი დამაჯერებელი იყოს. გახსოვდეთ ისიც, რომ დეტალების დაკონკრეტება საჭირო არ არის;

6. თუ საზოგადოება თქვენს იუმორზე არ რეაგირებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი რჩეულიც მათ რიგს მიეკუთვნება. არასოდეს ახსნათ ხუმრობა დეტალურად. თუ თქვენი იუმორი ვერ გაიგეს, ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველ წრეში არ იმყოფებით; ან იქ მყოფებს, უბრალოდ, არა აქვთ იუმორის გრძნობა.

იხუმრეთ და იცინეთ ადგილისა და სიტუაციის შესაბამისად. ანექდოტი აუცილებლად ლაკონიური უნდა იყოს. გრძელი ანექდოტის მოსმენისას ადამიანი იღლება, იძაბება, და რაც მთავარია, აღარ ეცინება. როგორ უნდა მოიქცეთ ანექდოტის მოყოლისას, რომ იგი საინტერესო იყოს?

1. არასოდეს დაიწყეთ ანექდოტისა და სასაცილო ამბის მოყოლა, თუ დასასრული არ გახსენდებათ;
2. ნურასოდეს გაეხუმრებით უტაქტოდ მამაკაცს — ამგვარი საქციელით მის სიმპათიას ვერ დაიმსახურებთ. პირიქით — ასეთმა საქციელმა შეიძლება დიდი უსიამოვნებაც მოგიტანოთ;
3. ერიდეთ ვულგარული ანექდოტების მოყოლას;
4. ნუ შეეცდებით საკუთარი ნიჭისა და ერთდროის ზედმეტად დემონ-

პასტრას ციხე, დანი

დანის ერთ-ერთი უძველესი ციხე 1895 წელს ააგეს. ციხის ტერიტორიაზე განლაგებულია: სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ცენტრი და მალაზია, რომელშიც ალკოჰოლის გარდა, ყველაფერი იყიდება. პატიმრებს დღეში 50 კრონს (7 ევრო) უხდიან. გარდა ამისა, შეუძლიათ იმუშაონ და საათში 10-15 კრონს მიიღებენ. მაგრამ მუშაობის ნაცვლად, ისინი ციხესთან არსებულ სასწავლებელში ცოდნას იღრმავებენ. ზედამხედველები ძირითადად, ქალები არიან, რომლებიც ზონაში მუშაობამდე 3-წლიან მომზადებას (მათ შორის, ფსიქოლოგიურსაც) გადიან.

დანიში მიაჩნიათ, რომ ადამიანისთვის ყველაზე დიდი სასჯელი — თავისუფლების აღკვეთაა (აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში მოითხოვენ, რომ პატიმარი დასჯილიც იყოს და დამცირებულაც), ამიტომაც მათ ცივილიზებულად ექცევიან. ამერიკაში თავისუფლებაზე გასვლის შემდეგ პატიმართა 50-60% ისევ ზონაში ბრუნდება, დანიში მხოლოდ — 20%.

გილიზანირხან, გერმანია

1998 წელს აგებული, 100 ათას კვმ-ზე გადაჭიმული ქალთა და მამაკაცთა კოლონია გერმანიის ხელისუფლებას 92 მლნ ევრო დაუჯდა. ქალთა და მამაკაცთა ტერიტორიას სპორტული მოედანი ყოფს. ორივე ნაწილის ბინადართათვისაა განკუთვნილი ეკლესია და ბიბლიოთეკა. მამაკაცებს, სხვადასხვა ხელობასთან ერთად, გერმანულს ასწავლიან (არაგერმანულ პატიმრებს), ქალებს კი ზედამხედველების თანდასწრებით, ქალაქში სეირნობა შეუძლიათ. პატიმრების გამოსწორებას ფსიქოლოგები, პედაგოგები, კაპელანები და სოციალური სფეროს თანამშრომლები ცდილობენ. პატიმრებს მნახველები თვეში სამჯერ, 45 წუთით, საერთო დარბაზში სტუმრობენ; სამაგალითო ქცევით გამორჩეულებს — ინდივიდუალურ ოთახში, 3 საათით.

ჰალდანი, ნორვეგია

2010 წელს ნორვეგიაში დახურული ტიპის მამაკაცთა ციხე გაიხსნა. მას ადგილობრივები „პანსიონატსაც“ ეძახიან. ტერიტორიაზე არის ხმის ჩამწერი სტუდია, სხვადასხვა გასართობი, პატიმართა მნახველებისთვის კი — კომფორტული სასტუმრო ნომრები. ციხეში ყოფნის პერიოდში პატიმრებს შეუძლიათ დაეუფლონ სხვადასხვა ხელობას, მათ შორის — კულინარიის. საკნებს არა აქვს გისოსები, დაცვა


სამარხვო სალათა

მასალად საჭიროა:

- 60 გ ბრინჯი;
- 30 გ ვაშლი;
- ნახევარი კილო პომიდორი;
- ნახევარი კილო კიტრი;
- სამარხვო მაიონეზი;
- ოსრახუში, კამა, მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშეთ ბრინჯი და გადაიტანეთ თუშფალანგზე (წყლისგან ბოლომდე უნდა დაინრიტოს). შემდეგ შეურიეთ ნვრილად დაჭრილი ოსრახუში, კამა, მარილი და შავი პილპილი. ვაშლი და პომიდორი დაჭერით ნვრილად, კიტრი კი — მოგრძო ნაჭრებად. ბრინჯი გადაიტანეთ სასალათე თასზე, გვერდებიდან მოუწყვეთ პომიდორი, ვაშლი და კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ მაიონეზი მოასხით.





კოფორტული საპატიმროები

არ ატარებს იარაღსა და ხელბორკილებს. ციხის მთელი ტერიტორია 6-მეტრიანი ლობითაა შემოსაზღვრული, მაგრამ პატიმრებს უარყოფითი განწყობილება რომ არ შეექმნათ, ციხის დირექციამ გალაგნის დასაფარავად, ხეები დარგო.

ლაოხანი, ავსტრია

ქალთა, მამაკაცთა და არასრულწლოვანთა ულტრათანამედროვე საპატიმრობილე ავსტრიაში, არნოლდ შვარცენგერის სამშობლოში მდებარეობს. საპატიმრობილე ავსტრიელმა დიზაინერმა, იოზეფ ხოხენზიმმა დააპროექტა. მინებიანი შენობა კორპორატიული ოფისის უფრო ჰგავს, ვიდრე ციხეს. საკნები ნათელ ფერებშია შეღებილი, საკნები ულტრათანამედროვე აპარატურითაა მოწყობილი და მოდური ინტერიერით გამოირჩევა. ეზოში

ნო დახმარებით. საკნებში გაყვანილია საკაბელო ტელევიზია.

ბასტონი, ნორვეგია

კუნძულზე აშენებულ საპატიმრობილეში 115 პატიმარი იხდის სასჯელს. ერთ ზედამხედველს 20 პატიმარი აბარია, მაგრამ წლების მანძილზე უმნიშვნელო კონფლიქტიც კი არ მომხდარა. ციხე მზის ენერჯის იღებს, მსჯავრდადებულებს ხილ-ბოსტნეული თავად მოჰყავთ, უვლიან შინაურ ცხოველებს. პატიმრები კუნძულზე ცხენებით სეირნობენ, პლაჟზე მხოლოდ თბილ ამინდებში ისვენებენ. ბასტონის „იმედის კუნძულს“ და „საზაფხულო ბანაკს“ ეძახიან.

ლა-ვასი, ბოლივია

ციხეში არ არის დაცვა და საკნები. პატიმრები თავად აკონტროლებენ

მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ციხეებს შორის, ვირუ — საუკეთესოა. ციხის ტერიტორიაზეა სპორტული დარბაზი, სკოლა, ეკლესია, სხვადასხვა ტიპის სახელოსნო; ორადგილიან საკანში პატიმარს ტელევიზორიც აქვს, მაგრამ საკაბელო ტელევიზიის ფულს თავად იხდის. სანიმუშო ქცევისთვის პატიმარს 21-დღიანი შვებულება ეკუთვნის.

ჰორსაროდი, დანია

„საზაფხულო ბანაკი უფროსებისთვის“ — ასე ჰქვია დანიის ერთ-ერთ ციხეს, რომელშიც პატიმრებს პაციენტებს ეძახიან. ციხის ტერიტორიაზე, რომელსაც ბეტონის გალაგნიც კი არა აქვს, ერთსართულიანი კოტეჯები დგას; ეკლესია, მაღაზია, ბიბლიოთეკა ყველა მსურველისთვის ღიაა. პაციენტები და ციხის დირექტორი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ესალმებიან. პატიმრებისთვის არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული. ზონიდან



ვესტრეს ციხე



ლეობენი

ყვავილების ბაღებია, ღია კაფე და მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები დგას. სხვა ევროპული ციხეების მსგავსად, აქაც არის ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი; გარდა ამისა, სამზარეულო, სამრეცხაო და ცხენების ფერმაც. საკონცერტო დარბაზში პატიმრები დროდადრო კონცერტს მართავენ. ლეობენეში მოხვედრას მრავალი მსჯავრდადებული ოცნებობს, მაგრამ ის მხოლოდ იმ პატიმრებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც 18 თვე აქვთ მისჯილი.

ბარბანო, ჩრდილოეთ იაროლინა, აშშ

ამ საპატიმროს „ფედერაციული ციხეების სამეფო მარგალიტს“ ეძახიან. იქ სასჯელს მხოლოდ გავლენიანი და ცნობილი ადამიანები იხდიან. პატიმრებს, როგორც ფეშენებელური სასტუმროს კლიენტებს, ისე ემსახურებიან. პატიმრები უზრუნველყოფილი არიან ფსიქოლოგიური და სამედიცინო

სიტუაციას. უფროსს ირჩევენ. ციხის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი კანონი მოქმედებს: „მეფეა ის, ვისაც ფული აქვს“. ტერიტორია 8 ზონადაა დაყოფილი. იაფი ოთახები თვეში 10 დოლარი ღირს, მდიდრული აპარტამენტები — 1.000-1.500. მარტოხელა მამები ციხის ტერიტორიაზე შვილებთან ერთად ცხოვრობენ. ბავშვებისთვის გახსნილია საბავშვო ბაღი და სკოლა. პატიმრების მთავარი გასართობი — ფეხბურთია. ციხიდან გამოსვლის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელს შანსი აქვს, საფეხბურთო კარიერა ქვეყნის ნებისმიერ გუნდში გააგრძელოს.

ჰირუ, ესტონეთი

2006 წელს ესტონეთის მთავრობამ ბანაკის ტიპის საპატიმრობის აშენება შეუკვეთა კომპანიას, რომელსაც საცხოვრებელი სახლები, „რედისონის“ სასტუმრო და ტალინის აეროპორტი ჰქონდა აშენებული. მშენებლობაზე 120 მლნ დოლარი დაიხარჯა,

გასულები (ზედამხედველების გარეშე) საღამოს 10 საათისთვის საკნებში ბრუნდებიან (არიან პატიმრები, რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ). საოჯახო ნაწილში ქალები შვილებთან და, სურვილის მიხედვით, მეუღლეებთან ერთად ცხოვრობენ. შედარებით მკაცრ პირობებში იმყოფებიან ნარკომანი პატიმრები, რომლებიც აგრესიის დაძლევის კურსს გადიან.

ჩაბუხალი, მკსია

იქ განსაკუთრებით საშიში პატიმრები და ნარკომოვაჭრები იხდიან სასჯელს. ძველად, ზონაში წარმოქმნილ კონფლიქტს პატიმრები რინგზე აგვარებდნენ. ასლა ეს იშვიათად ხდებოდა. მსჯავრდადებულები სახელოსნოებში მუშაობენ. აქვთ დამატებითი შემოსავალი. ქვეყანაში ცნობილია, რომ საუკეთესო ჰამაკებს ამ ციხეში ამზადებენ. პატიმარს საკანში აქვს ტელეფონი, მაცივარი, სხვადასხვა ავეჯი.

ანტიკაპკანსანი


გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელდერელი თქვს ივანიძე

1. აუროფობია ოქროს შიშია.
2. თემურ ლენგი სარწმუნოებით, სუნიტი მუსლიმანი იყო.
3. ჰექტორ ბერლიოზმა მეფეადრედ ფერენც ლისტი წაიყვანა.
4. რუსეთის ყოველი მესუთე მოქალაქე ალკოჰოლისგან ილუბება.
5. ალფრედ კრუპის ცოლი, ბერტა ქმარზე 20 წლით უმცროსი იყო.
6. ძირს დასაფენ ვინრო და გრძელ ფარდაგს თუშები გზაკვალას ეძახიან.
7. ილია ჭავჭავაძემ „განდევილი“ საკუთარ მეუღლეს, ოლა გურამიშვილს მიუძღვნა.
8. 87 წლის ჯუზეპე ვერდი 1901 წელს მილანის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაიცვალა.
9. როკი მარჩიანოს საკუთარი სპორტული კარიერის მანძილზე არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.
10. კიევში წმინდა სოფიას ტაძარს ქრისტეს მოციქულთა რიცხვის შესაბამისად, 13 გუმბათი აქვს.
11. ალფრედ ჰიჩკოკმა ფილმი „თოკი“ შვიდ დუბლში და ყოველგვარი მონტაჟის გარეშე გადაიღო.
12. „დასავლეთი არასდროს მიიღებს კომუნიზმს, იგი მას გადალახავს“ — გაიძახოდა რონალდ რეიგანი 1981 წელს.
13. ექვსდღიანი ომის დროს ებრაელებმა ეგვიპტელების 58 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თავად მხოლოდ 10 დაკარგეს.
14. 1801 წელს საქართველოს სამეფო გვირგვინი, სკიპტრა და კვერთხი უბილებამდე შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით თბილისიდან პეტერბურგის გზას გაუყენეს.
15. შერეული შტატების პრეზიდენტი უილიამ ტაფტი 136 კილოგრამს იწონიდა, რის გამოც თეთრ სახლში სპეციალურად მისთვის დიდი მოცულობის რამდენიმე აბაზანა დაამონტაჟეს.
16. ძველ ეგვიპტელთათვის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი — საიქიო ცხოვრებისათვის მზადება იყო. შეძლებული ხალხი საკვებ პროდუქტსაც კი უკეთებდა ბალზამირებას — საიქიოში ახალგამომცხვარი პური რომ მონდომებოდათ, რაღა ეშველებოდათ?!
17. ინკების გზების განთქმული სისტემა — კაპაჩანი მთელი იმპერიის ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. ფართო ბილიკები კლდეებზე გადიოდა და ერთმანეთს ბაგირის ხიდებით უკავშირებოდა. ეს სისტემა იდეალური იყო ინკებისათვის, რადგან ისინი მხოლოდ ფეხით გადაადგილდებოდნენ. მათ არც ცხენები ჰყავდათ და არც სამარხილე საქონელი. დამპყრობელი ესპანელი კონკისტადორები ცხენებით დადიოდნენ და ეს გზები მათთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, რის გამოც ისინი მივიწყებული იქნა და დროთა განმავლობაში განადგურდა.

Koenigsegg-ის ჰიპერკარგი

ექსკლუზიური სუპერავტომობილების შვედურმა მწარმოებელმა — Koenigsegg გაავრცელა ინფორმაცია ჰიპერავტო Agera-ს ახალი მოდელის შესახებ. მანქანის სახელწოდებას ასო R დაემატება. მისი მსოფლიო პრემიერა უნევის მოტორშოუზე შედგა. სიახლეს 5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 2-ტურბინიანი ძრავა აქვს, რომელსაც 7-საფეხურიანი რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფი ერთვის. მოტორს მუშაობა შეუძლია როგორც ბიოეთანოლზე — 85 (რომელიც 85%-ით სპირტისა და 15%-ით სტანდარტული სანავისგან შედგება), ასევე ჩვეულებრივ, 95 მარკის ბენზინზე. პირველ შემთხვევაში აგრეგატის სიმძლავრე 1115, ხოლო მეორე შემთხვევაში — 940 ცხძ-ს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ სტანდარტულ ჰიპერავტოს — Koenigsegg Agera 4,7-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 910 ცხძ სიმძლავრის ძრავა აქვს, რომელიც სიჩქარის გადაცემათა სექვენტური კოლოფით მუშაობს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მანქანა 3,1 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 416 კმ/სთ-ია. ადრე გავრცელებული ცნობით, თავდაპირველად კომპანია მოდელ „აგერას“ ახალი ვერსიის გამოშვებას არ აპირებდა, თუმცა გადანყვეტილება ამ ჰიპერავტოს 1100 ცხძ-იანი ვერსიის შექმნის შემდეგ შეცვალა. როგორც ცნობილია, ეს მანქანა ომანის სამეფო ოჯახის სპეციალური შეკვეთით დაამზადეს. ავტომობილი იმდენად მოწონა კომპანიის დამაარსებელსა და მფლობელ ფონ კენიგსგეს, რომ მისი სერიული წარმოება განიზრახა.



ბე-ემ-ვეს ჰიბრიდული სპორტული

კომპანია ბე-ემ-ვემ ცივი კლიმატის პირობებისთვის, ჰიბრიდული სპორტავტო — i8-ის პროტოტიპის გამოცდა დაიწყო. ეს ავტომობილი გერმანული მწარმოებლის მეორე მოდელად იქცევა ქალაქის ელექტროავტომობილის — i3 — შემდეგ, რომელიც სუბბრენდის — i — სახელით გამოვა. იგი სპეციალურად, ეკოლოგიურად სუფთა მანქანების სანარმოებლადაა შექმნილი. ადრე გავრცელებული ცნობით, კონცეპტუალური Vision Efficient Dynamics-ის სტილში შექმნილ სპორტავტოს — BMW i8 — ალუმინის შასი და ბავარიული კონცერნისა და ამერიკული SG Carbon-ის მიერ ერთობლივად შემუშავებული ნახშირობროჭკოვანი პლასტიკის ძარა

ექნება. სიახლე ჰიბრიდული აგრეგატი ალიჭურვება, რომელიც გააერთიანებს 3-ცილინდრიან, 1,5-ლიტრიან ბენზინის მოტორს, 170 ცხძ-იან ელექტროძრავასა და ლითიუმ-იონურ აკუმულატორებს. ბე-ემ-ვეს წარმომადგენლები ირწმუნებიან, 100 კმ/სთ სიჩქარეს ჰიბრიდული სპორტავტო 4,8 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. ასეთი ავტომობილის მიერ მოხმარებული სანავის რაოდენობა 100 კმ-ზე საშუალოდ, 3,7 ლიტრია, ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვი კი 1 კმ-ზე 99 გრამს არ აჭარბებს. წინასწარი ინფორმაციით, სიახლეს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 2012 წელს წარუდგენენ პუბლიკას. ამ სპორტულ ფორუმს სწორედ ბე-ემ-ვე სპონსორობს. აშშ-ში ასეთი მანქანის ფასი დაახლოებით 240 ათასი დოლარია. მისი გამოშვება ლაიფციგში იგეგმება.





ანტიუკიანობა

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქმდენელი თუქო ივანიძე



18. II მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის საჰაერო ფლოტის 303-ე ესკადრილიაში მებრძოლ პოლონელ მფრინავებს თავდაპირველად გაუჭირდათ ინგლისურ გამანადგურებლებზე ფრენა. ის გარემოება, რომ პოლონურ გამანადგურებლებზე შასი საერთოდ არ იკეცებოდა, ხოლო ინგლისურ გამანადგურებელზე დაჯდომისას შასის გახსნა იყო აუცილებელი, ავიაციის ისტორიაში ყველაზე იდიოტური ავარიის მიზეზი გახდა: პოლონელ პილოტს დაშვებისას დაავიწყდა შასის გახსნა და რის ვაი-ვაგლახით „მუცელზე“ დასვა ძვირად ღირებული თვითმფრინავი.

19. პანამის არხის გადაკვეთისას ყველა გემის მებატონე ხომალდის სიდიდისა და ტვირთის სიმძიმის მიხედვით იხდის ბაჟს. ამგვარი ბაჟის გადახდამ 1928 წელს რიჩარდ ჰარი ბარტონსაც მოუწია, რომელმაც პანამის არხი ცურვით გადალახა. საბაჟოს მოხელეებმა ბარტონი წინასწარ აწონეს, გაზომეს და ბაჟის სახით, 36 ცენტი გადაახდევინეს.

20. ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანს ვილაც სომეხი გადაეკიდა, გინდა თუ არა, შოთა რუსთაველი სომეხი იყო. ქართველმა პოეტმა უსმინა და უთმინა; ბოლოს, ყელში რომ ამოუყვანა, უყვირა: „ჰო, სომეხი იყო, სომეხი!.. და ისე სძულდა საკუთარი ენა, რომ ქართულად დანერა „ვეფხისტყაოსანი“!..“

21. სირაკუზელი ტირანი დიონისე მკაცრად სჯიდა ყველა ჯურის დამნაშავეს, გარდა ქუჩის მძარცველებისა. ხელქვეითის კითხვაზე, თუ რით დაიმსახურეს ღამლამობით მოთარეშე ავაზაკებმა ასეთი ღმობიერი მოპყრობა, ტირანმა უპასუხა: „ისინი სირაკუზელებს ხელს უშლიან, საღამოობით სტუმრად იარონ ერთმანეთთან, მე კი არ მჭირდება თავყრილობები!“

22. გადმოცემის თანახმად, ცნობილი მეიგავე ეზოზე კოჭლი მონა ყოფილა. ერთხელ მას პატრონმა დაავალა, წადი და ნახე, აბანოში ბევრი ხალხია თუ არაო. ადგილზე მისულმა ეზოზემ აბანოს შესასვლელში დაგდებულ დიდ ქვას მოჰკრა თვალი, რომელსაც შემსვლელ-გამომსვლელნი ფეხს ნამოჰკრავდნენ ხოლმე და წყევლა-კრულვით იკლებდნენ იქაურობას. მხოლოდ ერთმა მათგანმა შეინუნა თავი და ქვა გზიდან გადააგორა. ამის მნახველი ეზოზე პატრონთან დაბრუნდა და უთხრა, აბანოში მხოლოდ ერთი ადამიანი არისო.



„ავტოშუსსაქალი“

ჩინურმა ფეხსაცმლის მწარმოებელმა კომპანიამ — Kang Shoe ფეხსაცმლის ფორმის ელექტროავტო ააწყო. მანქანის პრემიერა ქალაქ ვენჩოუში ფირმის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე შედგა. ავტომობილის ძარა წარმოადგენს ტყავის ფეხსაცმელს, რომელიც კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, იმავე მასალისგან დამზადდა, რომლისგანაც ფირმის ჩვეულებრივი პროდუქცია იწარმოება. ელექტროავტოს სიგრძე 3, ხოლო სიგანე 1 მეტრია. რომელი მოტორითაა აღჭურვილი მანქანა, არ კონკრეტდება. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ დატენილი ბატარეით მას 35 კმ/სთ სიჩქარით 400 კმ-ის გავლა შეეძლება. მის დასამზადებლად კომპანიას 6 თვე და 4 ათასი გირვანქა სტერლინგი დასჭირდა. მომავალში Kang Shoe ასეთი მანქანის 40 ეგზემ-

პლარად გამოშვებას გეგმავს, რომლებსაც მთელი ჩინეთის მასშტაბით, თავისი მალაზიების ქსელში განათავსებს. 2007 წელს ერთ-ერთმა ბრიტანელმა ავტომობილად ტახტი აქცია, რომელსაც 148 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლო. 2010 წელს ამერიკელმა კონსტრუქტორმა მაგიდის ფორმის მანქანა შექმნა. ამ ავტომობილმა თითქმის 210 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

„ტოიოტას“ კონსეპტუალური ჰიბრიდული ჰერბეკი

უენევის მოტორშოუზე კომპანია „ტოიოტამ“ წარმოადგინა კონცეპტუალური ჰიბრიდული ჰერბეკი — Yaris, რომელიც ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილი ანალოგიური სერიული მოდელის წინამორბედი. სავარაუდოდ, ასეთი მანქანის გაყიდვა 2012 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება. კონცეპტუალური „იარისის“ აგრეგატის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება, მაგრამ ზოგიერთი მონაცემით, იგი იმავე მოტორითაა აღჭურვილი, რომლითაც ჰიბრიდული ჰერბეკი



Auris HSD. იგი შარშან ჩაუშვეს სერიულ წარმოებაში. აგრეგატის შემადგენლობაშია 98 ცხმ-იანი, 4-ცილინდრიანი, 1,8-ლიტრიანი ბენზინის ძრავა, 80 ცხმ-იანი ელექტრომომტორი და აკუმულატორების კომპლექტი. როგორც კომპანიის მესვეურები იუწყებიან, სერიულ ჰიბრიდ „იარისს“ „თავის კლასში,

სანვავის ეკონომიურობისა და ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვის საუკეთესო მაჩვენებლები ექნება“. ახალი თაობის ჰერბეკი „ტოიოტა იარისი“ იაპონიის ბაზრისთვის გასული წლის დეკემბრის ბოლოს წარმოადგინეს. ავტომობილს მთლიანად შეუცვალეს ექსტერიერი, 100 მმ-ით გაზარდეს მისი გაბარიტული სიგრძე, ხოლო 50 მმ-ით — საბორბლე ბაზა. გარდა ამისა, მანქანა წინამორბედზე 30 კგ-ით შემსუბუქდა და ამჟამად მხოლოდ 1000 კგ-ს იწონის. ავტომობილს 3 ბენზინის ძრავათი გაყიდვანი: 1,0, 1,33 და 1,5 ლ მოცულობის; შესაბამისად 69, 94 და 108 ცხმ სიმძლავრე ექნება. იაპონური ბაზრისთვის „იარისი“ მხოლოდ ვარიანტორითაა განსაზღვრული, მაგრამ ევროპაში იგი შეიძლება სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფითაც დაკომპლექტდეს.

რა მნიშვნელობა აქვს სულიერ და ფიზიკურ მღვიძარებას?

შორენა მარკვილაძე


გავიხსენოთ ლუკას სახარების მე-12 თავში მოთხრობილი იგავი „ფიზიკურ მონებზე“, რომლებიც თავიანთი ბატონის ქორწილიდან დაბრუნებას ელოდებიან, რათა, როცა მოვა და დააკაკუნებს, იმნამსვე გაუღონ. ასეთი მონები ბედნიერები არიან, რადგან შინ დაბრუნებული ბატონი, როდესაც მათ ფიზიკურ ნახავს, შემოირტყამს სარტყელს, დასვათ მათ, მივა და მოემსახურება. ნეტარ არიან ის მონებიც, რომელთაც მეორე და მესამე გუშაგობისას მისული ბატონი მღვიძარეთ, ფიზიკურ ნახავს.

ეს კი იცოდეთ: სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ საათზე მივა ქურდი, იფიზიკურ და თავისი სახლის ძირგამოთხრას არ დაანებებსო, — ბრძანებს მაცხოვარი და მსმენელთ მიმართავს: ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან რომელ საათზეც არ ფიქრობთ, სწორედ მაშინ მოვა კაცის ძეო (იგავი „ფიზიკური სახლის პატრონი“). პეტრე კითხვით მიმართავს მაცხოვარს: უფალო, ამ იგავს ჩვენ გვეუბნები თუ ყველასო? ის კი კვლავ („ერთგული და ბოროტი მონების“ იგავით) მიუგებს: „ვინ არის ერთგული და გონიერი გამგებელი, რომელსაც დააყენებს ბატონი თავის მსახურებზე, რათა დროულად მისცეს მათ ულუფა? ნეტარია მონა, რომლის ბატონი მოვა და ამის მოქმედს იხილავს, მას მთელ თავის ქონებაზე დააყენებს. ხოლო თუკი ბატონს მოსვლა შეაგვიანდება და მონა ჭამა-სმას და მსახურების ცემას დაიწყებს, ბატონი იმ დღეს მოვა, როცა არ ელის და იმ ჟამს, როდესაც არ იცის, შუაზე გაჰყვოს მას და ურწმუნოებთან დაუდებს წილს.“

მამა მამარი (აბესაძე):

— ყველა იგავური თქმა არის მონოდება მღვიძარების, სულიერი სიფიზილისკენ, რაც უპირველესად გულისხმობს სიფიზილეს სულიერ ცხოვრებაში. სულიერი სიფიზილე აუცილებელი პირობაა მინიერი სურვილებისა და უკეთური ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად. ღვთისთვის მომუშავე, უფლის მონა — ქრისტიანი განუწყვეტლივ უნდა აკონტროლებდეს გულისა და გონების

მოძრაობას, კეთილი, ღვთისათნო აზრები შეინწყნაროს, ურიგო კი განდევნოს. სულიერი სიფიზილე, აუცილებელი მდგომარეობაა იმისათვის, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს ბოროტისგან მონვდილ უკეთურ აზრებს; უკუაგდოს ისინი, ვიდრე ბოროტის ნებას დაჰყვება და ცოდვას ჩაიდნოს. რაც მეტად აკონტროლებს ადამიანი თავს, მით მეტად მღვიძარებს სულიერად, მით მეტად განიმინდება ბოროტისაგან, შემოსული ვნებებისაგან და მიიწევს სულიერი



სრულყოფილებისკენ. რაც მთავარია, არავინ უწყის, როდის დადგება მეორედ მოსვლის ჟამი ან ხორციელი სიკვდილის დრო, ამიტომ განუწყვეტლივ სულიერი მღვიძარება მოგვეთხოვება, რათა მუდამ მზად ვიყოთ უფლის მეორედ მოსვლისა თუ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლისთვის, იმ წუთისთვის, როდესაც უფლის სამსჯავროს წინაშე მოგვიხდება წარდგომა და ჩვენ მიერ ქმნილი საქმეების მიხედვით განვისჯვებით. როგორც უფალი იგავური თქმით გვაუწყებს, ნეტარნი, ბედნიერები არიან ის მონები, რომლებიც მღვიძარენი ელიან თავიანთ ბატონს — უფლის

მოსვლას. არ უწყიან, როდის მოვა, მაგრამ იციან — თუ მღვიძარე დახვდებათ, მისგან უდიდეს პატივს მიიღებენ.

ის მონა კი, რომელიც უფალმა სამუშაოდ დააყენა, ელოდა პატრონის მოსვლას, მაგრამ რომ შეაგვიანდა, იფიქრა, ჯერ ადრეაო, და მსახურების ცემასა და განცხრომით ცხოვრებას მიეცა. მაგრამ განბილებული დარჩა, რადგან ბატონიც იმ დროს მოვიდა, როდესაც განცხრომით ცხოვრებას მისცემოდა და დაისაჯა.

სულიერი სიფიზილის მისაღწევად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ფიზიკური მღვიძარებაც წარმოადგენს. ჯან-ღონის აღსადგენად ძილი — ცოდვა არ არის, რადგან იმისთვის გვიძინავს, რათა დავისვენოთ და სამუშაო ძალები აღვიდგინოთ, მაგრამ ზედმეტი ძილი სულიერ ზრდა-განვითარებას აფერხებს. ზოგიერთ ადამიანს ჰგონია, რომ ფიზიკური მღვიძარება მხოლოდ ბერ-მონაზვნებს ევალებათ, სამონასტრო ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. მართალია, მონასტერში მოღვაწე ადამიანებს, ერისკაცთაგან განსხვავებით, მართლაც, გაცილებით მეტი ხანი სძინავთ (დაახლოებით ოთხი ან ხუთი საათი), მაგრამ ხორციელი მღვიძარება ერისკაცსაც მოეთხოვება, მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რაზეც რჩევა-მითითებასა და კურთხევას სულიერი მოძღვარი მისცემს. როდესაც ადამიანს იმაზე მეტხანს სძინავს, ვიდრე ორგანიზმს ძალების აღსადგენად სჭირდება, ის მოდუნებულია და ეზარება სულისთვის სასარგებლო საქმეების კეთება ისე, როგორც

ჭეშმარიტ ქრისტიანს მოეთხოვება; რადგან დარჩენილ დროს უმთავრესად მინიერ საქმეებს ახმარს, ეს ნიშნავს, რომ მას სულიერადაც სძინავს.

ხორციელი მღვიძარება მხოლოდ იმას როდი გულისხმობს, რომ ადამიანმა რაც შეიძლება ნაკლები იძინოს; შესაძლოა, ღამეებს ათენებდეს, მაგრამ არა იმისათვის, რათა ილოცოს ან სულისთვის სასარგებლო საქმეები აკეთოს, არამედ — გაერთოს და განცხრომას მიეცეს. ამას ჯობს, იძინოს — ძილის დროს მისი სული უკეთეს მდგომარეობაში იქნება. უფალს ჩვენი არც მღვიძარება სჭირდება, არც სხვა სახის შესანიერი

და სულიერი ღვაწლი; ეს ყოველივე ჩვენ გვჭირდება — უფალთან თანამყოფობისთვის, მისგან მადლისა და წყალობის მისაღებად.

საერთოდ, ღამით სულიერ საქმეებს — ლოცვა იქნება ეს, სასულიერო წიგნების კითხვა თუ სხვა — გაცილებით სრულყოფილად ვაკეთებთ, რადგან ღამე მშვიდია და არც რაიმე სულიერი საქმე გვაქვს საკეთებელი. ამ დროს, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „სული ბევრად უფრო სუფთაა, მსუბუქი, ფხიზელი, უფრო მღვდლურე და ამალღებული. ღამის წყვიდადი და სრული მდუმარება ლოცვისა და სულიერი საქმეებისთვის განგვანყოფს“. ღამე აღძრავს შინაგან შიშსაც, ასეთ დროს კი უფრო მეტად ჩნდება სურვილი უფალთან მყოფობისა, მის წინაშე ლოცვისა და მოღვაწეობისა.

როდესაც ადამიანს რბილ და მოხერხებულ სანოლში სძინავს, გაღვიძების შემდეგ კვლავ ძილისკენ მიუწევს გული, ამიტომ სასურველია, მორწმუნემ თავს უფლება არ მიცეს, იძინოს მეტისმეტად რბილ სანოლში. უფლის გზაზე შემდგარი, ღვთისთვის მოღვაწე ადამიანისთვის კი ეს აუცილებელი პირობაა, რაც ხელს უწყობს ადამიანის სულიერ მღვიძარებაში განმტკიცებასაც. შესაძლოა, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა — განუწყვეტელი ფიზიკური მღვიძარება ორგანიზმის გამოფიტვას ხომ არ გამოიწვევს? იყენებ ბერები, რომლებმაც საუკუნეზე მეტხანს იცოცხლეს და დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთი-ორი საათი ეძინათ.

ათონის მთაზე მოღვაწე ილია ქართველს, დღე-ღამეში მხოლოდ ორი საათი ეძინა: ერთი საათი — იატაკზე მჯდომს, ერთიც — კვერთხზე დაყრდნობილს, მაგრამ რაკი მისი ორგანიზმი ღვთისთვის სათნომყოფელი ცხოვრებით იყო განბრძმობილი და განმტკიცებული, ამას არც გამოფიტვა გამოუწვევია და არც სხვა სახის ხორციელი დარღვევა. ამ ყველაფერს ამქვეყნიური ამოო ცხოვრება უფრო იწვევს, ვიდრე ღვთისთვის სათნო საქმეთა გამო სიფხიზლე.

სულიერად მოდუნებულ ადამიანს უფალი, გამოსაფხიზლებლად, სულიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განსაცდელს მოუვლენს ხოლმე. ვინაიდან განსაცდელის დროს ღვთისკენ ვაპყრობთ მზერას, უფრო გულწრფელად ვლოცულობთ უფლის მიმართ, ვიდრე დაღბინებული ცხოვრებისას, მადლსა და წყალობასაც მეტად მოვიწვევთ საკუთარ თავზე; მოდუნებულ, მიძინებულ სულს კი ღვთის მადლი ერთმევა და უფრო და უფრო ეფლობა ცოდვის მორევში.

სულიერი მღვიძარების მოსაპოვებლად, აუცილებელი პირობაა სიმდაბლე — თავმდაბლობა და მორჩილება, უპირველესად — სულიერი მოძღვრის წინაშე. თუ ადამიანი თავიდანვე თავმდაბლობითა და მორჩილებით შეუდგება სულიერ ცხოვრებას, მისი სულიერი განვითარება გაცილებით იოლია.

მღვიძარება რომ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ, უნდა შეგვეძლოს სიკვდილზე განუწყვეტელი ფიქრი. ეს უდიდესი ნიჭია — სიკვდილის გახსენებისას ადამიანი უფრო აცნობიერებს, რომ უფლის წინაშე წარდგომა მოუხდება და მეტად ცდილობს სულიერად მზადყოფნაში — მღვიძარე მიეგებოს უფალს.

იგავის თანახმად, მონებს, შესაბამისად — მათი სულიერი მდგომარეობის ადამიანებს, რომლებიც მღვიძარენი ელოდებიან თავიანთი ბატონის მოსვლას, ბატონისგან — უფლისგან უდიდესი პატივი ერგებათ. არ უწყის არც ერთმა ადამიანმა, თუ „როდის მოვა კაცის ძე“ — ე.ი. როდის დადგება უფლის მეორედ მოსვლის ან თუნდაც თითოეული ჩვენგანის აღსასრულის ჟამი, ამიტომ სულიერი ცხოვრების წამოწყებას სახვალად ნუ გადავდებთ, არამედ ვეცადოთ, რომ ყოველწამიერად, მზად ვიყოთ სულიერად ღვთის წინაშე წარსადგომად, რათა არ აღმოვჩნდეთ იმ უგუნური მონის მდგომარეობაში, რომელმაც იფიქრა, ბატონს მოსვლა შეაგვიანდებაო და განცხრომით ცხოვრებას მიჰყო ხელი...


თქვენი ოჯახის მკურნალი



www.mkurnali.ge

კარაბადინი უამრავი საჭირო რესურსი ერთ ციგნში

კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე უამრავ უკურნებელ სენთან გამკლავება მოუხდა. სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი ასულდგმულებად ადამიანს და აიძულებდა, მიეგნო საშუალებებისთვის, რომლის მეშვეობითაც ამ დაავადებებს გაუმკლავდებოდა. ამდენად, ადამიანი მუდმივად წამლის ძიებაშია. ბევრი ხელოვნურად მიღებული პრეპარატი დაფასდა და გადაფასდა, ბევრი — აიკრძალა... დედაბუნება კი, რომელმაც შვილის სწეულებაზე ყველაზე მეტი იცის, ისევე გვთავაზობს დახმარებას. ცხადია, ექიმის დახმარება შეუცვლელია და მისი უგულვებელყოფა — დიდი შეცდომა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ადამიანს შეუძლია, ბუნების მრავალფეროვანი „აფთიაქიდან“ აიღოს და საკუთარ ჯანმრთელობას მოახმაროს წამლად ქცეული ბალახი თუ ფესვი, ყვავილი თუ ფოთოლი.



ნიგო ჩარბიუშვილი

„დღეს მთელ მსოფლიოში შეინიშნება მცენარეული პრეპარატებისაკენ მიზრულების ტენდენცია და ვის, თუ არა საქართველოს — მედეას („მედიცინა“ ხომ მისი სახელიდან მოდის) სამშობლოს აქვს დიდი ისტორიული გამოცდილება და არანაკლებ დიდი პერსპექტივა?! განა ქართული კაცი დოლარებზე უნდა ყიდულობდეს ამერიკიდან და ევროპიდან შემოსულ მცენარეულ წამლებს?! ყველაზე მთავარი, რაზეც საზღვარგარეთული კომპანიები მილიონობით დოლარს სარჯავენ, სხვადასხვა დაავადების დროს სამკურნალო მცენარეების ეფექტიანობის გამოცდაა. ეს საქმე კი ჩვენში უკვე სანახევროდ გაკეთებულია — ხალხმა შექმნა, ხალხმა გამოცადა, ხალხმა გადასცა თაობიდან თაობას და ჩვენამდე მოიტანა. ჩვენ კი შვილებს უნდა გადავცეთ — დახვეწილი, მეცნიერულად გამართული ქართული ეროვნული მედიცინა“ — ეს გახლავთ ნაწყვეტი წინასიტყვაობიდან ნიგნისა „კარაბადინი“, რომელიც გამოცემლობა პალიტრა L-მა გამოსცა და კიდევ ერთხელ ცხადყოფს ხალხური მედიცინის უდიდეს შესაძლებლობებსა და პერსპექტივას. ნიგნის ავტორი — ექიმი **თამარ მამაცა-შვილი** გახლავთ, რომელსაც ამ თემის აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრეთ.

— ხალხში გაბნეულ სამკურნალო რეცეპტებში დიდი სიბრძნეა და ამდენად, მათი თავმოყრა საჭირო საქმედ მიგაჩნდა. წლების მანძილზე ვთხოვდით „კვირის პალიტრის“ მკითხველს, მოეწოდებინათ წინაპართაგან ნამემკვიდრალი და გამოცდილი რეცეპტები. ასე შევადგინეთ სოლიდური მასალა, რომელიც „კვირის პალიტრაში“ 2002-2008 წლებში გამოქვეყნებული რეცეპტებისაგან შედგება. ეს ყველაფერი „კარაბადინის“ ნიგნში მოვაქციეთ. კარაბადინის II, III ნაწილებში ისევ შემოგთავაზებთ მომდევნო წლებში დაბეჭდილ რეცეპტებს.

— როგორ მოახერხეთ, რომ მკითხველისათვის ადვილი მისაგნები ყოფილიყო საჭირო რეცეპტი?

— ამისათვის „კარაბადინს“ დავურთეთ სარჩევი, სადაც დაავადებებია ჩამოთვლილი. ყოველი სათაურის ქვეშ მითითებულ გვერდზე თქვენ ნახავთ დროით გამოცდილ რეცეპტებს. ყველაფერი ანბანურადაა დალაგებული:

ადენოიდები, ათეროსკლეროზი, ანემია, ბრონქული ასთმა, ბრონქიტი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...
 — ბევრს აინტერესებს, რას კურნავს ესა თუ ის მცენარე?
 — ესეც გავითვალისწინეთ და გვაქვს მცენარეთა საძიებელიც, სადაც თითოეული მცენარის გამოყენების შესახებ ინფორმაციას გვერდების მიხედვით მიაგნებთ. ესეც ანბანურადაა დალაგებული: აბზინდა, ალვა, ალოე, ალუბალი, ანისული და ასე შემდეგ...
 — ბევრი მცენარე შეიძლება, ძალიან ნაცნობი იყოს, ბევრი კი სახელით არც ეცნოს მკითხველს. დარწმუნებული ვარ, ბევრმა არც იცის, კვლიაფი როგორი მცენარეა ან ჯანჯაფილი რომელია...
 — ამის გამო „კარაბადინის“ ახალ გამოცემას მცენარეთა ვერაფერი ილუსტრაციებიც დაურთეთ. ეს ახალი გამოცემა მკითხველთა თხოვნით, მაგრამ დიანციაა, რამაც შესაბამისად, ნიგნის ფასი გაზარდა, მაგრამ ვისთვისაც სიააფე უფრო მნიშვნელოვანია, მათთვის ძველი გამოცემაც იყიდება.
 „კარაბადინის“ გამოსვლის შემდეგ, რედაქციაში ხარი არ წყდება: გვირეკავენ, მადლობას გვიხდის, კითხვებსა და სურვილებს გვთავაზობენ.
 — ასეთი ნიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს, — სალამს მოაყოლა უცნობმა ქალბატონმა, რომელმაც ტელეფონით დაგვირეკა და განაგრძო: — მე უკვე გამოვიყენე თქვენი რეცეპტი და შედეგიც მივიღე — ამოვივსოთქე სახსრების გაუთავებული ტკივილისაგან...
 — თუ შეიძლება დანერეთ: ჩემი ქალიშვილი, ძალიან სათუთი კანის გამო, სულ იტანჯებოდა გამონაყარისგან. „კარაბადინის“ რეცეპტმა ორგანიზმის განმენდის შესახებ სახის კანი გაუკრიალა...
 სამწუხაროა, რომ ტელეფონით საუბრის ინტონაციას ვერ გადმოვცემთ... თავს აღარ შეგანყენთ იმ უამრავი მადლობის მოხმობით, რასაც „კარაბადინის“ გამოსვლის შემდეგ ყოველდღე ვიღებთ. უბრალოდ გეტყვი: გამოიყენეთ ეს სიკეთე, ზოგჯერ მაინც მოუხმინეთ დედაბუნებას, რომელმაც მართლაც, ყველაზე უკეთ იცის შვილის ენა...
 ახლა კი, ავტორთან შეთანხმებით, გთავაზობთ 2 რეცეპტს ამ ნიგნიდან, რომელიც „გზის“ მკითხველთა თხოვნის მიხედვით შევარჩიეთ.



1. „უკვე 10 წელია, შაქრიანი დიაბეტი მაქვს, თუმცა ინსულინის ნემსები არ მჭირდება. რეგულარულად ვიცავ დიეტას — უკვე მიჭრევი კიდეც. ამასთან ერთად, სხვადასხვა საშუალებას ვიყენებ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ძალიან კარგია ვარდკაჭაჭას ნახარში, რომელიც შაქარს მნიშვნელოვნად აქვეითებს. მკურნალობის პირველი კურსი რომ ჩავიტარე, მიხვდები, რომ ვარდკაჭაჭა მხოლოდ შაქარს კი არ აწესრიგებს, არამედ მთელი ორგანიზმის მდგომარეობას აუმჯობესებს — უკეთესობა მალე ვიგრძენი. ვარდკაჭაჭა ისევე მოქმედებს, როგორც ლობიოს გამხმარი პარკი, რომლის შესახებაც დიაბეტიანებმა კარგად იციან. მე ვარდკაჭაჭა უფრო მომიხდა.“

ნახარშის მოსამზადებლად, 2 სკ ვარდკაჭაჭას გამხმარ, დანამცეცებულ ფესვებს დაასხით 1 ჩქ მდულარე წყალი და ჩადგით მდულარე წყლის აბაზანაში 10-15 წუთი. შემდეგ შეაგრილეთ, გადანურეთ. ნახარშის მომზადებისას წყლის ნაწილი აორთქლდება. ამიტომ ნახარში ერთ ჭიქამდე უნდა შეავსოთ ანადუღარი წყლით. მიიღეთ თითო სკ ჭამამდე 5-6-ჯერ დღეში. თავიდან სუფრის კოვზით ვსვამდი, შემდგომ კი დოზის გარეშე, ჩაივით. ვარდკაჭაჭა უვნებელი მცენარეა, ძალიან კარგად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას. იმედია, დიაბეტიანები გაითვალისწინებენ ჩემს რჩევებს. პატივისცემით, მანანა ლ.“

აქიის კომენტარი:

ვარდკაჭაჭა ქართულ ტრადიციულ მედიცინაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ამ მცენარის ფესვს მართლაც აქვს დიაბეტის სანიწაღმდეგო ეფექტი: აქვეითებს გლუკოზის შემცველობას სისხელში და აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას — ნივთიერებათა ცვლის დარღვევა კი შაქრიანი დიაბეტის თანამდევი პროცესია და საფუძვლად უდევს ამ დაავადების დროს განვითარებულ თითქმის ყველა პათოლოგიურ გამოვლინებას.

2. „წლების განმავლობაში ძალიან მანუხებდა ნალვლის ბუშტი. პერიოდულად, ნერვიულობისას, აუტანელი შეტევები მქონდა. ვსვამდი ალოხოლს, ნოშპას, ლევომიციტინსა და სხვა მრავალ წამალს, მაგრამ შედეგი არ მქონდა. მეზობელმა მირჩია, დამეღია უკვდავას ნაყენი (მისი ეფექტიანობა თავად ჰქონდა გამოცდილი). წარმოიდგინეთ — ყველა წამალზე უკეთესი შედეგი მივიღე. ნაყენი შემდეგნაირად უნდა დამზადდეს: 2 სკ უკვდავას ყვავილს დაასხით 1 ჩქ მდულარე წყალი და დადგით წყლის ორთქლზე 20 წთ. შემდეგ გადმოდგით, გადანურეთ და მიიღეთ შემდეგი

ნესით: პირველ დღეს — 1/3 ჭიქა; მე-2 დღეს — 1/3 ჭიქა 2-ჯერ დღეში, მესამე დღეს — 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში, მე-4 დღეს — 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში, მე-5 დღეს — 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში, მე-6 დღეს — 1/2 ჭიქა ერთხელ დღეში. საჭიროების შემთხვევაში, ნაყენის მიღება უნდა გაიმეოროთ 7 დღის შემდეგ.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს რეცეპტი, რათა სხვებმაც გაიგონ უკვდავას სიკეთის შესახებ. ამავე დროს, ძალიან მაინტერესებს, როგორია ამ მცენარის მოქმედების მექანიზმი, რატომ აქვს მას დადებითი ეფექტი ნალვლის ბუშტის ტკივილის დროს?“

აქიის კომენტარი:

უკვდავა ფიტოთერაპიაში ფართოდ გამოიყენება. ის აუმჯობესებს ნალვლის გამოყოფას, ამცირებს ნალვლის მჟავების კონცენტრაციას, ზრდის ქოლატების და ბილირუბინის შემცველობას ნალველში. მას აქვს აგრეთვე სპაზმების მომხსნელი მოქმედება ნაწლავების, სანაღვლე გზების, ნალვლის ბუშტისა და სისხ-

ლძარღვების გლუვ კუნთებზე. გარდა ამისა, უკვდავს პრეპარატები ასტიმულირებს კუჭის წვენი გამოყოფას და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორულ ფუნქციას. ექსპერიმენტულად დადგენილია უკვდავას ანტიბაქტერიული ეფექტიც. ნალვლის სეკრეციისა და სპაზმების მოხსნის გზით, უკვდავა ხელს უწყობს ქვიშისა და წვრილი კენჭების გამორეცხვას ნალველ-კენჭოვანი დაავადების დროს. უკვდავა აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციასაც. ამრიგად, უკვდავში თავმოყრილია ყველა ის ეფექტი, რომელიც აუცილებელია სანაღვლე გზების დაავადებათა მკურნალობისთვის. იგი ახდენს კომპლექსურ მოქმედებას, რაც წარმატების გარანტიას იძლევა. უკვდავას პრეპარატები ნაკლებად ტოქსიკურია, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ მისი ხანგრძლივი მიღებისას შეიძლება, ღვიძლის შეგუბება განვითარდეს.

„კარაბადინის“ შექმნა ნიგნის მალაზიებში შეგიძლიათ, ჩვენ კი ვეცდებით, ყურნალის მომდევნო ნომრებშიც შემოგთავაზოთ ზოგიერთი რეცეპტი. ■

თავაზური წიგნები

ქურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად

№1

ყვალაფარი შაქრიანი დიაბეტის შესახებ

სარიის მომთავსო თავაზი:

№2 ყვალაფარი წვევის შესახებ

№3 ყვალაფარი გაღაუღაბალი

სამაღინინო დახმარების შესახებ

№4 ყვალაფარი ალაგინის შესახებ

ადამიანი



„ყველა უყვარბული უსსოელი მყავდა“ ანუ რა კითხვას არ უპასუხებს პასტანგ მაჭავარიანი



მანანა გაბრიჭიძე

— ბატონო ვახტანგ, აღიარებულ კომპოზიტორის, ალექსი მაჭავარიანის ოჯახში გაიზარდეთ; როგორ იხსენებთ ბავშვობას?

— ძალიან ლამაზი ბავშვობა მქონდა. განსაკუთრებულად დიდ სიყვარულს ვგრძნობდი ყველასგან. სამწუხაროდ, ბებია-ბაბუების მხრივ ადრე „დავობლდი“. მამაჩემის მამა — დავით მაჭავარიანი თვალისა და მინახავს. ემიგრანტი იყო, პარიზში ცხოვრობდა და ლევილშია დაკრძალული. იქვე დასაფლავებული მისი ძმაც, ვახტანგ მაჭავარიანი, რომელსაც საბედნიეროდ, მეც ვიცნობდი და კარგად მახსოვს.

— როგორც დედისერთას, განებივრებდნენ?

— მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა ვიყავი, არ მანებივრებდნენ. გარდა იმისა, რომ კარგად უნდა მესწავლა, ოჯახური საქმეებითაც ვიყავი დაკავებული. მაგალითად, შუადღეზე, სადილობისას, სუფრის განწყობა მევალებოდა...

ახლახან, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ქართველი დირიჟორის, ვახტანგ მაჭავარიანის 60 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. ცნობილი ქართული მუსიკალური ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი წარმატებულად მოღვაწეობდა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრალიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, ისრაელში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, სინგაპურსა და ტაივანში...

ვახტანგ მაჭავარიანს სასაუბროდ შინ ვენიეთ. როგორც ცნობილია, ალექსი მაჭავარიანის სახლი საქართველოს იშვიათი სტუმრების თავშესაყარი იყო: მსტილავ როსტროპოვიჩის, სვიატოსლავ რიხტერის, იური ტემირკანოვის... ჩვენი მასპინძელი კარგ განწყობილებაზე იყო და საოცრად გულწრფელი საუბრითაც გაგვანებივრა...

— სამზარეულოშიც ფუსფუსებდით?

— მაშინ არა, მაგრამ ახლა კარგი მზარეული ვარ. მამაჩემისგან ვისწავლე ერობოკერცის პომიდვრით და ხახვით, რომელსაც არაჩვეულებრივად ვამზადებ. ჩემი ინოვაციაც გამოვიყენე, ყველი დაუშობე და ყველას ძალიან მოსწონს. არაჩვეულებრივ სპაგეტის სოუსს ვამზადებ. მაკარონს მხოლოდ წყალში არ ვხარშავ, ცოტა ზეთსა და მარილს ვუმატებ, შემდეგ თავზე ვადგავარ, რომ არც მაგარი იყოს და არც გადაიხარშოს. მთავარი — საუსია, რომლის რეცეპტსაც არ გაგანდობთ — საიდუმლოა. ასევე ძალიან კარგად ვწვავ თევზს, უგემრიელესი გამოდის. კარგად ვიცი ხორცის შეწვაც. ღვინოების დიდი სპეციალისტი ვარ. მეხერხება შერჩევა და სხვადასხვა კერძისთვის მისადაგება. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ბორდოს ღვინოებია. განსაკუთრებით მიყვარს „შატო მარგო“, „გრავ“, „პომეროლ“... მიყვარს როგორც „მედოკის“, ასევე „სანტ-ემილიონის“ ღვინოები. დიდად ვაფასებ იტალიურ ღვინოებს — „ბაროლოს“, „ბრუნელოს“, „ბარბარესკოს“... ღვინოსთან დაკავშირებით საინტერესო ამბავს მოგიყვებით: 1990 წელს, იტალიაში, „არენა დი ვერონას“ სცენაზე „თავად იგორს“ ვდირიჟორობდი. ამ პერიოდში შეყვარე-

ბული გახლდით გერმანელ ქალბატონზე, რომელსაც ბარბარე ერქვა. ის პიანისტი იყო, ლონდონში ცხოვრობდა და პრემიერაზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოფრინდა. პრემიერის შემდეგ გადავწყვიტეთ, რესტორანში გვევასშმა. ძალიან სასიამოვნო, კლასიკურ, იტალიურ რესტორანში შევედით. ოფიციალტს ვუთხარი, რომ იტალიურ ღვინოებში კარგად ვერ ვერკვეოდი და ყველაზე საუკეთესო ღვინო მოეტანა. ოფიციალტმა ბოთლი ჩემ თვალწინ გახსნა, ღვინო უზარმაზარ ჭიქაში ჩამოასხა და დაახლოებით სამი-ოთხი წუთი ანჯღრია. როდესაც ჭიქა მომანოდა, არნახული არომატი და ფანტასტიკური გემო ვიგრძენი. ეს ღვინო „ბარბარესკო“ აღმოჩნდა, რომელიც პირველად დავლიე და ის გემოდღემდე მახსოვს... ალბათ ყველაფერი ლამაზად ჩანდა — ლამაზი რესტორანი, რომელიც დაჯულიყვას ქალაქი და თვალწინმაც ვიქალბატონი, რომელთანაც შევიდნლიანი რომანი მქონდა.

— მეუღლეს გერმანელი გყავთ: როგორც ჩანს, გერმანელი ქალბატონები განსაკუთრებით გიზიდავენ...

— სხვათა შორის, პირველი სიყვარულიც გერმანელი გოგონა იყო... სკოლა წარჩინებით რომ დავამთავრე, ჩემმა მშობლებმა საჩუქარი გამიკეთეს



— ტურისტული მოგზაურობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. პირველად ქალაქ დრეზდენში ჩავედით, სადაც ჯგუფის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ შეგვეძლო, პატარა-პატარა ჯგუფებად დავყოფილიყავით და ქალაქი დაგვეთვალიერებინა. პიანისტი ირაკლი ავალიანი და მე ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ კაფეში დავსხედით. უცრად ვხედავ, მოდის ულამაზესი გოგონა, მაღალი, ლერწამივით მოქნილი, ოქროსფერი თმითა და ლურჯი თვალებით. ეს გოგონა ფეხშიველი, ძალღმადმირადად სეირნობდა. კაფეში შემოვიდა და დაჯდა. ალბათ ძაღლებს განსაკუთრებულად ვუყვარვარ, რადგან ძაღლი არაფრით მომშორდა. ჩემკენ დაჟინებით რომ ინევდა, გოგონაც იძულებული გახდა, ჩვენთან ახლოს გადმომჯდარიყო. ამ შემთხვევის წყალობით გავიცანი გეზინე... ამ შეხვედრამ დაამტკიცა, რომ ერთი ნახვით შეყვარება არსებობს. ის მიუხედავად იყო ჩამოსული ბებიასთან, შემდეგ ჩვენს ტურისტულ ჯგუფს გამოჰყვა და ჩვენთან ერთად მოიარა გერმანიის უამრავი ქალაქი. ერთი წლის შემდეგ თავისი მანქანით ჩამოვიდა თბილისში. როგორც კი გეზინე წავიდა, კა-გე-ბეში გამომიძახეს და ახსნა-განმარტება მომთხოვეს. იგი წერილებს ხშირად მწერდა, მეც ბავშვობიდან გერმანულს კარგად ვფლობ (ბებიას გერმანელი ჩემი აღმზრდელივით იყო და მხოლოდ გერმანულად მესაუბრებოდა). წერილებს მეც ვწერდი, მაგრამ მიმოწერა მალევე შეწყდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი „ზემოდან“ ალკვეთეს.

— თითქმის ათი წელი პარიზში ცხოვრობდით. რა მოგონებები გაკავშირებთ ამ ქალაქთან?


— პარიზში მე-7 უბანში ვცხოვრობდი. ჩემი პატარა ქუჩა ულამაზესი იყო. ერთ მხარეს სენ-ჟერმენის ბულვარი მდებარეობდა, მეორე მხარეს — მონპარნასი. რომელ შენობაშიც ვცხოვრობდი, პარიზის წითელ წიგნშია შეტანილი, როგორც არქიტექტურული ძეგლი. ჩემი სახლის გვერდით ძალიან ცნობილი რესტორანი — „პატარა ლუტეცია“ იყო. ამ რესტორნის მფლობელი, დანიელი და მე ძალიან დავახლოვდით. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ღვინოების და კერძების კარგი მცოდნე ვარ... რესტორანში ტურისტები ნაკლებად შემოდით და

ნენ. იქ ვნახე საფრანგეთის პრეზიდენტის ძმისშვილი, ცნობილი ჟურნალისტი, ფრედერიკ მიტერანი, გამოჩენილი მსახიობი, იზაბელა აჯანი, ამერიკელი მსახიობი, მიშელ პუაიფერი, რომელიც პარიზში ჩემ მეზობლად ცხოვრობდა... ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ მთელი ფრანგული ინტელექტუალური ელიტა ამ რესტორანში იკრიბებოდა. ერთხელ, რომ მივედი, მოსამსახურეები დაღვრემილები ჩანდნენ. მიზეზი რომ ვიკითხე, მითხრეს, დანიელი მე-7 სართულიდან გადმოხტა და ძალიან მძიმე მდგომარეობაში, საავადმყოფოში წვესო. ძალიან დავლონდი, რადგან დანიელი დიდი სითბოთი იყო ჩემ მიმართ განწყობილი — მარტო შევიდოდი თუ სხვებთან ერთად, დიდ ყურადღებას იჩენდა. მაგიდაზე ყოველთვის საჩუქრად დაგვიდგამდა „აპერიტივს“, ხოლო სადილის ან ვახშმის შემდეგ „დაიჯესტივს“... გარკვეული ხნის შემდეგ დანიელი გამოჩნდა თავის რესტორანში, ჯოხით ხელში, დაბინტული და ძალიან მორიდებით რომ ვკითხე, როგორ მოხდა ეს უბედურება-მეთქი? — მიპასუხა, ჩემს ბინაში ფანჯარასთან რომ მივედი, იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ გავფრინდებოდი, გავფრინდი კიდეც... საბედნიეროდ, დანიელი ახლაც მშვენივრად გამოიყურება და როდესაც მის რესტორანში შევდივარ, საზეიმოდ შემპაწურს მისხნის. მის რესტორანში ნამდვილ დელიკატესებს გავვეცანი. კარგად შემიძლია მოვამზადო „კოკი სან ჟაკ“. ეს კერძი ზღვის

პროდუქტებისგან მზადდება და ძალიან უხდება ფრანგული ელზასის თეთრი ან რაინის სანაპიროს თეთრი ღვინოები. არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ქართული ღვინო არ მიყვარს. განსაკუთრებით ვაფასებ „საფერავს“, „მუჟუზანს“, „წინანდალს“... რაც შეეხება კერძებს, ყველაზე მეტად ფრანგული სამზარეულო მომწონს, ასევე — ჩინური და იაპონური. ზოგჯერ შევდივარ ინდურ რესტორანშიც. როცა პარიზში ქართული გემო მენატრებოდა და ქართულ რესტორანამდე ვერ ვაღწევდი, ლიბანურ რესტორანში შევდიოდი.

— ქალების თემას დავუბრუნდეთ: როგორ გაიცანით თქვენი გერმანელი მეუღლე?

— ჩემმა ახლო მეგობარმა, რაინერმა სახლში დამპატიჟა. იგი შევიცარიელია, პარიზში ცხოვრობს და ბირთვული ფიზიკის მეცნიერია. მამამისი ალბერტ აინშტაინის მოწაფე, უმცროსი მეგობარი და თანამშრომელი იყო... რაინერთან რომ მივედი, მისმა მეუღლემ თავისი კარგი ნაცნობი მოიწვია, რომელიც შემდგომში ჩემი მეუღლე გახდა... სალამო რომ დასრულდა, ალექსანდრას უთხრეს, ვახტანგიც შენი მანქანით წაიყვანეო, რაზეც უპასუხა, ჩემი ბედიც ეგ არის, რომ სულ ვილაც მიმყავს მანქანითო. როდესაც შინ მიმიყვანა, გაკვირვებული სახით შემომხედა, რადგან თურმე ჩემი სახლიდან სულ რაღაც 300 მეტრში ცხოვრობდა და 7 წლის განმავლობაში ერთმანეთს ერთხელაც არ შევხვედრივართ. იმ პერიოდში ჩემი



გამოიწერეთ **„სულხან-საბა ორბელიანი“** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელევა-ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!
 სულხან-საბა ორბელიანი
ტომი №55
სულხან-საბა ორბელიანი
სიზრძნე სიზრუისა
 წიგნის ფასი **3 ლარი!**
17-დან - 24 მარტამდე!
წაიკითხა წიგნები-უპატიოსად იძებოი



და ბარბარეს ურთიერთობა „სულს
ლაფავდა“... ალექსანდრას ვთხოვე,
თავისი ტელეფონის ნომერი მოეცა,
შემდეგ რამდენიმეჯერ შევხვდით და
ჩვენი ურთიერთობა 1998 წელს ქორ-
წინებით დაგვირგვინდა. ქორწილი
ჯერ გერმანიაში გადავიხადეთ, შემ-
დეგ — თბილისში. ერთადერთი ის
მწყინს, რომ მამა ვერ მოესწრო ჩემს
დაქორწინებას და ალექსის დაბადე-
ბას.

**— თქვენმა ვეროპელმა მეუღლემ
საქართველოში ძალიან რთულ წლებ-
ში იცხოვრა...**

— დიას, არ იყო წყალი, შუქი,
გაზი... მაგრამ იმდენად საოცარი
პიროვნებაა, უშგულშიც კი წამოვი-
დოდა (უშგულის რთულ პირობებს
ვგულისხმობ, თორემ უშგული ყვე-
ლაზე ახლოსაა ღმერთთან). ჩემი
მეუღლის ცხოვრების წესი აგებუ-
ლია სულიერ ღირებულებებზე და არა
მატერიალურზე, რაც მისი კარგად
აღზრდის შედეგია. არაჩვეულებრივი
მშობლები ჰყავს — გრაფი და გრაფინ-
ია ფონ ვენგერსკი. ალექსანდრამ
ქართული ისწავლა, ბელგიაში თუ
ალექსის ქართულად არ ველაპარაკე-
ბი, მეჩხუბება. თავად თავისუფლად
ვფლობ ქართულს, რუსულს, გერ-
მანულს, ინგლისურს, ფრანგულს, ასევე
შემიძლია მეგრულად ლაპარაკი —
დედამ და ბებიამ მასწავლეს. დედა-
ჩემის მამა, კირილე პაჭკორია ხომ
მეგრელი იყო, ცნობილი ლოტბარი...
ალექსიმ ცხენოსნობაში რამდენჯერ-
მე გაიმარჯვა. ძალიან კარგად დგას
თხილამურებზე. სკოლაშიც კარგად
სწავლობს. მუსიკაში ფორტეპიანოზეც
მეცადინეობს და ვიოლინოზეც. ბევ-
რი ქართული თვისება აქვს. ქართუ-
ლად საუბარი ცოტა უჭირს. ბავშვი
რომ მთელი დღე სკოლაშია, დედა

ქართულად არ ელა-
პარაკება და მამა სულ
გასტროლებზეა, ასე
ხდება. თუმცა ჩემი
მეუღლე სულ „დარა-
ჯად“ არის — ბავშვმა
ქართული არ
დაივიწყოსო. ამის სა-
შიშროება არც არის,
ალექსის საქართველო
ძალიან უყვარს, კედელ-
ზე სულ ქართველი მე-
ფეების სურათები აქვს
გაკრული და ზოგჯერ
საქართველოს ჰიმნს
ისე ხმაშაღლა რთავს,
გული გვისკდება.

**— რატომ აირჩი-
ეთ საცხოვრებლად ბელგია?**

— ამ ქვეყანასთან პროფესიონ-
ალურად ვარ დაკავშირებული. ჩემი
მეუღლისთვისაც მოსახერხებელი ად-
გილი იყო საცხოვრებლად, რადგან
მისი დის ოჯახი იქ ცხოვრობს. ბელ-
გიიდან ძალიან ადვილად სვდები
მთელ ევროპაში. ბრიუსელსა და
ანტვერპენს შორის ვცხოვრობ. ბელ-
გიელები ძალიან ზრდილობიანი და
სტუმართმოყვარე ხალხია. კარგი მე-
ზობლები მყავს, მათთან ოჯახებით
ვემგობრობ და ერთმანეთს ხშირად
ვსტუმრობთ.

**— ცოტა შემოქმედებით საქმი-
ანობაზეც ვისაუბროთ. საქართველო-
ში რა გეგმები გაქვთ?**

— საქართველოში სიამოვნებით
ჩამოვივარ. ვერ ვიტყვი, რომ აქედან
წასული ვარ. ხშირად ვახორციელებ
ჩემს პროექტებს. განსაკუთრებული
პრიორიტეტი აქვს მამას აუჟღერებელ
ნაწარმოებებს. მინდა შესრულდეს
ალექსი მაჭავარიანის ოპერა „ჰამლე-
ტი“, ბალეტი-პოემა „ფიროსმანი“, ასევე
მე-3 საფორტეპიანო
სონატა. ხელს შევუწე-
ვობ მისი მე-5 და მე-
6 სიმებიანი კვარტეტე-
ბის შესრულებას. ძა-
ლიან მინდა შესრულ-
დეს მისი ხუთი მონო-
ლოგი ვაჟა-ფშაველას
ტექსტზე, ბარიტონისა
და ორკესტრისათვის,
რომლისთვისაც მამამ
რუსთაველის პრემია
მიიღო. მინდა აჟღერ-
დეს მისი საფორტე-
პიანო კონცერტი, ჩე-
ლოს კონცერტი, რო-
მელიც თბილისში ძა-
ლიან ცუდ დროს შეს-
რულდა — იმ პერი-
ოდში საქართველოს
დამოუკიდებლობის-



ჩემი მეუღლის ცხოვრების წესი აგებულია სულიერ ღირებულებებზე

თვის ბრძოლა იყო გაჩაღებული და
დარბაზში სრული დასწრება ვერ მოხ-
ერხდა...

**— დიდხანს ცხოვრობდით რუსეთ-
ში. თქვენ ერთადერთი ქართველი
ღირსი ხართ, რომელიც მარიას
თეატრსა და მოსკოვის დიდ თე-
ატრში მოღვაწეობდა. დავიჯეროთ
რუსი ქალბატონი თქვენს ცხოვრე-
ბაში არ ყოფილა?**

— მოსკოვში მყავდა ულამაზესი
შეყვარებული, რომელიც რუსულ-
თურქმენული „ნარევი“ იყო. ოთხწ-
ლიანი რომანი გვექონდა, ის საქართვე-
ლოშიც ჩამოდიოდა.

**— ქართველი არავინ გყვარები-
ათ?**

— ამ შეკითხვას არასოდეს ვპასუხ-
ობ... ფრანგი შეყვარებული მყავდა, რო-
მელიც თბილისშიც იყო ჩამოსული.

**— გვიან დაქორწინდით, ამას
რა დადებითი და რა უარყოფი-
თი მხარეები აქვს?**

— ცუდი ის არის, რომ ადრე არ
დავექორწინდი, მაგრამ კარგია, ალექ-
სანდრას რომ დაველოდე. ღმერთმა ეს
მოლოდინი კარგად დააგვირგვინა.
გამოცდილი ვიყავი, კარგად ვიცოდი, რა
მინდოდა და ზუსტად ის მივიღე, რაც
მჭირდებოდა. 47 წლის ასაკში დავქორ-
წინდი, მეუღლე ჩემზე უმცროსია.

**— 60 წლის იუბილე როგორ
აღნიშნეთ?**

— მხოლოდ უახლოესი მეგობრებ-
ის წრეში, რადგან ჩემი ოჯახი აქ არ
იმყოფებოდა. ახლობლებმა და ნაც-
ნობებმა სამი კონტინენტიდან დამი-
რეკეს. ჩემმა მეგობარმა, პაატა ბურ-
ჭულაძემ გერმანიიდან დამირეკა და
ტელეფონით, სიმღერით მომილოცა.
უკეთესი ხმით ვინ მიმღერებდა?! კარ-
გი საჩუქრებიც მივიღე.

**— 120 წელი რომ შეგისრულდე-
ბათ, სომ დამბატივებთ?**

— თუ 120 წლის გავხდები, აუცი-
ლებლად...

**განსაკუთრებული პრიორიტეტი აქვს მამას
აუჟღერებელ ნაწარმოებებს**



ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს და მის შემხვედრია ბევრი განსაცდელი...

ნიწო ჯაჲანიშვილი

ბევრმა არც იცის, რომ სიმღერა „გუდამაყრელი“, რომელიც პოპულარული იმთავითვე გახდა და მსმენელმა ასე შეიყვარა, დეკანოზ **თავმას ჩოხელის** ლექსზე შეიქმნა.

„მთაში არწივი ნავარდობს, ცაში ღრუბლები ჰფენია,
ჩანჩქერთა კლდე-ჭიუხებში ესოდენ მოუღებენია,
არავგო, შენსა კალთებსა, კლდენი, ლოდები ჰფენია,
ამაყო გუდამაყრელო, რაად, რად მოგიწყენია.
საქმენი სავაჲკაციონი მთას მოუთმენლად გელიან,
უნდა დასტოვო სიცოცხლე, მოგიხმობს არაგველია,
სამას მეერთე იქნები, პირზე ღიმილის მწენია,
მამულს ანაცვლო სიცოცხლე, ჩვეულებაა შენია“...

მთისა და სამშობლოს სიყვარულით



5-6 წლის ვიქტორბოლ, მეზობლის გოგოს იებს ვუყარეული და ვხუქნიდი ხოლმე



გაჯერებული ეს სტრიქონები „საქმენი სავაჲკაციონის“ სადიდებელია და თითქოს ძიებაცაა სამასმერთე არაგველისა...

ჯვარის მამის სახელობის ტაძრის მოძღვრის, დეკანოზ თავმას ჩოხელისთვის უწმინდესის ერთი სიტყვა გამხდარა სტიმული, რომ გაბნეული რითმები შეეკრიბა, სტრიქონებად დაეწყო და ლამაზი ლექსები დაეწერა; ლექსები, რომლებმაც რამდენიმე ახალგაზრდა შემსრულებელი

ლი მაშინვე მოხიბლა, საკუთარი კუთხის — გუდამაყრის სიყვარულითაა ნაკარნახევი და გაულენთილი. დეკანოზი თავმასი წარმოშობით შავი არაგვის ხეობიდან გახლავთ. ამჯერად თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვესაუბრეთ:

— თიანეთში გავატარე ბავშვობა. პატარაობიდანვე მქონდა შიში და რწმენა ღვთისა. 19-20 წლისამ დავინწყე ეკლესიაში ხშირად სიარული, მერე სასულიერო სემინარიაშიც ჩავაბარე და უკვე 14 წელია, რაც მოძღვარი ვარ. ძალიან რთულია, იყო მოძღვარი. მრევლთან ფაქიზი ურთიერთობაა საჭირო, შეცდომები არ უნდა დაუშვა. თუ ვერ შეძლებ, რომ ეკლესია შეაყვარო ვინმეს, არც უნდა შეაჯავრო. ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს და მეც შემხვედრია ბევრი განსაცდელი, მაგრამ ღვთის სასოება და იმედი არ დამიკარგავს. უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი მას შეეწევა, ვინც გულმხურვალედ შესთხოვს უფალს და ეკლესიურად ცხოვრობს. ყოფილა შემთხ-

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!



შემდგომ

- 1 ალექსანდრე მაკედონელი
- 2 ალბერტ აინშტაინი
- 3 მარკო პოლო
- 4 ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
- 5 გალილეო გალილეი
- 6 მიგელ დე სერვანტესი
- 7 მაჰათმა განდი
- 8 უოლტ დისნეი
- 9 ნიკოლაი კოპერნიკი
- 10 ფრედერიკ მოპენი
- 11 ლეონარდო და ვინჩი
- 12 ლუი პასტერი
- 13 ნაპოლეონ ბონაპარტე
- 14 ისააკ ნიუტონი
- 15 პლატონი
- 16 ტომას ალვა ედისონი
- 17 ქრისტეფორე კოლუმბი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები
წიგნების სერია ბავშვებისთვის

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)

ვევა, როდესაც დიდი მცდელობისა და ძალისხმევის მიუხედავად, ვერ შეეძლო ადამიანის სწორ გზაზე დაყენება. ასეთ დროს გულდამწყვეტის შეგრძნება მეუ-



ქალ-ვაჟი გვყავს: მარიამი 12 წლისაა, ფანდურზე უკრავს, ხატავს და ლექსებსაც წერს, ვაჟა კი ჯერ 6 წლისაა

ფლება და საკუთარ თავს ვადანაშაულებ, რომ ვერ მოვახერხებ დახმარებას.

— ვიდრე თქვენს ლექსებზე ვოსაუბრებდეთ, არ შემიძლია, არ გკითხოთ გოდერძი ჩოხელის შესახებ. თქვენ ხომ მისი ოჯახის მოძღვარი ბრძანდებით და ხშირად სტუმრობდით.

— დიას, ამ ოჯახის მოძღვარი დღესაც ვარ. გოდერძი ყველას ძალიან უყვარდა, მასთან ხშირად მიდიოდნენ მოძღვრები, ეპისკოპოსები და ესაუბრებოდნენ, აზიარებდნენ. ვუბნებოდი, — ხომ იცი, დარდების შემგროვებელი პირველი მოძღვარი შენ ხარ-მეთქი... გაეცინებოდა ხოლმე ჩემს ნათქვამზე, ფაქიზი და ღრმა შინაგანი სამყარო ჰქონდა, 200-300 წლის წინ უნდა დაბადებულიყო. მისმა გულმა დარდას ვერ გაუძლო, შემოქმედებითად ვერ იცლებოდა და გული ჩამოეცალა დარდით... ერთხელ ვუთხარი: გოდერძი, კინოს რომ ვერ იღებ, რამე მაინც დაწერე-მეთქი. იმის ხალისით ვწერდი, რომ ვიცოდი, კინოს გადავიღებდიო, — ასე მიპასუხა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლიდან ბევრი რამ ფასეული დაუტოვა ქართველ ერს და შთამომავლობას.

— მამაო, ახლა თქვენს ლექსებზე გკითხავთ: საიდან შეიტყო უწმინდესმა თქვენი პოეტობის შესახებ?

— პატრიარქი დიდი ადამიანია და კარგად იცის, როგორ გააღვივოს ადამიანში ის უნარი, რომელიც მას აქვს. მისმა უწმინდესობამ მოისმინა ჩემი ლექსების აუდიოჩანაწერი და ერთხელ ჯვარის მამამი მობრძანებისას სასხვათაშორისოდ მითხრა: კვლავაც დაწერეო. ამ სიტყვებმა იმხელა სტიმული მომცა, რომ უმოკლეს დროში დაწერე რვა ლექსი და აქედან უმეტესობა „ამღერდება“.

— როდესაც სამების საკათედრო

ტაძარში გამშვენებული ვჯვრით დაგვჯილდოვით და პოეტი გინოდით, რა გრძნობა დაგეუფლათ?

— როგორ გითხრათ? ერთდროულად სიხარულისა და მორიდების გრძნობა დამეუფლა — ძნელი ამის სიტყვებით გადმოცემა...

— თითქმის ყველა ლექსი თქვენი კუთხის სიყვარულითაა გაჯერებული, თანაც მთის კილოზე წერთ?

— რატომღაც ასე მეწერილება, ეს ჩემს ნებაზე არ არის დამოკიდებული. გართმევა მეადვილება, მაგრამ მხოლოდ მაშინ ვწერ, როდესაც ლექსი „შემომანება“. ეს ძალიან რთული და ამავდროულად

სასიამოვნო პროცესია. მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნოა, როდესაც შენს ლექსებს ნაიკითხავენ და მოეწონებათ.

— თქვენს პირველ ლექსზე „გუდამაყრელი“ — სიმღერა შეიქმნა და უცებვე გახდა პოპულარული. მიაბზეთ, ეს როგორ მოხდა?

— არის ასეთი ნიჭიერი შემსრულებელი გიორგი ჩიტაური, რომელსაც ძალიან მოეწონა ლექსი და რამდენჯერმე მთხოვა, ვიმღერებო. თავდაპირველად, სერიოზულად არ აღვიქვი ეს ამბავი და ვუარობდი, ბოლოს დავთანხმდი. ამასობაში გიორგი საზღვარგარეთ წავიდა და კახა მანგოშვილმა იმღერა. როდესაც გუდამაყარში ავიტანეთ ეს სიმღერა და იქაურებს მოვასმენინეთ, იმდენად მოეწონათ, რომ თქვეს: ეს სიმღერა გუდამაყარელების ჰიმნი გახდებაო და ამის აღსანიშნავად ცხვარი დაკლეს. გუდამაყარში ოპერატორიც წავიყვანე, გადავიღეთ ხედები და შემონტაჟის დახმარებით გავაკეთე ვიდეოვერსიაც. სიმღერა „ტრიალებს“ საპატრიარქოს ტელეეთერში, საპატრიარქოს რადიოსა და რადიოში „არ დაიდარდო“.

— როგორც ვიცი, დათო კენჭიაშვილმაც ჩაწერა სიმღერა თქვენს ლექსზე.

— დათოც ძალიან ნიჭიერი ადამიანია და გამიხარდა, როდესაც გადამყვიტა, ჩაწერა სიმღერა ჩემს ლექსზე „წუთისოფელი“. ეს სიმღერაც რადიოში „ტრიალებს“. გარდა ამისა, დათო არჩვამემ უკვე შექმნა მუსიკა ლექსზე „სიმღერა სწოზე“, რომელიც მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიუძღვნენ და სულ მალე გავაცნობთ მსმენელს. „დები გოგოჭურები“ ამზადებენ კიდევ ერთ ახალ სიმღ-

ერას ლექსზე „სამასი არაგველი“.

— თქვენი ბოლო ლექსი „ია“ ვის მიუძღვნით?

— ია ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარს. მასსოვს, 5-6 წლის ვიქნებოდი, მეზობლის გოგოს იებს ვუკრეფდი და ვჭუქნიდი ხოლმე. ტაძარში იყო იის ბუჩქი, რომელსაც ერთადერთი ყვავილი ჰქონდა. მისი დანახვა მსიამოვნებდა, მაგრამ ერთ დღეს ვილაც ბიჭმა მოწყვიტა და გული დამწყდა. რატომღაც მომინდა, ია დამეცვა და ასე შეიქმნა ჩემი ლექსიც, რომელიც მეუღლეს — დალი ზურაბიშვილს მიუძღვნენ.

— ოჯახზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.

— 15 წელია, რაც დაოჯახებული ვარ. დალი თიანეთში გავიცანი, მაშინ სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. ბევრი სიძნელის გადალახვამ მოგვინია ერთად და ჩემმა მეუღლემ ამ ყველაფერს გაუძლო, ყოველთვის გვერდით მედგა. ქალ-ვაჟი გვყავს: მარიამი 12 წლისაა, ფანდურზე უკრავს, ხატავს და ლექსებსაც წერს, ვაჟა კი ჯერ 6 წლისაა.

— მოდი, თქვენი ახალი ლექსით დაგვათავართ ჩვენი საუბარი.

— „ია ვარ, ლურჯით მოსილი, სურნელით ვატკობ მდელოსა, მთიდან ბარს მივსალმები, ღმერთს შეუთხოვ, მადლეგრძელოსა.

ჩემის სიცოცხლით ვახარებ, სულდგმულთა საედემოთა,

შვილი ვარ დედამინისა, სუყველამ დაიფეროსა.

ავდარი გამბანს, მზე მათბობს, ნიაგი მამფეროსა,

ჩემის სინაზით ვერძალვი, სამშობლოს სადლეგრძელოსა.

ნუ მამგლეჯთ, დაუდარდები, ფესვებს, მონყვეტილ ღეროსა,

მზე დაითალხავს ღრუბელთა, ლამემ დღე დაიფეროსა.

დილა ცვარ-ნამით მიგლოვებს, მთვარე მიტირებს ვეროთა,

ყორანნი შავებს ჩაიცმენ, მთამ ნისლი შიციროსა.

ვარ გაზაფხულის მეზარე, ვუხდები ხისა ჩეროსა,

ნუ მამგლეჯთ, თქვენი ჭირიმე, ნუ დააობლებთ მდელოსა“.

ამ მოკრძალებულ ლექსს, ჩემს მეუღლესთან ერთად, ვუძღვნი ყველა ქართველ დედას, დას, ქალიშვილს, ყველას, ვისთვისაც ოდესმე იები მიჩუქებია. მთლიანად საქართველოს ვულოცავ გაზაფხულის მობრძანებას, თქვენ კი ღმერთმა დაგლოცოთ და მრავალი სიმართლე დაგანერინოთ მამულისა და ერის სადიდებელი...



როგორ მოვიხლოთ საყვარელი ადამიანი

ანუ სიყვარულის ახსნის მეთოდები

სიყვარულის ახსნის უამრავი მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველაზე უცნაურ გზას ის მოზარდები ირჩევენ, რომლებიც საყვარელ ადამიანს თმას აწინკნიან, გულს სტკენენ, ჩანთას უმაღლეს ან თავში ურტყამენ. ყვავილები, ლამაზი სიტყვები, სანთელი, შამპანური, რომანტიკული გარემო — ეს ყველაფერი კარგია იმისთვის, რომ საყვარელი ადამიანი უსიტყვოდ მიახვედრო, რომ გიყვარს, მაგრამ ძნელია შენი გრძობა ამოიცნოს მაშინ, როცა ეუხეუხები, ეუზრდელები. მეტიც, ამის გამო შეიძლება, ის დაკარგო კიდევ, მაგრამ თინათინა უნდა ასაკში ამას ვერ აანალიზებ, საკუთარ ქმედებას ვერ აკონტროლებ და ყველაფერს მაშინ ხვდები, როცა უკვე ძალზე გვიანია.

ლიკა ქაჯაია

ქათო, 19 წლის:

— მახსოვს, მეორე კლასში ვიყავი, როცა კლასელი გამუდმებით მპარავდა ხან საწერ კალამს, ხან — ფანქარს, რვეულს, წიგნს, მე კი ამ ყველაფრის გამო ტირილით ვსკდებოდი. ცხადია, ის ამ გზით ჩემდამი სიმპათიას გამოხატავდა, მე კი „ქურდი“ სამუდამოდ შევიძულე, მას წლების განმავლობაში ხმას არ ვცემდი და დღესაც, როცა ქუჩაში მხვდება, რალაცნაირი, უსიამოვნო გრძობა მეუძლება. ეტყობა, ძალიან არ მესიმპათიურებოდა და ამიტომაც შევიძულე... სკოლის ასაკში სხვასაც ვუყვარდი. ის ბიჭი სიურპრიზებს არ მაკლებდა, ხან ყვავილებს მჩუქნიდა, ხან სერენადას მიმღეროდა, მაგრამ სოფელში დაბადებულ-გაზრდილი იყო და ამის გამო ვინუნებდი, „სოფელელს“ ვეძახდი. პირველად იცით, რა მიმღერა? — „ჩამოვიარე მე შენს ქუჩაზე“ და მაშინ ამაზეც ბევრი ვიხალისე... პირველი ნამდვილი სიყვარული 15 წლის ასაკში მენვია. სხვათა შორის, მას მერე „ლოვე“ არ გამომიცვლია და იმედი მაქვს, რომ ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით. მართალია, ის სიურპრიზებით, საჩუქრებით არ მანებივრებს და არც ის უთქვამს, რომ ვუყვარვარ, მაგრამ როცა ორი ადამიანი ერთმანეთის მიმართ რაღაცას გრძობს, მაშინ სიტყვები ზედმეტია, ამაზე თვალებიც მშვენივრად მეტყველებენ.

— გამოდის, რომ მას შენთვის სიყვარული არ აუხსნია...

— ასე! მის თვალებს ვენდე და არც შევმცდარვარ. სამაგიეროდ, მე ვუუბნები ხშირ-ხშირად, რომ ძალიან მიყვარს, რომ მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, მაგრამ ეს თავში ნამდვილად არ ავარდნია.

— შენი „ლოვესგან“ უხეშობა არასდროს გიგრძნია?

— არა, ის ძალიან ყურადღებიანი, თბილი ადამიანია და ამიტომაც შემი-

ყვარდა. უხეში და უზრდელი რომ იყოს, გეფიცები, მას არც შევხედავდი, დაუფიქრებლად მივატოვებდი.

— ამზობენ, ზოგჯერ ბიჭები სიყვარულს უხეშობით გამოხატავენ...

— რა სისულელეა?! თუ ადამიანი გიყვარს, მასთან უხეშობა რა საქროა? ამას არ სჯობია, გულში ჩაიხუტო და

მეოთხე სართულზე აგედი და მის სახლში ფანჯრიდან, ქურდივით შევიპარე, ვარდები ვაზაში ჩავუწყვე და უკან ისევ ფანჯრიდან გადმოვძვერი

მიეფერო? არა, უხეში და ბუზლუნა ადამიანების არასდროს მესმოდა და მათ ვერც ვერასდროს გაუვებ.

ნიკა, 16 წლის:

— შეყვარებული არასდროს მყოლია, მაგრამ თუ გოგო მესიმპათიურება, მას ნამდვილად არ ვუუხეშები. ჩემი აზრით, თუ გინდა, მანდილოსანი „შეაბა“, მას ძალიან თბილად უნდა მოექცე, მის მიმართ ყურადღება უნდა გამოიჩინო. თუმცა, მყავს ისეთი მეგობრებიც, რომლებიც გოგონებს ეუხეშებიან და სხვათა შორის, იმ ქალებს ეს მოსწონთ კიდევ.

— შენს მეგობრებს უხეშობით რისი მიღწევა სურთ?

— ჰგონიათ, რომ ასე მათ ყურადღებას მიიქცევენ და როგორც უკვე ვთქვი, ხშირ შემთხვევაში, მათი ეს მეთოდი ამართლებს კიდევ — სულელი გოგონები მახეში ებმებიან... 2 წლის წინ ჩვენს სკოლაში ახალი გოგო გაჩაჩითა. რას არ ვაკეთებდი, მისი ყურადღება რომ დაემსახურებინა, ფეხქვეშ ფიანდაზადაც ვეგებოდი, მაგრამ ზედაც არ მიყურებდა. მერე გადავწყვიტე, ძმაცაცებისთვის მიმებაძა და მისთვის „იგნორი“ გამეკეთებინა. ჰოდა,

მოსდა საოცრება — ცოტა ხანში თავად დამინყო უკან დევნა, ხოლო როცა დაცინვაც დაუწყე, ჩემი გულის მოსაზრებებლად ყირაზეც დგებოდა. დღეს იმ გოგოსთან არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს, რადგან არ შემიძლია, საყვარელ ადამიანს ვუუხეშო, მას კი სწორედ უხეშობა მოსწონდა; მიჩვენია, გოგოს გული ისეთმა დავიპყრო, როგორც ვარ და არა მიმბაძველობით, მსახიობობით.

— ქალის გულის მოსაზრებლად მაინც რა გაგიკეთებია?

— ერთხელ უაივნო კორპუსში, მეოთხე სართულზე აგედი და მის სახლში ფანჯრიდან, ქურდივით შევიპარე, ვარდები ვაზაში ჩავუწყვე და უკან ისევ ფანჯრიდან გადმოვძვერი. ეს გამირობა არაა? აბა, წარმოიდგინე, მამამისს რომ დავეჭირე, რას იფიქრებდა და რას მიზამდა?.. ერთხელ კიდევ,

გოგოს გამო, ჩემი საყვარელი ოქროს ყელსაბამი გაყვიდე და მას ვარდების უზარმაზარი თაიგული ვუყიდე, დარჩენილი თანხით კი შედარებით მომცრო ზომის ყელსაბამი შევიძინე, დედა ჩემს ცულულტობას რომ ვერ მიმხვდარიყო.

— როცა გოგო მოგწონს, ამას პირდაპირ ეუბნები თუ გირჩენია, როგორმე მიახვედრო?

— ამას თვალებითა და ჩემი საქციელით ვუუბნები. სიტყვებს მხოლოდ მაშინ მოვიშველიებ, როცა გოგო ნამდვილად მეყვარება!

ნუში, 17 წლის:

— მომწონს უხეში ბიჭები და ვერ ვიტან მლიქვნელ, მტლამამტლუმის მოყვარულ ადამიანებს. აბა, რა არის კარგი იმაში, რომ ბიჭმა ყოველი დანახვისას მოგიკითხოს, გაკოცოს? კაცი ვაჟკაცური უნდა იყოს. მართალია, არც ის მინდა, რომ „ლოვე“ გამუდმებით მეუხეშებოდეს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში ესეც საქროა.

— შეყვარებული მეგობრების თანდასწრებით რომ გუუხეშოს, მოგწონება?

— თუ ამას უმიზეზოდ გააკეთებს,



ცხადია, არ მომენონება, მაგრამ თუ მისგან უხეშობას დავიმსახურებ, არ მესმის, რატომ უნდა მომეფეროს?

მისგან დაცინვასაც აიტან?

— არა, ქალის დაცინვა ვაჟკაცს არ შეეფერება. შეიძლება, ხუმრობით რაღაც მითხრას, მაგრამ რატომ უნდა დამცინოს?.. ზოგიერთ გოგოს ხუმრობა არ ესმის, მეტიც — რომ უთხრა: დღეს რა მაგარ „ვიდზე“ ხარო, შეიძლება, ესეც კი შეურაცხყოფად მიიღოს, სიტყვა „ვიდი“ არ მოენონოს, ამაშიც რაღაც უხამსობა იბოვოს და გამოგლანძლოს. მე ასეთი გოგონების კატეგორიას ნამდვილად არ მივეკუთვნები.

იმისთვის, რომ ბიჭმა საკუთარ გრძობებში დაგარწმუნოს, სიყვარულის ახსნა აუცილებელია?

— ზოგჯერ ეს არცაა საჭირო, მა-



გრამ ძალიან მომწონს, როცა სიყვარულს მისხნიან და თავყვანისმცემელი რომც არ მესიმათიურებოდეს, მას დროს მაინც დაფუთობ, ლამაზი სიტყვების მოსასმენად ყოველთვის მზად ვარ! არაფერია იმაზე სასიამოვნო, როცა გეუბნებიან: „მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია!“

აღბათ, თავყვანისმცემლებისგან საჩუქრების მიღებაც გსამოყენებს...

— ცხადია, არც ამაზე ვამბობ ხოლმე უარს, მაგრამ ვიცნობ ისეთ გოგონებსაც, რომლებსაც ეს „უტყდებათ“ და ამბობენ, — თუ ბიჭი არ გევახება, მისგან არც საჩუქარი უნდა მიიღო და როცა სადმე დაგაბატიყებს, მაშინაც უარი უნდა უთხრაო, ჩემი აზრით კი კაცები უნდა გამოიყენო, ისინი თავად უნდა „იხმარო“.

პაპ, 28 წლის:

— ჩემი ქმარი იცით, როგორ გავიცანი? — სიყვარულის დღეს, 14 თებერვალს ის „ბირჟაზე“ იდგა და გოგონებს,

რომლებმაც გვერდით ჩაუჯარეთ, დამცინავად გვიხსრა: რა იყო, ბიჭები ვერ „შეაბით“, სიყვარულის დღეს მართო რომ დაუხეტებოთ? მასზე ძალიან გავბრაზდით და სხვებთან ერთად, მეც შევეპასუხე. როგორც მერე მამუჟამ მითხრა, ყველაზე მეტად ჩემმა სიტყვებმა გაამწარა. მე არ მახსოვს, მაგრამ მისთვის მითქვამს: იდიოტო, ამხელა კაცს პირი რომ დაგიფრენია, არ უნდა იცოდეს, სად და როგორ ილაპარაკო, ვის რა უნდა უთხრა? ფრთხილად იყავი, მაგ უხეშ პირში ბიჭი არ შეგიფრინდეს-მეთქი. ჰოდა, იმ დღის შემდეგ ერთმანეთს გადავემტერეთ და ვინ იცის, ურთიერთს რას აღარ ვუბნებოდით; ქუჩაში თუ შემხედებოდა, ვცდილობდი, გამემწარებინა და ისიც ყველაფერს აკეთებდა, რათა წონასწორობა დამეკარგა. ერთხელ ისე გამაგიჟა, რომ მის საცემრადაც კი გავინეე და როცა ხელით შევეხე, მივხვდი, რომ კი არ მისულდა, პირიქით, ძალიან, ძალიან მიყვარდა. მამუჟასაც თითქოს, დენმა დაარტყაო — გააჟურიალა და თავი ჩაქინდრა. მას შემდეგ ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებოდით. ჩვენი ასეთი ცვლილება ბევრს უკვირდა, ეს ჩვენს მეგობრებს შეუმიჩნეველი არ დარჩენიათ, მაგრამ ვირიდან ვერ ჩამომიყვანეს, ვერ მათქმევენეს, რომ მამუჟას მიმართ რაღაცას ვგრძობდი... წლების განმავლობაში პირველი ნაბიჯის გადადგმას არც ერთი არ ვკადრულობდით. ბოლოს, მამუჟას მოთმინების ფიალა აუვსო და ქუჩაში დამხვდა, მეგობრების თანდასწრებით მითხრა: მეტი არ შემიძლია. გული გამისკდება, რომ არ გითხრა, თუ როგორ მიყვარხარო. მას შემდეგ დაგემგობრდით, ურთიერთობა ავანყვეთ და ბოლოს, დავეკორნინდით კიდევ. ასე რომ, ზოგჯერ კაცის უხეშობა იმას არ ნიშნავს, რომ მას სძულხარ, ეს შეიძლება, დიდი სიყვარულის მანიშნებელიც იყოს.

უხეშობაზე გამახსენდა, რომ ამას წინათ, ერთ-ერთ ფორუმზე ვნახე თემა: „როგორ გავამწაროთ ქალი“. ჰოდა, სასწრაფოდ, ამ საიტზე შევედი, რათა მანდილოსნების „გამწარების“ სასაცილო მეთოდები თქვენთვისაც გამეცნო.

D OZZY-KA10:
„მიცვეთ ბევრი ფული და ყველა მალაზია დაუჟუკეტოთ. გენიალურია, არა?“

FERLADOR:
„საბანკო ანგარიშზე ჩაფურცხვით ბევრი ფული, მაგრამ კოდი არ უთხრათ“.

DAKREATON:

„სველ პირსახოცში გახვევა და კედელზე შემოხეტება იყო უკვე?.. კარგი ქურქი და ჩექმა ვიყიდოთ, მერე კი თავადვე ჩავიცვათ“.

თამარელა:

„დამსვით „კუსნაში“, გამაჩენინეთ 3 შვილი და მერწმუნეთ, ჩემი „გაფრენა“ გარანტირებულია :)... მიეცით ქალს უამრავი კოსმეტიკა, ტანსაცმელი, მაგრამ გააქრეთ ყველა ის კაცი, ვისაც შეიძლება გაეპრანჭოს. და კიდევ, მოსპეთ ტელეფონი...“

ველიკია:

„არ მისცე ლაპარაკის საშუალება ანუ — მასზე გაცილებით მეტი უნდა ილაპარაკო, რათა სიტყვის ჩაგდებაც ვერ მოახერხოს“.

ნატოზა:

„შიზოფრენია გნებავთ თუ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი? იქნებ ჰალუცინაციები შეეუკვეთოთ?“

პარიკუზინი:

„10 რჩევა ჩემგან იმიტომ, რომ უკვე საზოგადოებისთვის საშიში გიყი ვარ:

1. დაურეკეთ ყოველ 15 წუთში ერთხელ და ჰკითხეთ, — რას შვრება?
2. იქევიანეთ ყველასა და ყველაფერზე!
3. ჰკითხეთ, — რომელ საათზე გავიდა სახლიდან და რომელზე მივიდა დანიშნულების ადგილას?
4. თავს მოულოდნელად დაადექით, ტელეფონი ხელიდან გამოჰგლიჯეთ და გადაუშომონეთ „ესემესები“, ზარები!
5. ყოველი კვირის ბოლოს გადაამოწმეთ, ტელეფონში ახალი კონტაქტი ხომ არ დაამატა და რაც მთავარია, თუ ვინმე „გაიჩითება“, გამოჰკითხეთ, რა ვითარებაში გაიცნო ის ადამიანი და რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან წარსულში!

6. გაატარეთ დღესასწაულები ისე, თითქოს იმ დღეს მნიშვნელოვანი არაფერი ხდება და თუ იღას „შეიმჩნია“, მაშინ უთხარი: დღეს არ მცალია, ძმაცაცს მივეყვები-თქო...

7. ლაპარაკისას გაკვირით ახსენეთ, რომ ცოლის მოყვანას არ აპირებთ და იქვე დასძინეთ, რომ გინდათ შვილი, მაგრამ ცოლი — არა...

8. როცა ის მოგწერს: „მიყვარხარ“ ან „სად ხარ?“, არაფერი უპასუხოთ.

9. დიდი ხნის განმავლობაში არ გააცნოთ თქვენი მეგობრები და ოჯახის წევრები!

10. როგორ კარგადაც უნდა გამოიყურებოდეს, კომპლიმენტი არ უთხრაო!“

აპოკაო:

„ფეხები კი არ დაიბანოთ, არამედ გაინიავეთ და ქალს სიგიჟე გარანტირებული აქვს!“

ზარბაძე:

„ქალს მალაზიების დაკეტვით ვერ



გააგიჟებ. ის ადგება და მაგ ფულის-გან შეკერავს რამეს... მე უკეთესი იდეა მაქვს: საერთოდ არავინ უნდა დაელაპარაკოს, მასზე არანაირი აზრი არ უნდა გამოთქვან. ქალს თავად შეუძლია, ილაპარაკოს, რამდენიც უნდა, ოღონდ პასუხს რომ არავინ გასცემს, მერე ნახეთ გაგიჟება ანუ ის სრულ „იგნორში“ უნდა ვამყოფოთ“.

001GE001:

„ქართველ ქალს კიდევ გაგიჟება უნდა? უფრო, ჯენტლმენობით თუ გააკვირვებ, თორემ ისედაც გაგიჟებულეები არიან — 90% ნევროზით, დანარჩენი 10% — კლიმაქსით“.

FORSAKEN-D:

„წლობით უნდა სდიო, ეხვეწო, ემუდარო და როცა შეგიყვარებს, ერთ კვირაში უნდა უღალატო ისე, რომ თავად შემოგისწროს ვინმესთან ან ვინმესთან ერთად უნდა მიხვიდე და უთხრა: შენ გშორდები, ამასთან მივდივარო...“

HOOLIGAN11:

„უმჯობესია, „კუხნაში“ გამოკვეთოთ და ყველანაირი კონტაქტის საშუალება მოეუსპოთ“.

ნიქი23:

„წვეულებაზე ან რამე „პერო-პრიომზე“ თავი რომ მოგაქვს ყველაზე მაგარი კაბით და უცებ, ასეთ სამოსში მინიმუმ, კიდევ 3 ქალი რომ „გაეძრობა“ ან უარესი, 500-ლარიან კაბას რომ იყიდი ვაკეში, ბუტიკში და მერე ბაზრობაზე, 100 ლარად რომ „გაჩითავ“, ეს იცით, რა მწარეა?!“

სტრალიცია:

„რომელი ქალი — დედა, ცოლი, და, მამიდა, მეზობელი თუ შეყვარებული? მათი გაგიჟების მეთოდი სხვადასხვანაირია... კარგი არაფერი დანეროთ, განყენო — მწვავე ინტოქსიკაცია იცის“.

DU BIST DEUTSCHLAND:

„ოჰ, ბოლო დროს ისე გამამწარა, რომ ლამის მართლა გამაგიჟა... მოკლედ, მანქანის ყიდვა მინდოდა, მაგრამ რაც მას მოსწონდა, ის მე არ მსურდა. ბოლოს, მომატყუა, სადაც დამტოვა და მითხრა: აქ დამელოდე, ორ წუთში მოვალ. ჰოდა, ნახევარ საათში იმ მანქანით მოვიდა, რომელიც ყველაზე მეტად არ მინდოდა... თან, მანქანა ისეთი, ქალს რომ არ უხდება, მას კიდევ მართვის მოწმობა არა აქვს... მაგრამ მერე მე ისეთი რაღაც გაუუკეთე, რომ აზრზე ჯერ ვერ მოვიდა და ვერც მოვა. ჰოდა, არავის გირჩევთ ქალის გაგიჟებას“.

სამანია:

„ვერანაირი კაბა და ფული ვერ გამომიყვანს ნონასწორობიდან, მაგრამ ერთ რამეს მართლა შეუძლია, გამაგიჟოს... გგონიათ, თქვენ გასწავლით?“

FED:

„თუ გინდა, ქალს გული ატკინო და

გააგიჟო, ვარცხნილობა უნდა დაუნუნო“, — აღარ მასხოვს, ეს რომელ ნიგნში წავიკითხე, მაგრამ უცებ გამახსენდა და... ნეტავ, მართლა ასეა?“

FEEL-FOR-YOU:

„ბნელ ოთახში უნდა ჩაკვეთო, სადაც ტემპერატურა მინუსებში იქნება. იქვე უნდა დავაბათ ავი ძალღებები, რომლებსაც ჯაჭვი ყველგან მისვლის საშუალებას მისცემს, გარდა ერთი კუთხ-

რომ ბედი არა აქვთ, რადგან ისეთ ოჯახში გაიზარდნენ, სადაც ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავს.

„ჩაბა ოჯახში აუტანელი სიტუაცია იყო...“

უცხოი:

„გამარჯობა. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, თქვენთვის ჩემი პრობლემის

მომწონს უხეში ბიჭები და გერ ვიტან მლიქვნელ, მტლაშამტლუშის მოყვარულ ადამიანებს

ისა, იქ კი ცივი წყალი უნდა წვეთავდე“.

პაპა 25:

„დავუნვით კოსმეტიკა, სამკაული, ჩანთა და ტელეფონი! და კიდევ დავიჭიროთ და ფრჩხილები დავატეხოთ, ძირში“.

მაპ-კი:

„კი, მაგრამ ქალებმა ასეთი რა დაგნიშავენ?“

პარლანტი:

„საჩუქრებით... ეჰ, ფული მქონდეს და ისე გავაგიჟებ ქალს, რომ...“

SIHELL:

„სარკე ამოვიღოთ ხმარებიდან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით“.

იბარაი:

„ჩაფურთოთ რაიმე სერიალი და მერე არავისთან მოვაყოლოთ. ეს არ ივარგებს?“

აი, ასეთი მეთოდებით შეეცდებოდნენ კაცები ქალების გაგიჟებას, მათთვის ამის უფლება რომ მიგვეცა, მაგრამ იმედი, მათი ოცნება ოცნებადვე დარჩება და ქალები არც სარკის გარეშე დავრჩებით და ვერც ძაღლები შეგვჭამენ.

P.S. ამ რუბრიკის ერთგული მკითხველებისგან ხშირად მომდის საყვედურებით სავსე მესიჯები, სადაც მწერთ, რომ არ მოგწონთ, ინტერვიუსთვის რომ არ გიკავშირდებით, არადა, თურმე ხშირად იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვაშუქებ, ბევრი რამ გაქვთ მოსაყოლ-გასახსენებელი. გადავწყვიტე, თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო და წინასწარ გაცნობოთ თემა, რომელსაც მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ, თქვენ კი შეგიძლიათ მომწეროთ სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი ნომერზე: (მ/მ) 25.60.81. მომავალ ხუთშაბათს გაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც მშობლებმა დააკომპლექსეს, რომლებიც მიიჩნევენ,

შესახებ მომენწრა, ახლა კი რჩევა ძალიან მჭირდება: ცუდი ბავშვობა მქონდა, მეტიც — შეიძლება ითქვას, რომ ის არც მქონია, რადგან საშინელ პირობებში ვცხოვრობდი. ჩემს ოჯახში აუტანელი სიტუაცია იყო. დღე არ გავიდოდა ისე, რომ მამაჩემს არ ეჩხუბა და დედას არა მარტო სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა, ხელით ეხებოდა. ამ ყველაფერმა მე და ჩემს ძმას სული დაგვიმახინჯა. ახლა მამრობითი სქესის ატანა არა მაქვს, უფრო სწორად, ვერავის ვწნობი, რადგან ყველა მამაჩემისნაირი მგონია. ოჯახს ვერასდროს შევექმნი იმის შიშით, რომ შეიძლება, ჩემი ქმარიც მოძალადე აღმოჩნდეს, ასეთ კაცთან ცხოვრებას კი ვერ ავიტან. მირჩიეთ, როგორ ვუშველო საკუთარ თავს, როგორ დავძლიო ეს შიში? არც ის მინდა, რომ უსიხარულოდ ვიცხოვრო“.

„ჩაბა კლასელმა გოგოს გული ვერ მოიბო“

WANDERER:

„გამარჯობა. არც კი ვიცი, ამ წერილს დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, — ცდა ბედის მონახევრეაო... ჩემს კლასელს — ირაკლის ჩვენივე თანაკლასელი, თამუნა უყვარს და როგორც ამბობს, ამ გოგოს გარეშე ვერ ძლებს, სულ მასთან ერთად ყოფნა უნდა და მეც მჯერა მისი. ირაკლიმ თამუნას ბევრჯერ უთხრა, — მიყვარხარო, მაგრამ უშედეგოდ — გოგოს გული ვერაფრით მოუღბო. როგორც მე და ჩემმა მეგობარმა დავასკვნით, თამუნასაც მოსწონს ირაკლი, მაგრამ ამას საკუთარ თავსაც არ უმხელს. გთხოვთ, მირჩიეთ, უფრო სწორად — ირაკლის ურჩიეთ, თუ როგორ დააჯეროს თავი თავის გრძობებში. ღმერთი გფარავდეთ მუდამ“.



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



სონეტი

მაგ თვალთა ცქერას უხარია მწველი სახე მზის,
შენ გსურს იწამო გრძნულ სიტყვის მეფური ძალა.
მძინარ მიდამოს მწუხრის ჩადრი ჩამოეცალა
და გაჩნდა მხარე გამარჯვების და განახლების.

ლალის ეოშეები, სიღიადე ზღაპრულ სახლების,
რაც გვანამებდა, ყველაფერი მზემ გამოცვალა!
შენ უცნაურის სამსახური აილე ვალიდ
და მეც მომესმა ხმა ძვირფასი, ხმა შეთანხმების.

ოცნებით სცხოვრობ, ოცნებაში შენი ძმა ვარ მე,
მიჰქრი უშიშრად, მოყვარული ღამის მხედარი.
გაგიყებულ ფიქრს ოქროს სიტყვით ხიბლავს მალარმე,
არ არის შენთვის გზა ბნელი და გაუბედარი,
ატაცებულ სულს სურს, მგოსანო, მარად იქროლო...
ჩემი სონეტი, შენ – ძვირფასო ძმაო და ტოლო!

აპოლო იაშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოსცემული

ქართული ენის

განმარტავიტი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენალი თეგურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“,

№2-52, 2010 — №1-10, 2011

კობეტი — მოყინული ან შემხმარი მინა, გალლობილ ნიადაგზე ადამიანის, ცხოველის, ურმის და სხვა ნავალი რომ შეხმება ან გაიყინება.

კობტონი — ჩენჩო დარჩენილი ზეთოვანი მცენარეების თესლიდან ზეთის გამოხდის შემდეგ (ხმარობენ საქონლის საკვებად).

კოპური — კოპური ქალამანი — ირგვლივ ნაოჭასხმული ქალამანი (იციან იმერეთში).

კოჟანდარი (კუთხ.) — უმცროსი შვილი — ნაბოლარა.

კორა — 1. პატარა ამონაკვეთი თოფის ლულაზე; მისი საშუალებით იღებენ მიზანში (სროლის დროს); 2. კარის საკეტი ხის კოჭი, მიმაგრებული კარის ჩარჩოზე, სვეტზე; 3. იგივეა, რაც საქედური (უღლის ამონეული ადგილი, რომელიც ხარს ქედზე ედება).

კორაკანა — ერთგვარი მოწნული სათავსი ფარესში — ახალმოგებული ბატენის მოსათავსებლად (დედა ცხვრიანად).

კორდი — ბალახიანი მინის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა და ბალახის ფესვებით არის შეკრული.

კორკობს (საუბ.) — ქანაობს (უსწორ-მასწორო ადგილზე მდგომი ან უსწორმასწორო ძირიანი საგანი).

კორიფე ბერძ. — 1. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 2. ძველბერძნულ ტრაგედიაში — გუნდის ხელმძღვანელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ქართველი პოეტი — ტერენტი გრანელი (კვირკველია) დაიბადა 1897 წლის 25 ნოემბერს წალენჯიხაში, ლარიბი გლეხის — სამსონ კვირკველიას ოჯახში. დედა 5 წლისას გარდაეცვალა. სამსონმა ცოლად შეირთო დარია მეზონიას ქალი, რომელიც სათნო დედინაცვალი აღმოჩნდა. ტერენტის 2 და ჰყავდა — მამო და ზოზია, მაგრამ დედი-

ტერენტი გრანელი

დგმა, წინააღმდეგობებით იყო სავსე. ამ პერიოდში გაიტაცა იგი ეროვნული თავისუფლების იდეამ. იგი 1918 წლიდან თბილისში ცხოვრობდა,



„ეროვნული თავისუფლება ეს უდიდესი პრობლემაა ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში... დაე, ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ გვწყურია თავისუფალი ცხოვრება, და არავის მივცემთ ნებას, აბუჩად აიგდოს ჩვენი უზენაესი უფლებები“.

ნაცვალს განსაკუთრებით ტერენტი ჰყვარებია. მორწმუნე დარიას კვირის წირვებზე ხშირად დაჰყავდა პატარა ტერენტი წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში. ამ თბილი, დედაშვილური დამოკიდებულების ნიშნად, პოეტმა სონეტიც უძღვნა მას. მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, მშობლებმა 7 წლის ტერენტი წალენჯიხის სოფლის სასწავლებელში მიაბარეს. წიგნების სიყვარული ტერენტის ზუგდიდის მაზრაში საყოველთაოდ ცნობილმა მწიგნობარმა — იაკობ შანავამ გაუღვივა. ტერენტი სწავლასთან ერთად, საოჯახო საქმიანობაშიც სიბეჯითეს იჩენდა: სკოლიდან მობრუნებული, გვიან ღამემდე, იჯდა მამის სახელოსნოში და წალებს კერავდა. უბედურმა შემთხვევამ (ოჯახს სახლი დაეწვა) ტერენტი მეექვსე კლასიდან სწავლას მოსწყვიტა. მიუხედავად ამისა, იგი უფრო მეტი მონდომებით დაენათა შანავას ბიბლიოთეკის წიგნებს. ცხოვრების სიმკაცრის გამო გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა. სინამდვილე, რომელშიც ტერენტი გრანელს უხდებოდა პირველი ნაბიჯების გადა-

მუშაობდა რკინიგზაზე, გაზეთების რედაქციებში. სწავლობდა შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ „ნუცუბიძის კურსებზე“. თბილისშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა (1917-1918 წლებში). გრანელის ლექსები ხასიათდება სევდითა და მისტი-


„ამ დაბაში (იგულისხმება ოჩამჩირე) იშვიათად ნახავთ ქართულის მცოდნე პირებს... ნუთუ ამ ხალხს არ შეუგნია ქართული ენის სიდიადე, ნუთუ მათ არ აინტერესებთ სამშობლო ენა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ჩვენს გულგრილობას და გადაგვარებას ადასტურებს. გახსოვდეთ, რომ თქვენ სამშობლო გავალბებთ თქვენი მშობლიური ენის შესწავლას. ამისათვის, ჩემი აზრით, წერაც ზედმეტია“.

ციზმით... მის შემოქმედებას, იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად, დიდხანს ყურადღება არ ექცეოდა. 1926 წელს ტერენტი გრანელმა ლექსების უკანასკნელი წიგნი გა-

მოსცა. 1926 წლიდან თითქმის არც ერთი გაზეთი არ უბეჭდავდა ლექსებს, მასზე ზეწოლა დაიწყო პროლეტარულმა პოეტებმა და მთელმა მაშინდელმა სისტემამ. ამ უთვალსაჩინოესი ლირიკოსის შემოქმედება ღირსეულად მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაფასდა. გამოიცა მისი ლექსების სრული კრებულები. ტერენტი 1930 წელს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავეს, საიდანაც იგი გაიქცა. გარდაიცვალა თბილისში, „არამიანცის“ საავადმყოფოში, 1934 წლის 10 ოქტომბერს. დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო შემდგომ — 1987 წელს გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.



მხიელ ბოჭორიშვილი, ტერენტი გრანელი, გალაკიონ გაბიძე, სარიგონ ვარდოშვილი



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხილითა დედოფალი

დასაწყისი ნხ. „ზზა“ №48-52, 2010 - №1-10, 2011

როგორც ჩანს, სანდროს სმენა ჰქონდა გამახვილებული და ჩემი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოვიყვანე. მინდოდა, დონა და ლალი ისეთ დროს შემოსულიყვნენ, როცა მე და სანდრო ერთმანეთს ვკოცნიდით, მაგრამ სანდრომ მათი ფეხის ხმის გაგონებისთანავე მომიშორა და სასწრაფოდ სავარძელში გადაჯდა.

ისეთი სახე მივიღე და ტუჩები ისე მოვილოკე, დაკვირვებული თვალი იოლად მიხვდებოდა, რაც მოხდა, მაგრამ დონას ამისთვის ყურადღება არ მიუტყევია. ჩემ გვერდით დაჯდა და ყველას ერთად გაგვიღიმა. ავდექი და დემონსტრაციულად დავტოვე იქაურობა. სამზარეულოში გავეყვი ლალის და სუფრის განყოფილებაში მივხმარე. ცოტა ხნის შემდეგ სანდროსა და დონას დავუძახეთ და სუფრას მივუსხედით. მათი სადღეგრძელოც კი შევსვი და ისე ვითვალთმაქცე, თითქოს ძალიან მიხაროდა მათი ბედნიერება. ლალი დაძახებული სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა — ხუმრობდა, დონას უამრავ კითხვას უსვამდა და ცდილობდა, მისი ყურადღება მოედუნებინა, რომ ჩემი განწყობილება არ გამოაშკარავებულყო. როგორც იქნა, წასვლა დააპირეს და შვებით ამოვისუნთქე. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ რამე ისეთი არ მეტყვა და მომემოქმედებინა, რაც გულს მომფხანდა. ჩემს სასახლოდ უნდა ითქვას, რომ გმირულად ვუმკლავდებოდი საკუთარ სურვილს, სანდროს საცოლისთვის სიმართლე პირში მიმეხალა. დიდი სურვილი მქონდა, რაღაც გამეფუჭებინა და მხოლოდ ლალის ხათრით ვიკავებდი თავს, რადგან წარამარა თვალებს გადმომიბრიალებდა, რომ გონზე მოვეყვანე. წინასწარ ისიც განვსაზღვრე, რომ

თუ რამდენიმე ჭიქას დავლევდი, თავს ვეღარ გავაკონტროლებდი და სისულელეს ჩავიდენდი. ამიტომ, ალკოჰოლზე თავიდანვე მტკიცე უარი ვთქვი. მხოლოდ სადღეგრძელოებს ვამბობდი და ჭიქა პირთან არც კი მიმტკნობდა.

სანდრო და მისი საცოლე რომ გავაცილეთ, მე და ლალი ისევ სამზარეულოში დავბრუნდით.

— მარგო, მგონი, სისულელის ჩადენას გადაგარჩინე, არა? — მომიბრუნდა და დონის შემოირტყა.

— ვინ იცის, სისულელე რა არის?! შენ იცი?

— სისულელე ის იქნებოდა, დონას თუ დაანახებდი, რომ სანდროზე ეჭვიანობ... — ფიქრობ, რომ არ უნდა ვიბრძოლო სანდროსთვის?

— ვფიქრობ, რომ მისთვის ბრძოლა არ ღირს. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და იმაშიც დარწმუნებული უნდა იყო, რომ შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა. ჰოდა, დამიჯერე, რომ სანდრო არ გამოგადგება, მასთან ბედნიერი ვერ იქნები. ისიც კი არ იცი, რომ სანდროს ეგ გოგო მამამისის თანამდებობის გამო მოჰყავს ცოლად: თუ მასზე დაქორწინდება, წარმატებული კარიერა გარანტირებული აქვს.

— კი, მაგრამ მამამისის შვილს კარიერის გაკეთება ისედაც არ გაუჭირდება და ეგ გოგო რაღად უნდა?! — მართლა გამიკვირდა, რადგან სანდროს მამა ყოვლისშემძლედ მყავდა წარმოდგენილი.

— საქმე ისაა, რომ დონას მამა სანდროს მამის უფროსია. თვითონ სასიამოროა მოწადინებული, რომ ისინი შეუღლდნენ. წინადადება მისგან მოდიოდა და უარს ვინ შეჰბედავდა?! რაღა თქმა უნდა, მამა-შვილი იძულებულია, მის სურვილს დაემორჩილოს. უნდა თუ არა, სანდრო ამ ქალზე უნდა დაქორწინდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამამისსაც და თვითონაც საფრთხე ემუქრებათ. მათი კარიერა ხომ დასრულდება და ამასთან ერთად, კიდევ რას გაუჩაღიჩებს, კაცმა არ იცის.

— ეს ყველაფერი სანდროს მამამ გითხრა ალბათ...

— კი, მან მითხრა...

— სანდროს რა რეაქცია ჰქონდა,

როცა შეატყობინეს, რომ დონაზე დაქორწინება მოუწევდა?

— მამამისი გაიძახოდა, ლევანის იდეა სანდროს რომ გავუშხილე და სიტუაცია ავუსხენი, იფურთხა და იგინა, 3 დღე შინიდან გატყეული იყო და შორიდან მითვლიდა, მაგ გოგოზე დაქორწინებას ვერ მაიძულებთო, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც აწონ-დაწონა სიტუაცია, მიხვდა, რომ არ ღირდა დონას მამასთან დაჯახება და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

ერთი მხრივ, მესმოდა სანდროსი და თანაუგრძობი კიდევ, მაგრამ მეორე მხრივ, ვცდილობდი წარმომედგინა, მე როგორ მოვიქცეოდი მის ადგილზე... დარწმუნებული ვიყავი, რომ მისნაირად — ნამდვილად არა. ახლა საქმე ის იყო, მე როგორ უნდა მემოქმედა. სანდროს დათმობა არ მინდოდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რადგან სანდროზე გათხოვებამ „ჩაილურის წყალი დალია“, მზად ხარ თუ არა, მისი საყვარელი გახდემეთქი?... ზუსტად ვიცოდი, რომ სანდროს გარეშე ცხოვრების გაგრძელება არ მინდოდა და ნებისმიერ სტატუსზე თანახმა ვიყავი, ოღონდ ჩემი გამხდარიყო. თუმცა, რადგან ჩემს თავს სხვა ამჯობინა, ჯიბრზე, მასთან არანაირი კონტაქტი აღარ მინდოდა და არც ვაპირებდი. მაგრამ ვაი, რომ ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ იყო...

ამ თემაზე ფიქრი სხვა დროისთვის გადავდე და მოვლენების განვითარებას დაველოდე.

სანდროს ქორწილი 1 თვის შემდეგ დაინიშნა. ვერ ვისვენებდი. რაღაც ისეთის მოფიქრება მინდოდა, რაც დონასთან ჭიდილში გამარჯვებას მომიტანდა. თავში არაფერი მომდიოდა, მაგრამ ვინაიდან დრო საკმარისად მქონდა, ვიმედოვნებდი, რომ მანამდე რამეს მოვიფიქრებდი.

ქორწილისთვის საგანგებოდ მოვემზადე. სახლიდან გასვლის წინ, სარკესთან კარგა ხანს ვიტრიალე და როდესაც საკუთარ გარეგნობაში ბოლო შტრიხიც შევიტანე, პომადა წავისვი და ისეთი კმაყოფილება ვიგრძენი, რომ საკუთარი სილამაზის შემშურდა. არა, საკუთარ თავზე შეყვარებული იდიოტი ნამდვილად, არას-



დროს ვყოფილვარ. ჩემს სილამაზესა და გარეგნობას აბსოლუტურად რეალურად ვაფასებდი და გარშემო მყოფებისგანაც ხშირად ვიღებდი კომპლიმენტს. ქუჩაში გამიგონია, ჩემზე რომ უთქვამთ, — ნახე, რა ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტო...

სტუმრების მოწონებაც დავიმსახურე. პატარძალს აშკარად ვჯავბნიდი. სტუმრებს შორის შუახნის, სიმპათიური მამაკაცი შევინიშნე და მაშინვე თვალში მომივიდა. მოგვიანებით შევითქვე, რომ დონას მამა ყოფილა. შუა ქორწილში ბატონმა ლევანმა დამიმარტოხელა და კომპლიმენტებით ამავსო. გავიბადრე... გავუღიმიე... მუხლზე ხელი დავადე, ვითომ შინაურულად, და მივხვდი, რომ ეს კაცი საბოლოოდ მოვხიბლე. წინასწარ ვიცოდი, ჩემს შებმასაც დაიწყებდა. გარეგნულად დასაწინი ნამდვილად არ გახლდათ: წარმოსადეგი, მოვლილი და „დაპენილი“ იყო. ასაკთან შედარებით, ახალგაზრდულადაც გამოიყურებოდა. სპორტულად ეცვა — ჯინსის შარვალი, სამ ლილზე ჩახსნილი ცისფერი მაისური და „ზამ-შის“ სპორტულძირიანი ფეხსაცმელი ეცვა. მაისურის შიგნით კი დაკუნთული სხეული იკვეთებოდა.

— მარგო, ასეთი უცნაური სახელი ვინ დაგარქვა? — მკითხა და ირგვლივ მყოფებს გადახედა. როგორც ჩანს, აინტერესებდა, თვალს თუ გვადევნებდნენ.

— დედამ, მაგრამ უცნაურად სულაც არ მიმაჩნია ჩემი სახელი.

— რამდენი წლის ხარ? — აღარ გააგრძელა პოლემიკა.

— 22-ის.
— სრულწლოვანი ყოფილხარ... — ისე შემომხედა, მივხვდი, წინადადება რომ დაესრულებინა, რას იტყოდა...

— და ჩემი გაჟიმვა შეიძლება, არა?.. — გულიანად გადავიხარხარე.

— ოო, შენ საკმაოდ თამამი და გამოცდილიც ჩანხარ, — არ ელოდა ჩემგან ასეთ პირდაპირობას და გაუკვირდა, — სწავლობ თუ მუშაობ? — ვმუშაობ.

— დონას მეგობარი ხარ?

— არა, ლალის შვილობილი.

— სად მუშაობ?

— ერთ-ერთი რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე ვარ...

— რას მეუბნები?! პოლიციაში მუშაობ? შენნაირ გოგოს იქ რა უნდა?! გაგაფუჭებენ, — დაფიქრდა, — და ჩემს სტრუქტურაში თუ ასეთი მზეთუნახავი მუშაობდა, ამას მიმაღავედნენ?

— ცოტა გადაჭარბებულია თქვე-

ნი შეფასება, — ყალბად დავიმორცხე.

სანდრო თვალებით მჭამდა, მანიშნებდა, დაანებე მაგ კაცთან ლაყბობას თავიო... მე კი უფრო და უფრო ვახვევდი ლევანს თავბრუს და გულმოდგინედ „ვაბამდი“...

— გათხოვილი ხარ? — ჩემს დეკოლტეს დაადგა თვალი და ნერწყვი ძლივს გადაეცა.

— არა და არც ვყოფილვარ...

— როგორ?! ვინ დაგტოვა ასეთი გოგო უყურადღებოდ?!

— წუნია ვარ, — კვლავ გავეუღიმიე.

— რა კრიტერიუმებით არჩევ მამაკაცებს?

— ყველანაირით...

— ანუ — სიმპათიური, შეძლებული, ახალგაზრდა უნდა იყოს?

— პირველ 2 კრიტერიუმს ვეთანხმები და თანაც მიმაჩნია, რომ ყველა, 50 წლამდე ასაკის მამაკაცი ახალგაზრდაა.

სახე გაებადრა და ის იყო, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ დონამ დაუძახა.

მომიბოდიშა და წამოდგა. მის დასანახავად, რესტორნის ეზოში გავედი — როცა გათავისუფლდებოდა, იქ რომ მოვეკითხე.

ეზოში ტირიფი იდგა, რომლის ტოტებიც მინას სწვდებოდა. მის ძირში კი მერხი იდგა. ტოტები გავნიე, ქვეშ შევქვერი და დავჯექი. სიგარეტს მოვუკიდე და ღრმა ნაფაზი დავარტყი. ტუჩები მოვამრგვალე და კვამლი ისე გამოვუშვი... ასე მაშინ ვიქცეოდი ხოლმე, როცა კმაყოფილების გრძნობა მეუფლებოდა. სანდროზე შურისძიების წინასწარ დასახული გეგმა თავისთავად შეიცვალა — მე ხომ არ ვიცოდი, რომ დონას ასეთი სიმპათიური და საყვარელი მამიკო ეყოლებოდა?! ჰოდა, შვილი — სანდროს, მამა — მე... სიგარეტის ნამწვი მიწაზე დაგავდე, ფეხით გავსრისე და ერთი კარგად გავიზორე.

ცოტა ხანში, როგორც ვვარაუდობდი, ლევანმა მომაგნო და გვერდით მომიჯდა.

— მარგო, მოდი, რა, კაცურად ვილაპარაკოთ...

— ეგ როგორ?! თან ვილაპარაკოთ და თან — ერთმანეთს დედა ვაგინოთ?.. — გულიანად გადავიხარხარე.

— არა, სათქმელი პირდაპირ ვთქვათ.

— გისმენ.

— მოგწონვარ?

— რატომაც არა? ჩემი დასაწუნო რა გაქვთ?! — რატომღაც „თქვენობით“ დავინწყე ლაპარაკი.

— მაშინ იქნებ გვეფიქრა ჩვენი ურთიერთობის აწყობაზე... დედოფლად გაქცევ... კარიერაში წინ წაგწევ, ერთ კვირაში სამმართველოს უფროსად გადაგიყვან...

— საკმაოდ მაცდუნებელი წინადადებაა, მაგრამ უნდა დაფიქრდე...

— რამდენი ხანი გჭირდება დასაფიქრებლად?

— არ ვიცი, ვნახოთ, — თავიდან მოშორება გადავწყვიტე და წამოვდექი, — შევალ დარბაზში, არ მინდა, ვინმემ დაგვინახოს.

უკან მომყვა. როგორც კი დახუთულ დარბაზში შევედი, მაშინვე სანდროს შემფოთებულ მზერას გადავწყვიდე. რომ დამინახა, სიბრაზისგან ტუჩები მოკუმა და მტრულად გადმომხედა. ცოტა ხნის შემდეგ კი თითოთ თავისთან მიმიხმო.

— მაგ კაცს შეეშვი, ჩემი სიმამრია, — ჩამჩურჩულა ყურში.

— მერე რა? იყოს შენი სიმამრი! იმდენ რამეს შემპირდა, ღირს მასთან ურთიერთობა... ამალამ მეც და შენც ვნებიანი ლამე გვექნება, ოღონდ — ცალ-ცალკე, — ტუჩები ყურთან მივუტანე და თან, ჩურჩულისას, ოდნავ ვეხებოდი...

— არც გაბედო! ჩემს სიმამრთან კი არა, არავისთან! შენ ჩემი ხარ და ჩემი უნდა გახდე!

— შენი ვარ?! როდის აქეთ? როდის დამისაკუთრე? შენი აი, ის არის, გვერდით რომ გიზის... მე კი... მე არავისი არ ვარ, სანამ ვინმე არ დამისაკუთრებს... და შენ მაგის შანსი უკვე აღარ გაქვს. ასე რომ...

— ასე რომ, ფრთხილად იყავი!

— შესაძლოა, შენს ქვრივ სიმამრს ისე მოვეწონო, სულ მალე სიდედრად მოგვევლინო... აბა, კარგად, — დავემშვიდობე და სუფრასთან დავბრუნდი.

ლევანი ჩემ გვერდით ტრიალებდა, აღარ მშორდებოდა და ხელიდან არ უშვებდა ხელსაყრელ მომენტს, რომ ან ნელზე მოეხვია ხელი, ან უბრალოდ შემეხებოდა მაინც...

სტუმრებმა ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს... სიძე-პატარძალი მანქანაში ჩასვეს და გზას გაუყენეს. ლალი ცოტა ადრე წავიდა შინ და მე მარტო დავრჩი.

გარეთ გამოვედი და ტაქსის დაველოდე.

— მარგო, ტაქსით მიდიხარ? — შორიდანვე დამიძახა ლევანმა.

— კი.

— ტაქსით როგორ გაგიშვებ?! თანაც, ცოტას კიდევ ვილაპარაკებო... უკეთ გამიცნობ...

— კარგი, — უცებ დავთანხმდი. საუბარი საკმაოდ დიდხანს გავვი-

გრძელდა... ვგრძნობდი, რომ გული მეკუმშებოდა... ძალიან განვიცდიდი სანდროს ქორწინებას და შურისძიების წყურვილით ვიყავი შეპყრობილი. პატარძალთან ერთად მანქანაში რომ ჯდებოდა, თვალები უკან რჩებოდა — მე მეძებდა და რომ დამინახა, თითქოს დამშვიდდა. ჩემთვის ის უკვე დაკარგული იყო, ამიტომ უკვე აღარ მანაღვლებდა მისი გრძნობები და განცდები. ან იქნებ მანაღვლებდა, მაგრამ თავს ვაჯერებდი საპირისპიროში?.. „ცოლიც უნდა და მეც მეტლაუჭება, 2 კურდღლის დაჭერა უნდა, ის კი არ იცის, რომ მე სამუდამოდ დამკარგა და ვერასოდეს დამიბრუნებს“, — ვფიქრობდი და თანდათან უფრო ვბრაზდებოდი.

— მარგო, — ლევანის ალერსიანმა ხმამ ფიქრებიდან გამომარკვია, — მოდი, ნულარ გადავდებთ ჩვენს „საქმეს“, დარჩი ჩემთან ამაღამ...

გაეჩუმდი და ტუჩი მოვიკვნიტე. აღარაფერი უთქვამს, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ვყოყმანობდი და მოფიქრების საშუალება მომცა.

— კარგი, — უცებ მივიღე გადაწყვეტილება.

მანქანა ადგილიდან მოწყვიტა, თითქოს ეშინოდა, არ გადამეფიქრებინა და ისეთი სისწრაფით მიქროდა, რომ საეარძლის საზურგეს ავეკარი.

ქალაქის ცენტრში, ხუთსართულიანი სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობდა — ზემოდან ერთი სართული დაეშენებინა. უზარმაზარი, კარგად მოწყობილი ბინა ჰქონდა. იდეალური სისუფთავე სუფევდა.

ეს კაცი თანდათან მომწონდა და ვხვდებოდი, რომ უკვე შურისძიების წყურვილი აღარაფერ შუაში იყო — მე თვითონ მსურდა მასთან ურთიერთობა და ჩემი სურვილის სანინაღმდეგოდ წასვლა არ მინდოდა.

დრო აღარ დაუკარგავს — პირდაპირ საძინებელში შემიძღვა. საწოლთან ზურგით დამაყენა, წინ ამესვეტა და მომეხვია. მისი სუნამოს სურნელი ღრმად შევისუნთქე; გავიფიქრე, — რაც იქნება, იქნება-მეთქი, — და თვალები დავხუჭე...

დილით, თვალები რომ გავახილე, საწოლში მარტო ვინეცი. შემფოთებულმა მიმოვიხედე. თავთან მდგარ ტუმბოზე ულამაზესი ყვავილების თაიგული იდო. გამახსენდა, რომ გუშინ ოთახში ყვავილები არ შემინიშნავს. როგორც ჩანს, ლევანმა დილით მოიტანა.

საწოლში ნამოვჯექი, ლევანის ბალიში ჩავიხუტე და ყვავილებს შორიდან გავხედე. მეგონა, ნუხელ

მომხდარი მხოლოდ სიზმარი იყო... ნაწყვეტ-ნაწყვეტ მახსენდებოდა რაღაცები და მეღიმებოდა. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი და სინანულის გრძნობა იოტისოდენადაც არ მანუხებდა.

— გაიღვიძე? — კარში ლევანი გამოჩნდა.

— უჰუ, — ლაპარაკიც კი მეზარებოდა.

საწოლზე ჩამოჯდა, მკლავზე ხელი გადამისვა...

— ჩემი მზეთუნახავი, — ჩაიჩურჩულა და ტუჩებით მხარზე შემეხო, — რატომ მოიქეცი ასე?

— როგორ?

— როგორ და რატომ დამიმაღე, რომ აქამდე კაცი არ გყოლია?

— ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?

— დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა მცოდნოდა!

— ამით რამე შეიცვლებოდა?

— შესაძლოა, შეცვლილიყო კიდეც.

— ჰოდა, იქნებ არ მსურდა, რომ შეცვლილიყო?

ლევანი ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით მიმხერდა, მეგონა, გადაწყლაპავდა. ძალიან თბილი და ალერსიანი იყო.

— ჩემს პირობას შევასრულებ და ცივ ნიავს არ მოგაკარებ... ოღონდ იცოდე — თუ რამეს ისეთს მოიმოქმედებ, რაც არ მომეწონება, მწარედ განანებ. დიდ სიყვარულთან ერთად, დიდი სიძულვილიც შემიძლია. ეცადე, მხოლოდ სიყვარული დაიმსახურო.

— ნუ მემუქრები, — ხელი ვკარი და საწოლიდან წამოვდექი.

— მიდიხარ?

— ჰო. დღეს ორშაბათია, სამსახურში მეჩქარება. კვირას რომ დანიშნეთ ქორწილი, არ იცოდი, რომ ორშაბათი სამუშაო დღეა?!

— არ გაგიშვებ, დღეს ჩემთან უნდა იყო!

— სამსახურს ვერ გავაცდენ! — ვჯიუტობდი.

— გოგო, გადამრევე შენ მე! შენი უფროსის უფროსი და პირადად შენი, „სამი გლავნი“ უფროსი ვარ! ჩემ ზემოთ მინისტრია მარტო!.. ეგ თუ ვერ მომიხერხებია, რომ შენ სამსახურში არ გაგიშვა, მაშ, კარგად მქონია საქმე... ცოტა ხანში ტელეფონმა დარეკა.

მივხვდი, დონას ელაპარაკებოდა. თბილად მოიკითხა შვილი. შემდეგ ისევ საძინებელში შემოვიდა, გარდერობში კარგა ხანს იქექებოდა და, როგორც იქნა, იქიდან თავისი ხალათი გამოაძვრინა და გადმომიგდო.

— ჩაიცვი და ასე იბორიალე სახლში.

დივანზე მოვკალათდი. გვერდით მომიჯდა და ყავის წრუპვას მოჰყვა.

კარზე დააკაკუნეს. დონას ხმა შემომესმა.

— მაა, სანდრომ უშენოდ ვერ გაძლო და სულ ძალით წამომიყვანა: გინდა თუ არა, სტუმრად წავიდეთ, მთელი დღე შინ ხომ არ ვისხდები-თო.

— რეისი როდისაა? — თვითმფრინავის გაფრენის დროით დაინტერესდა: სანდრო და დონა საქორწინო მოგზაურობაში მიდიოდნენ იმ ღამით.

დონა ოთახში შემოვიდა და ჩემს დანახვაზე რეაქციაც არ ჰქონია. როგორც ჩანს, მიჩვეული იყო მამამისის სახლში ნაირ-ნაირი ქალების დანახვას.

სამაგიეროდ, სანდროს გაუფართოვდა თვალები და მისი კბილების ღრჭიალის ხმაც კი გავიგონე.

დონა და მამამისი ზედა სართულზე ავიდნენ. როგორც ჩანს, სასაუბრო ჰქონდათ.

— მარგო, აქ რა გინდა? — გამოცრა სანდრომ, როგორც კი მარტონი დავრჩით.

— რა უნდათ ქალებს მარტოხელა მამაკაცების სახლში?

— ხალათი გაცვია... ე.ი. ნუხელ აქ იყავი?

— დიახ, აქ ვიყავი.

— ასეც ვიცოდი. იმიტომაც მოვედი, რომ მინდოდა, დავრწმუნებულყავი ჩემს ეჭვში.

თუმცა, როგორც ჩანს, ბოლომდე მაინც არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. საძინებელში გავიდა და მეც უკან მივეყვი.

— რა გინდა? რას ეძებ? — მკლავში ხელი მოვიკიდე და ვცადე, უკან მომებრუნებინა.

თაიგულს რომ მოჰკრა თვალი, სიმწრით გაეცინა.

— გიშოვია ნამდვილი კვალერი, რა გინდა, — საბანს დასწვდა და ძირს მოისროლა. საწოლს რომ დახედა, გაშტერდა.

— მართლა აქ ყოფილხარ ნუხელ!.. — უკან გამობრუნდა და გასასვლელისკენ გაემართა.

— დონა, ქვევით დაგელოდები, — გასძახა ცოლს, მერე მე მომიბრუნდა: — მოვა დრო და ინანებ, ასე უტვინოდ რომ მოიქეცი.

კიბეზე სწრაფად ჩაირბინა და თვალს მიეფარა. დივანს დაუბრუნდი და არხეინი გამომეტყველება მივიღე.

დონა და მამამისი კარგა ხანს გაჩერდნენ ზევით. არ მესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვხვდებოდი, რომ რაღაცაზე კამათობდნენ.



„გამოცემლობა ვალიბრა L“-ის ახალი წიგნები

ჩემი პირველი დღიური



პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

ფასი: 14.99

მომავალი პატარას სმოკანი წიგნი



ამ სმოკან წიგნს, პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

ფასი: 15.99

რად აქვს ჯურღელს მოკლე ყელი?



თქვენ, ალბათ, ფიქრობთ რომ ჯურღელს ყოველთვის მოკლე ყელი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მეტად მსგავსად გრძელი და ფაფუკი ყელი ამშვენებდა? წაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი, და ეიტყობთ რატომ აქვს ჯურღელს მოკლე ყელი!

ფასი: 7.99



თქვი სიბართლა

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ არის საჭირო სიმართლის თქმა ყველგან და ყოველთვის.

ფასი: 8.99



გიო აფრიკაში

წაიკითხეთ ეს წიგნი და იმოგზაურეთ აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდები მარმელადის მოყვარულ მარტორქას; ველურ ჯუნგლებში აღმოაჩენ მალაზია „ნილოსს“, გაიცნობ ზანგების ბელადს. ასე რომ, წინ საინტერესო თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა გელით!

ფასი: 7.99



ჯომბლა

წაიკითხეთ ზღაპარი და გაიგეთ, როგორ ასწავლა ჯომბლემ გაემადღარ მოურავს ჭეუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრელა.


ფასი: 7.99



ხაჯაპური

წაიკითხეთ მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭიაზე და გაიგეთ, რა თავგადასავალი გადახდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

ფასი: 7.99



გრანდიოზული ნაგებობები

წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბხენები, ყაზლები, უოს-მოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყვეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

ფასი: 16.99



ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ


ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუკერებელი მოვლენები! როგორ ეკეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

ფასი: 16.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნაგების გარეშე ბალ.: 38 26 73; 38 26 74

www.elva.ge

შეიძინეთ წიგნის პალაზიებში!



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსულან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ბზ“ №51, 2010 – 1-10, 2011

ოც წუთში ლელა უკვე გოგლასთან იყო.

— ნამდვილი დეგენერატი ვარ, ამ საქმეში რომ გითრევ, — თავის მართლებას მოჰყვამო იგი, — მაგრამ რა ვქნა, ჩემი ძმის მკვლელები რამენაირად ხომ უნდა გამოვამუღავნო?

— მაინც როგორ აპირებ ამის გაკეთებას?

— ჯერ არ ვიცი, — მხრები გულუბრყვილოდ აიჩეჩა გოგონამ.

— მაშინ ჯერ ის გააკეთე, რაც შეგიძლია. დეიდაშენს დაურეკე და უთხარი, რომ ამაღამ შინ არ მიხვალ.

— უკვე დავურეკე.

— ყოჩაღ! ახლა იქნებ, ისიც მითხრა, სურათი სახლში გაქვს თუ...

— არა, სახლში არ მაქვს.

— აბა, სად არის?

— არ გეტყვი.

— ???

— უფრო სწორად, ჯერ ვერ გეტყვი...

— როგორ არ გესმის, რომ თუ სურათი სახლში გაქვს, დამნაშავეებისთვის მისი ხელში ჩაგდება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს! — ხმას აუნია გაღიზიანებულმა გოგლამ.

— ნამუშევარი საიმედო ადგილასაა, — ჯიუტად გაიმეორა ლელამ, — ისინი მას ვერ მიაგნებენ.

— კარგი. როგორც თავად მიიჩნევ საჭიროდ, ისე მოიქეცი.

— დამიჯერე, ასე აჯობებს... — ცრემლი მოერიდა ლელას.

— კარგი, კარგი, მჯერა, — მოლბა ლალიძე, — მოდი, ახლა ვივასშ-

მით და დაიძინე. ლოგინი შენს სამუშაო ოთახში დაგიგე.

— გმადლობ. მხოლოდ ერთ ღამეს გავათევ.

— საინტერესოა, მერე სად აპირებ წასვლას?

— რამეს მოვიფიქრებ.

— მე კი უკვე მოვიფიქრე. აქ მანამ დარჩები, სანამ საჭირო იქნება...

ახალჩაძინებული გოგლა კარის ჭრილობა გააღვიძა. ლალიძე საწოლზე წამოჯდა და იქვე, ტუმბოზე მდგარი ღამის ნათურა აანთო. კარში ლელა იდგა.

— ვერ ვიძინებ, — დამნაშავესავით წაილულულა მან და თვალე-

ბი დახარა, — შიშმა ამიტანა.

— მაგრამ აქ ნამდვილად არაფერი გემუქრება.

— მაინც მეშინია, — ვაჟს საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა ლელა, — თავი ძლიერი მეგონა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა...

— მესმის შენი.

უცბად გოგონა გადაიხარა და ნათურა გამორთო.

— დარწმუნებული ხარ, რომ სწორად იქცევი? — ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა გოგლამ, რომელმაც წამში ლელას ცხელი სუნთქვაც იგრძნო.

— ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. ახლა მხოლოდ მე და შენ ვართ, მე და შენ...

დილით გოგლა სამზარეულოდან გამომავალმა ჭურჭლის ხმაურმა გამოაღვიძა და სახეზე მაშინვე კმაყოფილი ღიმილი დაეფინა: „ესე იგი, წუხანდელი ამბავი არ დამსიზმრებია და ლელა მართლა აქ, ჩემთან არის“. ამასობაში კარში თავად გოგონაც გამოჩნდა. გოგლას მაისური ეცვა, რომელიც თითქმის მუხლებამდე სწვდებოდა.

— დილა მშვიდობისა!

— გაუმარჯოს! გიხდება, ხომ იცი...

— რა?

— ჩემი მაისური. ვფიქრობ, საერთოდაც ხომ არ გაჩუქო?

— ძალიან დამავალბებ, — მორცხვად გაეღიმა გოგონას, — მართლა, საუზმე მზად არის.

— საუზმე?.. აი, ეს მესმის!

— ოღონდ მაცივარში კვერცხის და კარაქის მეტი ვერაფერი აღმოვაჩინე.

— ჩემთვის სულერთია.

— ???

— ანუ იმის თქმა მინდოდა, რომ წუნია არ ვარ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ერბოკვერცხს ყავას დავაყოლებთ და მერე ჩვენ-ჩვენს საქმეებს მივხედავთ.

— შესანიშნავია, — ადგომას მაინც არ ჩქარობდა ზედმიწევნით კმაყოფილი გოგლა.

ლელა ოთახში შევიდა და ვაჟს ისევ საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა.

— გოგლა, — მორცხვად დაიწყო მან, — ის, რაც წუხელ მოხდა...

— მაინც რა მოხდა? აბა, ერთი გამახსენე? — თვალეები ეშმაკურად მოჭუტა ლალიძემ.

— ნუ მანყვეტინებ! — ხმა აუთრთოლდა გოგონას. — მე ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ...

— ვიცი, — მაინც გაანყვეტინა გოგლამ, — მეც მომწონხარ.

— მოიცა! — ახლა უკვე ხელის აწევით შეაჩერა გოგონამ ვაჟი. — მინდა, იცოდე, რომ წუხელ ყველაფერი ნაღდი და ჩემი გულიდან წამოსული იყო, მაგრამ...

— მაგრამ რა? ჩემშია რამე პრობლემა?

— არა, რას ამბობ?.. უბრალოდ, გთხოვ, არ ამჩქარო. ცოტა უნდა დავწყნარდე და საბოლოო გადაწყვეტილება მერე მივიღო.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროდ მიიჩნევ, — თავადვე გაუკვირდა, ისე ადვილად დაეთანხმა გოგონას თხოვნას ლალიძე.

— ძალიან მიხარია, რომ ასე კარგად გესმის ჩემი, — ხელისგულზე ნაზად აკოცა მას ლელამ და მაშინვე ფეხზე წამოხტა, — ახლა კი უნდა გავიქცე.

— მოიცა! — როგორც იქნა, ლოგინიდან წამოდგომა ინება გოგლამ. — ამ დილაადრიან მაინც საით გაგიწევია?

— დაგავინყდა, რომ ვსწავლობ?

— გაეღიმა ლელას.

— ჰო, მაგრამ საუზმე?

— უჩემოდაც კარგად მიირთმევ.

— ნურას უკაცრავად, — გოგონა გულში გამეტებით ჩაიკრა ლალიძემ, — დღეიდან უშენოდ აღარაფრის გაკეთებას არ ვაპირებ.

— ლექციებზეც ჩემთან ერთად ივლი? — გაეცინა ლელას.

— აი, ლექციები კი მოიცდის.

— ეგ როგორ?

— დარეკე სასწავლებელში და უთხარი, რომ ავად გავხდი და ცოტა ხანს როგორმე უჩემოდ გაძლით-თქო.

— კარგი, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დანებდა გოგონა ლალიძეს, — მაგრამ ხომ ვერ დამიზუსტებ, ეს „ცოტა ხანს“ მაინც რამდენია?



— ახლა ზუსტად ვერ გეტყვი. ალბათ, რამდენიც საჭირო იქნება.

— რისთვის იქნება საჭირო?

— სანამ ჩვენ ირგვლივ შექმნილი სიტუაციიდან რაიმე უფრო ჭკვიანურ გამოსავალს არ მოვიფიქრებ.

— ოლონდ, ძალიან გთხოვ, მალე მოიფიქრე...

— ყველანაირად შევეცდები...

საუზმის შემდეგ გოგლამ პროდუქტების საყიდლად ნასვლა გადანყვიტა.

— მეც ნამოგყვები, — დაფაცურდა ლელაც.

— არა, შენ აქ დარჩი.

— მარტო? — თვალბში მაშინვე შიში ჩაუდგა გოგონას.

— დამიჯერე, ასე აჯობებს. აქ ყველაზე უფრო უსაფრთხოდ იქნები. ოლონდ იცოდე, კარი არავის გაუღო.

— არც შენ?

— არც მე. ჩემი გასაღებით გავალბ.

— ხომ მალე დაბრუნდები?

— იმდენად მალე, ნასული არ გეგონები, რომ უკვე აქ გაეჩნდები.

ლალიძე პროდუქტებიდან ყოველთვის მხოლოდ ყველაზე აუცილებელს თუ იმარაგებდა, რადგან მიიჩნევდა, რომ მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ფული რაიმე უფრო არსებითში უნდა დაეხარჯა. მაგრამ ახლა ლელას წინაშე თავის გამოჩენა გადანყვიტა და სუპერმარკეტიდან პირამდე სავსე 2 საკმაოდ მოზრდილი პარკით გამოვიდა. სახლს რომ უახლოვდებოდა, ორ უცნობ მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომლებიც ვიღაც გოგონას აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ და ქუჩის მეორე მხარეს ისე გადაჰყავდათ. სხვა დროს გოგლას მსგავსი სურათი დიდად ალბათ, არ გააკვირვებდა, მაგრამ ახლა რატომღაც შედგა და უცნაურ სამეულს თვალი ინტერესით გააყოლა. გოგონას თავი ჩაეჩინდრა და ფეხებს ძლივს მიათრევდა. თუმცა ეს არ იყო მთავარი. მას ლელასავით მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა და ტანზეც მასავით ეცვა. „არა, — ავი ფიქრების გასაფანტავად თავი გამეტებით გააქნია გოგლამ, — რა სისულელეა? ლელა ახლა ჩემთან, სახლში ზის და ტელევიზორს მშვიდად უყურებს“. თუმცა სადარბაზოს რომ მიუახლოვდა, რალაცამ ისევე უკან მიახედა. მამაკაცებს ქუჩაზე გადასვლა უკვე მოესწროთ და გოგონას ახლა უკვე რამდენიმე მეტრში მდგარი ჩამუქებული მინებიანი უცხოური მანქანისკენ მიათრევდნენ.

— ლელა! — უცბად მთელი ხმით იყვირა გოგლამ, მაგრამ გოგონას მისკენ არც კი მოუხედავს, მამაკა-

ცებმა კი მაშინვე ფეხს აუჩქარეს.

მანქანამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი რჩებოდა, როცა გოგლა სამეულს ჯერ დაენია, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯითაც გაუსწრო, შემობრუნდა და მამინვე ადგილზე გაშეშდა: მის წინ ლელა იდგა, უფრო ზუსტად კი უცნობების ხელებზე ჩვარივით ეკიდა და გოგლას სრულიად უაზრო თვალბით შესცქეროდა.

— ლელა! — ისევ იყვირა გოგლამ, მაგრამ გოგონას არც აძვერადა ჰქონია რეაქცია.

— რა გინდა? — გაღიზიანებული ხმით ჰკითხა ერთ-ერთმა მამაკაცმა მასსა და მანქანას შორის ჩამდგარ ლალიძეს.

— თქვენ თავად ვინ ხართ და რა გინდათ ჩემი საცოლისგან? ახლავ ხელი გაუშვით, თორემ პოლიციას გამოვუძახებ!

— პოლიციასო? — უშნოდ გაიკრიჭა მეორე მამაკაცმა. — ჩვენ თვითონ ვართ პოლიციიდან. ასე რომ ფეხებში ნუ გვებლანდები.

— თუ პოლიციიდან ხართ, ფორმა რატომ არ გაცვიათ?

— მამ, საცოლეა, ხომ? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა მამაკაცმა.

— მგონი, გასაგებად გითხარით, რომ საცოლეა და არსად გაგატანთ-მეთქი!

— მაშინ მარტო ამ გოგოს კი არ წავიყვანთ, შენც ზედ მიგაყოლებთ, — გოგონას ხელი უშვა ერთ-ერთმა მამაკაცმა და გოგლასკენ წადგა ნაბიჯი.

— აბა, სცადე! — აქამდე ხელში შერჩენილი პროდუქტებით სავსე პარკები ასფალტზე დაყარა ლალიძემ და უცნობის მოსაგერიებლად მოემზადა.

სწორედ ამ დროს, სულ ორიოდ ნაბიჯში, მანქანამ დაამუხრუჭა.

„თუ ამით დასახმარებლად მოვიდნენ, მაშინ ნასულია ჩემი საქმე“, — გაფიქრება ძლივს მოასწრო გოგლამ, რომ მანქანიდან კოტე ახალკაცი გადმოვიდა.

— გოგლას გაუმარჯოს! — ჯერ ღიმილით მიესალმა ის ლალიძეს და შემდეგ ხელიც მეგობრულად ჩამოართვა. უცნობებმა კი ერთმანეთს უკმაყოფილოდ გადახედეს, რადგან ახლა მათ გზას უკვე 2 ადამიანი უღობავდა.

— აბა, ბიჭებო, გზა მოგვეციო, — რაც შეიძლებოდა, ხმადაბლა დაიწყო შემდეგ ერთ-ერთ მათგანმა, რომელიც ეტყობა, გამვლელების

ყურადღების მიპყრობას ერიდებოდა. — მუშაობაში ხელს ნუ გვიშლით.

— რა ხდება? — ჯერ გოგლას, შემდეგ კი მის წინ მდგარ უცნაურ სამეულს ბეცი თვალები მიაშტერა დაბნეულმა ახალკაცმა.

— მეტი რალა უნდა მოხდეს? ვერ ხედავ, რომ საცოლის წართმევას მიპირებენ? — ხმას კიდევ უფრო აუწინა გოგლამ.

— პატრულს ხომ არ გამოვუძახო? — ტელეფონის ამოსალებად მაშინვე ჯიბისკენ წაიღო ხელი კოტემ.


ამასობაში მათ გარშემო უკვე გამვლელებმა და უბრალო სეირის მოყვარულებმაც დაიწყეს თავმოყრა. ამის შემხედვარე უცნობებმა კი ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ გოგონას ხელი ცუვად გაუშვეს და მანქანისკენ გაიქცნენ.

— ე, ბიჭო, ვინ იყო ეს ხალხი? — საბოლოოდ დაიბნა კოტე.

— წარმოდგენა არ მაქვს, — მხრები აიჩეჩა გოგლამ, მაგრამ მართლა სულზე მომისწარი...

— დამიჯერე, მართლა არაფერი მახსოვს... — შუბლს გამეტებით ისრესდა გონს მოსული ლელა.

— არ გახსოვს, ხომ? — ოთახში ნერვიულად გადი-გამოდოდა გოგლა. — 5 წუთით გვიან რომ გამ-



ოჩენილიყავი, იმასაც კი ვერასდროს გავიგებდი, სად გაქრი. ამიტომ, გთხოვ, გიხსენე, რა მოხდა, როგორ და რატომ შემოუშვი ის 2 ტიპი სახლში?

— ვერ ვიხსენებ და რა ვქნა? — საფეთქლებზე ხელი გამეტებით მიიჭირა ლელამ.

— რალაც ხომ მაინც ხომ უნდა



გახსოვდეს? — არ ეშვებოდა გოგონას ლალიძე.

— მახსოვს, პროდუქტების საყიდლად რომ გახვედი.

— მადლობა ღმერთს, რომ ეს მაინც გახსოვს. მერე რა მოხდა?

— მერე შენი გასვლა იყო და კარზე მაშინვე ვილაცამ დარეკა. ვიფიქრე, რომ ისევ შენ იყავი... ალბათ, რალაც დაავინწყდა-მეთქი...

— ასეც რომ ყოფილიყო, ხომ გაგაფრთხილე, კარი არავის გაუღო-მეთქი? თუ არა და, გეკითხა მაინც, ვინ არისო?

— მაპატიე, მაგრამ შენი გასვლის შემდეგ ზარი იმდენად სწრაფად გაისმა, არც კი მიფიქრია, რომ სხვა ვინმე იქნებოდა... — თავი დამნაშავედ დახარა ლელამ.

— კარგი. შემდეგ რალა მოხდა?

— ამის შემდეგ კარი გავალე და მორჩა... გონს მხოლოდ აქ, ამ დივანზე მოვდი და შენ და შენი მეგობარი დაგინახეთ.

— რაო?... იმის თქმა გინდა, რომ ისიც კი არ გახსოვს, იმ ორ ტიპს როგორ მიჰყავდი?

— ვის მიყავდი? — თვალები გაუფართოვდა ლელას. — სად?

— რას გეტყვით, იცით? — საუბარში ჩაერია კოტე, რომელიც აქამდე სავარძელში მდუმარედ იჯდა და ქალაქის კამათს მოთმინებით უსმენდა.

— მოდი, ჯერ მე გამისტუმრეთ და მერე ურჩიეთ ერთმანეთს საქმეები. თანაც, არც ის დაგავინწყდეთ, რომ მალარიჩი თქვენზეა?

— რა მალარიჩი? — გაუკვირდა გოგლას.

— შენ თვითონ არ მითხარი, სულზე მომისწარიო?

— ააა, მაგას გულისხმობ? მართლა სულზე მომისწარი, თორემ კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. ასე რომ, თუნდაც ახლავე აღვნიშნოთ ჩემი და ლელას გადარჩენა. ღვთის მადლით, საქმელ-სასმელი იმდენი გვაქვს, რომ...

— არა, ეგრე არ გამოვა.

— აბა, როგორ?

— ერთ საქმეში უნდა დამეხმარო.

— საქმეს გააჩნია.

— ხომ იცი, შეუძლებელს არაფერს გათხოვ.

— მაშინ გისმენ.

— ფული უნდა მასესხო.

— ფული? — გაუკვირდა გოგლას.

— შენ ხომ ფულში ცურავ და მე რა უნდა მასესხო?

— არც მთლად ასეა საქმე. თანაც, ხომ იცი, ჯერ ბინა ვიყიდე, მერე მანქანა, და შემომეხარჯა. არადა, სასწრაფოდ მჭირდება. ერთ სარფიან საქმეში უნდა ჩავდო.

— ისევ ბირჟაზე უნდა ითამაშო?

— გამოცანა გეკუთვნის, — გაელიმა კოტეს, — მაგრამ ნუ გეშინია, რისკი მინიმალურზე მინიმალურია და 2-3 დღეში ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებ. მოკლედ, ცოტა ხნით ჩვენი ანგარიშით ვისარგებლებ და...

— რომელი ჩვენი ანგარიშით? — გაუკვირდა გოგლას.

— უჰ, ბოდიში, ახლა უკვე მხოლოდ შენი ანგარიში რომაა, იმით, — სასწრაფოდ გაასწორა შეცდომა კოტემ, — მართლა, ანგარიშის ნომერი იგივე დატოვე თუ შეცვალე? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— იგივეა, მაგრამ...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი.

— არ ვიცი, არ ვიცი, — დაიბნა გოგლა, — ხომ იცი, რა გროშების პატრონიც ვარ და ისინიც, რომ... მოკლედ, საქმე რომ ჩაგივარდეს, მე და ლელა ბანკროტები გახვდებით.

— ნუ გეშინია, ეგ არ მოხდება! ყველაფერი გათვლილ-გაანგარიშებული მაქვს. — ფეხზე წამოდგა კოტე. — შევთანხმდით, ხომ?

გოგლამ ლელას გადახედა, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, აქაოდა, თვითონ გადანწყვიტო.

— კარგი, — როგორც იქნა, ამოთქვა ლალიძე, — თუ ბოლომდე დარწმუნებული ხარ, რომ...

— 100 პროცენტით, — გაანწყვტინა კოტემ და სანამ გოგლა კიდევ რამეს იტყოდა, უკვე კართან გაჩნდა...

— შენ რა, ამ კაცს მართლა მთელი შენი ფული მიეცი? — ჰკითხა ლელამ გოგლას კოტეს წასვლის შემდეგ.

— სხვა გზა არ მქონდა. თანაც, ხომ გაიგონე — მხოლოდ რამდენიმე დღით მჭირდებაო?

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ განა ჩემზე უკეთესად არ მოგეხსენება, ბირჟაზე თამაში რაცაა?

— ვიცი, მაგრამ უარი მაინც ვერ ვუთხარი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ბიზნესში სწორედ კოტეს წყალობით ვარ. მოკლედ, იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ახლა კი მოდი, ისევ ის გავარკვიოთ, შენს თავს მაინც რა მოხდა. ეტყობა, როგორც კი იმ ტიპებს კარი გაუღე, მაშინვე რაღაცით გაგაბრუნეს.

— ეტყობა, მაგრამ პოლიციელებს ამის გაკეთება რაში უნდა დასჭირვებოდათ?

— არა მგონია, პოლიციელები ყოფილიყვნენ.

— მაშინ გამოდის, რომ ვილაც ჩემს წასაყვანად იმიტომ მოვიდა, რომ

იაშვილის ნამუშევრის ადგილსამყოფელი გაეგო.

— ეტყობა, მართლა ასე იყო.

— სასწრაფოდ უნდა წავიდე აქედან, — უცბად ფეხზე წამოხტა ლელა.

— რაო? — გაუკვირდა გოგლას.

— გესმის, რას ლაპარაკობ? ან ის მაინც თუ იცი, სად უნდა წახვიდე?

— სულერთია, სად.

— რა იყო? ასე უცბად მოგენატრა ბანდიტებთან ხელახლა შეხვედრა?

— ადრე თუ გვიან, მაინც მიპოვიან და რატომ გაგხვიო შარში?

— ჩემზე ნუ დარდობ. მთავარია, როგორმე გამოვძვრეთ ამ სიტუაციიდან.

— მოდი, იცი, რას ვიზამ?

— რას?

— იაშვილის სურათს ისევ შენ დაგიბრუნებ და ბანდიტებს მარტო გავეუსწორდები.

გოგლას ლელას სიტყვებზე გაელიმა.

— დამიჯერე, მათთან შესახვედრად უკვე შინაგანადაც მზად ვარ, — არ ცხრებოდა გოგონა.

— შენ ისინი არ გინახავს, თორემ ასე თავდაჯერებული არ იქნებოდი.

— ასეა თუ ისე, ყველაფერი მე წამოვიწყე და ამ ხათაბალაში შენი გახვევის არანაირი უფლება არ მაქვს.

— ნუ სულელობ. ნამუშევარი ხომ ვიყიდე და შენი უცნაური ახირება რომ არა, ახლა ბანდიტები შენზე კი არა, ჩემზე ინადირებდნენ.

— აბა, რა გავაკეთოთ? ასე გულხელდაკრეფილი ხომ არ ვისხდებით?

— ვითომ რატომაც არა? — უდარდელი სახე მიიღო გოგლამ. — საქმელ-სასმელი იმდენი მოვიმარაგე, რომ შეგვიძლია, მთელი კვირა გარეთ ცხვირიც კი არ გავყოთ.

— სახუმაროდ გვაქვს საქმე? — შუბლი შეიკრა ლელამ.

— იცი, რას გეტყვი?

— რას?

— გახსოვს, რომ გიყვებოდი, ვილაცას ერთი ჩემი კლიენტი ქალის გაძარცვა უნდოდა, მაგრამ შემთხვევით მეც სწორედ იმ დროს აღმოვჩნდი იქ და გადავარჩინე-მეთქი?

— მახსოვს, მერე?

— გამომძიებელმა, რომელსაც ის საქმე მიჰყავდა და მეც დამკითხა, დამშვიდობებისას თავისი ტელეფონი დამიტოვა, თუ კიდევ რამე დეტალი გაგახსენდა, დამირეკო. ჰოდა, ავდგები და ახლა დავურეკავ...

— ყველაფერი გადავამოწმე, შეფ!

— საქმიანი იერით გამოეცხადა საკუთარ კაბინეტში მჯდარ დაღვრემილ



ორდენიძეს ანდრო ლევიშვილი.

— მერე?
— ნომერი, რომელიც იმ ბიჭმა დაგისახელა, მართლა აქვს ვინმე ალექსანდრე მიქიაშვილზე გაფორმებული მანქანას. ოღონდ, ის შავი „ნისანი“ კი არა, დანჯღრეული „ინ“-ია.

— გამოდის, რომ „ნისანის“ ნომერი ყალბი იყო. თუ, რა თქმა უნდა, ის ბიჭი არაფერს ურევს.

— არ მესმის, ახალთახალი „ნისანი“ „ინ“-ში როგორ უნდა აგერიოს?!

— მართალი ხარ, — შეფიქრიანდა გამომძიებელი.

წინააღმდეგე მას ის ახალგაზრდა კაცი შეეხიანა, რომელიც მარის სახლში ძარცვის დღეს შემთხვევით აღმოჩნდა და დაკითხვის შემდეგ ორდენიძეს იმასაც შეჰპირდა, რომ თუ კიდევ რამე გამახსენდა, აუცილებლად დაგირეკავთო. თუმცა ამჯერად ის სულ სხვა მიზეზის გამო რეკავდა. ახალგაზრდის თქმით, მისი მეგობარი გოგონას გატაცება უნდოდა ორ მამაკაცს, რომლებმაც თავი პოლიციელებად წარუდგინეს. მაგრამ შემდეგ იმ ადგილზე ხალხი შეიყარა და მამაკაცებმა გაქცევით უშველეს თავს. ახალგაზრდამ კი მათი მანქანის ნომრისა და მარკის დამახსოვრება მოასწრო. მართალია, ორდენიძეს ეს ამბავი საკმაოდ უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ მისი ყურადღება მაინც უფრო თავად გოგონამ, უფრო სწორად კი მისმა გვარმა მიიპყრო, და

— არცთუ უსაფუძვლოდ. გაირკვა, რომ გოგონა სწორედ იმ ვაჟა ხოტივარის და იყო, ვისი მკვლელობის ამბავსაც თავად იძიებდა. ორდენიძეს მაძებრის ალლომ უკარნახა, რომ ამ ამბის გარკვევის შემთხვევაში შეიძლებოდა, „ძაფის“ სწორედ იმ ბოლოსთვის ჩაეველო ხელი, რომლითაც მთელი „გორგლის“ დაშლაც არ იყო გამორიცხული. ამიტომ სასწრაფოდ ყურმილს დასწვდა, მორიგე მანქანა გამოიძახა და ცოტა ხანში უკვე სავარძელში მოხერხებულად მოკალათებული უსმენდა გოგლას ნაამბობს.

— გამოდის, რომ ეს სწორედ ის გოგონაა, ვის მოტაცებასაც პოლიციელებიც კი არ მოერიდნენ, ხომ?

— კიდევ ერთხელ გამომცდელად შეათვალე მან ლელა და შემდეგ ისევ გოგლას მიუბრუნდა. — ბოდიში, რომ გაგანყვეტინეთ, ისევ ყურადღებით გისმენთ.


— პრინციპში, მე უკვე ყველაფერი

გიაბზეთ, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა გოგლამ.

— კარგი. მაშინ ახლა იქნებ, გოგონამაც გვიპასუხოს რამდენიმე შეკითხვაზე?

— დიახ, რა თქმა უნდა, — მაშინვე ბევრითი მონაფესავით გასწორდა ნელში ლელა.

— მესმის, რომ ის ადამიანები არ დაგინახავთ, მაგრამ იქნებ მომხდარი



მაინც რალაციით არის დაკავშირებული თქვენს პირად ურთიერთობებთან?

— მაინც როგორ?

— ხომ შეიძლება, რომ თქვენზე შეყვარებულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც გულის კარი არაფრით გაუღეთ, თქვენი მოტაცება გადანყვიტა?

— არა, ასეთს არავის ვიცნობ, — თავი უმალ შორს დაიჭირა ლელამ.

— კარგი. მაშინ ისევ გოგლა უნდა დაგვეხმაროს, — ახლა ლალიძეს მიუბრუნდა გამომძიებელი, — მათ ამოცნობას თუ შეძლებთ?

— რა თქმა უნდა. თუმცა ცოტა უცნაურად კი გამოიყურებოდნენ.

— და რაში გამოიხატებოდა ეს უცნაურობა?

— არ ვიცი. ორივეს მოზრდილი ხვეული თმა ეყარა ბეჭებზე.

— პარიკები ხომ არ ეკეთათ?

— არ გამოვრიცხავ.

— რა ფერის თვალები ჰქონდათ?

— არ ვიცი. ორივეს მუქი სათვალე ეკეთა.

— გასაგებია, — შუბლი შეიკრა ორდენიძემ, — სხვა?

— „სხვაში“ რას გულისხმობთ?

— ვერ მიუხვდა გოგლა.

— გამხდრები იყვნენ თუ მსუქნები, მალღები თუ — დაბლები? — მონოტონურად დაინყო ჩამოთვლა გამომძიებელმა. — ულვაში, წვერი,

ხალი ან ნაიარევი ხომ არ ჰქონდა რომელიმეს?

— ერთი გამხდარი იყო და საშუალოზე ცოტა მაღალი, მეორე კი — დაბალი და ჩასკვნილი. დაბალს შავი ულვაში ჰქონდა.

— შეიძლება, ულვაშიც ბუტაფორიული იყო.

— შეიძლება. ხალები და ნაიარევი არ შემიწინააღმდეგებოდა.

— ასაკი?

— ორივე ასე, 30-35 წლის იქნებოდა. შესაძლოა, ცოტა მეტისაც.

— მდააა, — უცნაურად განელა ორდენიძემ, — ბევრი ვერაფერი ინფორმაციაა. კიდევ ხომ არაფერს დაუმატებდით? — თვალები ეშმაკურად მონკურა მან შემდეგ და ქალ-ვაჟი რიგრიგობით შეათვალე.

გამომძიებელი უკვე კარგა ხანია, მიხვდა, რომ ეს წყვილი რალაც ყველაზე მთავარს უმალავდა, თუმცა მაინც მშვიდად იჯდა და მოთმინებით ელოდა, ამაზე რომელიმე ან სულაც ორივე როდის ალაპარაკდებოდა.

— რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობთ? — ჰკითხა მან უცრად გოგლას.

— ჩვენ? — შეცბა გოგლა. — თითქმის 2 თვეა.

— შემთხვევით, შემკვიდრეობა ხომ არ მიიღეთ ვინმესგან? ანდა, მდიდარი მშობლები ხომ არ გყავთ? — ახლა ლელასკენ გადაინაცვლა ორდენიძემ.

— მემკვიდრეობა არ მიმიღია. მშობლები კი არ მყავს, — ისევ მოკლედ მოუჭრა ლელამ.

— მაშინ ნამდვილად ვერაფრით დაგეხმარებით, უბრალოდ, გირჩევთ, რომ უახლოეს პოლიციის განყოფილებას მიაკითხოთ და განცხადება დაწეროთ. იქ თქვენს შემთხვევას კონტროლზე აიყვანენ... ბოდიში, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, — სავარძლიდან წამოიწია ორდენიძემ.

— მოიცათ! — იყვირა უცბად ლელამ, რომელიც მიხვდა, რომ ორდენიძის წასვლით ხელიდან ბოლო იმედი ეცლებოდა. — გოგლა, მოუყვირე, — მიუბრუნდა შემდეგ ლალიძეს, — ვფიქრობ, ბატონმა გამომძიებელმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

„ცოტა ადრე დაგეწყით, რალა...“ — გულში გაელიმა კმაყოფილ ორდენიძეს და ისევ სავარძელში გადაწვა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-10

ზურა თავის კაბინეტში იჯდა და ნუკიზე ფიქრობდა. რა ეშველებოდა, საჭირო დროს საჭირო ადგილას რომ არ აღმოჩენილიყო? სად წავიდოდა მისი მირანდა? ვის მიეკედლებოდა? კიდევ კარგი, რომ მაშინ იქ იყო...


ოფისი დღეს შედარებით ადრე დაცარიელდა, თანამშრომლები თავინათ საქმეებზე მიმოიფანტნენ, ზოგი — სახლში, ზოგი — პაემანზე, ზოგი — სად და ზოგი — სად... თვითონ კი არ ჩქარობდა... არ იცოდა, უნდოდა თუ არა შინ წასვლა, მიეჩქარებოდა თუ არა იქ, სადაც გემრიელი ვახშამი დახვდებოდა და კიდევ... გემრიელი (მეტაფიზიკური) ქალი... ოცნებისა და რეალობის, ხელშესახები და ხელშეუხებელი ერთდროულად.

სხვა დროს თავისუფლად შევიდოდა სახლში, ფეხსაცმელებს ერთი ფეხის გაქნევით გაიძრობდა და კუთხეში მოისროდა, მაცივირიდან ლუდის ქილას გამოიღებდა, ტელევიზორს ჩართავდა და სპორტულ არხზე გადართავდა. ახლა კი... ახლა გამუდმებით დაძაბულია (დამძიმებულიც). ადგილს ვერ პოულობს თავის ბინაში. აქამდე კომფორტული ცხოვრება ჰქონდა (ყველანაირად), რამაც ეგოისტურიც კი გახადა, მაგრამ რა უნდა ექნა, ეს მისი ცხოვრება (ყოველდღიური) იყო. მისი ბიზნესი უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს, ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. თავისუფლების ხარისხიც იზრდებოდა მასთან ერთად (პარალელურად)... ერთობოდა იმდენს, რამდენიც მოესურვებოდა, როგორც გაუხარდებოდა. მას მოსწონდა ასეთი ცხოვრება... ბერბიჭული... მოვალეობებისგან თავისუფალი... ახლა კი დაირღვა მისი სიმშვიდე... არ იცის, ამ ყველაფერს როგორ „მოურგება“ ნუკის გამოჩენა...

რამდენ ხანს მოუნევს თავისი ქმედებების გაკონტროლება (თუ თვალყურის დევნება)? რა უთხრას მშობლებს, ერთხელაც, როცა დარეკავენ და ყურმილს ნუკი აიღებს? მეორე მხრივ, რა არის ამაში ასაღებელი? ლამის ორმოცისაა, არა აქვს უფლება, ისე იცხოვროს, როგორც თავად მოესურვება? იგი ხომ არავისზეა დამოკიდებული, თავად ირჩენს თავს და სხვებსაც არჩენს. თუნდაც ასობით ქალი ჰყავდეს, ვისი რა საქმეა? ეს არავის ხეხა (მხოლოდ მას).

თუმცა განა ეს არის მისი მთავარი თავსატეხი? თუ სწორედ იმ „მთავარს“ გაურბის? ფიქრშიც კი? ასაკი, ასაკი... ნეტავ, ცოტა გვიან დაბადებულიყო... ან ნუკი გაჩენილიყო ცოტა ადრე... 5 წელი იქით,

ნაადრევი ენკელავი



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ხუთი — აქეთ... ოქროს შუალედი იქნებოდა. ახლა უძნელდება. იბოჭება... წლები აბრკოლებს...

თვალწინ დაუდგა ნუკი... სწორედ იმ პოზაში, ამ დილით რომ დატოვა სასტუმრო ოთახში. ფეხებმოკეცილი იჯდა ტყავადაკრულ სავარძელში და განცხადებებს ათვალთვრებდა „სიტყვა და საქმეში“. ნეტავი, რას ეძებდა? სამსახურს? ბინას? მიტოვება ხომ არ განიზრახა მისი? არა, ამას არ დაუშვებს. ვერც კი წარმოუდგენია, საღამოს შინ დაბრუნდეს და ის სამუდამოდ წასული (მისგან გაქცეული) დახვდეს. ალბათ ჯადოსნურ შემოთავაზებებს ეძებდა სამსახურის თაობაზე. ჯიუტია, ამაყი, თავმოყვარე. არ სურს, ზურას დახმარებით გაიკვლიოს გზა. პატარაა და რამხელა გული აქვს. როგორი უსუსურია და, ამავდროულად, როგორი ძლიერი და ჯიუტი, ჯიუტი... თითქოს მოინევეს მისკენ და არც მოინევეს... არადა, გამონევეას წარაძარა უგზავნის — სწორედ თავისი სიჯიუტით, ბავშვური სიჯიუტით. თან როგორი მიაპიტია (მაგრამ არა სულელი).

ზურამ ამოიხვნეშა, კომპიუტერი გამორთო და ოფისიდან გამოვიდა. ამ დღეებში ყველაფერს მოაგვარებს, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. დანაწინი მერე გამოჩნდება...

გასაღები გადაატრიალა. კარი უხმაუროდ გააღო და ხმაურიანად მიხურა. უეცრად სასიამოვნო სურნელი დაეჭავა — ჩაშუშული ხორცის და ქონდრის. მერედა, როგორ უყვარს ეს სურნელი!

— მოხვედი? — ჯახუნის ხმაზე ნუკიმ გამოყო თავი სამზარეულოდან. — არ ვიცოდი, რომელ საათზე დაბრუნდებოდი და ის მოვამზადე, რაც

ყველაზე სწრაფად იქნებოდა, — ისეთი წრფელი ღიმილი გადაეფინა ტუჩებზე, თითქოს უბრად არც ყოფილიყვნენ ერთმანეთთან.

ზურას მის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა. გოგონა ფეხშიშველი იყო. თმა აენია და ფანქრით დაემაგრებინა კეფაზე. „16 წლის ეგონება ვინმეს, რომ შეხედავს“, — გაიფიქრა თავისთვის, — „მაგრამ არა — მე. ყველაზე კარგად ვიცი, როგორ მუშაობს მისი თავი, როგორ „შორ“ გათვლებს აკეთებს. შეიძლება, მართლა არ არის მინიერი არსება“, — თავი გააქნია.

— შეგქლო, არ გენვალა. რა აუცილებელია, ყოველდღე სადილები აკეთო. ხომ იცი, საღამოს მაინცდამაინც არ მიყვარს ჭამა.

— სულაც არ ვწვალა. მინდოდა და გავაკეთე. მსიამოვნებს კერძების მომზადება. უქმად მაინც არ ვარ.

— რატომ უნდა იყო უქმად? მე მგონია, რომ მშვენივრად ერთობი ინტერნეტში.

— ეგეც უქმად ყოფნაა. მე კი მოძრაობა მიყვარს.

— მაშინ ჩართე მუსიკა და იცეკვე.

— მაგასაც ვაკეთებ. ჰო, მართლა, რალაც განცხადებები მოვნიშნე გაზეთში, რამდენიმე ბინაც შევარჩიე და სამსახურის ვარიანტიც, მაგრამ მაინც დამჭირდება შენი დახმარება.

ჩხვლეტა იგრძნო გულში. ერთ წერტილში მხოლოდ... მთავარ წერტილში. სანამ სათქმელს მოიფიქრებდა, ირგვლივ მიმოიხედა. სისუფთავისგან ბრწყინავდა იქაურობა... და უცხო სურნელი (მაგრამ არა საჭმლის) იფრქვეოდა, რალაც ახლის (შეუცნობლად), სასიამოვნოსი (გაურკვევლად)...



— აბა? არაფერს მეტყვი? — ნუკიმ დოინჯი შემოიყარა და თავი მარჯვნივ გადახარა. ეს ჯიბრში ჩამდგარი ქალის პოზა იყო.

— არაფერს გეტყვი, — ნაძალადევად ჩაიცინა ზურამ და სააბაზანოში შევიდა ხელების გადასაბანად და იქიდან გააგრძელა დაწყებული წინადადება, — ა-რა-ფერს.

მალევე გამოვიდა და პირსახოცი, რომლითაც ხელებს იმშრალებდა, იქვე, სკამის საზურგეზე დაუდევრად გადაკიდა. ამჯერად ნუკი უკვე სხვა პოზაში დახვდა. მამაკაცისთვის უკვე კარგად ნაცნობი მზერით უყურებდა, სამაგიეროს გადაშხდელი (შურისმადიებელი) მზერით. ხელები მკერდზე გადაეჯვარედინებინა, ზურგი გაემართა, ნიკაში მალლა აენია და თვალეში დაუმორჩილებლობა უბრწყინავდა. მორჩა, გადაწყვეტილება მიიღო და დაამთავრა! ამას ანი ვედარაფერს გადაათქმევინებ. ზურამ დიდი ხანია, მისი შესწავლა დაიწყო და მის ყოველ უესტს ზედმიწევნით ცნობს. იცის, როდის რას ფიქრობს, როდის რას აპირებს, როდის რისი თქმა ან გაკეთება უნდა. ზურამ კარგად იცის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები — ის კი არა, თავის სასარგებლოდაც ბევრჯერ გამოუყენებია (ერთიც და მეორეც).

ამ პატარა (ხასიათით და გარეგნობით) გოგონას შეეძლო მისი გაცინება (ისე, როგორც არავის), გაბრაზება (ისე, როგორც არავის), თუმცა, მთავარი ის იყო, რომ მას ზურას ალგზნებაც შეეძლო (ისე, როგორც არც ერთ სხვა ქალს).

ფეხშიშველიც კი, მისი რეალურ-ვირტუალური მირანდა ისეთ ბუნებრივ მგრძობელობას ასხივებდა, რომელზეც ალბათ თავადაც არ ჰქონდა წარმოდგენა.

სამაგიეროდ, ზურას ჰქონდა... და ეს აზინებდა მამაკაცს. ის სულაც არ იყო მისი გემოვნების ქალი, ზედმეტად ბავშვური გახლდათ. გულახდილად რომ ეთქვა, თავადაც არ იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო მისი გემოვნების ქალი, მაგრამ ნუკი ნამდვილად არ იყო. ეს კარგად იცოდა.

— ჰა, რატომ არაფერს ამბობ? — არ ეშვებოდა ნუკი.

მამაკაცმა ძლივს გაუძლო მის გამჭოლ (თუ გამჭვირვალე) მზერას.

— სასიამოვნო სურნელია, — ფრთხილად წარმოთქვა მამაკაცმა და ნიშნის მოგებით გაიღიმა.

შემდეგ პერანგის სახელოებზე ლილები შეიხსნა, მკლავები აიკაპინა და ნაბიჯი წინ გადადგა. შეეცადა გაეგლო ის „დანაღმული ტერიტორია“ — ნუკით დანაღმული, რომელ-

საც სრულიად შემთხვევით გადააწყდა თან ისე, რომ არ აფეთქებულიყო. ადრევე უნდა გაეთვალისწინებინა ეს... და არ გაითვალისწინა.

„ვითომ გაუარა გაბრაზებამ? მეეჭვება. იქნებ იმიტომ მორბილდა, რომ ადვილად დამითანხმოს? არ უშველის“, — ძლიერად გადააქნია თავი, აბეზარი ფიქრის თავიდან მოსაშორებლად.

ნუკი აიშალა. პასუხს ვერ ეღივრა, მერამდენედ უნდა დაესვა შეკითხვა? სანამ უნდა გაგრძელებულიყო ასე? უხერხულობის გასაფანტავად პირსახოცს ხელი დაავლო და სააბაზანოში გაიტანა.

— ყოფილიყო, მე თვითონ გავიტანდი, — ჩაიბურტყუნა ზურამ თავისთვის.

— უკან გამოვიტანო? — კვლავ დოინჯი შემოიყარა გოგონამ და წინ დაუდგა... ჯიქური მზერით... მკერდგამოზნევილი.

მამაკაცს სისხლი აუჩქროლდა. ნუკის ბიუსტპალტერი არ ეცვა და თხელი სპორტული მაისურის მიღმა მუქი ფერის დვრილები (კვრტებიც) მკვეთრად მოუჩანდა. მამაკაცმა იგრძნო თავისი ორგანიზმის საგანგაშო რეაქცია.

— რაც გინდა, ის ქენი, ოლონდ თავი დამანებე, — ჩაილაპარაკა და წამსვე ენაზე იკბინა, სულაც არ უნდოდა ამის თქმა.

შეშფოთებულმა თვალები ძლიერად დახუჭა და ხელები გაშალა. როცა თვალები გაახილა და გოგონას შეხედა, ერთიანად დაიძაბა — მის თვალებში წყენას დაესადგურებინა, მოულოდნელობით გამოწვეულ ბავშვურ წყენას.

— ნუკი, პატარავ, მაპატიე, — გულწრფელად შეწუხდა, — ასე არ შეიძლება. ჩვენ უნდა დავსხდეთ ერთხელაც და რალაც წესები შევიმუშაოთ. რა ვენა, არ ვარ მიჩვეული სხვასთან ერთად ცხოვრებას. ამიტომ ხანდახან ვერ ვაკონტროლებ თავს. ხომ ხედავ, ზოგჯერ როგორი არამზადა ვარ.

ნუკიმ ქვემოდან ასედა მტრული, გამანადგურებელი მზერით, მერე კი ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა:

— უცნაურია... შენ სულაც არ ჰგავხარ არამზადას, — და დადუმდა. წამნამებიც კი არ დაუხამხამებია.

— არ მაპატიებ? — ზურამ ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

ნუკიმ უკან დაიხია.

— იქნებ გავიდე, ისევ შემოვიდე და ყველაფერი თავიდან გავიმეორო? — გაიღიმა ზურამ, ხუმრობით სცადა სიტუაციის განმუხტვა. — ეს ვითომ რეპეტიცია იყო.

ამჯერად გოგონამ გაიცინა. არა, კი არ გაიცინა, გადაიკისკისა, ხალასად, რბილად, თითქოს არც არაფერი სწყენიაო... და ზურა კიდევ ერთხელ მიხვდა, რამდენად საშიში იყო ეს პატარა არსება, მისი სიცილი, მისი ლიმილი, მისი გამოხედვა... სხვისთვის შეიძლება, ძალიანაც მისაღები იყო ნუკი ამ თავისი თვისებებით, მაგრამ ადამიანისთვის, რომელიც ქალებთან ახლო ურთიერთობებს გაურბოდა და რომელიც თავისუფლებას იყო მიჩვეული, ეს ყველაფერი უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა. ის ყოველთვის გაურბოდა საპირისპირო სქესის მარწუხებში მოქცევას, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება.

— როგორც მახსოვს, მითხარი, ვახშამი მზადააო, არა? მოდი, ყველაფერს აჯობებს, ვივახშმოთ, ო კეი?



შევალ, გამოვიცვლი და მალევე გამოვალ. მანამდე სუფრა გაშალე.

ნუკის სახე გაებადრა, თითქოს ეს-ესაა, საშობაო საჩუქრით დააჯილდოესო. რა სწრაფად შეუძლია გამომეტყველება შეცვალოს! აგიუებს ეს



გოგო თავისი არტისტული მონაცემებით. ბოლომდე არასდროს ჩაგახედებს თავის სულში! სირინოზი ვერ იქნებოდა ასეთი მაცდური!

ზურა გაუჩინარდა და ხუთ წუთში მობრუნდა. თავადაც ფეხშიშველი იყო. ზოლიანი შორტი ჩაეცვა და უძკლავებო ლურჯი მაისური. ნუკის პომადის წასმა მოესწრო ტუჩებზე. მამაკაცმა ღიმილი ვერ დამალა. ებრანჭება... ჰმ... ნამდვილი კუდრაჭა, თვითონაც არ იცის, რა უნდა... ან რა არ უნდა...

ჩამუშული ხორცი ენით აუნერლად გემრიელი იყო. ზურამ ამჯერად არ შეაქო მისი კულინარიული მონაცემები. გოგონამ ეშმაკურად (იქნებ ნიშნის მოგებითაც) გაიღიმა და როცა მამაკაცმა თეფში ბოლომდე მოაცარიელა, კიდევ 2 ნაჭერი გადაუღო.

— ჰო, მართლა, რას მეუბნებოდი წელან? განცხადებები ვნახეო? — მამაკაცი გოგონას მიაჩერდა. — ახლა დავნაყრდი, თვალეში სინათლეს დამიბრუნდა და მზად ვარ, მოგისმინო. აბა, რა ვარიანტები გვაქვს?

— 2 კარგი ვარიანტი ვნახე, — ატიტინდა ნუკი, — სამსახურს ვგულისხმობ. რაც შეეხება ბინას, მინდა, რომ შენთან ერთად ვნახო.

— რატომ გადაწყვიტე გადასვლა? აქ ცუდად გრძნობ თავს?

— მე — არა.

— აბა, ვინ?

— შენ.

— ნუთუ? ვინ გითხრა ეს?

— შენ თვითონ.

— მე თვითონ? რალაც არ მახსენდება. როდის გითხარი ასეთი სისულელე?

— თუნდაც წელან, — უტევდა და უტევდა გოგონა, — არ ვარ ჩვეული სხვასთან ცხოვრებასო, არ მითხარი?

ზურამ კვლავ ჩხვლეტა იგრძნო გულში. მხოლოდ ერთ წერტილში... მთავარ წერტილში. მისი ბრალია, წამოსცდა, ვეღარ მოზომა და წამოსცდა. ეს უკვე მწარე (იქნებ საბედისწეროც) შეცდომაა, რომლის გამოსასწორებლად ნემსის ყუნწში მოუწევს ალბათ გაძრომა.

— მოდი, იცი, როგორ მოვიქცეთ? — არ განავრცო მისი მინიშნებები ზურამ. — ჯერ სამსახურზე ვილაპარაკოთ და ბინაზე ბოლოს ვიფიქროთ, კარგი?

ცოტადენი ყოყმანის შემდეგ ნუკიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ზურამ წარბები აზიდა. მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ არც ისე ადვილი ყოფილა მირანდას აზრების ნაკითხვა, რადგან არ ელოდა, ასე უცებ თუ დაიყოლიებდა. იქნებ არც უნდა გადასვლა და მას ანერვიულებს? იქნებ სურს, რომ მამაკაცი შეეხვე-

წოს, არ ნახვიდ ჩემგან, არ დამტოვო? ჰმ! ეშმაკუნა! ვერაფერს იტყვის! ამ პატარა საოცრებას საკუთარი გამოუცნობი აზრების მთელი საბადო აქვს, რომელიც არავითარ სქემას არ ექვემდებარება.

როცა ვახშობას მორჩინე, სასტუმრო ოთახში გადაინაცვლეს. ნუკის სუფრის ალაგება უნდოდა, მაგრამ ზურამ არ დაანება. როცა სამზარეულოდან გადიოდნენ, მამაკაცმა წინ გაატარა გოგონა, უნებურად (იქნებ არც) ზურგზე დაადო ხელი და იმწუთასვე ინანა. მის სამოსში სექსუალურობის ნატამალიც არ შეინიშნებოდა, მაგრამ ნუკი თავად ასხივებდა ზესექსუალურობას. მოძალეტულმა ვნებამ სუნთქვა შეუკრა... ხოლო სიტყვები, რომლებიც იმნამს მოადგა ენაზე, ყველაზე ნაზი სიტყვები იყო ამქვეყნად, თუმცა არ გაუხმოვანებია. ნუკის სპორტული მაისურის მიღმა მამაკაცმა იგრძნო მირანდას სხეული, ნაზი, თბილი და, ამავდროულად, ძლიერი. და უეცრად მიხვდა, რომ მეტი მოუნდა, ვიდრე — შეეხება. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, მოეშორებინა ეს პატარა საოცრება თავისი ცხოვრებიდან, სამუდამოდ განედევნა იგი ფიქრებიდან, სანამ საბოლოოდ დაუკარგავდა მოსვენებას მისი სიახლოვე. უსაფრთხო მანძილმა იქნებ შეძლოს, კარგ მეგობრებად დატოვოს ორივე. ვაითუ, ვერ შეძლოს? ამწუთას მთლად ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, არსებობდა კი საერთოდ ცნება — უსაფრთხო მანძილი, როცა საუბარი ნუკის არსებობას შეეხებოდა?..

ვერაფერზეც ვერ შეთანხმდნენ. ზურამ სამსახურის ორივე ვარიანტი დაუწუნა. 1 მდივნის თანამდებობა იყო ერთობ სერიოზულ კომპანიაში, რომელიც უცხო ენების და კომპიუტერის ცოდნას მოითხოვდა; მეორე — ტანსაცმლის მაღაზიაში გამყიდველის ადგილი. მამაკაცმა მოსაფიქრებლად 3 დღე სთხოვა. მას სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული და სიურპრიზს უმზადებდა. საკუთარ ატელიეს გაუხსნიდა, მკერავს მოუყვანდა და საყვარელი საქმის კეთებაში შეუნყოფდა ხელს. მერე რა, რომ ნუკი ამ ყველაფერს გაურბოდა? დანყება ყოველთვის ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. ის გამოუცდელი იყო და ამას ვერ ხვდებოდა. სამაგიეროდ, ზურა ხვდებოდა. თან ისეთი ადგილი შეურჩია, სადაც ნუკი ცხოვრებასაც შეძლებდა, ღამით — უპრობლემოდ დარჩენასაც. სააბაზანოც იყო იქ და სამზარეულოც. თუ მოისურვებდა, სულაც იქ გადავიდოდა საცხოვრებლად და მამაკაცსაც

შეუმსუბუქებოდა მდგომარეობა. თუ ძლიერ მოუნდებოდა მირანდას ნახვა და ამ სურვილს ვერ მოერეოდა, მივიდოდა და ინახულებდა.

ნუკი კი სხვაგვარად ფიქრობდა. არ უნდოდა, ზურაზე ყოფილიყო დამოკიდებული. თავისი სურდა, გაეტანა, თვითონ ეშოვა სამსახურიც და ბინაც, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო პრობლემური იყო მისთვის — ვაითუ, ვერ შესწავდნოდა ბინის ქირას. მაშინ აუცილებლად დასჭირდებოდა ზურას დახმარება, ისევ მისთვის უნდა ეხმო საშველად. ამის გაფიქრება კი საშინელ ხასიათზე აყენებდა. იქნებ ტყუილად ეწინააღმდეგება? იქნებ მართლა არ ღირდეს ასე გაჯიუტება? რა საჭიროა ასეთი სიამაყე? რომ არა ის, ნუკი, ვინ იცის, ახლა სად და როგორ იქნებოდა. ალბათ აჯობებს, დათმობაზე წავიდეს და მამაკაცის შემოთავაზებას დაელოდოს. 3 დღე ითხოვა ზურამ... დაელოდება 3 დღე. მანამდე კი...

ღილით ადრე ადგა, ზურა ასაუზმა, ჭურჭელი დარეცხა, სახლი მიაღაგა და კომპიუტერს მიუჯდა. შევიდა თუ არა „ოდნოებში“, მაშინვე გიას ფანჯარა ეცა თვალში, იგი ციმციმებდა.

— ეს კაცი არ მუშაობს თუ როგორაა მისი საქმე? — ხმამალა ჰკითხა თავის თავს და სხვა სტუმრების დაათვალიერა, რომლებიც მასთან იყვნენ შემოსულები.

მოკლედ, ნამდვილი შემოსევაა. წერილი წერილზე მოსდიოდა, ყველას მისი გაცნობა სურდა. ნეტავი, რა ნახეს მასში ასეთი? ნუთუ მართლა ასეთი თვალში საცემია მისი სილამაზე? თუ უბრალოდ, ფოტოგენურია? საინტერესოა, ეს წლები თბილისში რომ ეცხოვრა, უკვე გათხოვილი იქნებოდა? იქნებ მცხეთაში უქმად იკარგებოდა მისი მომხიბვლელობა? ან კი ვინ იყო იქ ისეთი, მისით დაინტერესებულიყო? არც — არავინ.

„ეს ვინ მოსულაა!“ — მოუვიდა გიას მესიჯი, თითქოს მისი აღფრთოვანებული ხმაც კი გაიგონა ნუკიმ. „გამარჯობა!“ — მისწერა პასუხად და ღიმილი დააყოლა.

„რაა ხარ, ნუუკ, გენაცვალე ღამაზ ცხვირ-პირში?“

„არა მიშავს, თავად?“

„მომენატრე. რატომ არ გამოჩნდი? გელოდებოდი“, — არ ცხრებოდა მამაკაცი.

„არ მეცალა, საქმეები მქონდა“, — მისი „მომენატრე“ აინუნშიც არ ჩააგდო გოგონამ.

„მომენატრე-მეთქი... შენ?“ — გაუმეორა გიამ.

სიტყვების გარჩევა უჭირდა, როცა ცრემლი ლანჯებს დაედინებოდა, მერე კვლავ აგრძელებდა კითხვას.



„რა მე?“
„შენ არ მოგენატრე?“
ნუკის ჩაელიძე. სასიამოვნოდ შეუთბა სხეული.

„შენ რა, ჩასაფრებული იყავი, როდის გამოვჩნდებოდი?“ — კითხვაზე პასუხი არ გასცა.

„ჰო... და მიპასუხე, რასაც გეკითხები“, — „გაუმკაცრდა“ სიტყვები მამაკაცს.

„ცოტა“, — სიმორცხვის ერთი სმაილიც მიამატა ნუკიმ ერთ, მაგრამ მრავლისმთქმელ სიტყვას.

„ცოტა-ცოტა“, — გააორმაგა და, ამავდროულად, შეამცირა მონატრების ხარისხი გიამ და გაუცინა, მერე კი კოცნების მთელი კორიანტელი მოაყოლა.

„გუშინ გირეკავდი და არ მიპასუხე, რატომ? მოვიწყინე უშენოდ,“ — საყვედურს საყვედურზე უგზავნიდა მამაკაცი.

„ხომ გითხარი, არ მეცალა-მეთქი“.

„ახლა გცალია?“

„ახლა კი... ცოტა“.

„შეიძლება, ხანდახან დაგიმესიჯო მობილურზე?“

„შეიძლება. ოღონდ, არა — საღამოს საათებში“.

„რატომ, მაგ დროს პაემანზე დადიხარ, სიხ?“

„არა, მაგ დროს შინ ვარ და მართლ არ ვარ“.

„აბა, ვისთან ერთად ხარ?“

„ჩემებთან ერთად“.

„და დედიკომ აგვირძალა უცხო ბიჭებთან ლაპარაკი, არა?“

„ჰო, დაახლოებით“.

„როდის განახო? ძალიან მინდა შენი ნახვა“.

„მაპატიე, ახლა უნდა გავიქცე“, — შემფოთებულმა ნუკიმ სასწრაფოდ გადაწყვიტა დამშვიდობება.

„მოიცა, სად მიდიხარ?“ — გაბრაზებული კაცუნების მთელი არმია შემოესია ნუკის.

„მეგობართან. ნახვამდის“, — და ის იყო, გამოსვლა დააპირა, რომ ვილაცის შეტყობინება მოუვიდა.

ახლა იმაზე გადაერთო. 19 წლის შავგვრემანი, ერთობ სიმპათიური ბიჭი წერილს უგზავნიდა.

„გამარჯობა, ნუკი! შემთხვევით, თქვენ ჯულიეტას შვილი ხომ არ ხართ?“

ამის წაკითხვაზე ლამის თვალთ დაუბნელდა. ვინ არის ეს ბიჭი ან ჯულიეტა საიდან მოაგონდა? დედამისს ხომ არ გულისხმობს?

„რომელი ჯულიეტა?“ — მსწრაფლ მისწერა და იგრძნო, როგორ აუკანკალდა გაფარჩხული თითები.

„აი... როგორ გითხრა... მამაშენს დათიკო არ ერქვა?“

გოგონას უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

„კი, ერქვა... თქვენ ვინ ხართ?“ — ოფლით დაენამა ხელისგულები.

„შენი ძმა ვარ, რატი მქვია“.

არა! არ არსებობს! ნუკიმ იგრძნო, კიდეც ცოტაც და, გული წაუვიდოდა. რომელი ძმა? სად ჰყავს მას ძმა? ეს სისულელეა, ეს ტყუილია! ნუკი დედისერთაა, რა ძმა, რის ძმა...

„მე ძმა არ მყავს“, — როგორც იქნა, მოახერხა ასოების აკრება.

„ნახევარძმა... ჯულიეტას შვილი ვარ, ვარდოსანიძის.“

გოგონამ პასუხი დააყოვნა. კი არ დააყოვნა, ვერ მოიფიქრა, რა უნდა მიენერა. ისევ დათო მიემშველა.

„ვიცი, რომ ასე უცებ ძნელია ამის გაცნობიერება, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თუ ჩვენმა მშობლებმა შეცდომა დაუშვეს, ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ ამაზე პასუხი? ძალიან მინდა შენი გაცნობა. დედა სულ შენზე ლაპარაკობს, თან ტირის, როცა გიხსენებს. მინდა, ახლოს ვიცნობდე ერთმანეთს, თუ წინააღმდეგი არ იქნები“.

ნუკის თვალები აუცრემლიანდა... წამწამები დაახამხამა და მონოლილ ცრემლს გზა მისცა. არა, არა, წინააღმდეგი რატომ უნდა იყო? რა სჯობია, ძმა თუ ჰყავს. გამოდის, მართლ აღარ იქნება. რატი? რა ლამაზი სახელი დაურქმევიათ... თვითონაც როგორი ლამაზია... ცოტათი ჩამოჰგავს კიდეც ნუკის. ზუსტად ერთნაირი წარბები აქვთ. უნდა მისწეროს პასუხი, ახლავე, ამწუთას!

„არც ვიცი, რა გიპასუხო, რატი... ძალიან დავიბენი. მიხარია, რომ შემიხმინა. აქამდე შენი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი... და ეს სულაც არ არის ჩვენი ბრალი. სიამოვნებით გაგიცნობ“.

„რა იქნება, ჩამოხვიდე ჩვენთან? ქობულეთში ვცხოვრობთ. დედასაც ენატრები. იქნებ მოიცალო? დიდი ხანი გეძებე აქ... არ ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ იქნებოდი ამ ფოტოზე. დედამ მიგამსგავსა. ასე თქვა, შეცვლილა, მაგრამ ბავშვობის სახე არ დაუკარგავსო“.

ნუკის უკვე აკანკალებდა. თითქოს ერთიანად სიცივემ მოიცვა. ცრემლებით რომ დაებინდებოდა თვალები, ამ დროს რატის გზავნილებში

ამასობაში გიაც შეტყობინებას შეტყობინებაზე უგზავნიდა, მაგრამ ნუკის უკვე აღარ აინტერესებდა იგი.

„არ ვიცი, როგორ მოვახერხებ, რატი. ძალიან დაკავებული ვარ. ცოტა ადრე რომ მცოდნოდა, ქობულეთში ვისვენებდი და გნახავდი. იქნებ შენ ჩამოხვიდე?“ — მისწერა და წამსვე ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია. რომ ჩამოვიდეს, სადღა მიიყვანოს? იმასაც ზურას ხომ არ დაუსვამს სახლში? ნეტავი, უარი უთხრას.

„მე ჯერ ვერ ჩამოვალ. ახლა დავიწყე მუშაობა და ასე უცებ არ გამომიშვებენ. თან, ცოლი შევირთე 1 თვის წინ და ვერ მივატოვებ. ქობულეთში ვისთან გქონდა ბინა ალებული? ნეტავი, მცოდნოდა“.

„არა უშავს, ეგ კატასტროფა არ არის. მთავარია, რომ მიპოვე. მომწერე ხანდახან. მეც მოგწერ. რალაცას მოვიფიქრებთ მანამდე. ან მე ჩამოვალ, ან შენ მესტუმრები“.

„კარგი, აბა, აღარ მოგაცდენ. ტელეფონის ნომერი მომწერე, რომ ხანდახან დაგირეკო. ეს კი ჩემი ნომერია“.

„დაგირეკავ, რატი, აუცილებლად დაგირეკავ“, — მისწერა ნუკიმ და გამორთო თუ არა კომპიუტერი, მამინვე მობილურს ეცა, ნომერი აკრიბა და ზუმერს დაელოდა...

კარგა ხანს ილაპარაკა რატისთან. ახალაღმოჩენილ ძმას მტრედვიით ღულუნა ხმა ჰქონდა... თბილი, ტკბილი... გურულ-აჭარული აქცენტით გაჯერებული... და როცა ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ნუკი მიხვდა — ეს პატარა, ლამაზხმიანი ბიჭი, მისი უმცროსი ძმა უკვე უყვარდა...

და ხმამაღლა ატირდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები

სამაგირო ასე გადავუსადა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა! აბა, რა ხდება თქვენთან? კითხულობთ, სომ, ისევ „გზანილებს“?.. დღეს საინტერესო ამბები მაქვს თქვენთვის... უფრო სწორად, მკითხველებმა გამოგზავნეს საინტერესო ამბები. ამას წინათ ვილაც მსაყვედურობდა, ცოდონი არ არიან, მგზანილები? რატომ ტუქსავ, რაც შეუძლიათ, იმას გიგზანიან, ისედაც თითები აქვთ გადატყავებული მესიჯის წერითო... ეს 2 ნომრის წინ იყო... ჰოდა, აბა, ახლა განსაჯეთ... წინა „გზანილებიც“ და დღევანდელიც, გაცილებით უკეთესია, ვიდრე ადრინდელები... თურმე შეგძლებიათ, არა? მოგინდათ „ნამალი“, კომბლეს თქმის არ იყოს... მე თქვენთვის ვამბობ, მეგობრებო... თუ გინდათ, რომ „გზანილებმა“ იარსებოს, უნდა მოინდომოთ (ვიცი, რომ ნიჭი არ გაკლიათ) და კარგი ამბები გამომიგზავნოთ, თორემ ხათრის გამო დაბეჭდილი მესიჯებისთვის თქვენ გამო იმდენჯერ „მომხვედრია“ მთავარი რედაქტორისგან, რომ ვერც კი დაითვლით... ამჯერად საყვედურს არ გეუბნებით, მართლაც საინტერესო ამბები მოვიდა ამ კვირაში... ასე გავაგრძელოთ... არა, ასე კი არა, უნდა გავაუმჯობესოთ...

„ნაბლი“ საყვარელი და ყარალი სოლი

„მოგესალმები, მარიკუზა... მიხარია, ასეთი მრავალფეროვანი და საინტერესო თემებით რომ გვანებივრებ... ამ თემამ ერთი ძალიან მაგარი ამბავი გამახსენა და რომ არ მოგიყვე, ვერ გავძლებ: მამას დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა საყვარელი და ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ, ღამის 3 საათზე რეკავდა და ბავშვის ტირილს გვასმენინებდა... განსაკუთრებით უნდოდა, რომ ტელეფონი დედიკოს აეღო. ბებია (მამის დედა) მართლა ძალიან მაგარი ქალი იყო და ეს ამბავი რომ გაიგო, შეეცადა, ეს ქალი (საყვარელი) მოეძებნა, მაგრამ უშედეგოდ... დიდი დრო გავიდა... იარები თითქმის მოშუშებული ჰქონდა დედას და დაქალთან ერთად გადანყვიტა, ეშოპინგა, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა, ასეთი საინტერესო შოპინგი თუ ექნებოდათ. მათი მზერა ტელეფონების სექციაზე შეჩერდა. ტელეფონის ყიდვა რომ გადანყვიტეს, გამყიდველს ფასისა და მონაცემების შესახებ ჰკითხეს... როდესაც გამყიდველი დახლისკენ შემოტრიალდა, დედამ მაშინვე იცნო. ალბათ მიხვდებოდით, ვინც იყო (როდესაც დედაჩემის დაქა-



ლი ამ ამბავს მიყვებოდა, ამ მომენტზე დიდხანს შეჩერდა, რომ ინტერესით მოვეკალი. მე მეგონა, რომ თმით ითრევა ან შემოულანუნებდა დედა, მაგრამ თურმე სრულიად მშვიდად და აუღლეველად უკითხავს ტელეფონის ფასი, შემდეგ შეუკვეთია ყველაზე ძვირად ღირებული 2 ტელეფონი და როდესაც ფულის გადახდა მოსთხოვეს, დედას პასუხი ასეთი გახლდათ: 5 წელია, ჩემი ქმარი გზმარ-

ობდათ და ეს სიამოვნება ნამდვილად ღირს ამ ტელეფონების ფასადო. როდესაც გამყიდველი დირექტორთან შევიდა საჩივრელად (სულ დაავინყდა, რომ დირექტორი მისი ქმარი იყო) და ქმარი გაგიუბული გამოვარდა, — რა გინდაო?! — დედამ კვლავ უპასუხა: ამ ტელეფონებს ბონუსის სახით კიდევ 2 ათასი ლარი დაამატეთ, რადგან თქვენს ცოლს ჩემი ქმარი 5 წელი ხმარობდაო. სწორედ

ასე გადაუხადა დედამ სამაგიერო მათოჯანს... მართალია, დედას უფრო სულიერი ტკივილი ტანჯავდა, მაგრამ არ უნდოდა, სხვისთვისაც სულიერი ტკივილი მიეყენებინა. თუმცა, ისინი ისეთი უნამუსოები იყვნენ, დარწმუნებული ვარ, ახლაც ბედნიერად ცხოვრობენ. დედა, მიყვარხარ და ვამაყობ შენით... თქვენი ახალი მეგობარი, თქვენი ტკბილი გოგო“.

კარს მომდგარი ზედი

„დილით ტელეფონმა გამაღვიძა. ჩემი „მობილი“ ძალიან მიყვარს და კაცობრიობის ამ უდიდეს გამოგონებას ხელიდან თითქმის არასდროს ვუშვებ. ღამე მისი გამორთვა დამვიწყებია და თავბუდიც ვინყევლე, რომ დილის ძილი ჩემივე გულმანყნობით დავირღვიე.

— ჰო, დედა!
— შენ რა, გძინავს? სკოლაში რატომ არ ხარ?

— კაი, რა, დე, ნუ მიბრაზდები, ჩამძინებია...

— კარგი, პატარავ, ერთი დღე არა უშავს.

— რატომ გამაღვიძე? — იქით გადავედი შეტყვამზე.

— ისე, კარგია, რომ სახლში ხარ. დილით ოფისში დავრეკე და ასე მითხრეს, ხელოსანს გამოგიგზავნითო. პირველზე მოვა, „კომპს“ გაგიკეთებს. მე ვერაფრით გამოვალ სამსახურიდან და უნდა მეტყვა, რომ სკოლიდან ადრე წამოსულიყავი...

— აუ, რა კარგი ხარ, დეეე! მიყვარხარ! აქ რომ იყო, გავოცებდი.

„უნებურად გამეცა თვალი საათისკენ. პირველს ათი აკლდა.

— რა თქვი, რომელზე მოვაო?

— პირველზე.

— ჰო, კაი, ნავედი, უნდა ავდგე. ჩაცმულიც არ ვარ.

ფართხაფურთხით ავდექი. სახლი ზუსტად 7 წუთში მივაღავე — ცოტა არეული იყო და ვიფიქრე, რომ თავის მოწესრიგებასაც მოვასწარებდი. ჩაცმაზე რომ მიდგა საქმე, მხოლოდ ხალათი მოვიცივი და ჯერ ამით დავკმაყოფილდი. თმას ვისწორებდი ჩემი „ორიგინალ-უთოთი“ და უცებ, ბახ! და რაღაცა ჩამაძნა ხელში. ჩემი გაანჩხლებისა და აფეთქების მიუხედავად, უთოს ვერ ვუშველე და დავრჩი სასაცილოდ თმაგანწილი... უცებ მოხდა ის, რაც არ მინდოდა მომხდარიყო... კარზე კაკუნი გაისმა. განწილი თმა ავიკარი და ხალათითა და ფლოსტებით გავემართე კარისაკენ. ისეთი შეწუხებული სახით გავაღე კარი, თითქოს სახლში მიცვალებული მყოლოდა და რომ არა პროფესიული მოვალეობა, ის ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც კართან იდგა, უეჭველად უკან გაბრუნდებოდა.

— ცინცაძის ბინაა? — ამას მოჰყვა ჩუმი ღიმილი, ჩემს დანახვაზე.

— დიახ! — არ შევიმჩინე.

— მოდებამე გიორგი, პროგრამისტ-ოპერატორი. დილით თქვენ დარეკეთ?

— არა, დედაბ.

— შეიძლება? — შემოსვლის ნებართვას ითხოვდა.

— მობრძანდით, სხვა რა გზაა? ცოტა გვიან რომ მოსულიყავით, ასეთ ფორმაში არ დაგხვდებოდით.

— დამწერის სუნია!

— ვიცო... — ჩაეღიმა.

— ყავას მოვადუღებ, — პასუხს არ დავულოდე, ისე გავემართე სამზარეულოში, თან ვიცვამდი, თან ყავას ვადუღებდი.

ორი ჭიქით ხელში დავბრუნდი უკან, თან „დეეჩემის“ გადამაღული ტკბილეულიც მოვაცოლე.

— რა სჭირს, ეშველება? — ყურადღების გადატანას შევეცადე, რადგან მივხვდი, დავარცხნილ-ჩაცმული უფრო მოვეწონე.

— რას?

— მაგას, — თვალთ კომპისკენ ვანიშნე.

— კი, ეშველება, — მიპასუხა და ისევე გამიღიმა.

— მიირთვი.

— გმადლობ, მაგრამ ყავას არ ვსვამ.

— არ გამოვ! მარტო დალევა არ მიყვარს. გთხოვ... — არ ვიცე, თხოვნაზე რატომ გადავედი.

— კარგი, — უკვე მესამედ გაიღიმა. ოთახში მიგდებულ ტელეფონს დავუწყე ძებნა. რეკავდა... ვიცოდი, თამრიკო იქნებოდა.

— ჰო, დედა... კიი... კი... კარგი... ჰო, მივხედავ... კარგი...

რომ მოვბრუნდი, გიორგი ჩემს სურათებში იჩხრიკებოდა. თავიდან გავბრაზდი, მაგრამ სახეზე აკრული ღიმილი რომ დაუწნახე, გადაამაჯინედა.

— კარგია, — თქვა და ყავა მოსვა. ვერ მივხვდი, ყავაზე თქვა თუ სურათებზე.

— ჰო, ეს ძველია.

გვერდით მიუჯექი და სურათებს გადავაგლე თვალი. ვერ მივხვდი, რომ უცებ ასე ახლოს აღმოვჩნდი მასთან.

— შენს თმას დამწერის სუნი ასდის.

— უთო გადამენვა, — თავი ვიმართლესავით.

— უნდა წავიდე, კომპი კი გაკეთდა, მარა მოუფრთხილდი. ყავისთვის მადლობა, აი, უთოსთვის კი ხვალ შემოვივლი! — ბოლო სიტყვები ხუმრობა იყო თუ არა, ვერ მივხვდი.

— რისი მადლობა, პირიქით, — გავწითლდი.

— დროებით.

გასვლის წინ ისევე გამიღიმა და ფეხზე მიმანიშნა.

— ჩაიცვი, გაცივდები...

უცებ ვერ მივხვდი, სანამ ფეხებზე არ დავიხედე. ნუთუ ამდენი ხანი ფეხშიშველი დავდიოდი? კომპს მივუბრუნდი და გიოს სუნამოს სუნი მეცა. მაუსთან ბარათი იდო. გამეცინა და მონიტორზე მივანებე.

„მოდებამე გიორგი. პროგრამისტ-ოპერატორი“ და ნომერი“.

„სვენჯი“ ზაზარი

„ქუთაისში ვდგავარ მეგობრებთან ერთად, ყველაზე „სვენჯი“ ადგილის — „ქარვასლის“ წინ. „მარშრუტკას“ ველოდებით. ახლოს „ბეემე“ გაჩერდა, „სვენჯი“ თბილისელი ბიჭების „სასტავი“ გადმოვიდა და დაგვიმშვენა მხარი.

— აუ, ამ ქუთაისში რომ დავდივარ, თავი „ფეშენ ვიკზე“ მგონია, ტოოო... ამბობს ერთ-ერთი, რომელიც საჭესთან ზის და თან ჩვენ გვიყურებს... ჩვენც ჭკუაზე აღარ ვართ და ამ დროს სად იყო და სად — არა, გამოჩნდა „მურმანის ეკალი“. ეს გახლდათ იქვე გაჩერებული „ინფინიტის“

ჯიბიდან გადმომხტარი, ყველასათვის ცნობილი (ქუთაისში) 150 სანტიმეტრი სიმაღლის ცუციკო — ქუთაისის აშარაშკა. თბილისელი ბიჭების ყურადღება უშალ გადავიდა ამ უზარმაზარი მანქანის ცეროდენა მძღოლზე.

— ვაა, ტოოო, ასეთ მანქანაზე ეს უნდა იჯდეს და მე კიდე ამით უნდა დავდიოდე? — ყველას გასაგონად თქვა თბილისელმა მაჩომ. არც აცია, არც აცხელა, შემოტრიალდა ცუციკო (ნამდვილი სახელი ციალა ჰქვია, მაგრამ XXI საუკუნეა და „სვენკობას“ ვანვებითო) და ყველას გასაგონად უპასუხა:

— მე რაზეც ვიჯექი, იმაზე შენც დაჯექი და ამ მანქანაზე უკეთესიც გვეყოლებაო. შეტრიალდა და „ქარვასლის“ კიბეებს აუყვა. ვერ აღვწერ თბილისელი „სვენკების“ სახეებს და მათ რეაქციას. მართალია, ბიჭი არ ვარ, მაგრამ მეც კაი კაცურად ვიციწე. აღმოსავლელები „განწენ“ და კარგა ხანს იხობხეს. აი, მესმის სამაგიერო, რა... მიყვარხართ. ბელუსი“.

სუპერქალი

„თითქოს ჩვეულებრივი დღე იყო... დილით სკოლაში წავედი, მერე — მასწავლებელთან, სახლი-სამსახური და ლოგინამდე ძლივს მივალწიე. ბალიშის დანახვისთანავე თავდავინყებულ ძილს მივეცი თავი და... მეორე დილით საშინელ გუნებაზე გამეღვიძა... ყველაფერთან ერთად, არაფერი მტკიოდა... მოკლედ, დეპრესიაშეყრილს გამომეღვიძა...“

ქუჩაში გასვლისა და პირველივე გამველელის სახის გამომეტყველებაზევე მივხვდი, რომ ცვლილებები აუცილებელი, მეტიც — გარდაუვალი იყო... ხალხი ისედაც სულ ცხვირჩამოშვებული დაიარება და ნამდვილად არ მინდოდა, ჩემზეც ის ეფიქრათ, რასაც მე ვფიქრობ დეპრესიულ, „დაგრუზულ“ ადამიანებზე... მოწყენილობისგან გასათავისუფლებლად ჩემთვის ყველაზე მოკლე და იოლი გზა ახალი ნაცნობები, ურთიერთობები, თავგადასავლებია... თავგადასავლების ძიებაში კი რაღა თქმა უნდა, ინტერნეტი გამოვიყენე და... ისიც მალევე გამოჩნდა: თელაველი, განათლებული, ჭკვიანი და ნიჭიერი...

— შენი ფოტოები რატომ არ გიდეგს მთავარზე? — დავინტერესდი ცნობილი მოდელების ფოტოების ხილვით გაკვირვებული...

უაზრო, დებილური მიზეზების კორინანტელი — პასუხად...

— კარგი, ის მაინც მითხარი, როგორ გამოიყურები? — არ მოვეშვი...

— კამერონ დიასის მკერდი, კრისტიან ლილის თმა, ბელუჩის ტუჩები (აუჰ) და ადრიანა ლიმას, არააა, „ვიაგრას“ სოლისტის ფეხები. ასეთია ჩემი გარეგნობის ცალკეული დეტალი ანუ მაგარი ქალი ვარ, რააა...

მეტყველება-სმენადაქვეითებული შეეყურებდი მონიტორს, აღნიშნული დახასიათების ნაკითხვის შემდეგ, უახლოესი 15 წუთის განმავლობაში. სულ დამაჯინედა



დებრესიაც, სევდაც, ცუდი განწყობილება და უგუნებობაც... ბოლოს და ბოლოს, ყველაზე ლამაზი ქალების, ყველაზე ლამაზი ორგანოების „ასორტი“ გავიცანი...

ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი, როდის ჩავეხუტებოდი, როდის გამოგვაყოლებდნენ თვალს შურით აღვსილი ადამიანები, მე და თელავში მცხოვრებ, ყველაზე ლამაზ გოგონას...

1-ელი მარტი იყო... დილით მის მიერ მონერული SMS-ით „ანიოკებულმა“ მობილურმა გამომავლიდა და მოკლე ტექსტური შეტყობინების ნაკითხვის შემდეგ, გული მოუთმენლად აფანცქალდა... ოცნების გოგონა შეხვედრას მთხოვდა (თან, როგორ მიყვარს აქტიური გოგონები?!)... ნამოვხტი, ჩავიცვი და... კიბეზე „ზადნით“ დავგორდი... არ დავნებდი, ავდექი და ნავედი... სახლის კარს გავცედი და თავში ჩამეცა აგური... აი, ასე, ქუჩაში მიმავალს, „არსაიდან“ ჩამოვარდნილი, ექვსნახვრეტიანი აგური მომხვდა. როგორც შემდეგ გავარკვიე, აგური დენის მავთულზე ჩამოუვიდებიათ, ქარის დროს ხის ტოტებში არ გაიხლართოსო და ახლა მე ჩამეხლართა კულულებში... იმ მომენტში, ვერ წარმოვიდგენდი, რომ უფალი ჩემი სულის ხსნას ცდილობდა... მართალია, თავი ძალიან მეტყინა (კახელი ვარ, არ დაგვიწყდეთ), მაგრამ რადგან „ის“ მელოდებოდა, გაჩერებაზე მივბობლდი, „მარშრუტკაში“ ავბობლდი და სად ჩავბობლბულიყავი, ვერაფრით მოვიფიქრე... მისი პირველი დანახვისას თვალები კარგად დავახამხამე. ვიფიქრე, დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, ალბათ მოლანდებები დამეწყომეთქი, მაგრამ ამაოდ... ჩემ წინ დოდოშკას ტანით, ნანიკო ხაზარაძის ვარცხნილობით, რუსკა მყაშვილის ცხვირით, აჩიკო მეფარიძის ჩაცმის სტილითა და ბიჭოლას ულვაშით დამშვენებული გოგონა (ცუდად ყლერა ეს სიტყვა) იდგა... უკან ვერ გავიქცეოდი, მოყინული იყო...

— როგორ ხარ, სიხარულოო? — ჩაიროხროხა მოძალადემ...

— აააარაააააააა... შააააგს, — ჩავიკენეს ჩავიბულბულე...

— ჰა, დიდი ხანი უნდა ვიდგეთ ამ სიცივეში? არსად დამბატიყებ? — ნამებში გამოაჩინა ბრჭყალები...

ლმერთო, მიშველე! ამან რომ თავისი კუჭის ამოვსება ჩემს ხარჯზე მოინდომოს, სახლის დაგირაგება მომიწევს-მეთქი, — ვფიქრობდი კაფესკენ მიმავალი და ნაძალადევი ღიმილით დამშვენებული სიფათით ვუყურებდი ჩემს კომპარულ რეალობას...

— ერთი რძიანი ყავა, — თავი მოინახა...

— გადავრჩი! ვაშაააა! — გავიფიქრე იმედის ნაპერწკალგაღვივებულმა...

„დუტი“ გაიხადა, სვიტერი დაიმკლავა და ჩემი მოთმინების ფიალა გადმოსვლამდე აივსო... პირველი, რაც ამ ამაღლეკვბული ნუთების შემდეგ გავაკეთე, საკუთარ ხელებზე არსებული თმისა და მის ხელებზე არსებული თმის რაოდენობის შედარება იყო... 70/30-ზე, გოგონას სასარგებლოდ...

— ძალიან მეჩქარება, თბილისში უნდა წავიდე, — მოვიფიქრე წამის მეთასედში...

— არაა პრობლემა, პატარავ (ჰმ), გაგაცვილებ...

— არ შენუხდე, მარტოც გავაგნებ გზას...

— რატომ ჯიიუტობ? გითხარი, გაგაცვილებ-მეთქი და ვსიიო! — მინაზებულ ტონი მბრძანებულმა შეცვალა...

მოკლედ, მანამ არ მომეშვა, სანამ პირდაპირ არ ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი; სანამ არ ვუთხარი, რომ არ მომეწონა, მეტიც — რომ მახინჯი, დასაბანი, აქოთებული და ამაზრზენია... მეგონა, გაბრაზდებოდა, მაგრამ მხოლოდ 3 სიტყვით შემოიფარგლა: „ჩვენ კიდე შევხვდებით...“

ის თავისი გზით წავიდა, მე ჩემი მიმართულებით წამოვედი... გგონიათ, აქ დამთავრდა ჩემი უბედურება? ნურას უკაცრაავად!

სახლისაკენ მიმავალმა, გზად მალაზიაში შევიარე და ტელეფონის ნომერი შევიძინე, საღამოს ნათლიაჩემს დაუფრეკავ და ჩემი უბედურების შესახებ მოვუყვებინეთქი, ვიფიქრე... ბარათი ტელეფონში მოვათავსე და პაკეტი, რომელშიც ის იდო, ნაგვის ურნაში მოვისროლე... დებილ გამყიდველს ჩემი ვაი-ვაგლახით აღებული პირადობის მონაშობა იმ ყუთში მოუთავსებია, რომლის უკან დასაბრუნებლადაც, პამპერსებით გატენილ ურნაში ცხვირით ჩავეყუდე. ჩემ მიერ წარმოებულ „არქეოლოგიურ გათხრას“ ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი შეესწრო და ირონიული, გაკრეჭილი სახით მომათხლიშა ცხვირპირში:

— რა გაუჭირდა, შვილო, მამაშენს ამისთანა?

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — ორმაგი ირონიითა და რაც შეიძლება, მალალი ხმით, ხელოვნურად გადავიხარხარე... ამის შემდეგ, ტიპური, ქართული საუბარი წარიმართა ჩვენ შორის... ოჯახების მიკითხვმოკითხვა, ტელეფონის ნომრების გაცვლა და... სტუმრობაზე კონსენსუსიც ოფიციალურად გამოცხადდა... მესამე დღეს (3 მარტს) ნანატრი სტუმრებიც გამოჩნდნენ და... მერე აღარაფერი მახსოვს. იქ დამერხა, იქ დაესვა ნერტილი ჩემს სიცოცხლეს და ჯერ არანყობილ მომავალს... დიახ, დიახ, ჩემი ოცნების ქალი მამაჩემის ძმაკაცის ქალიშვილი აღმოჩნდა...

— ხომ გითხარი, კიდე შევხვდებით-მეთქი? — თვითკმაყოფილმა გამიღიმა და ეშმაკური მზერით ჩამიარა...

— ვაიმე! — ასეთი იყო ჩემი რეაქცია... როგორ განვითარდება ჩემი და ნუკის (მის გარეგნობასთან რა შეუფერებელი სახელია, ვერ აღვინერო) LOVE STORY, მომავალშიც მოგიტხრობთ. P.S. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ მოსაყოლი აღარაფერი მოხდება. თქვენი ომგადატანილი რუისპირი (YELLOW).

„უცებ“ ცოლიანი

„გამარჯობა. მე ახალი ვარ. ყოველთვის

მინდოდა, თქვენთვის მომეწერა, რადგან „გზავნილებს“ დაარსების დღიდან ვკითხულობ. ბევრი ისეთი თემა გქონიათ, რაზეც მეც შემეძლო თავისუფლად მესაუბრა და მომეწერა, მაგრამ მეშინოდა. სიმართლე გითხრათ, დღესაც ვერ ვხვდები — ვისი რაღა ბევრი გავაგრძელო და ჩემი ამბის მოყოლას დავიწყებ. გიგა (სახელი შეცვლილია) რომ გავიცანი, ჯერ კიდევ ერთი ტუტრუცანა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის გოგო ვიყავი. დღემდე მახსოვს, „ჯავახიშვილის“ სველ კიბეზე როგორ ჩამოვრბოდი, ქარი სახეში ცივი წვიმის წვეთებს მაყრიდა, ვიყინებოდი. გაჩერებამდე ძლივს მივაღწიე. ზამთარი იყო და 6 საათზე უკვე ბნელდებოდა. მოკლედ, მალღივის გაჩერებაზე სამარშრუტო ტაქსის ველოდი, ის კი იგვიანებდა. ერთმა არც გამიჩერა — ალბათ ადგილი არ ჰქონდა. ამ ყინვაში შავმა მანქანამ დიდი სისწრაფით ჩამიქროლა. ისე ჩქარა მიდიოდა, რას წარმოვიდგენდი, თუ დამინახავდა. უცებ, ჰოი, საოცრებაც და უკან დაბრუნდა, შეაჩერა და წაყვანა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, უარი განვუცხადე და თავანუელი, გვერდზე შევბრუნდი. ის ადგილიდან არც კი დაიძრა, ჩემს მოთმინებას ცდიდა. ბოლოს შევბრუნდი და ვკითხე, — არ მოგებზრდათ აქ დგომამეთქი? მან კი ჩემს კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა: — განა შემიძლია, თქვენისთანა ქალბატონი მარტო დავტოვო?! გთხოვთ, დაბრძანდითო. სახლამდე მიყვანაზე დავთანხმდი. გიგა საოცარი ადამიანი აღმოჩნდა. ერთად უბედნიერესი 3 თვე გავატარეთ. ერთხელ კი ჩემს ტელეფონზე უცნობი ქალის ზარი შემოვიდა. გიგას ცოლი აღმოჩნდა. მე უცოლო მეგონა — ჩემთვის არ უთქვამს, რომ ცოლი ჰყავდა. ტყუილი ვერ ვაპატიე და პირველივე შეხვედრის ცოლად გავყევი. ახლა კი... ახლა ბედნიერიც ვარ და უბედურიც. ბედნიერი, რადგან შვილი მყავს, უბედური კი იმიტომ, რომ ის დიდი სიყვარული დღემდე გულზე ლოდად მანევს. აი, ასე გადავუხადე სამაგიერო ჩემს უდიდეს სიყვარულს. P.S. მიუხედავად იმისა, რომ ასე მოვიქეცი, მინდა მას ვუთხრა, რომ დღემდე უზომოდ მიყვარს“.

ღალატის ცდუნება

„ოდნობეში“ გავიცანი მამაკაცი — სასიამოვნო მოსაუბრე (მომესიჯე), ფრიად გალანტური და სასიამოვნო ადამიანი. ჩემს სურათებზე მის მიერ გავკეთებული, „აღფრთოვანებული კომენტები“ წავშალე და განვუმარტე, რომ 40 წლის, სერიოზული, ქმარშვილიანი ქალი ვარ, ფუჭ ოცნებებს არ უნდა მისცემოდა. ჩემზე ტყუილად დრო არ დაკარგო, მესიჯების მეტი ჩვენ შორის არაფერი იქნება-მეთქი. დამეთანხმა, რადგან არ ვეთმობოდი დასაკარგავად. აღარ ჩამცივებია. ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობდით და აზრების თანხვედრა გვაოცებდა. მისი დახვეწილი იუმორი და წრფელი გული მხიბლავდა... თუმცა, ჩვენად გადაიქცა მასთან საუბარი. ვგრძნობ-



დი, რომ მოვწონდი და ამით ვერთობო-
დი. ხან ლექსებს მიძღვნიდა, ხან სიმღე-
რებს, ხან იავენანას მიმღეროდა. როგორ?
აი, ასე: დაიძინე, ჩემო კარგო, გენაცვა-
ლოს, თამაზიო... დახუჭე შენი ლამაზი
თვალებიო... ამ ხუმრობა-ხუმრობაში მივხ-
ვდი, რომ თამაზის გარეშე ვეღარ
ვძლებდი. ფიქრისა და ნერვიულობისგან
ავად გავხდი. თვითონაც ვერ იყო კარგ
დღეში. მან არ იცის, რომ მის მიმართ
სერიოზული გრძნობა მაქვს. არც ვეტყვი.
რა სისულელეა, რა სამარცხვინოა და რა
საოცარია ეს ყველაფერი. ჩვენს ურთ-
იერთობას მომავალი არ ექნება და არც
უნდა ჰქონდეს. ის დაჟინებით მთხოვდა
შეხვედრას. ბოლოს მივწერე, ურთიერ-
ობა რომ გავასერიოზულოთ, შენ
ძალიან კარგად იქნები, მე კი აწყობილი
ცხოვრება უნდა დამეგრეს და თანახმა
ხარ ამაზე-მეთქი? იუარა. ვართ ასე
გაურკვეველად. ის თავის ოჯახს უძღვება,
მე — ჩემსას. ვითომც არაფერი. მარი, რა
ადვილად დავწერე, რისი თქმაც ასე
ძალიან მიჭირს... ყვევილ-ვარდო“.

სინანული

„ალბათ ისიც დანაშაულია, როცა ად-
ამიანს გულს სტყენ. მით უმეტეს, თუ ამას
განზრახ აკეთებ. მე დათოს ამბავს მოგიყე-
ვით. სოფო ერთი ლამაზი გოგოა, მუდამ
გულჩათხრობილი, ცივი და გოგოსთვის
შეუფერებლად — პირდაპირი და უხეში.
თავისთვის ცხოვრობდა და არავინ და
არაფერი ანალვლებდა. მის უცნაურობებს
დედისერთობას აბრალებდნენ და ყო-
ველთვის ამაყ, გათამამებულ, უკარება გო-
გოდ მიიჩნევდნენ. ჩვეულებრივი დღე იყო
მაშინაც, როცა დათო გაიცნო. გრილი
ნიავი უბერავდა და მზე ხანდახან გამოიჭ-
ყეტდა ღრუბლებიდან. სოფო სასწავლე-
ბლისკენ მიკაკუნებდა. დათოს ამ ლამაზი
ალქაჯის შესახებ სმენოდა. არანაირი შან-
სი არ გაქვსო, გააფრთხილეს კიდევ, მა-
გრამ საოცარი გამბედაობა, სიჯიუტე, მოთ-
მინება გამოიჩინა და 2 წლის შემდეგ სოფო
პაემანზე დააბატიუა. შემდეგ იყო ბანალური,
მაგრამ ლამაზი დღეები — კინო, თეატრი,
ბარი, პიკნიკი; იყო ფანჯრის ქვეშ, ტელე-
ფონით ნამღერი სერენადა; იყო
ფიერფერკებიც, რომელსაც ყველა ხედავ-
და, მაგრამ მარტო სოფომ იცოდა, რომ
მას ეკუთვნოდა; იყო ყაზბეგიდან ჩამოტ-
ანილი თოვლიც და მისთვის მიძღვნილი
ლექსებიც... ბიჭს უყვარდა, გოგოს — არა,
მაგრამ ბიჭი ჯიუტად უმეორებდა, — თავს
აუცილებლად შეგაყვარებო. ცოტა ხანში
კი გოგო საკუთარ თავზე ბრაზობდა, ამ

ერთმა ჩვეულებრივმა, არაფრით გამორ-
ჩეულმა ბიჭმა როგორ მოახერხა ჩემთან
დაახლოება — ანუ გოგოსთან, რომელ-
საც ყველა სანატრელ და მიუწვდომელ
არსებად მიიჩნევდა. ეჩხუბებოდა, ისტერიკას
უმართავდა არაფრის გამო, ბიჭი კი უთ-
მენდა და ეს კიდევ უფრო აცოფებდა
გოგოს. ბოლო შეხვედრაც ჩვეულებრივი
იყო. ბიჭმა სთხოვა (უკვე მერამდენედ):
„სოფ, წამოდი, სიონზე ავიდეთ, რაა...“
„კარგი, რაა, მანდ შეყვარებული წყვილე-
ბი დადიან, ზასაობენ ან მარადიულ სიყ-
ვარულს ეფიცებიან ერთმანეთს; არ მინდა
სიონზე“, — უარზე იყო სოფო. გთხოვ,
უარს ნუ მეტყვიო, შეხვეწა ბიჭი. — კარ-
გიო, — უეცრად დათანხმდა გოგო. ტაძ-
ართან მიმავლებს გზად ჩახუტებული
წყვილები ხვდებოდნენ, ბიჭს ელიძებოდა,
გოგო კი ირონიული და ზიზღნარევი მზ-
ერით უყურებდა. მოდი, აქედან კარგი
ხედა, დაუძახა ბიჭმა და ხელი გაუწოდა.
„თვალეები დახუჭე, მომეცი ხელი, მინდა
მოგიძღვნა სამყარო მთელი“, — უთხრა
ბიჭმა. გოგონამ ხელს დახედა, გვერდი
აუარა და მის წინ დადგა. მთელი სამყარო
არ მინდა, 2 მილიონი მეყოფა და ვილა
სიცილიაზეო, — ქედმაღლურად ჩაიცინა.
იცი, ეს სიტყვები ერთმა ბიჭმა მიუძღვნა
თავის შეყვარებულს, ის გოგო მსახიო-
ბია... მე რე ის ბიჭი მოკლეს... მაგრამ ჩვენ-
გან განსხვავებით, მათ ერთმანეთი უყვარ-
დათო, — დანანებით ჩაილაპარაკა ბიჭმა.
ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. 2
კვირის შემდეგ სოფოს დაურეკეს და
უთხრეს, რომ დათო მოკლეს... არ უტირ-
ია, ის ხომ ერთი ქარავშუტა, პრანჭია
და უგულო გოგო იყო, არ უყვარდა,
მაგრამ მაინც უმძიმდებოდა ხოლმე გული
მისი გახსენებისას. რამდენიმე თვის წინ
ერთი გაზეთი ვიყიდე. წინა ფურცელზე
ლელა მეტურიშვილის სიყვარულის
ტრაგიკული ამბავი იყო დაბეჭდილი.
თვალში კი ლექსის ერთი სტროფი მო-
მხვდა — „თვალეები დახუჭე, მომეცი ხელი,
მინდა მოგიძღვნა, სამყარო მთელი“... იმ-
წუთას მხოლოდ მე ვიდექი ქუჩაში,
სადღაც კი დათოც იყო. ვერ ვხედავდი,
მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემთან
იყო. ასფალტზე კი გაზეთის ფურცლები
ყვარა. მაპატიე, დათო, ყველა ჩემი სიტყ-
ვა და საქციელი, რამაც გული გატკინა.
მაპატიე... ერთხელ მითხარი, როცა ქალს
ხედავ, ხომ სასწაულია და როცა ქალი
გიღიმის, ეს უკვე არაამქვეყნიური ბედ-
ნიერებაა და გთხოვ, ხშირად გაიღიმეო.
ხშირად ვიღიმი და ამით ვცდილობ ჩემი
დანაშაულის გამოსყიდვას. შენ დამაჯერე,
რომ ღირს, იყო კეთილი და აკეთო

სიკეთე. მაპატიე... მარ, საუკუნეა, გზავ-
ნილი არ გამომიგზავნია და თუ ღირს
დასაბეჭდად, დამიბეჭდე... ატარეკისია“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ერთხელ სოფელში ვიყავი და ზაფხუ-
ლის არდადეგებს ვირგებდი. გაგანია
ჭორაობაში ვარ და უეცრად, ტელეფონზე
მესიჯი მოვიდა. ასეთი შინაარსის მესიჯი
არასოდეს მომვლია. გასაოცარი ის იყო,
რომ გოგო მწერდა. უცხო ადამიანი სიყ-
ვარულს მისწინდა. ასე გავიცანი ჩემს ცხოვ-
რებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი.
იმ დღიდან საუკეთესო მეგობრები გავხდი.
ჩვენმა მეგობრობამ ყველა გამოცდას გაუძ-
ლო. ერთმანეთის ტყვივლსა და სიხარულს
ვიზიარებდით, მაგრამ ამის მიუხედავად,
მაინც დავმორდით. ცუდი ისაა, რომ არც
ერთი არ ვიყავით დამნაშავე. ცხოვრებამ
გაგვხადა სასტიკი და ამ სისასტიკეს ვერ
გავუმკლავდით. ჯობდა, ეს ურთიერთობა
არ დაწყებულყო. მხოლოდ კეთილი მოგ-
ონებები დამეჩნა... ღამე არ გავა ისე, რომ
ტირილით არ გავიხსენო. გრუზინკა“.

„მარი, ალბათ დაიღალე წუნუნა მესიჯე-
ბის კითხვით. ერთ-ერთი წუნუნა მეც ვარ.
რა ვქნა, არც მე მინდა ასეთი მესიჯების
მონერა, მაგრამ ცხოვრება არ მანებირებს
ლამაზი დღეებით. დღეს ვეცდები, ისეთი
სახალისო რამ გავიხსენო ჩემი ცხოვრე-
ბიდან, ცოტა სევდას რომ გამიქარებებს.
წინა ახალ წელს გადავწყვიტე, ჩემი შინაბ-
ერობისთვის წერტილი დამესვა და ბე-
დობისთვის საფუძვლიანად მოვზადებუ-
ლიყავი. ახალი ცოცხი ვიყიდე და საღამოს
დაველოდე. საცხა მქონდა წაკითხული, რომ
კრუხივით მაგიდის ქვეშ კი არ უნდა
მოიკალათო, არამედ, სამჯერ უნდა გაირბი-
ნო მაგიდის ქვეშ და თუ ზედ ახალ ცოცხ-
საც მიგაყოლებენ, მთლად უკეთესი, გათხ-
ოვება გარანტირებული გაქვსო. ეჰ, მარი,
მე ამანაც არ მიშველა, კი დოლის ცხენი-
ვით გავირბინე, ჩემმა დედიკომაც მომაყ-
ოლა ახალი ცოცხი, — ნადი მალე აქედანო,
მაგრამ მაინც ქე ვზივარ კრუხივით სახლ-
ში. ამ წელს კი შეგძვერი მაგიდის ქვეშ,
თან ისეთი დაღლილი ვიყავი, არ ჩამთვ-
ლიმოს-მეთქი და ჩემმა დისშვილმა ბალ-
იში შემომანოდა. გამეცინა... აქანე კი არ
ვაპირებ დაძინებას-მეთქი. აი, ასე იყო ეს
ამბავი და ვნახოთ, იქნებ წელს მაინც მეშ-
ველოს რამე. მე კი ცოტა გავხალისდი ამ
ამბის გახსენებით. მე ისევ აქ ვარ, თქვენ-
თან... თინეიჯერი შინაბერა“.

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავ-
ნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგ-
ზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160
სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას
ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და
ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი
მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომწერო ნომრს თუბ იწყება —
„სიყვარულმა ასაკი არ იცის“.
ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ
მესიჯებით ტელეფონის ნომრზე
877.456861
ან მონწიროთ ელფოსტაზე
marrita77@yahoo.com



„სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო, თავი კი არ უნდა მოიკლა“

„ბობონების ყურადღების მოქმედებას იუმორით ვსდილობთ“

„გზის“ №9-ში დაიბეჭდა 16 წლის მოსწავლის მესიფი. იგი გვწერდა, რომ შეუყვარდა თანაკლასელი, რომელიც გამუდმებით დასცინის ან ეჩხუბება. „სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და ვგრძნობ, რომ ეს ბავშვური გატაცება არ არის. რა ვქნა? თავი მოვიკლა თუ სხვა სკოლაში გადავიდე?“

ლიკა ქავია

ნაოზი:

„დაგცინის, გეუხეშება, გეუზრდებლად და შენ მაინც, ძალიან, ძალიან გიყვარს? ვერასდროს გაუგებ ისეთ გოგონებს, რომლებსაც ცუდი ბიჭები მოსწონთ. მის გამო თავის მოკვლას აპირებ? შენთან ახლოს რომ ვიყო, თმაში ხელს ჩაგაველებდი და აზრზე მოგიყვანდი. საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდე!“

ფიჭია:

„ხომ ხედავ, გაზაფხული მოვიდა. ჰოდა, გარეთ გადი და მიხვდები, რომ სიცოცხლე მშვენიერია. რაღაც პერიოდის შემდეგ ნამდვილი სიყვარულიც გეწვევა და მერე, ამ ამბის გამო გაგეცინება. P.S. თუ დაგცინის, მიკვირს, მის მიმართ გრძნობა როგორ გაგიჩნდა?..“

მაპი 3:

„იქნებ ამის საბაბს აძლევ? თუ ასე არაა, მაშინ ის შენს სიყვარულს არ იმსახურებს. ვერ ვხვდები, როგორ უნდა შეგიყვარდეს ადამიანი, რომელიც გამეცირებს? არა მგონია, რომ სხვა სკოლაში გადასვლამ გიშველოს.“

ატარაქსია:

„ოჰ, ეს გარდატეხის ასაკი... თუ ტვინი ასეთი სულელური აზრებით გაქვს გამოტენილი, ჯობია, თავი მართლა მოიკლა. აბა, რა სიყვარული, რის სუიციდი? სწავლას მიხედვით, სუნტრუცობის დრო კი მერეც გექნება.“

შავი მარგალიტი:

„კარგი, რა, ხალხო, რა საჭიროა ასეთი დრამატიზება? რატომ გგონია, რომ სძულხარ? რომ განვალღებ, ეს სიძულვილის მანიშნებელი სულაც არაა. თანაც არ ხარ იმ ასაკში, რომ ყველაფერზე ხელი ჩაიქნო და ვილაც იდიოტის გამო თავი მოიკლა. არ უყვარხარ და კარგად იყოს, გამოჩნდება ისეთი ადამიანიც, რომელიც დაგაფასებს.“

ქოთხოთა:

„ქალის ცრემლებს არც ერთი მამაკაცი არ იმსახურებს — ეს კარგად დაიმახსოვრე! შენ გიყვარს, ის კი დაგცინის და შეურაცხყოფას გაყენებს? ჰოდა, ასეთი ადამიანის სიყვარული რად გინდა? მერწმუნე, თავს ტყუი-

ლად იტანჯავ. რაც შეეხება სკოლიდან გადასვლას, გადანყვეტილებს თავად უნდა მიიღო, შენ უკეთ იცი, რა იქნება შენთვის კარგი და რა — ცუდი. წარმატებები!“

დუღუ:

„გამარჯობა. მეც 16 წლის გახლავარ. ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, როცა ყველაფერს სხვაგვარად აღვიქვამთ. თუ გიყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის გამო თავი უნდა მოიკლა. თავი ისე მოაჩვენე, თითქოს არც გაინტერესებს და თუ შენდამი რაიმეს გრძნობს, ინიციატივას თავადვე გამოიჩენს. წარმატებები!“

თამუნა:

„თავი მოიკალი, თავი! მამატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ აბა, შენნაირი აზროვნების ადამიანს თავი მოსაკლავი არა აქვს? რა უაზრო კითხვა დასვი ან შენ, ლიკა, ასეთების „ესე-მესეს“ რატომ აქვეყნებ?.. მოკლედ, მოსწავლის წერილმა ძალიან გამაბრაზა. ნეტავ, რაზე ფიქრობს? სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო, თავი კი არ უნდა მოიკლა. ბავშვი ხარ, ბავშვი და ესეც უბრალო გატაცებაა!“

ზამზუზა:

„ეს „თავი მოიკლა თუ სხვა სკოლაში გადავიდე“ სიტყვათა რა არა-აზრებრივი თანხვედრა იყო? საინტერესოა, რომ გითხრა, — თავი მოიკალი-მეთქი, ამას გააკეთებ?.. ბიჭების უმეტესობა, თანაც — მაგ ასაკში, შესაძლოა, მოწონებასა და სიყვარულს უხეშობით, აგრესიით გამოხატავდეს; ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია, სძულხარ თუ არა. გირჩევ, მის საქციელს „იგნორი“ გაუკეთო ან უკეთეს შემთხვევაში, არაფრისმთქმელი ლიმილი შეაგებო. გაძლევს გისურვებ!“

უცნობი:

„თავის მოკვლა დიდი ცოდვაა, ღვთისგან ბოძებული სიცოცხლის მოსწრაფება არავის გამო არ ღირს! თუ სიყვარულის ისეთი ნიჭი გაქვს, რომ შეგიძლია, ის ადამიანიც კი შეიყვარო, რომელიც დაგცინის, მაშინ ღმერთი აუცილებლად მოგცემს შანსს, რომ ცხოვრების გზაზე ღირსეულ მამაკაცს შეხვდე და ეს ამ-

ბავი, რომელიც ახლა ასე განუხებს, შენს მესხიერებაში მწარე მოგონებად ალარ დარჩება. სხვა სკოლაში გადადი და ნერვები დაიოკე. მაქსიმალურად შეეცადე, მას ყურადღება არ მიაქციო და უღირსის გამო სიამაყე არ დაკარგო.“

უცნობი 2:

„იყო დრო, როცა ჩემი კლასელი არც მე მევასებოდა, მაგრამ ახლა ძალიან მიყვარს. იცოდე, არ აგრძნობინო, რომ მოგწონს. პირველად თავად გითხრას, რომ უყვარხარ!“

რუსიარი (YELLOW):

„შენ ხარ 16 წლის ასაკში, თანაკლასელზე უზომოდ შეყვარებული მოსწავლე, რომელიც პირველივე იმედგაცრუების გამო თვითმკვლელობაზე ფიქრობს, არა? მამატიე, მაგრამ ეს სასაცილოა! ყველაფერს აჯობებს, დაივიწყო. ყურადღება სწავლაზე, მასწავლებლებზე, ნიგნებსა და მეგობრებზე გადაიტანე. არ მესმის, როგორ უნდა შეგიყვარდეს ადამიანი, რომელსაც შენი დამცირება სიამოვნებას ანიჭებს? ტვინი გაანძრო, რა. P.S. ისე, ზოგჯერ ბიჭები გოგონების ყურადღების მოქცევას იუმორით ვცდილობთ, რომელსაც შენნაირი აზროვნების მდებარეობა დაცინვად აღიქვამენ. ჯერ ყველაფერი გაარკვეე და დასკვნებიც შემდეგ გააკეთე.“

ძირივი:

„რა თავი უნდა მოიკლა, ნუ „გაუბერე“. ვისაც უყვარხარ, ის თავის მოკვლაზე ფიქრის საშუალებას არ მოგცემს, ხოლო იმ ადამიანის გამო, რომელიც სიყვარულს არ დაგიფასებს, სკოლიდან გადასვლაც არ ღირს.“

ცმანვა:

„ახლა რომ გითხრა, — თავი მოიკალი-მეთქი, ნახვალ და დანას გაიყრი? ის პიროვნება უნდა დაივიწყო! ისე, ვერ გავიგე, გოგო ხარ თუ ბიჭი? წარმატებები, „სრენი“ როდის წარმომადგენლო.“

LOCUST:

„თავის მოკვლაზე არც იფიქრო, ეს სისულელეა! რაც შეეხება სკოლიდან გადასვლას, არც ეგაა გამოსავალი, რადგანაც მერე მონატრებით დაიტანჯები. შეეცადე, მას ყურადღება ალარ მიაქციო; ცივად მოექცი და დაუმტკიცე, რომ საინტერესო ადამიანი ხარ. მჯერა, ყველაფერი გამოგივა!“



LADY MOON:

„ეს სიყვარული მალე გადაგივლის — ამას იმიტომ გეუბნები, რომ მსგავსი რამ მეც გამომიცდია. მერწმუნე, თუ სხვა სკოლაში გადახვალ, ბევრ ახალ ნაცნობს შეიძენ და მაგრად იქნები“.

LADY UNNAMED:

„ხშირად, დაცინვითა და ჩხუბით თავიანთი ნამდვილი გრძნობის დამ-

ალვას ცდილობენ. თუ გიყვარს, მისთვის იბრძოლე, თავის მოკვლაზე ფიქრს კი შეუშვი!“

ნიკოლო:

„ასე რა გამოდის? ცხოვრების განმავლობაში ასჯერ მაინც მოგიწევს თავის მოკვლა. იყავი ძლიერი და შეეცადე, გულთან არავინ და არაფერი მიიკარო, ნურც კეთილშობილებას გადაჰყვები და ნურც — რწმენას. ეგოიზმი

და ბევრი ნილაბი — აი, რა არის საჭირო იმისთვის, რომ არ დამარცხდე... მაგ შენს რჩეულს უხეშობაზე უხეშობითვე უპასუხე, თავს საცოდავი ცხვარივით ნუ ჩაღუნავ. P.S. ე.ი. შევთანხმდით: არც თავს ვიკლავთ და სკოლიდანაც არსად გადავდივართ, უბრალოდ, ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა გადავუაროთ ცხოვრებას...“

„ნამდვილი სიყვარული სხოვრებაში ერთხელ მოდის“

„გზის“ №9-ში დაიბეჭდა 17 წლის უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ შეყვარებულთან ერთად გაიპარა, მაგრამ მშობლებმა მიაგნეს და გოგონა იმავე საღამოს, შინ წაიყვანეს. „ჩემს შეყვარებულს უთხრეს: სახლში მოდი ხოლმე, ერთმანეთის ნახვას და ლაპარაკს არ დაგიშლითო, თუმცა პირობა არ შეასრულეს: როცა მირეკავს, ეუბნებიან, რომ სახლში არ ვარ... მის გარეშე აღარ შემიძლია, ლამისაა თავი მოვიკლა...“

ნიკოლო:

„შენ მენტალობის პრობლემა გაქვს. 17 წლის გოგოს რა გათხოვება აგიტყდა? ახალგაზრდობას ვის ან რას სწირავ? ტვინი გაანძრე და თვალები ფართოდ გაახილე. ჯიგარი მშობლები გყავს, უარესის ღირსიც ხარ“.

პუზღუნა 16:

„აუ, შენი მშობლები ძალიან ცუდად იქცევიან. გირჩევ, ყველაფერი გააანალიზო და გადაწყვეტილება მერე მიიღო. თუ სხვა გზა არ გექნება, ისევ გაიპარე და მეორედაც ხომ არ ნამოგოყვანენ?“

ძვირივი:

„ზოგჯერ მშობლები ჩვენს ცხოვრებაში ზედმეტად ერევიან. ფანჯრიდან გაპარვაც რომ დაგჭირდეს, უნდა გაიპარო, რათა ქმარუკასთან ერთად, ბედნიერი იყო“.

რუხაირი (YELLOW):

„შენ ტიპური ქართული აზროვნების მქონე მშობლები გყავს. მათთვის ქალიშვილის ადრეულ ასაკში გათხოვება იმედგაცრუებასთან, ტკივილთან ასოცირდება. არ მინდა, კომუნისტური აზროვნებისა და სოფლური გაგების ადამიანი გეგონო, მაგრამ სულელური გადაწყვეტილება მიიღე, როცა გაპარვის შემდეგ უკან დაბრუნდი; რადგანაც ეს ნაბიჯი გადადგი, ე.ი. მზად იყავი ოჯახი შეგექმნა, ქმარი გყოლოდა, საოჯახო საქმეები გეკეთებინა, გყვარებოდა და ჰყვარებოდი. შენ

„უანჯრიდან გაპარვას რომ დაგჭირდეს, უნდა გაიპარო“

კი რა ქენი? ფაქტობრივად, ოჯახი დაანგრე. თავი მამაშენის ადგილას წარმოიდგინე და დარწმუნებული ვარ, მიხვდები, ასე რატომ მოიქცა. ის ხომ მამაა, ქართველი მამა! P.S. თვითმკვლელობა რა, 2011 წლის მოდის კვილია თუ რა ხდება?“

ქაიტი 16:

„შეცდომა მაშინ დაუშვი, როცა მშობლებს წამოჰყვევი; საყვარელ ადამიანთან დასარჩენად ყველაფერი უნდა გაგვეთებინა... შენი სიყვარული არ დათმო, მისთვის იბრძოლე. ბოლოს და ბოლოს, სახლში ხომ ვერ გამოგკეტავენ, მის ნახვას როგორმე მოახერხებ“.

თავადაი:

„შეყვარებულს უთხარი, რომ შენს მშობლებთან მოვიდეს და ყველაფერი გაარკვიოს. თუ ისინი თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იქნებიან, ცოტა ხანს მოიცადე, გახდები 18 წლის და მერე გაიპარე, შენ ამის უფლება გექნება“.

უცნობი:

„თუ ასე ძალიან გინდა, მოიკალი თავი. მერე შენს ახლობლებს ტკივილს დრო გაუწელებს და ცხოვრებას გააგრძელებენ, შენს შეყვარებულს სხვა შეუყვარდება, ცოლს მოიყვანს და ბედნიერი იქნება, შენ კი იწევი სამარეში. მშობლები იმასაც ვერ შეძლებენ, რომ შენს სახელზე სანთელი აანთონ და ეს შენი დამსახურება იქნება. ჯოჯოხეთი იცი, რა არის? ამას მაშინ მიხვდები, როცა ნამდვილ ჯოჯოხეთში ამოყოფ თავს. მოკლედ, ვიდრე გვიანი არაა, გამოოფხილდი!“

ლუნა:

„ხშირად მშობლები შეილის ცხოვრებაში ზედმეტად ერევიან. 6-7 წელი ცოტა ხომ არაა? ისევ გაიპარე, ცოლად გაჰყვევი!“

აურა:

„თქვენი სიყვარული უნდა დაიცვათ! თუ დედა მასთან ურთიერთობას გიკრძალავს, მაშინ როგორმე,

თავად უნდა დაუკავშირდე და შეხვდე. ცოტა მოითმინე და როცა სრულწლოვანი გახდები, მერე გაჰყვევი. იცოდე, სიყვარულზე უარი არ თქვა. ღმერთი შენკენ“.

ატარამსია:

„თქვენ სიყვარულის დაცვა ვერ შეძელით. მას არ უნდა გამოეშვი და არც შენ არ უნდა წამოსულიყავი. P.S. ტრაგედიას ნუ ქმნით, რა, რომეო და ჯულიეტაც გვეყოფა...“

ბრაზინა დე მონსორო:

„თუ გიყვარს, წინ ვერც მშობლები დაგიდგებიან და ვერც სხვა ვინმე. თავის მოკვლა გამოსავალი არაა“.

ლიზი:

„ჩემო კარგო, მშობლებს თავი ისე მოაჩვენე, თითქოს დაშორდით, მერე კი ჩუმად შეხვდი ხოლმე და თუ ის ბიჭი მართლა გიყვარს, ისევ გაიპარეთ. დაიმახსოვრე: საკუთარი ბედნიერებისთვის ყველას უნდა შეენინააღმდეგო, რაღაც პერიოდის შემდეგ კი მშობლებიც გაგიგებენ (ნუთუ, თვითონ არ ჰყვარებიან ერთმანეთი?). იმოქმედე, თორემ შეიძლება, ის ბიჭი შენი დევნა-ლოდინით დაიღალოს და შეგეშვას. აბა, წარმატებები და იცოდე: ნამდვილი სიყვარული ცხოვრებაში ერთხელ მოდის, ჰოდა, ბედნიერების შანსს ხელიდან ნუ გაუშვებ! გაკოცე“.

საკალელი გოგო:

„ძალიან ძნელია, როცა ბედნიერებასა და სიყვარულს ხელიდან გამოგლეჯენ. მიზნის მისაღწევად იბრძოლე, ძალიან გთხოვ. მჯერა, ცოტა მოთმინებაა საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება“.


GRAZY:

„თუ ასე უყვარდი, შენებისგან ვერ დაგიცვას? ან შენ რა მოგარბენინებდა? დავიჯერო, თავად ვერ ეხმიანები? ჩემს დაქალსაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა, მაგრამ მე დავეხმარე და დღეს უბედნიერესები არიან. ასე რომ, გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან მოიძებნება“.

მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ყოველმხრივ მოწესრიგებულ, თბილისელ, სიმპათიურ მამაკაცს, 40 წლამდე.

2. ვარ 44 წლის ქალბატონი. ვცხოვრობ თბილისში. მეუღლესთან განქორწინებული ვარ. მსურს გავიცნო 45-დან 55-წლამდე მამაკაცი. უმჯობესია, ოჯახის შექმნის მიზნით.

3. გავიცნობ წესიერ მამაკაცს. მაქვს სუფთა წარსული, ვარ გასათხოვარი, 33 წლის. გასართობად არ დამიმესიჯოთ.

4. გთხოვთ მომწეროთ მე-10 ნომერ „გზაში“ გამოქვეყნებული მამაკაცის ტელეფონის ნომერი, რომელიც განთავსებულია მე-6 ნომრად.

5. გავიცნობ სერიოზულ, ფინანსურად დამოუკიდებელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ დადებითი, სერიოზული. მაქვს ბინა, 42 წლის ქვრივი.


6. მარიამ, ძალიან გთხოვთ, გამაგებინეთ ბათოს ტელეფონის ნომერი. „გზა“ №6-დან.

7. მოგესალმებით. ვარ განათხოვარი. 2 პატარა მყავს. მინდა გავიცნო ჩემნაირი. მატყუარებმა არ მომწეროთ. გასართობად არ მცალია. კარგი იქნება, თუ სამსახურს დამაწყებინებებს ვინმე.

8. მყავს 54 წლის, ქალიშვილი მენეჯერი. მყავს. გაიცნობს 35-37 წლის, უცოლო მამაკაცს. სერიოზული ურთიერთობისთვის დაურეკეთ.

9. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი ნორმალურ ადამიანს. ვარ 36 წლის. ცოლიანებმა თავი შეიკავონ. დანარჩენი — პირადად.

10. მარი, ძალიან გთხოვ, მიეცით ბათოს ჩემი ტელეფონის ნომერი. მონასტრიდან წერილი რომ მიიღეთ, მაგის ავტორს.



მამაკაცები

11. გავიცნობ ქალბატონს სამეგობროდ, სლაგური წარმოშობის ან ნახევრად სლაგური წარმოშობის, 28-38 წლამდე, სიმპათიურს და მშვენიერს. ვარ 37 წლის, სიმპათიური მამაკაცი.

12. ვარ 25 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე გოგოს.

13. გთხოვთ, მომცეთ მე-10 ნომრის მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.

14. ვარ 50 წლის მამაკაცი. გავიცნობ 45-50 წლის ქალბატონს.

15. ვარ 31 წლის, ვცხოვრობ თბილისში ბინით, მანქანით და სამსახურით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს. დათო.


16. ვარ 21/168, დასაქმებული, მანქანიანი, დასავლეთიდან. გამომეხმაროს მხიარული, საღად მოაზროვნე გოგონა, 25 წლამდე. გიო.

17. ვარ 40 წლის, ვცხოვრობ რაიონში, მინდა გავიცნო შესაფერისი ასაკის ქალბატონი, რომელსაც უნდა ოჯახი და ჰყავდეს შვილი. თუნდაც განათხოვარს! მომწერეთ სალამოს!

18. გთხოვთ დამაკავშიროთ გორელი გვანცა. ვარ 37 წლის, გორელი. მინდა გავიცნო ნორმალური ქალი, ულამაზესი ურთიერთობისთვის. ზურა.

19. პირველად გწერთ და დამიბეჭდეთ, გთხოვთ. გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. ვარ 19 წლის. დანარჩენი — პირადად. მართლა, ძაან ცანცარებმა არ მომწეროთ.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 51-ე ნომრის მე-6 სმს-ის და მე-7 ნომრის მე-4 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი.



სხვადასხვა

*კაკადუ, არ ინერვიულო, ყველა შენთან ვართ და ბოლომდე ასე ვიქნებით. შენ, რაც მთავარია, თავს მოუარე და რამე ყუთიანი ჭამე, ჩხირისგან თავი რომ დაიცვა. კახა.

*კასკუ, ჩემი მონატრება მაინც უფრო მეტი იქნება. გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი, აქაურობის დარდი არ გქონდეს, ყველანი კარგად ვართ. როგორც იქნა, ჩაიარა ჩვენი ცხოვრების ყველაზე ცივმა და საშინელმა ზამთარმა. ასე ჩაივლის ეს მოლოდინიც და ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი უამრავს. ქეთი.

*ო, ძვირფასო! ჯვარზე მაგეს, გაქრა გიყი ოცნება. ვკოცნი, ვკოცნი, მე შენს ბაგეს, მაგრამ რა მეკოცნება? მორიელი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციაში“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ენება საბურთალოს მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გამოფერა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• პატარავ, როგორ ხარ? დაბადების დღეს გილოცავ წინასწარ, სიხარულო... ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ დღეს ჩემთან არ ხარ. დიდი ბიჭი ხარ უკვე... წერილები მიიღე? თავს როგორ გრძობ ნეტავ? ბესო ჩამოსული. შენ რომ ამას ნაიკითხავ, ალბათ უკვე წასული იქნება და პარასკევს წავა. ვაჩეც აქ ჰყავს და ბავშვები ისეთ დღეში არიან, გვაგიჟებენ. ერთმანეთს დასდევენ, საბა „სოსკას“ ართმევს, ის აბლავლდება, მერე ისევ ჩასჩრის პირში და შერიგდებიან. თავიდან ეჭვიანობდა საბა, ვაჩეს რომ ვეფერებოდით, მაგრამ ახლა მიიჩვია, ველოსიპედსაც ათხოვებს უკვე. თოჯინასავით ეთამაშება. ახალი კიდეც ისაა, რომ ვნოს ნინო დაიღუპა ავარიით. საშინელი ავარია მოხდა, მანქანა გაფრინდა, ხეს სახურავით შეეჯახა და შუაზე განყდა. უკანა ნაწილი იქვე ეგდო, წინა ნაწილი კი 45 მეტრის მოშორებით. ნინო და თავისი შეყვარებული დაიღუპნენ, მძლოლი გადარჩა, ღვედმა და აირბაგმა გადაარჩინა. 15-ში იყო გასვენება. ხიდათ რომ ჩაუხვევ, სტადიონის წინ მოხდა ეს ყველაფერი. სხვა რა გითხრა აბა... შენს საქმეზე ახლი ჯერ არაფერი. ხელის მოწერას რაც შეეხება, საბუთებს ხუთშაბათს მივითან და როგორც მითხრეს, 1 კვირაში მოგანერინებენ. დანარჩენს წერილში მოგწერთ. გკოცნი და გეხვევი. დედა.

• სამსახურში მოსულს, ყვავილები დამხვდა. ვინც მე მინდა კიდეც, დგას კარში დარჭობილი და მიყურებს. მაგას ურჩევნია, ყვავილები გამომიგზავნოს. უწუნური.

• მშვენიერი დღე დადგა, მზიანი, მხიარული (არადა, თავსმა წვიმა), გაზაფხულის სურნელით გაჯერებული. დღეს მ მარტია, ჩვენი დღეა, გოგონებო, ყველას გილოცავთ.

• ვარ თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი და ძალიან გთხოვთ, ქართული პროზის საგანძურში კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოსცეთ.

• ნამდვილი მგელი სხვა ხმაზე ყმუის, ნამდვილი კაცი გულით მგელია. კაცურად ცხოვრობს; არასდროს ტყუის, უჭირს და მაინც ბედნიერია. ომი მოიგე შენზე ძლიერთან. მორიელი.

• შენ არ ხარ ევა, მაგრამ ხარ ქალი. და ეს ჩემს თვალში დიდი ნაკლია, დაბადებიდან გაქვს ჩემი ვალი, მე ხომ შენ გამო ნეკნი მაკლია. ხუმრობა — იქით, მე შემეყვარდა, მოშორებული ჩემს სხეულს ძვალთ. ყველა ნეკნს დავთმობ იმ ერთის გარდა, რომელსაც ღმერთმა უწოდა ქალი. მორიელი.

• მაშინ, როდესაც მე შენ ერთს გნატრობ, შენ სხვაზე ფიქრობ, სხვა ვინმეს ნატრობ. შენზე ფიქრები მაგიუებს, მახრობს თუ დაიჯერებ, ვაი შენს პატრონს... მორიელი.

• ტარას, რას შეიცხადე და მთელი ფაბრიკა შეყარე? არ მოგეწონა კომპლიმენტი? ხუმრობა არ იცი, ბიჭო?

• იქნება ჯობდა... ვაჰ, ია ფარულავას ვუყურებ ტელევიზორში და ლექსი ვერ ავანყვე... მოკლედ, კაროჩე, ეს უსტარი დაბეჭდე. კუნკული.

• კაკუ, მინდა გითხრა, რომ მიყვარხარ. შენი ხულიგანა.

• რუისპირი (YELLOW), ძალიან მინდა შენი გაცნობა. შემეხმინე, რაა. ანგელ.

• ეჰ, ჩემო მილე, ვნუხვარ. მე იანვარაში გამიხდებოდა ქორწინების ერთი წელი, მაგრამ სამწუხაროდ უკვე ქვრივი შევხვდი ამ თარიღს. შენ ალბათ შეყვარებული დაგელუბა? ქვრივი.

• და ვინმე ჰკითხა პაატა სააკაძეს? იქნებ თავის მოკვლას ქალთან სექსი ერჩივნა? ჰმ... როგორი ძნელია, კაცს მასკარადშიც რომ არ დაავიწყდება ზრდილობა. დიდება პაატა სააკაძისა და კონსტანტინე გამსახურდიას საქართველოს! მათი სუნთქვა ყოველთვის ეხსომება საქართველოს. კუნკული.

• აუ, სიცოცხლე მეზარება. მინდა მოკვდე. ბედნიერება ზეცაში მინდა ვიპოვო. :(მალე მოკვდები? მალე წავალ აქედან? ბედნიერებას ვიპოვი ჩემსას? :(მორიელი.

• ბაი, როგორ ხარ? იმედია, კარგად. აი, წერილი უკვე მალე მოგივა ალბათ. აღდგომას კი იქნებ გვეშველოს. მენატრები. ნათია.

• ყველანი ძალიან კარგები ხართ და ნუ ჩხუბობთ, რაა... :) P.S. მარ, შენც კარგი ხარ :).

• გამარჯობა მარი. ძალიან მიყვარს ეს ჟურნალი და თინეიჯერით ველოდები ყოველ ნომერს. ცრემლები მომადგა იმ ახალგაზრდის მესიჯზე, ბაბუის ხსოვნის წინაშე თავს დამნაშავედ რომ გრძნობს.

• ის უბანი ჩავიარე, სადაც მაცილებდი ხოლმე... მენატრები... ამ გულს ენატრები და გელოდება. უწუნური.

• მოვიკითხავ აურას. :) გაიხარე ფლამინგო, როგორც წესი, ადამიანები ვერ მიტანენ და გამიხარდა, რომ წაგესიმპათიურე. ატარეესია.

• გადარეულო, თუ შენი ნიკით ვიმსჯელებ, შენი გაცნობა კარგი ამბავი იქნება. :) სოფო ანუ ატარეესია.

• მე ისეთი არა ვარ, როგორიც ყველა! მე უარესი ვარ. ატარეესია.

• აშკარაა, რომ დარვინი შეცდა. ფაქტია,

რომ ჩინელები კურდღლებისგან წარმოიშვნენ. ატარეესია.

• გულის ერთ მიყრუებულ ადგილას მიმალულმა შენმა არსებობამ ისევ გამიასხლა იარები... არ დაბრუნდე, გთხოვ, რა... მეშინია, რომ ყველაფერს გააბატებ. უწუნური.

• ამ უფულო ქვეყანაში დონალდი და მიხეილი ფულს ითვლიანო. ჰილარი და ერდოლანი იქნებიან მეთვალყურეები. ეგენი ისეთ წესრიგს დაამყარებენ საქართველოში, რომ ახალ თამაშს მოიგონებენ. თორემ იჩაგრება ახვლედიანი, წელს უკვე ჯეკპოტი ორ-ოცჯერ გათამაშდა. მანი-მანი-მანი, ვის არ უყვარს ქალი... ვაა, შეეშვი რა მაგ ქალებს, თავში ბუმბული უხლიათ. P.S. მე კი შეგნებას ვინ წამართმევს, თვით სამარეთში? კაცი მქვია და კაცად ვივლი ამ ლაზარეთში. კუნკული.

• დათ, შენ ვერ წარმოიდგენ, ანო როგორ ემზადება შენს სანახავად. ჭიამაის ელაპარაკებოდა, ჩემი მამიკო ძალიან შორს მუშაობს, მაგრამ მალე ვნახავო! ჩვენც ერთი სული გვაქვს, 14 როდის მოვა. ძალიან გვიყვარხარ! გნახავთ მალე!

• ერთხელ, ცა ლურჯი რომ იყო და ქუჩა ახლახან ნაწვიმარი, მივხვდი, რა ბედნიერებაა ლურჯი ცა და ნაწვიმარი ქუჩა, ბედნიერებაა საყვარელი მოთხრობა და ის, რომ ეს იცი. ანა.

„ბოჰემის“
მარტის ნომერი

ბოჰემის
SASHA PRISHVIN
საბავშვო ჟურნალი
La Femme

საბავშვო ჟურნალი
გაზაქასავა

Trans gender
by SASHA PRISHVIN

• ლაკვასტი, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ახლოსაა უფალთან, თითქმის მშურს კიდევ, მაგრამ მომხდარ მოვლენებს ჩემს ცხოვრებაში ვერ აღვიქვამ უფლის კეთილ ნებად, სამწუხაროდ. ქვრივი.

• დათუნა, რა კარგი იყო, დღეს რომ განახეთ. პატარა ყველას იმას უყვება, ჯადოსნურ სარკეში მამიკოს ველაპარაკეთო. მერე სახლის სარკეზეც ამბობდა, მამა გამოჩნდებო. გამაგრდი და გაძლიერდი. თავს მიხედე, მაგარი გამხდარი ხარ. ჩვენი დარდი არ გქონდეს, შენ რომ ყოჩაღად ხარ, ჩვენც ძალა გვემატება. გვიყვარხარ, დათ!

• **CRAZY GIRL** მე ვიკითხე მხოლოდ **SWEET GIRL**-ი — ხომ არ გათხოვდამეთქი? არ შემიძლია, არ დაგეთანხმო. მართლაც საყვარელი ვარ. მეც გამიხარდა შენი პანუკა მესიჯის ხილვა. გრუზინკა, რააიიიოოო?! მე არავის ვემუქრები. :) თან ყოველთვის სიმართლეს ვლაპარაკობ! ყოველთვის! ნუ მისწყენ ხოლმე, რააა. გენაცვალეე... ნაომი.

• ე.ი. ვინც ჩემს გრუზინკას გული ატკინა და დააკარგვინა მეგობრობის რწმენა, იმას არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე. :) იმისი ცინკის კუბო დევი-ნახო ზალაში. :) არა და, ძლიერი ადამიანი ჩანხარ, გრუზ. :-) ფლამი, ლაკვასტი, ქაჯების დედოფალი, ფიფქია, გურულო, თეკო, ლინდა, კიბორჩხალა (რამდენი ხართ, თქვენნი!) მოგიკითხავთ. ნაომი.

• ვაიმე, ლუნა... შეუდარებელი, შეუცვლელი და განუმეორებელი ხარ. მართლა, ოღონდ. :) ჩვენში დარჩეს და მართალი ხარ, ბუნებრივი მაინც სულ სხვაა. :) მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ ლაპარაკი არ შევლის მაგ საქმეს. ჩემი სიცოცხლე გოგო, მიყვარხარ, ანასტეიშენ, ნაომი.

• საღამო მშვიდობისა მარ, როგორ ხარ? აუ, წინა ნომერში „მთვარეული“ და „მდიდარი“ მომეწონა ძალიან! აბლახანუმს მოკითხვა (კაი ხარ, რო შემოგვირბინე). **CRAZY GIRL**.

• საღამო მშვიდობისა, მარიამულო... ცუდ დროს ხომ არ გწერ, სიხარულო? მაპატიე, აქამდე ვერ მოვახერხე მონერა. მიხარია, რომ მოგწონა, ჩემი გზავნილები! შენმა შესავალმა გამამხიარულა, მარ. საოცრება ხარ... მიყვარხარ და გკოცნი უამრავს. მარ, მ მარტს ქალებმა ჩემთან იქეიფეს და იმდენს აბუბეს მოჰყენენ, კარგა ხანს მეყოფა. :) შენი ლუნა.

• მარიამულო, იმერეთში ვარ და ნორმალურად ვერც კი მოვახერხე რამის დანერა. გკოცნი და გეხუტები თბილ გულში. შენი ლუნა.

• მაგარია რა, სამივე ერთდროულად გაქრა. ნაომის, რუისპირსა და მისტერს ვგულისხმობ და სამივე ერთდროულად გამოჩნდა და „გზაც“ საინტერესო მომეჩვენა. უკრაინკა.

• გამარჯობა ჩემო კარგო მარი, კვირას ომონიაზე რომ გავედი, არც ერთ გრაფიოში არ იყო „გზა“. ცოტა მოშორებითაა კიდევ ერთი გრაფიო და მითხრეს,

იქ იქნებაო. დიდი რიგი დამხვდა. ვიკითხე, „გზა“ არის-თქო? გათავდაო. ამ დროს გავიგონე, ერთი ქალი ამბობდა, ერთი გამაგებინა, ამ „გზისთვის“ რატომ იკლავს ეს ხალხი თავსო. შემდეგ ისევ ხატიასთან წავედი, სადაც მოვიდა ჟურნალები და თუ დამიჯერებ, ისეთი თავირისმტრევა იყო, ხატიამ გარეთ გამოყარა ხალხი და ნახევარი საათი ველოდი. გერასიმე.

• უნიკოვ, რა გტანჯავს? დანიშნული ხარ, გათხოვილი ხომ არა? კლეოპატრა.

• **GRAZY GIRL**, გაიხარე, აქა ვარ. :-) და შორიდან ვადევნებ თვალს, „გზაში“ მიმდინარე პროცესებს. უბრალოდ, უდროობის გამო ვერ ვწერ ხოლმე. აბეზარა (ანნა).

• მე მიყვარს „გზა“ და იცი, რატომ? ყველაფერს გრძნობს და არაფერს ამბობს. გამომიქვეყნე რა, მარ. მონი15.

• გამარჯობა. მე ჩემს თავზე წინასწარმეტყველება მიხდება და ძალიან მეშინია ამის. ზოგჯერ ძალიან ცუდიც ხდება.

• ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ნაომი ასეთი სერიოზული იქნებოდა. ისე, მის ხმაზე ლოკა მაქვს. :) ნაომ, დაბრუნდი, მოხარული ვარ, ოღონდ არ იჩხუბო, რაა. მიყვარხარ. ბუსუნა.

• გამარჯობა მარი, ბიძაჩემს მამაჩემის სახლის წართმევა უნდა, რადგან მისი სახლი ცენტრიდან შორსაა. მამაჩემის სახლი კი მთავარ გზაზე მდებარეობს და ავტობუსები სახლის წინ აჩერებენ და ცენტრიდან ახლოს არის. ყველაფერს აკეთებენ, რომ მამაჩემს შვილები შეაზიზლონ და სახლი მას დარჩეს. ერთ დღეს, სერიოზულად მეჩხუბა მამა მათ გამო, მე გაბრაზებულმა, მათი დასჯა გადავწყვიტე, ცხენი მოვპარე და გავყიდე. ასე გადავუხადე სამაგიერო, ჩემი ოჯახის გამწარებისთვის.

• იცით, ჩემმა ქმარმა რა გამიკეთა? ჩემი დეიდაშვილი, რომელიც ჩვენი შვილის ძიძად გვყავდა, საყვარლად გაიხადდა. სამაგიერო კი ასე გადავუხადე — თავის ასმეთაურთან ვცელქობდი და სანყალ ჩემს ქმარს ყოველ მეორე დღეს ნარიადში აყურყუტებდა. ახლა კი ვნანობ, მაგრამ მაშინ გამამწარა და... ანა.

• აუ, გაზაფხულდაა... რა მაგარიააა, გავიხდი ამ ტყავის კურტკას და ამ წინდებს. :) აე, აე, აე...

• მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა. თურმე წინამურთან ესროლეს ილიას. კუნკულა.

• უპაცრავად, როგორ უნდა გავიგო ბათოს ტელეფონის ნომერი, 2011 წლის მე-6 ნომრიდან?

• ერთს შევეუჩნდი, აგრემც ჩემს მკლავზე გნახო-მეთქი... უგულოდ მწყევლა, დამესხენ, შე პირქვე დასამარხავო. მეც გულიანად დავლოცე: ქალო, შე დასათაღხავო, შენ ჩემ ქვეშ მოგცა სამარე, პირაღმა დასამარხავო... 9717.

• ვაიმე, მააარ, ახლა ნანი ბებომ დამირეკა და ისე გამიხარდა, ბრინჯივ-

ით დავიბენი. ნესიერად ხმაც ვერ ამოვიღე. ნანი ბებო, ძალიან გამახარეთ და ძალიან მიყვარხართ. ფიფქია.

• მე ახალი ძველი ვარ, რაც თავი მახსოვს, „გზაც“ მახსოვს, მაგრამ პირველად გწერ. უნიკალური და უორიგინალურესი ადამიანი ხარ, სულ რამდენიმე ფურცელში ადამიანში ზღვა ემოციას ინვევ ყველა მგზავნელს და „გზავნილებს“ ფანს კოცნა შორიდან. მეც მიგულეთ თქვენს უერთგულეს მეგობრად. კატმანდუ.

• ათენიდან გიმესიჯებთ. ძალიან მეწყინა, რომ ჩემი სახელით ხარაგაულიდან ვილაპ ამესიჯებს. გადაეცით, რომ ნიკი შეიცვალოს. ხომ დარწმუნებულ ხართ, რომ ჩემი სახელი მიითვისა ხარაგაულში მია არ ასებობს. ეს ბრძნული სიტყვაა და პირველს ნიშნავს. ეს მე ჩემმა პატარა სტერგიომ დამარქვა.

• აუ, რა ხდება? რუი, ნახვედი? მისტერ, შენი მესიჯი ვერ ვნახე და რატომ? აურა, გაიხარე... ჩემი სულის მე ანუ მე მეც მინდა ვიპოვო. **CRAZY**.

• მარ, მაპატიე, უდროოდ დროს შეწუხებისთვის. სიხარულისგან გწერ. ნანი ბებოს ველაპარაკე, ჯერ ტელეფონით გავიცანი და იმედი მაქვს, მალე პირადად შევხვდები. დიდი სიყვარულით, კიბორჩხალა.

• მარი, რა ხდება? რატომ აღარ მიბეჭდავ მესიჯებს?

• მარი, ძვირფასო, ძალიან მეწყინა, ჩემი მისალოცი რომ არ დაიბეჭდა, ჩემი ბრალია, დამაგვიანდა გამოგზავნა. გეაჯეები, მართალია მოგვიანებით, მაგრამ დაიბეჭდე, შენ გენაცვალს ნანი დუმბაძე.

• ჩვენო საყვარელო ემიგრანტო, გილოცავ დედის დღეს და მ მარტს. ბრწყინვალე დედას, პედაგოგს რომელმაც შვილების (სტუდენტები) განათლებისთვის საზღვარგარეთ არჩიე შრომა. აფერუმ, შენს ქალობას და დედობას! აი, ასეთ დედებს უნდა მივულოცოთ დედის დღეც და მ მარტიც! გვეამაყები, გეამბორები. **P.S.** მოგვენატრა ჟურნალში შენი ლექსები. ნანი დუმბაძე.

• სულ მინდოდა, შენთვის მეკითხა: მარტო ხარ თუ ვინმე ჩვენთანს გადაეყარე... მარმარილოდან გამოლწევა თუ შეგიძლია? მართალია, რომ მანდ სულ ქარია? სულ მინდოდა, შემოდგომით შემომეველო, ჩამემუხლა ბორცვთან წუთებით და გულის მხარეს ყური მომედო — იქნებ ფეთქვას ისევ განაგრძობს. მინდოდა და ხალხს ვერაფრით შევაგნებინე, შენთვის ჯიბეში ის წითელი, კუბოკრული ცხვირსახოცი არ ჩატენათ. ნურც ფესსაცმელებს გიპრიალბდნენ. იმ საღამოს მოგვარი თვალი, შენს ოთახში, საწოლის ქვეშ ეყარა თეთრი ესპადრელეები. ქამარი კი, წელიდან რომ არ შეგიხსნია, ობოლს აჩუქეს, თითქოს აკლდა შევიწროება. შენ ჩაგაცვეს სულ შავები, ნიკაპთან სისხლი მოგწმინდეს, როგორც წესია, მსუბუქი გრიმი გაგაყოლეს. ჩემი



ნება რომ ყოფილიყო, დაგმარხავდი აჩე-ჩილი თმით და ჯინსებით. ამიტომაც მჯერა დღემდე: ის, ვინც ასნივს და ატარებს, ბოლოს კი დაფლავს, უცებ გაზრდელი ვიღაც კაცია. ის, ვინც მომიკლეს — პატარა ბიჭი. ზაფხულის სამ თვეს ძველებურად ჩვენთან ატარებს. P.S. მხოლოდ მათთვის, ვინც კითხვა იცის... რუისპირი (YELLOW).

• ძალიან სასიამოვნოა, როცა ადამიანი კომპლიმენტს გეუბნება... მოსწონხარ, შენში რაღაც ისეთს ხედავს, რაც ჯერ თავადაც არ იცოდა და ამას მთელი საქართველოს წინაშე ამბობს, გაქებს, გულში გიკრავს... მერწმუნეთ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს და უფალს მადლობას ვუხდით, ასეთი ბედნიერების არდაკლებისთვის (იმედია, მომავალშიც ასე იქნება)... არ მინდა, ჩემი ნათქვამი რომელიმე თქვენგანმა ცუდად გაიგოს, მაგრამ ზედმეტ ფამილიარობად მიმაჩნია ჟურნალის ფურცლებიდან მადლობების ფრქვევა (ამის სურვილი რა თქმა უნდა, არსებობს). მინდა, რემედოსს ვუთხრა: ძალიან კარგი ადამიანი ჩანხარ; ჩემი სიმპათია თეონას, ბარამბოს, მის ნეგროსა და BLOOZ-ს. ძალიან მინდა, თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს, რომ ჩემი უყურადღებობა მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი აბიტურიენტობის ბრალია და არა გულცივიობა-სნობიზმის (როგორც ამას მეუბნებიან ხოლმე)... დაბოლოს, ვინაიდან დავარდვიე პუნქტი სახელად — „არა — მადლობების ფურცლებიდან ფრქვევას“, წინის ვეტყვი: ის ყურადღება, რასაც ვგრძნობ, საერთოდ არ მოქმედებს ჩემს პიროვნებაზე (უარყოფით გავლენას გულისხმობ) და მუდამ ის გაკრეჭილი გიო ჯიქური ვარ, რაც ყოველთვის ვიყავი... ასე რომ, ვიპოვოთ ერთმანეთი სხვადასხვა სოციალურ ქსელებზე და ავაშენოთ მეგობრობის დიდი პირამიდა. :) P.S. ჩემებო, თქვენ როგორ მიყვარხართ, მგონი, ამას აფიშირება არც სჭირდება. რუისპირი (YELLOW).

• ძალიან მენატრება ჟურნალში ბერბიჭა. დააბრუნეთ რა, ვისაც ხელგეწიფებათ. ნანი დუმბაძე.

• მარი, რა ხდება? რატომ აღარ მიბეჭდავ მესიჯებს? იცი, რომ ძალიან მომენატრეთ? იცი, რომ ნევროზი დამემართა უთქვენოდ? ოღონდ, მართლა... დამიდგინდა კიდევც... არ ვიცი, რა ხდებოდა აქ და იქნებ მოკლედ მომიყვებო? ულიბკას ნიჭსა და ბევრ ახალბედაზე კი მიყვებიან. ძველებმა მითხრეს, დაბრუნდიო და აქ ვარ. ულიბკას გაცნობა მინდა... მე დავბრუნდი, „გზავ“! თოლია.

• ასე საშინლად კარგა ხანია, არ ვყოფილვარ. რატომ, ღმერთო? რატომ წამართვი ის, ვინც ასე მჭირდებოდა, მიყვარდა და მენატრებოდა? პირველად ვთქვი, რომ მიყვარდა, რადგან ამის გამეორების საშუალება აღარ მექნება ალბათ. მარი, იცი, როგორ მენატრება? მოკვდა... ჩემი გიო მოკვდა... ღმერთო,

როგორ მიყვარს... ახლა უფრო მეტად, ყველაფერზე მეტად... თოლია.

• არ არსებობს იმაზე დიდი ტკივილი, რაც იმდგაცრუებას მოაქვს. რაღა უნდა დავინახო ცხოვრებაში კარგი? რითი იქნება განსხვავებული, გამორჩეული დღევანდელისგან? სად არის მედლის ის მეორე მხარე, რომელიც ტუჩზე ღიმილსა და გულში სიხარულს გგვრის? იმედს გისახავს, რწმენას გაძლევს... ამ კითხვაზე პასუხი დღეს ყველაზე ნაკლებად მაქვს. ჩემს ცხოვრებაში გაქრა ყველა და ყველაფერი, რაც ძვირფასი მებადა. გაქრა თვით სიყვარულიც, რწმენა და ნდობაც ადამიანების მიმართ. სად არის ბედნიერება და სამართალი? აღარ მინდა ცრემლები და ტკივილი. მინდა მოკვდე, დავიძინო და აღარ გავიღვიძო და თუ მაინც გავიღვიძებ, იმდენი ცრემლი მქონდეს, რომ გულის გაჩერებამდე ვიტირო. ღმერთო... დედამინაზე აღარაფერი დამრჩენია...

• გული მეტკინა, როდესაც მორალურად განადგურებული ადამიანის გზავნილი წავიკითხე. საყვარელო, გამაგრდი. მართალია, ერთმა გაგწირა, უფსკრულში გადაგჩეხა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრ ადამიანს უყვარხარ და გაფასებს. ამიტომ, მათთვის უნდა იცოცხოლო და გაუძლო ამ დიდ ტკივილს. გაიხარე. ფლამინგო.

• ნუ, როგორც წელან ალვინიშნე და ალბათ მიხვდებოდით, ახალი, სულ ტაოტიანი მგზავნელი ვარ და იმედია, თქვენს გუნდში მიმიღებთ.

• ახლა გაკვეთილზე ვზივარ და მასწავლებელი თავის დაუსრულებელს კითხულობს. ნავედი, თორემ მანდატური ბიძია შემოვიდა. უი, სულ დამაფიწყდა, მე ახალი ვარ და კამიკაძე მერქმევა.

• მარი გთხოვ დამიბეჭდე, სამაგიერო გადავუხადე ჩემს ქმარს-მეთქი, მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ მე ის სიგიჟემდე მიყვარს. ხალხო, მასზე ჭკუა მეკეტება. გავიგე, რომ ის მალე შემირიგდება. ეს ჩემთვის შოკია, რადგან ვიცი, ასე არაა... ვაიმე, დაბნეული ვარ ძალიან, მარ, რა ვქნა მითხარი, მართლა მაგრად მიყვარს, ჩემი გოჭია, ვაიმე, მგონი მართლა შევიშალე, ხომ? ასე იცის სიყ-

ვარულმა... მარი, გთხოვ, დამიბეჭდე... ზურო, ტელეფონზე გირეკავ და მითიშავენ შენები, ნუთუ მართლა დამთავრდა ყველაფერი? არ მჯერა, გთხოვ, ნუ დავანგრევეთ ამხელა სიყვარულს, გთხოვ, გთხოვ, გთხოვ, დამიჯერე, ნუ ვიტანჯავთ თავს ორივე, ხომ იცი, მაინც ჩვენი ბოლო ერთია, დავიტანჯე უშენოდ, ან დამირეკე, ან ჩამოდი ჩემთან, ბინა ვიქირავე, 100-ლარიანია, ორივე ვიმუშავეთ და ვიქნებით ბედნიერად, დამიჯერე, მართალს ვამბობ, ჩამოდი ჩემთან, გთხოვ, რა გემართება? უშენობა ჭკუიდან მშლის, დამირეკე და მითხარი თავად, რომ ჩემთან აღარ გინდა... გთხოვ, შემირიგდი. რატომ მითიშავენ, ან რა ხდება ამისხენი და ზურო, კიდევ ერთს გთხოვ, ყურადღებას ნურავის აქცევ, ეგ გლუპავს... დამიჯერე, ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, ახლა შევხედე რეალობას და მივხვდი, რა სისულელეც ჩავიდინე, ზურო გთხოვ, შენც მოდი გონს, იმედი მაქვს, ეს მალე იქნება და ბედნიერი ოჯახი გვექნება, მე შენ დაგელოდები, სიკვდილამდე გელოდები, მე მართო შენი ვარ, ჩემო სიცოცხლე, გელოდები, გ ე ლ დ ე ბ ი ი! გკოცნი და დროებით. გელოდები და ვიბედნიეროთ, მიყვარხააააააა, ჩემი გოჭი ხარ, კაი, P.K., მპუა. დიკი ანგელი.

მთავარი ნიშკა და პოპსონობები
ნიშკა და პოპსონობებისკან!

პურნალ „რაიბინგთან“ ერთად

წაიკითხე წიგნები -
უყვარსდ იქნება!

21 მარტიდან - გოთი №9
მთავარი - ჯეორჯ სელინჯერი

ფასი ... 2 ლარი!!!

28 მარტიდან
გოთი №10 - ოლღოს პაბსლი

• ყველა მზავნელს მოკითხვა და რა თქმა უნდა, უდიდესი მოკითხვა მარის... :-) ქვრივო, გამაგრდი და ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება, მიყურდება ეს ტკივილიც. ბუცა.

• სალამი ყველას. :-) ქალებო, გილოცავთ მ მარტს, ყველას უდიდეს ბედნიერებას და ღვთის წყალობას გისურვებთ. კუნკულა, მე მგონი ვხვდები, ვინც ხარ... :-) ბუცა.

• კუნკულა, მე მგონი ვიცი, ვინც ხარო... კუკულალებიოოო... ჰოდა, იცოდეთ, რომ მიყვარხართ მე თქვენა... იმედია, მიმიღებთ, თქვენს ოჯახში... ბუცა.

• გამარჯობა მამარ, როგორ ხარ? მოკითხვავ 9717-ს. :) მომენატრეეთ... MOONISINE... იგივე ჯუსტნათ. :)

• აქეთ მარი მარორიტი/ იქით სვეცკი გზავნილები/ და რა ჰქვია ამ ჩაღიხს?/ ჯაფარიძის „მზავნილები“. მის ფბი.

• ადრე, არცთუ ისე შორეულ წარსულში, ხანუმას დახმარების გარეშე ოჯახი თითქმის არ იქმნებოდა, ახლა კი ტელეფონისა და ინტერნეტის მეშვეობით იქმნება თითქმის ყველა მეორე ოჯახი. პირველ ადგილზე მაინც ტელეფონია. ამ თანამედროვე „ხანუმას“ დახმარებით ბევრი ბედნიერი წყვილი მიჩაბავს. მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. არადა, სულ ერთი სმს-ით დაინყო ყველაფერი. ორი თვის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ ყურებად ვიყავი შეყვარებულ და არა მარტო მე. თუმცა, არც ერთი ამას არ ვაღიარებდით და ორივე ჯიუტად ვამტკიცებდით, უნახავდა შეყვარება არ არსებობსო. შეხვედრამ კი იმედები გაამართლა და თანამედროვე „ხანუმას“ დახმარებით დღეს კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი არსებობს.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

• ტელეფონით დავინყე „გზასთან“ და მარისთან ურთიერთობა და წლებია, შემოვრჩი, როგორც ერთგული მკითხველი და მზავნელი. გკოცნით, ჯიუტსთარია.


• გამარჯობა, პირველად გწერთ, მაგრამ თქვენს ჟურნალს ყოველთვის ვკითხულობ და ძალიან მიყვარხართ ყველანი. „სამაგიერო ასე გადავუხადე“ მაგარი თემაა. პირადად მე, სამაგიეროს გადახდაზე არასდროს მიფიქრია, აი ჩემმა მეგობარმა კი ეს გააკეთა. თიკო და ირაკლი შეყვარებულები იყვნენ და დაახლოებით 3 თვის წინ დაშორდნენ. თავიდან თიკო ცოტა დაიგრუხა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც სამაგიერო გადაუხადა, გაბადრული სახით დადის. ორი კვირის წინ გიო მაგარ გოგოსთან ერთად გაიჩითა. ნუ, გოგო იყო ისეთი, რომ ამბობენ, ფხვები ყურებიდან ეწყებო. თიკო მივიდა, გიოს ჩაეხუტა, გადაკოცნა, მოიკითხა, როგორ ხარ სიხარული? რატომ დავინყე ჩვენი სიყვარული? ამ დროს გიო ისეთი თვალებით იყურებოდა, უეჭველი ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ საშინელ კოშმარს ხედავდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს სიზმარი არ იყო. ამის გარკვევაში კი გრძელფხვებას მიერ გარტყმული სილა დაეხმარა. ამ დროს თიკოს ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ გავიფიქრე, ზოგჯერ სამაგიეროს გადახდა აუცილებელია ანგელ.

• ძალიან მაინტერესებს ელისოს ამბავი, სად დაიკარგა? :- (არადა, ძალიან კარგი, თბილი და საინტერესო პიროვნებაა. გამორჩეული რა, ძველებო და დააყენეთ ახლები სწორ გზაზე. ბუცა.

• ლუნა, კლეობატრა, ფლამინგო, ქ-ნ ნანი, ლაკვასტი, ნაომი, აურა, CRAZY, ტირიფი, გრუზინკა, ატარექსია, აბლახანუმი, ქვრივი, კუნკულა და კიდევ ბევრი, ძან საყვარლები ხართ. ბუცა.

• რჩევას ყური და სუნს გაჰყვენ. :) მშვენიერია. მატება აშკარად ზაციებში მიხარიაა. მოვიკითხავ: CRAZY, შოკას, CRAZY GIRL-ს, და კიბორჩხალას. პატივისცემით, ნაომი.

• არ ვიცი, რატომ მიხარია როცა ჩემთან ხარ, ან რატომ მიჭირს ასე ძლიერ ეს უშენობა, ჩემი ცხოვრების ალღელების ჩუმი სევდა ხარ და ჩემი გრძნობის უკვდავების მწველი დროება. 11.03. კლეობატრა.



გილოცავ!

• გილოცავთ დღევანდელ დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწოროთ ყველანი.

ძალიან საყვარლები ხართ. ბარჯაკუზა.

• გილოცავთ მ მარტს. ბედნიერები იყავით! მთელი ცხოვრება. დღეს ისე უნდა დავთვრე, რომ კაცების სინსილა გაუნყვიტო. უნუნური.

• მედიკო ნაროუშვილს მ მარტს ულოცავს ირაკლი კომახინი, ფოთიდან. ვუსურვებ ყველაფერს სასიკეთოს. ასევე ვულოცავ მარინა ნაროუშვილს, პატივისცემით. გისურვებ ყველაფერს კარგს.

• 13 მარტს ვულოცავ დეიდაჩემს დაბადების დღეს! მინდა, ბედნიერი იყოს! თეკლე-ქუენენ.

• კაკადუ, გილოცავ დაბადების დღეს, მაგრამ იყავი, თავს გაუფრთხილდი. გვიყვარხარ ყველას, ილიკო. ჩემ შიმონ გეფიცები.

• კაკადუ, გილოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ მაგრამ, შენი დედაც, ვიცი, რომ ბრაზდები, იგეთ რალაცებს რომ ვწერ, მაგრამ აი, დარდიც, რაა. ჩემ შიმონ გეფიცები.

• გიო, პანი, დე, გილოცავ მოგვიანებით დაბადების დღეს, მომავალი შენს ოჯახთან აღგენიწნოს. ძალიან ენატრები ყველას. ნიაკოს და ნიკუმას ენატრები ძალიან. ა...ა...!!!

• მამუკა გრძელიძე, გილოცავ დაბადების დღეს. საყვარელო ძამიკო, გისურვებ გამოცდების ჩაბარებას და უღვე სიხარულს. გკოცნი, შენი დაიკო მარიამი.

• მამუკა, ჩემო ვაჟკაცო შვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. გფარავდეს ღმერთი. გკოცნი, მამიკო, მალხაზი გრძელიძე.

• მამუკა გრძელიძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებას, სწავლასა და პირად ცხოვრებაში. გკოცნით, ირმა და მანანა.

• თუ არ ვცდები, 16 მარტს ჩვენი უსაყვარლესი ქალბატონის, ნანი დუმბაძის იუბილეა. გილოცავ, ნანი ბებო, გაიხარე, ჩემო სიამაყევე, უფალი გფარავდეს. ძალიან მიყვარხარ. ფლამინგო.

• ზოგჯერ თუ ფიქრში დამათენდება, ვერ დავიკვებ ცრემლებს ჟინიანს, ვერ შემამინებს უფსკრული ღამის, ვიდრე დედა მყავს, არ მეშინია. ჩემი დედის, მედიკო ტვილდიანის სახით ყველა დედას ვულოცავ დღესასწაულებს. ვუსურვებ ღამაში დღეების სიმრავლეს. ათენი11.

• საბერძნეთში მცხოვრებ ჩემს რძალს, ინეზა ცქიფურიშვილს ვილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. სულ მალე მოციწნარი მენახე. ღმერთი გფარავდეს. ამ უცხო მინახე. მზია ცქიფურიშვილი.

• ჩემს 6 წლის უნახავ შვილს, გიორგი სვიმონიშვილს 17 მარტს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობა და ბედნიერება არ მოგკლებოდეს, დედის სიცოცხლე! მენატრები ტკივილამდე.




პეპე ბიოლოგიურ დედას ან უსნობ დედამიწილას

1955 წლის დეკემბერში ან 1956 წლის იანვრის დასაწყისში თბილისის პირველ სამშობიარო სახლში გოგონა დაიბადა. სავარაუდოდ, დედა კახეთიდან უნდა ყოფილიყო, სრულიად ახალგაზრდა, 17-18 წლის, მამა — სამეგრელოდან... რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩვილი ნახალოვკაში მცხოვრები, საკმაოდ შეძლებული ოჯახის უფროსმა თავის ეზოში, ჩვრებში გახვეული იპოვა. ბავშვს თან წერილი ახლდა: „მზია მქვია, გამზარდე და გამოგადგები“.

ქალბატონი მზიას ამბავს ასეთი შესავლით იმიტომ ვინწყებ, რომ იქნებ ვინმემ წაიკითხოს, სიტუაცია ეცნოს და საიდუმლოს ფარდა ახადოს. დამერწმუნეთ, ძნელია, მთელი ცხოვრება გაურკვეველობაში ყოფნა; გამუდმებით იმაზე ფიქრი, ვინაა შენი ბიოლოგიური დედა. ახლა მზია უკვე 55 წლის გახლავთ, პროფესიით ექიმა და თვითონაც დედაა, მაგრამ წარსულის დავინწყება ვერ შეძლო. ქალბატონი მზია დამიკავშირდა და მთხოვა, დედის ან დედამამიწილების მოძებნაში (თუ ჰყავს) დაეხმარებოდი. ჩვენი შეხვედრა მასთან, სამსახურში შედგა. მისი სევდიანი თავგადასავალი კი ასეთია:

— ჩემს დაბადების მოწმობაში დაბადების თარიღად 14 იანვარია მითითებული, მაგრამ ვიცი, რომ ამ დღეს არ დავბადებულვარ. ჩემი გამზარდელი დედა ნინა გორდაძე გახლდათ. ის თბილისის მეორე პოლიკლინიკის (ნაძალადევეში, გადასასვლელ ხიდთან) თერაპიული განყოფილების გამგე იყო. მის დანიშნულებას აპირებდნენ, მთავარ ექიმად უნდოდათ გადაყვანა და ამისთვის მოსკოვში, კვალ-იფიკაციის ასამალელებად გაგზავნეს (წინათ ასე ხდებოდა ხოლმე). იქიდან დაბრუნებული სულ მალე ინფარქტით გარდაიცვალა. მაშინ 5 წლის ვიყავი. დავრჩი მამისა და ბებულის იმედად. გამზარდელი მამა საკმაოდ დესპოტი ადამიანი გახლდათ, მრენველობის სფეროში მალალი თანამდებობის პირი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა. მისთვის დედაჩემი მეორე ცოლი იყო. პირველ ცოლთან შვილები ჰყავდა, დედასთან კი არა და როგორც ვხვდები, არც უნდოდა. დედამისიც არ მიყურებდა კარგი თვალით, რასაც ვერ ვიტყვი დედის დედაზე, რადგან დედას ძალიან ვუყვარდი თურმე და ამის გამო ბებიაც გიჟდებოდა ჩემზე. დედის ძმას და მის ოჯახსაც ძალიან ვუყვარდი. მამა ხშირად ძალიან მკაცრად მექცეოდა, მცემდა უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი და ხშირად დალურჯებული და-

დიოდი. მიუხედავად იმისა, რომ მამა კარგად არასოდეს მექცეოდა, მაინც ძალიან მიყვარდა, რადგან მის მეტი არავინ მყავდა. ერთ დღეს (მაშინ მე-6 კლასში ვიყავი) მის კაბინეტში წერილი ვნახე, რამაც თვალი ამიხილა. ვერ ვისხენებ, ვის წერდა, მაგრამ იქ ისეთი რალაცები ეწერა, რამაც გული მატკინა. ჩემზე წერდა საშინელებებს.




მასსოვს, გარდაცვლილი დედის სურათთან კარგა ხანს ვიდექი და ვტიროდი გულნატკენი. მამაჩემის პირველი ცოლისგან შვილიშვილი ჩემზე 8-9 წლით უფროსი იყო და მას გავანდე ჩემი გულისტკივილი და ეჭვი, რომ ნაშვილები ვიყავი. იმათ დამიდასტურეს. ისე იმოქმედა ჩემზე ამან, რომ ის ღამე ხეზე გავათენე. წერილის წაკითხვისას ბავშვური გუმანით ვიფიქრე, იქნებ მამა ხუმრობს ან წერილი იმიტომ დანერა, რომ მე წავიკითხო და აღარ გავაბრაზო-მეთქი, მაგრამ როდესაც დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნაშვილები ვიყავი, საშინელ დღეში ჩავვარდი. სულ იმის ეჭვი მღრღნიდა, ვუყვარვარ თუ არა-მეთქი და გამოცდასაც კი ვუტარებდი. ერთ დღეს მოვატყუე, სკოლაში ქალი მოვიდა და მითხრა, რომ თურმე დედაჩემი ყოფილა-მეთქი. ნამიყვანა, ის ადგილი მაჩვენე, სადაც ის ქალი შეგხვდაო... კუთხეში მიმიმწყვდია, ძლივს მოვძებნე გამოსავალი — ზესტაფონის ქუჩაზე მივიყვანე და მოვატყუე, აქ შემხვდა-მეთქი. საკმაოდ პატარა ასაკში გავთხოვდი, ბოლომდე მასთან ვცხ-

ოვრობდი, ასეთ გაუსაძლის პირობებში. ფაქტობრივად, ობოლი, უბედური და მდიდარი გოგო ვიყავი, რომელსაც ყველაფერი აკლდა. ერთხელ იოდიც კი დავლიე და თავს ვიკლავდი. ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებულად მას შემდეგ დამძიმდა, როდესაც მამაჩემმა ცოლი მოიყვანა. მაშინ მამა უკვე საკმაოდ ასაკოვანი გახლდათ, დედინაცვალი კი ახალგაზრდა, უღამაზესი ქალი იყო. ყველა ამბობდა, რომ მამას ქონებას დახარბდა და იმიტომ გამოჰყვა. თავიდან კარგად მექცეოდა, მეც შემოყვარდა, მაგრამ შემდეგ დაფხმძიმდა და მამამ 4 თვის მუცელი მოაშლევინა — მას ნათქვამი ჰქონდა, რომ დედინაცვალს ჩემთვის უნდა მოეველო და საკუთარ შვილზე არც უნდა ეფიქრა. ამის შემდეგ დედინაცვალმა ამითვალწუნა და ჩემი მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. მისი მესმის და ახლანდელი გადასახედიდან არც ვამტყუნებ, მაგრამ მისი ასეთი მდგომარეობა ჩემი ბრალი ხომ არ იყო? ერთ დღეს, როდესაც მამამ ისევ მცემა, შინიდან გავიქეცი. ჩვენს ქუჩაზე, რამდენიმე სახლის იქით ცხოვრობდნენ დები, რაისა და ცაცა შანავები. მათთან მივედი და რამდენიმე დღე იქ ვცხოვრობდი. მამას არც კი მოუჭიკითხვარ. ერთ საღამოს რაისა დავიმართოხელე და ვუთხარი, თუ დედაჩემის სულს პატივს სცემ, მითხარი, ნამდვილად ნაშვილები ვარ თუ არა და თუ რაზე ინფორმაცია გაქვთ, ვისი შვილი ვარ, არ დამი-მალოთ-მეთქი. მათგან მაქვს მწირი ინფორმაცია ჩემი ბიოლოგიური მშობლების ვინაობის შესახებ. მისგან შევიტყვე ისიც, რომ ვინაიდან მამაჩემი ბავშვის აყვანის წინააღმდეგი იყო, დედას დაუდგამს ასეთი სცენარი: მან მიშვილა, შემდეგ კი ვითომ ეზოში დამტოვეს. მამას რომ ვუბოვივარ, მაშინვე უარი უთქვამს ჩემს შვილად აყვანაზე, მაგრამ დედას არ დაუნებებია, ღმერთმა გამოგვიგზავნა ბავშვი და უნდა გავზარდოთო... უკვე გათხოვილი ვიყავი და შვილიც მყავდა, როდესაც ჩემი მეგობრების ხელით მამას წერილი გაუგზავნე და ვუთხარი, რომ ყველაფერი ვაპატიე, მაგრამ მისი მხრიდან პასუხი არ მომსვლია. ისე გარდაიცვალა და ისე დაასაფლავეს, რომ არც კი გამაგებინეს. ახლა დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ბიოლოგიური მშობლების კვალს მივაგნო. სამწუხაროდ, ძალზე მწირი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ იქნებ ბედმა გამიღიოს და გამიმართლოს. თუ ისინი აღარ არიან ცოცხლები, იქნებ დაძმები მყავს და სიხარულით მივიღებ მათ.



ტაიმ-აუზი



ორიბინალური მილიონარები

✦ კარლ რაბედერი სილარიბეში გაიზარდა. თავდაუზოგავად მუშაობდა, მილიონი რომ დაეგროვებინა. იყიდა — რამდენიმე მანქანა, ვილა, შვეულ-

ფრენი, ბოლოს კი მიხვდა, რომ ფულმა ბედნიერება ვერ მოუტანა. მთელი სიმდიდრე საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადასცა. თავად კი, მთაში, მონადირის ქონში დასახლდა.

✦ აფრიკაში სამოგზაუროდ წასულმა ბრიტანელმა მილიონერმა გრეჰემ პენდრილმა შავ კონტინენტზე დარჩენა გადაწყვიტა. გაიარა ინიციაციის რიტუალი, რომლის დროსაც ძროხის შარდის დალევა მოუწია და მასაის ტომის საპატიო ნევრის ტიტული მიიღო. ინგლისში დაბრუნებული გრეჰემი მასაის ტრადიციულ სამოსს ატარებს და ოცნებობს, რომ ოდესმე აფრიკაში დაფუძნდეს.

✦ ერთმა მედდამ ტელეშოუში მილიონი ევრო მოიგო, მაგრამ სამსახური არ მიუტოვებია, დღესაც საავადმყოფოში მუშაობს.

✦ ნიკოლას ბერგრუეს „მილიონერ უსახლკაროს“ ეძახიან, რადგან საკუთარი სახლი არა აქვს და სასტუმროებში ცხოვრობს. ვილებიც ჰქონდა, მდიდრული აპარტამენტებიც, მაგრამ ყველაფერი გაყიდა. 2010 წელს მთელი ქონება, 2,2 მლრდ დოლარი საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაურიცხა.

✦ ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა და მილიონების მფლობელმა შვილს მუშაობა მაკდონალდსის ერთ-ერთ ობიექტში დააწყებინა. ის პირველივე დღეს ეწვია მაკდონალდსს ჰამბურგერის დასაგემოვნებლად და შვილის მუშაობის შესაფასებლად. ცენტრის დირექციას კი განუცხადა, არანაირი შეღავათი არ გაუწიონ მის შვილს და ისე მოექცნენ, როგორც რიგით თანამშრომელს.

✦ 1977 წელს გილიოტინაზე საჯაროდ უკანასკნელ დამნაშავეს — ჰამიდ ჯანდოუბის მოჰკვეთეს თავი. მან მარსელში მეგობარი ქალი გააუპატიურა და მოკლა. დასჯის ეს უმაღლესი ზომა საფრანგეთში 1981 წელს აკრძალეს.

✦ უკანასკნელი მატრიარქალური საზოგადოება ჩინეთის მთიანეთში ბინადრობს. Mosuo-ს ტომში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ქალები იღებენ. ისინი არიან ყველაფრის უფროსები და ბატონები. „ქალთა სამეფოს“ მეტყველებაში არ არსებობს სიტყვები — „ქმარი“, „მამა“... 13 წლიდან ქალს პარტნიორების არჩევა სურვილისამებრ შეუძლია. ბავშვებსაც ქალები ზრდიან, მამებს ბიძიებს ეძახიან.

✦ პირველ მსოფლიო ომში გადარჩენილი 4,7 მლნ ამერიკელიდან დღეს მხოლოდ ერთი — 110 წლის მისტერ ბაკლსეია ცოცხალი. იგი 15 წლის იყო, ომის დროს ექიმებს რომ ეხმარებოდა და ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამოჰყავდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელების ტყვეობაში 3 წელი გაატარა. ცოტა ხნის წინ მისტერ ბაკლსეის

უკანასკნელი

მემორიალური დაფა გაუხსნეს.

✦ გიგანტური კუ — „მარტოხელა ჯორჯი“ თავისი ჯიშის უკანასკნელი ცხოველია. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 150 წელია. იგი ჯერ 90-100 წლისაა, მაგრამ შთამომავალი არასოდეს ჰყოლია.

✦ უკანასკნელი ხელნაწერი გაზეთი ინდოეთის პატარა ქალაქში გამოდის. 4-გვერდიანი გაზეთი ადგილობრივ ამ-

ბებსა და სპორტზე წერს. პირველი გვერდი განსაკუთრებულად საინტერესო ამბებისთვისაა დათმობილი. სტამბაში გაგზავნამდე რედაქციის ყველაზე განათლებული კაცი გაზეთს ხელით წერს და სტამბაში დასაბეჭდად გზავნის. გაზეთს ყველდღიურად 22 ათასი ადამიანი კითხულობს.

✦ 1945 წლის 9 აგვისტოს, აშშ-მა უკანასკნელი ატომური ბომბი ჩამოაგდო ნაგასაკიში (იაპონია), 3 დღით ადრე ჰიროსიმა დაბომბა.



მკურნალი ხეები

✳ ვაშლზე უამრავი ლეგენდა არსებობს (ბერძნული „ოქროს ვაშლები“, კელტური „ვაშლების კუნძული“ და ა.შ.), ვაშლის ხე ქალის მფარველად მიიჩნევა. ძველად, თუ ქალს სურდა, საქმრო დასიზმრებოდა, აყვავილებული ვაშლის ხის ქვეშ უნდა დაეძინა. თქვენს ცხოვრებაში სიმშვიდე და შარმონია დაისადგურებს, თუ ვაშლის ხისგან გამოთლილ თილისმას ატარებთ. აგრეთვე, მისი ტარება სასარგებლოა მათთვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის დაავადებები აწუხებს.

✳ მამაკაცის ხედ კვიპაროსი მიიჩნევა. მისი თილისმა ადამიანს მამაცობასა და სიძლიერეს მატებს. თუ კვიპაროსის ტოტს ქოთანში დარგავთ, პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ.

✳ თხილის ბუჩქი ადამიანს დადებითი ენერგიით ავსებს. მას კეთილშობილ მცენარედ მიიჩნევენ, რადგან მუხი არ ეცემა. ძველად, ჩვილის საწოლთან თხილის ხისგან გამოთლილ ფიგურებს კიდებდნენ, ბავშვი რომ ავი თვალისგან

დაეცვათ. მიაჩნდათ, რომ თხილი ადამიანს დამშვიდებლასა და სწორი გადამწყვეტილების მიღებაში ეხმარებოდა.

✳ საკულტო ხედ მუხაა მიჩნეული. ძველი ბალტიისპირელები მის მახლობლად საქორწინო რიტუალს ატარებდნენ. სლავები შეყვარებულ გოგო-ბიჭს მუხას სამჯერ შემოატარებდნენ და მათ დანიშნულებად მიიჩნევდნენ. პულგარეთში, სოფიას მახლობლად, უძველესი დროიდან იდგა 3 მუხის ხე, რომლებსაც ქალაქის მფარველად მიიჩნევდნენ. ვინც ენერგიის ნაკლებობასა და დაღლილობას უჩივის, რამდენიმე წუთით მუხას უნდა ჩაუხუტოს, ამბობენ, რომ მუხა ადამიანს ენერგიითა და ძალით ავსებს.

✳ ხეებს ადამიანებსაც ამსგავსებენ: ფესვები ფეხებია; ტოტები — ხელები; წვენი — სისხლი; ღერო — ტანი. ძველად, ბავშვის დაბადებისას წერგს რგავდნენ და აკვირდებოდნენ, როგორი ხეც გაიზრდებოდა, ისეთი ბედი ეწებოდა ბავშვს.

აქციებისკენ მოგვიწოდებენ, 2003 წელსაც რევოლუციის ავანგარდში იდგნენ. „ქრისტიან-დემოკრატებს“ გათავისებული გვაქვს, რომ ევროპა ჩვენგან უფრო ცივილიზებულ და კონსტრუქციულ ნაბიჯებს ელის. დასავლეთისთვის ნამდვილად არ არის მისაღები ის სამყარო, სადაც ახლა რევოლუციები ხდება.

— მაშინ რას ნიშნავს თქვენ პარტიის ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადება: „თუ საარჩევნო გზით ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ფანჯარა დაიხურება, ავტომატურად გაიხსნება მეორე ფანჯარა“?

— ეს იმას ნიშნავს, რომ არის ორი ფანჯარა: ერთ-ერთი ფანჯარიდან ჩანს ის, რასაც ჩვენ, ოპოზიციური „რვიანის“ წარმომადგენლები („ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, „ახალი მემარჯვენეები“, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, „ხალხის პარტია“ და „საქართველოს გზა“) ვთავაზობთ ხელისუფლებას ანუ — საარჩევნო ცვლილებები. თუ ჩვენ დაგვიხურავენ ფანჯარას, გაიხსნება მეორე ფანჯარა, საიდანაც რევოლუცია ჩანს. ახლა ყველაფერი სააკაშვილზეა დამოკიდებული: ან საკუთარი ნებით, ცივილიზებული გზით წავა ხელისუფლებიდან, ან სავალალო დღეში ჩააგდებს ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც.

— იმედი გაქვთ, რომ საარჩევნო კოდექსში თქვენ მიერ წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტიდან ხელისუფლება რაიმეს გაითვალისწინებს?

— დაუფერებელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გაითვალისწინებს. საქართველოს პარლამენტის არჩევნების სისტემა, ამომრჩეველთა სიების შედგენა, არჩევნების დღე, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, დავების განხილვა და საარჩევნო კამპანიის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა — ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც ცვლილებების განხორციელებას ვითხოვთ. ხელისუფლებასაც აქვს თავისი ვერსიები... მათი განხილვისთვისაც მზად ვართ. იმედი, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით კონსენსუსს მივალწევთ და ქვეყანაში არსებულ რთულ სიტუაციას ცოტათი მაინც განვმუხტავთ.





წყნათის აკლასიიდან წამოყვანილი „მოძღვარალი“ ლეკვის ოინაზი

ქართველი რეპერი — მის თიკა შესაძლოა, მუსიკალური კონკურსის — „იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი მონაწილე გახდეს. ამასთან დაკავშირებით, ამ ცოტა ხნის წინ, თიკა საბერძნეთში გახლდათ. თურმე „იქს ფაქტორის“ ორგანიზატორებს მის თიკას მუსიკალური მონაცემები ძალიან მოეწონათ... ვიდრე ქართველი მომღერალი კონკურსში მონაწილეობისათვის ემზადება, დროს უქმად არც თიკას „ოჯახის ახალი წევრი“ — ბუთა (იგივე „დუთა“, „ბურთა“, „ბურთულა“) კარგავს და ვოკალურ მონაცემებს დღითი დღე ხვეწს: პატარა, საყვარელი ლეკვი მუსიკის ხმის გაგონებისთანავე „სიმღერას“ იწყებს...

თუ ყოველანაშვილი

მის თიკა:

— მე და ჩემი ოჯახის წევრებს ცხოველები ძალიან გვიყვარს. ამიტომ სახლში ლეკვის მოყვანა გადავწყვიტეთ. ჩვენი ბუთა წყნეთის ეკლესიიდან წამოვიყვანეთ — მოძღვარმა გვაჩუქა.

რა ჯიშის ლეკვია?

— კავკასიური ნაგაზი — თართი. ბუთას „საგვარეულოს“ ყველა ძაღლის სახელი ასო „დ“-ზე იწყება. ამიტომ ჩვენს ლეკვს საბუთებში სახელად „დუთა“ ჩავუწერეთ, მაგრამ ბუთას ვეძახით.

ბუთა რატომ დაარქვით?

— ხელში რომ ავიყვანეთ, „დრუნჩა“, საყვარელი სახე ჰქონდა. ვიფიქრეთ, რომ სახელად ბუთა ანუ „ბურთა“ მოუხდებოდა.

რა ასაკის იყო, როცა სახლში მოიყვანეთ?

— ზუსტად 2 კვირის იყო. ახლა უკვე თვისა და 3 კვირისაა. ძალიან საყვარელი და ძალიან ცელქია: სულ თამაშობს, განსაკუთრებით — ბავშვებთან. „მაიმუნური“ საქციელის ჩადენა უყვარს: ოთახში შეიპარება, ჩემი შვილების — ნინისა და ლუკას სათამაშოებს იპარავს და აქეთ-იქით დაბოდილებს. ტანსაცმელს თუ იპოვის, იმასაც ებღაუჭება და მიათრევს, ჩვენ კი უკან მივდევთ: „ბუთა, ტანსაცმელი მომიციე...“

თავისი ტანსაცმელები არა აქვს?

— ამას წინათ, როცა ვაბანავე, ვიფიქრე, — რამეს ჩავაცმევ-მეთქი, მაგრამ ტანზე არაფერი გაიჩერა. ისეთი ცელქია, რომ ტანსაცმლის გახდა მოახერხა! თანამედროვე სამოსს თავისი „ფაფარი“ ურჩევნია.

ბავშვები არ აპროტესტებენ, ბუთა მათ სათამაშოებს რომ იპარავს?

— არა, ლამის მეც ძაღლთან სათამაშოდ „მიმაგდონ“ (იცინის)! ბუთას ყველაფრის უფლებას აძლევენ.



ვიფიქრე, — რამეს ჩავაცმევ-მეთქი, მაგრამ ტანზე არაფერი გაიჩერა. ისეთი ცელქია, რომ ტანსაცმლის გახდა მოახერხა!

ბუთას ჭამა თუ უყვარს?

— საკვებს თვალის დახამხამებაში ანადგურებს! ძალიან ბევრს ჭამს, რაც არ შეიძლება: კიდურებთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნება, გაზარმაცდება და შეიძლება, ფეხები მოეღრიცოს. ამიტომ ახლა დიეტაზეა, რადგან ძალიან გასუქდა... ძალიან ჭკვიანი ლეკვია.

გონიერებას როგორ ამუშავებ?

— რაღაცებს ვასწავლით და ყველაფერს იოლად ითვისებს. მაგალითად, როცა ვუბნებით — დაჯექი-თქო, ჯდება და ა.შ.

განსაკუთრებული ურთიერთობა ოჯახის რომელ წევრთან აქვს?

— 3 წლის ნინისთან. ნინი ძალიან უყვარს, სულ ეთამაშება. ალბათ,

ერთნაირი ჭკუის არიან და ამიტომ. მუდამ აქეთ-იქით დარბიან. ხან ნინია კედელს მინარცხებულა, ხან — ბუთა. მერე საქმეში ლუკა ერევა. ბუთაც უკვე ლუკას გაეკიდება და არის ერთი ამბავი!..

არ გეშინია, თამაშისას პატარებს რამე რომ დაუშავოს?

— კი, მეშინია. მართალია, ბუთა პატარაა, მაგრამ ბასრი კბილები აქვს. ამასთან დაკავშირებით, ბავშვებს ხშირად ვაფრთხილებ, მაგრამ არ მისმენენ.

ხშირად ასეირნებ?

— არა. ჯერ პატარაა. 2 თვის რომ გახდება, სასეირნოდაც წავიყვანთ. ყურები უკვე დავაჭერით — გამოფენაზე გასული ძაღლისთვის ეს დიდი პლუსია. ბუთა „საქართველოს პროფესიონალთა და მოყვარულთა სპორტულ-სამოსამსახურეო კინოლოგიური კავშირის“ წევრია.

ბუთას სახელოვანი მშობლები ჰყავს?

— მამამისი პეტერ-ბურგის ჩემპიონია, დედა — ჩვეულებრივი, საყვარელი, მეგობრული „ტიპშაა“. ბუთას 2 და და 2 ძმა ჰყავს.

თქვენი „ოჯახის ახალ წევრს“ შინ მართო ტოვებთ ხოლმე?

— როცა მარტო ვტოვებთ, მთელი სახლი აკლებული აქვს:

წკმუტუნებს, კივის, ღრიალებს, — ამდენ ხანს სად ხართო! მარტობას ვერ იტანს. როცა ბავშვები სკოლაში, საბავშვო ბაღში არიან, მოიწყენს ხოლმე — ზის და პატარების შინ დაბრუნებას ელოდება.

ბუთა რაიმე განსაკუთრებულ ნიჭს ხომ არ ამჟღავნებს?

— მუსიკალურ ოჯახში მოხვედრილი ბუთა, როცა მუსიკას ჩავუთავებთ, თავადაც „მღერის“; „ცეკვავს“ კიდევ...
— „არენბის“ სტილის სიმღერებზე? კონკურენციის არ გეშინია?

— არა. მეგონი, ბუთას კლასიკური მუსიკა უფრო იტაცებს. ჯერჯერობით, კონკურენციას არ მიწევს. მერე როგორ იქნება საქმე, ვნახოთ (იცინის)...

ეთიოპორდნაპვილი

ამ ცოტა ხნის წინ, ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის ხელშეწყობით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ ხელოვნების სხვადასხვა დარგში პრემია დააწესა. ამასთან დაკავშირებით, საზეიმო საღამო გაიმართა, სადაც ის ადამიანები და შემოქმედებითი ჯგუფები დაჯილდოვდნენ, რომლებიც მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურებიან.

როგორც კონცერტის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, პრემიის დაწესების მიზანი თანამედროვე ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში, საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია და რეალიზაციაში მათი მოკრძალებული წვლილის შეტანაა. კონცერტზე ბავშვთა ვოკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა თავიანთი შემოქმედება წარადგინეს და ჟიურისგან პრემიაც მიიღეს. ჟიურის თავმჯდომარე ბატონი **თამაზ ანდლუაძე** გახლდათ...

საქართველოს მასშტაბით, ხალხური სიმღერების შემსრულებელ ანსამბლებს შორის, მათა მიქაბერიძის სტუდიაც — „საგალობელი“ დაჯილდოვდა.

ბაია მიჰაპარიძე:

— 17 წელია, რაც ჩვენი ანსამბლი არსებობს და ქართველი საზოგადოების მოთხოვნას აკმაყოფილებს: მაყურებელს ყოველთვის განსხვავებულ რეპერტუარს სთავაზობს. მიხარია, რომ ჩვენი შრომა დაფასდა.

— **ალბათ, ეს პრიზი თქვენ ანსამბლისათვის პირველი არაა...**

— არა, რა თქმა უნდა. ბევრი საინტერესო პრიზის მფლობელები ვართ (საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც). ძირითადად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

ქართული ხელოვნების მხარდამჭერი კონსერტი, პრემია და გინესის რეკორდების წიგნი მოხვედრის ახალი გეგმა

„მაისში ჩვენს ანსამბლს ვარსკვლავს უხსნიან...“

ვმოგზაურობთ — ბავშვებს „ძირეულ“ სიმღერებს ვასწავლით... ფილმების სახით, ანსამბლის ექსპედიციებს ჩვენს არქივში ვინახავთ.

ნუნუ ღვინია, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან არსებული, ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი:

— 15 წელია, რაც მე და ჩემმა მეუღლემ — ჯემალ რეხვიაშვილმა ანსამბლი შევექმენით. მანამდე სხვადასხვა სკოლაში ვმუშაობდით. ეს წელი ჩვენთვის ძალიან წარმატებულად დაიწყო: სახელმწიფო ანსამბლებთან ერთად, 8 მარტს ბატონომარ მხეიძის ვარსკვლავის გახსნაზე მიგვიწვიეს, დღეს სასიამოვნო პრიზი მივიღეთ, მაისში ჩვენს ანსამბლს ვარსკვლავს უხსნიან... ეს ყველაფერი ბავშვებს დიდ სტიმულს აძლევს.

ზურაბ გურასაშვილი, თბილისის საერო-საშუალო სკოლასთან არსებული, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სადუნის“ ხელმძღვანელი:

— 23 წლის განმავლობაში ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავე გახლდით. ამჟამად, „რუსთავის“ დირექტორ-განმკარგულებელი ვარ. „სადუნი“ 1998 წელს ჩამოვყალიბეთ. ორი — მოსამზადებელი და საკონცერტო ჯგუფი გვყავს. როცა მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვი თავს გამოიჩინოს, ის საკონცერტო ჯგუფში გადაგვყავს. დღეს მორიგი ჯილდო მივიღეთ —

ბევრი ჯილდო გვაქვს...

ირაკლი პეტრიაშვილი:

— ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ხელოვანია. გვინდოდა, საზოგადოებას ისინი ენახა. მიზანი მიღწეულია. მსგავსი ღონისძიებების მოწყობას კიდევ ვგეგმავთ. დიდი მადლობა ქალბატონებს — მანანა სეფიაშვილს, ნანა ცინცაძეს და ჩემს მოადგილეს — ეთერ მატურელს, რომლებიც გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებული მილოცვების მიღების ნაცვლად, 24-საათიანი გრაფიკით მუშაობდნენ. მიხარია, რომ მშობლები ბავშვებს საშუალებას აძლევენ, ქართულ კულტურას ეზიარონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— **ასეთი დაჯილდოების ცერემონია ყოველწლიურად ჩატარდება?**

— დიას. სხვა იდეაც გვაქვს, რომელსაც პირველად თქვენ გაგიმხელთ: ადამიანები ვაგონებს ექაჩებიან, ძელებს სწევენ და გინესის რეკორდების წიგნში სვდებიან. წარმოიდგინეთ, რა კარგი იქნება, ბევრი ბავშვი ერთად, ერთ დიდ მოედანზე რომ შევეკრიბოთ და გინესის რეკორდების წიგნში საქართველო ქართული ცეკვითა და „მრავალჟამიერის“ სიმღერით შევიდეს! ვიდრე მომავალი წლის ლაურეატებს გამოვავლენთ, მგონი, ამ იდეას განვახორციელებთ.

ნინო მიქაძე



გვანცა ნადირაძე



ლიზი ხუჭუა



ნიკა ნადირაძე





„საშიში“ ზარი და წაუკითხავი შედეგები

პროფესიით კინომცოდნე და თეატრმცოდნეა, მაგრამ ვიცნობთ, როგორც მომღერალს. უყვარს რომანების კითხვა და ახლობლების რჩევას — ნაიკითხოს კარგი წიგნი, ყოველთვის ითვალისწინებს. „თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს მსოფლიო ლიტერატურიდან ბევრი სქელტანიანი ნაწარმოების წაკითხვა სავალდებულო იყო. სამწუხაროდ, ცოტას ვზარმაცობდი, ვეშმაკობდი და ყველა წიგნს არ ვკითხულობდი; ზოგიერთის შინაარსს წინასწარ ვიგებდი, ზოგის დასაწყისსა და ფინალს ვეცნობოდი და გამოცდას ისე ვაბარებდი,“ — ამბობს მომღერალი სალომე ბაკურაძე და საკუთარ თავზე ბრაზობს, რომ წასაკითხი უამრავი შედეგრი დარჩა. ნანობს, რომ სტუდენტობის წლები კარგად ვერ გამოიყენა. იგი ახლა „ერუდიტის“ სტუმარია.

თაყნა კვიციანი

პრეკლიპის მკითხველი

— სტუდენტობის დროს რომელი წიგნებიც ვერ წაკითხეთ, შეგიძლია, მათ ახლა მიუბრუნდე?

— საამისოდ ნაკლები დრო მრჩება. ერთ წელს მსოფლიო ლიტერატურის გამოცდა სექტემბრისთვის გადავიტანე და ზაფხულში, ზღვაზე რომ წავედი, წიგნები თან წავიღე, ვირუჯებოდი და პარალელურად — ვკითხულობდი.

— რომელმა წიგნმა მოახდინა შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— ბულგაკოვის — „ოსტატმა და მარგარიტამ“. თავიდან ეს წიგნი რუსულად წავიკითხე, მართალია, სალაპარაკო რუსული ვიცი, მაგრამ ამ ნაწარმოების წაკითხვა გამიჭირდა. ყველაფერი კარგად ვერც გავიგე, მოგვიანებით, ქართულად წავიკითხე და მივხვდი, რომ შედეგია... პოეზიაც მიყვარს, მაგრამ ლექსები ზეპირად არ ვიცი, სიმღერის ტექსტებს ადვილად ვიმასსოვრებ, ცუდი მეხსიერება არ მაქვს.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ზღაპრის რომელიმე გმირს ავირჩევდი, მაგალითად — პიტერ პენს, ცხოვრებას გამილამაზებდა და გამამხიარულებდა.

— შემოქმედებითი თვალსაზრისით შენკენ რა სიახლეა?

— მაიკო კაჭკაჭიშვილმა ახალი სიმღერა დამინერა, ახლა მასზე ვმუშაობ; ისე, პატარ-პატარა კონცერტებსაც ვმართავ ხოლმე.

— შოუბიზნესში „პლატინის დისკს“ ისეთ დისკს უწოდებენ, რომლის ტირაჟიც მილიონ ეგზემპლარს აღჭარბებს. როგორ დისკს უწოდებენ — „ოქროს დისკს“?

— ზუსტად არ ვიცი.

— რომლის გაყიდვიდან შემოსული თანხა მილიონ დოლარზე მეტია. რა ჰქვია მკითხაობას ხელზე ხაზების მიხედვით?

— ქირომანტია.

— გამკითხავია?

— ერთხელ, ახლობლის ოჯახში სტუმრად მივედი, იქ



დამხვდა ადამიანი, რომელიც ხელზე ხაზების მიხედვით მკითხაობდა.

— რა გითხრა?

— ცხოვრების ხაზი კარგი გაქვს, კეთილი ადამიანი ხარ, დაახლოებით 50 წლის ასაკში შენს ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხა მოხდებაო.

— ბერძნული მითოლოგიით, რომელი მცენარე მიიჩნევა ქორწინების სიმბოლოდ?

— არ ვიცი.

— ბრონეული. ეს მუსიკალური ინსტრუმენტი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, შუა საუკუნეებში მას რომანტიკული ბალადების შესასრულებლად იყენებდნენ, ხოლო XVIII საუკუნეში სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში შევიდა. დაასახელე ეს ინსტრუმენტი.

— არფა.

— რომელია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი საქართველოში?

— უშგული.

— ქალაქზე გეკითხები.

— ვერ გიპასუხებ.

— ახალქალაქი. ვინ არის სიმღერის — „სულიკო“ მუსიკის ავტორი?

— ტექსტის ავტორი აკაკი წერეთელია და მუსიკა ვინ დანერა (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— ვარინკა წერეთელმა.

— აუ! რა „საშიში“ ჟურნალისტი ყოფილხარ, ასე რომ მცოდნოდა, ტელეფონზე არ გიპასუხებდი...

— აწი შეგიძლია, თამამად მიპასუხო, ამ რუბრიკაში მეორედ აღარ ჩაგწერ. ვინ მიიჩნევა ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად?

— მელიტონ ბალანჩივაძე.

— ის აფროდიტეს შვილი იყო, შესახედავად ლამაზი, კეთილშობილური თვისებებით აღსავსე, მასში სულიერი



და ფიზიკური სილამაზე იყო შერწყმული. რა ერქვა მას?

- აფროდიტე ქალღმერთი არ იყო?
- დიას, რა ერქვა მის შვილს?
- არ ვიცი.

— **პარმონია.** „აიდა“, „ოტელო“, „ტრაგედა“, „რიგო-ლეტო“ — ვინ არის ამ ცნობილი ოპერების ავტორი?

- ჯუზეპე ვერდი.
- დედამიწაზე არსებობს ზღვა, რომელიც შუა ოკეანეშია. მას საზღვრები არ გააჩნია და სახელწოდება იმ წყალმცენარეებისგან მიიღო, რომლებიც ოკეანის იმ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული. დასახელებული ეს ზღვა.

- ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.
- სარგასის ზღვაა. რომელი ღმერთის პატივსაცემად იქნა აგებული მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — როდოსის კოლოსი?

- პელიოსის, არა?
- გამოიცანი. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ის ცალთვალა გოლიათი იყო. გამოქვაბულში ცხოვრობდა და ბობოქარი, დაუოკებელი ხასიათით გამოირჩეოდა. რა ერქვა ამ ცალთვალა გოლიათს?

- ციკლოპი.
- რა ფერის თმა აქვს მალვინას „ბურატინოს თავგადასავალში“?

- ცისფერი.
- 100 კმ მანძილის გასაველეად, ავტომანქანას 8 ლიტრი ბენზინი სჭირდება. იმავე ავტომანქანას 125 კილომეტრის გასაველეად რამდენი დასჭირდება?

- გამოვიანგარიშებ. (პაუზის შემდეგ) 10 ლიტრი დასჭირდება, ბოლო კითხვებზე გიპასუხებ, მგონი, გონება გამეხსნა (იციინის).

— რომელი უღელტეხილით უკავშირდება იმერეთი რაჭას?

- ნაქერალის უღელტეხილით.
- „მუსიკა საგანძურია, სადაც ყველა ეროვნებას საკუთარი განძი შეაქვს“. რომელ რუს კომპოზიტორს ეკუთვნის ეს სიტყვები?

- ჩაიკოვსკის?
- გამოიცანი. ფრიდრიხ შილერის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი დრამა — „ორლეანელი ქალწული“. ვინ არის ცნობილი ორლეანელი ქალწულის სახელით?

- თანა დ'არკი.
- რა გვარები იყვნენ ქრისტიანობისთვის წამებული ძმები — დავითი და კონსტანტინე?

- მხეიძეები.
- „ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხინე რიონო, როცა დადებრდები, სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო. შენა ხარ ჩემი სიჭაბუკის ჯერაც აუხსნელი იგავი, შენთან ბედნიერი, (უფრო მეტიც) შენთან უდარდელი ვიყავი.“ ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— შოთა ნიშნიანიძე. ეს ლექსი ძალიან მიყვარს, მაგრამ ზეპირად არ ვიცი.

- დასახელებული ამერიკის ქალაქი, რომელიც გადმოცემით, განგსტერებმა დააარსეს და დღეს კაზინოების და საქმიანი შესვენდრების ადგილად არის ცნობილი.

- ლას-ვეგასი.
- „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუხსნარ მის სიკვდილს და თვალთ ველარ ნახავ“. ვისი დაკრძალვის დღეს წარმოთქვა ეს სიტყვები ავაკი წერეთელმა?

— ვფიქრობ, ილია ქავჭავაძის დაკრძალვის დღეს იტყვოდა.

— რამდენიმე წლის წინ ლონდონში კრისტის აუქციონზე 1912 წელს გამოშვებული პლაკატი 12.000 დოლარად გაიყიდა. ამ პლაკატით ყველას უსაფრთხო და სასიამოვნო მოგზაურობაში ეპატივებოდნენ. სად?

- ვერ ვხვდები, სად უნდა დაეპატიყათ?
- ტიტანიკზე არაბეთის ქვეყნებში მამაკაცები გრძელ, თავისუფალ, თეთრ სამოსს ატარებენ, ქალები — „შავ სამოსს“. არაბების აზრით, რატომ უნდა ატარებდეს ქალი მხოლოდ „შავ სამოსს“?

— მიიჩნევენ, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არ არიან.

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქალი მამაკაცის ჩრდილია. ხელოვნების რომელი სფეროს წარმომადგენლებს აჯილდოებენ გრემით?

- მუსიკოსებს.
- რომელია ქალის ყველაზე მაღალი დიაპაზონის ხმა — ბარიტონი, სოპრანო თუ ტენორი?

— სოპრანო.

— რომელ მომღერალს ეკუთვნის მილიონზე მეტი ტირაჟით გაყიდული ფირფიტების პირველი რეკორდი — ფრენკ სინატრას, ჯო დასენს, ელვის პრესლის თუ ენრიკო კარუზოს?

- ელვის პრესლის.
- ცდები, ენრიკო კარუზოს ეკუთვნის. ის პირველად ძველ ეგვიპტეში გვხვდება, მისი ტარება ფარაონებისა და მათთან დაახლოებული პირების პრივილეგია იყო. ძველ საბერძნეთში კი მისი ტარება ყველა ზრდასრული ადამიანისთვის ნებადართული იყო გარდა მონებისა, რაზეა ლაპარაკი?

- რაიმე აქსესუარია? დღეს ჩვენც ვატარებთ?
- ამ რაღაცის გამო სახლიდან არ გაგდივართ.
- მგონი, ფეხსაცმელზეა ლაპარაკი, გამოვიცანი?

— დიას. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ცეკას ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით, საცხოვრებელ სახლებს ქერის სიმაღლე შეუმცირეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?

- ხრუშჩოვი.
- სამხრეთ ნახევარსფეროში რომელია ზამთრის თვეები?

- როგორც ჩვენთან, იქ ისე არ არის?
- არა, იქ ზამთრის თვეებია — ივნისი, ივლისი და აგვისტო. რომელი ქართული ფილმის გმირები არიან — „ბოლოკა“ და „ბეთჰოვენა“?

- „ლიმილის ბიჭების“.
- „წელს გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამენყო და ამ ხელობის შემწეობით მომეგლო — მთა და ბარი. გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით საესე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებელივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, განურჩევლად ყველამ მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მეზატონეს და მასთან სახე-ლიანი კაცის შვილს მეცხვარეობა არ ეკადრება“. აღექსანდრე ყაზბეგის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

- „ნამწყემსარის მოგონებანში“.
- დაბოლოს, დაასრულე დიდროს ცნობილი გამონათქვამი: „ძნელი არ არის იყო კეთილი, უფრო ძნელია იყო...“

- ვერ დავასრულებ.
- „იყო სამართლიანი“.



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(პითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჩნდნარ გაგაქცეთ თვალი

1. რომელი ხალხის საკუთარი სახელწოდებაა „ლალა“?

2. დაასახელეთ ადამის მეთე შთამომავალი.

3. რა მოვლენას „მიუძღვნეს“ საბჭოთა მოქალაქეებს ეს ჩასტუშკა: „და ჩვეო დამლა ნუკა, ვ ნებეს ლეტეტ სუკა, პრასლაგლიაა დო ნებეს, მატ ტვაო — კასა“?

4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ზოგიერთი თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს: ან არნივი უნდა იყო, რომ აფრინდეს, ან ქვემდრომი, რომ აჯოცდეს“?

5. ადრეული შუა საუკუნეების ცნობილი მეცნიერი ალბერტ ტეცხოზელი პარიზში ღია ცის ქვეშ კითხულობდა ლექციებს. რატომ?

6. დაასახელეთ ქართველი მწერალი, რომელიც დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, სადაც საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ჰქონდა დაფიქრებული.

7. რომელი პროფესიის ადამიანებს ევრძალებათ ცხარე საქმლის ჭმამ, მაგარი ალკოჰოლური სასმელების დალევა და თამბაქოს მოწევა?

8. ლენინის ორდენი ოქროსგან მზადდებოდა. რისგან ამზადდებდნენ ორდენის შუაგულში მოთავსებულ ლენინის გამოსახულებას?


9. ეს ქართველი მწერალი ცხრა წლის ასაკში მამამ კეფში, სამხედრო სასწავლებელში გაგზავნა. 3 წლის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა. მეზობელს უკითხავს, ეს ბავშვი სასწავლებლად გაგზავნეთ თუ დასაწეველად? დაასახელეთ იგი.

10. შარიათის მიხედვით, ხალიფად უნდა არჩეულიყო პიროვნება, რომელიც დაამაჯოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს: ის უნდა ყოფილიყო მუსლიმანი, სალი გონების, მამაკაცი, თავისუფალი, გაბედული, გამოცდილი, სამართლიანი, თავმდაბალი, კეთილშობილი და მეცნიერი. რა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი ვერ გახდებოდა ხალიფა?

11. რომელ ინგლისელ ფეხბურთელს ეკუთვნის სიტყვები: „ფეხბურთი არის თამაში, რომელსაც 22 კაცი თამაშობს და რომელიც ყოველთვის გერმანელთა გამარჯვებით სრულდება“?

12. რისი დედაქალაქია ბელფასტი?

ანექლოცები



განყოფილების უფროსი დაანინაურეს და თანამშრომლებს ემშვიდობება:

— გული მწყდება, რომ გტოვებთ. მიგეჩვიეთ და ყველანი მომენატრებით. რა ვუყოთ, არ გაგიმართლათ, გამოგიგზავნიან ვილაც დეგენერატს...

ოთახში შენუხებული ხმა ისმის:

— აუ, ისევ დეგენერატს გამოგიგზავნიან...

უდაბნოში ორი კუ მიხობავს — ცოლი და ქმარი.

ცოლი:

— რა სულელი ვარ! ვის შევნირე ჩემი საუკეთესო 300 წელი?!

— სახლში შუალამისას რომ მივდივარ, ჩემი ცოლი საათს უყურებს.

— შენ რა გიჭირს, მე რომ მივდივარ, ჩემი ცოლი კალენდარს უყურებს.

ბიჭი გოგოს:

— შენს დაბადების დღეზე ყველაზე ლამაზი იყავი!

— გმადლობ, მართლაც ძალზე მოვიწოდომე...

— საგანგებოდ არჩევიდი სტუმრებს?

მეგრელს ექიმა უთხრა, ცოფის ნიშნები გაქვსო.

— ხოს, მართლა?

— კი.

— კაი, აბა, ერთი ფურცელი და პასტა მომეცი, — უთხრა მეგრელმა და წერას შეუდგა.

— ანდერძს წერთ? — ეკითხება ექიმი. — ტყუილად ირჯებით, არ მოკვდებით!..

— მაცალე, თუ კაცი ხარ!.. ხომ მითხარი, ცოფის ნიშნები გაქვსო?

— კი, გითხარი.

— ჰოდა, იმათ სიას ვადგენ, ვისაც უნდა ვუკბინო...

ადვოკატთან მისული კლიენტი თავის ამბავს ჰყვება.

ადვოკატმა გაანყვეტინა:

— ყველაფერი მოკლედ და გასაგებად მომიყევით. საქმეს კი თვითონ დავხლართავ!..



ცოლი ქმარს საგზალს უმზადებს:

— აი, ჩავდე პური, კარაქი, ყველი და ერთი კილო ლურსმნები.

— რისთვის?

— როგორ თუ რისთვის? რომ მოგშივდება, პურზე კარაქს ნაუსვამ, ყველს ზემოდან დაადებ...

— ლურსმნები?!

— ჩავდე-მეთქი, ხომ გითხარი, ჩავდე!..

ცოლი ქმარს:

— მეზობელმა გაზონის საკრეჭი მანქანა იყიდა. ჩვენც ვიყიდოთ, რა...

— სულელო, მეზობელი რომ სახურავიდან გადახტეს, რას იზამ?..

— იმის საკრეჭ მანქანას დავითრევ.

მოკრივე ექიმს შესჩივის:

— უძილობით ვიტანჯები.

— დათვლა თუ გიცდიათ?

— როგორ არა...

— მერე.

— ცხრამდე რომ ავდივარ, მამინვე ფეხზე წამოვხტები ხოლმე...

ქალი ქუჩაში მშობიარობს. ირგვლივ არავინ არის. გამოიარა ნარკომანმა. ქალმა დახმარება სთხოვა.

— რა უნდა გავაკეთო? — დაიბნა ნარკომანი.

— ბავშვს თავში მოჰკიდე ხელი და გამოიყვანე.

— კარგი, კარგი... ოჰა! გამოვიდა! ახლა რა ვქნა?

— ახლა ტაკოზე მოსცხე!

მან ბავშვს ტაკოზე მოსცხო:

— მეორედ აღარ შეძვრე, ხო გაიგე?!

პარტიზანი დასახვრეტად მიჰყავთ.

— რა დღეა დღეს? — ეკითხება ბადრაგს.

— ორშაბათი!

— ვაა, რა თარსად იწყება ეს კვირა!..

მალაზიაში:

— რატომ არა გვყავს არც ერთი კლიენტი?

— მგონი, კარზე წარწერაა შესაცვლელი.

— ახლა რა წერია?..

— „დაკეტილია!“

ფსიქოლოგთან კლიენტი მივიდა:

— ცხოვრებაში ყველაფერი მაქვს, მაგრამ ძალზე მაკლია მძაფრი შთაბეჭდილებები. ყველაფერი ვცადე — პარამუტით გადმოსტომა, ნადირობა წყალქვეშ... არაფერი მშველის... რაღაც ახალი მინდა...

— საყვარელი გაიჩინეთ.

— უჰ, 3 საყვარელი მყავს...

— მაშინ ცოლს მოუყევით მათ შესახებ...



— ჩემი ძმა, ზურგზე ჭადრაკის დაფა რატომ გახატია?

— „ჭაშ 4“-ზე მომფხანე და მერე აგიხსნი...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მანითხველისათვის

(პასუხები)

- ინგუშების. ბარში ჩამოსულ ინგუშთა ერთ-ერთ პირველ სამოსახლო სოფელს ინგუში ერქვა. აქედან წარმოდგება ამ ხალხის ქართული სახელწოდება.
- ნოე.
- კოსმოსში პირველი ძაღლის გაფრენას.
- შარლ ტალეირანს.
- ვერც ერთი დარბაზი თავის მსმენელს ვერ იტევდა.
- ილია ჭავჭავაძე.
- დეგუსტატორებს.
- პლატინისგან.
- დავით კლდიაშვილი.
- უსინათლო, ყრუ ან მუნჯი.
- ჰარი ლინიკერს.
- ჩრდილოეთ ირლანდიის.

რენი ფოსო მანაია



ჰოროსკოპი

17-23 მარტი

ვეჩორი

საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ. ეცადეთ, პრობლემები დიპლომატიურად მოაგვაროთ. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

კაზრი

უსიამოვნებები რომ არ შეგექმნათ, დრო ისე გადაანანილეთ, რომ საოჯახო და სამსახურებრივი საქმეები მოუგვარებელი არ დაგრჩეთ.

ცუხვი

კვირის დასაწყისში ხანმოკლე მგზავრობა კარგ განწყობილებაზე დაგაყენებთ. კვირის ბოლოს სიჯიუტის გამო მეგობრებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ.

კინკხობა

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგირეგულირდებათ. მისი მხარდაჭერითა და დახმარებით უამრავ საკითხს მოაგვარებთ.

ღიმი

ახლობლებისა და კოლეგების კეთილგანწყობილებას იგრძნობთ. კარგი პერიოდია იურიდიული საბუთებისა და საქონლის კონტრაქტების გასაფორმებლად. მგზავრობისგან თავი შეიკავეთ.

ქანდაცობა

საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. კვირის მეორე ნახევარი დიეტასა და ვარჯიშს დაუთმეთ. მეუღლესთან ფინანსური საკითხების მოგვარებისას კონფლიქტს ვერ ასცდებით.

სახსრობა

ბავშვებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საყვარელი ადამიანი ნებისმიერ სურვილს აგისრულებთ.

მორიდება

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მშობლების მიმართ. მარტოხელა მორიელეს ქალაქგარეთ განმარტოება და დასვენება მოუხდებათ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

მშვიდობისა

ადვილად მოაგვარებთ სამსახურებრივ საქმეებს. საერთო ენას გამოიხატავთ განწყობებულ ნაცნობებთან.

თხილი

მოაგვარებთ მატერიალურ პრობლემებს. ნუ გაანაწყენებთ საყვარელ ადამიანს. კვირის ბოლოს საოჯახო და პირადი ნივთები შეიძინეთ.

მეგობრობა

კვირის დასაწყისი სწავლასა და ცოდნის გაღრმავებას დაუთმეთ. შესაძლოა, სხვა ქალაქში მოგინიოთ გამგზავრებამ. მოერიდეთ კონფლიქტს მეზობლებთან. შესაძლოა, ახალი ნაცნობები გაიჩინოთ.

თავდაცობა

მოტყუებული რომ არ დარჩეთ, მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ფინანსური საკითხების მოგვარებისას. კვირის ბოლოს განმარტოვდით და იფიქრეთ მომავალზე. გაანალიზეთ წარსული და გამოასწორეთ დაშვებული შეცდომები.

ზოდიაქოს მოგზაური ნიშნები

გაგრძელება (დას. იხ. „გზა“ №10)

სასწორი შვებულებას საყვარელ ადამიანთან ან ოჯახთან ერთად გაატარებს. მოინახულებს მუზეუმებსა და კულტურის ცენტრებს. დაესწრება სპექტაკლებსა და გამოფენებს. მოგზაურობისას მისთვის მთავარი კომფორტია, მაგრამ საყვარელ ადამიანთან ერთად კარავშიც დაიძინებს. უყვარს მთა და წყალი. მისთვის სასურველია, ფანჯრიდან ლამაზი ხედი იშლებოდეს. მოგზაურობის დროსაც ყოველთვის შემოქმედებითი საქმიანობითა დაკავებული.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — ავსტრია, ჩინეთი, იაპონია, ტაილანდი.

მორიელი ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში და საინტერესო ადგილების გარემოცვაში ისვენებს. უყვარს რისკი, ექსტრემალური სპორტი, სასიყვარულო თავგადასავლები. შვებულების დროსაც საქმეებზე ფიქრობს, შეუძლია, საჭირო ხალხს დაუმეგობრდეს და მათთან საქმიანი კონტრაქტები გააფორმოს. ურთიერთობაში საინტერესო მოსაუბრე და კარგი მსმენელია. მგზავრობისას დეტექტიური უნარის ლიტერატურას კითხულობს.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — გერმანია, ნორვეგია, მაროკო, ტუნისი, ეგვიპტე.

მოგზაურობისას მშვილდოსნისთვის მთავარია, გაეცნოს ახალი ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, სამზარეულოს. ადვილად სწავლობს ახალ ენას. უყვარს პიკნიკის მონა-

ყობა, ცხენით სეირნობა, მეგობრებთან ერთად გართობისთვის ფულს არ დაიშურებს. შვებულებას გაატარებს საყვარელ ადამიანთან ან პარტნიორთან ერთად, რომელიც მის ინტერესებს იზიარებს და ტვირთად არ დაანებება. თუ შვებულებას შვილებთან ერთად ყოფნას დაუთმობს, მათთვის არც დროსა და არც ფინანსებს არ დაიშურებს. ყველაფერს დაათვალღერებინებს, გაასინჯებს, სამახსოვრო საჩუქრებით აავსებს.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — პორტუგალია, ესპანეთი, უნგრეთი, არაბული ქვეყნები.

თხის რქა წინასწარ დაგეგმავს მარშრუტს, გაეცნობა ამინდის პროგნოზს, შეიარაღდება მედიკამენტებით, ყველა საჭირო გამოსადეგი აქსესუარით. უცხო ქვეყანაში მხოლოდ გამოცდილ მეგობრებთან და ტუროპერატორთან ერთად გაემგზავრება. არ უყვარს ზედმეტი დანახარჯი. თითოეული თეთრი გათვლილი აქვს. კარგი ორგანიზატორია და ნაცნობ ადგილებში მოგზაურობისას შეუძლია, მეგობრებს გიდობა გაუწიოს და მგზავრობისას გაართოს. მოგზაურობისას დიდ ყურადღებას იჩენს ბავშვების მიმართ.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — ინდოეთი, მაკდონია, ბირმა, მექსიკა, ინგლისი.

მერწყულს უჩვეულო ადგილებში დასვენება და ხეტიალი უყვარს. შეუძლია, კარავი ზღვაზე გადმოვიდეს კლდეზე გაშალოს ან

მთის წვერზე, ქოხში დაბინავდეს. არც ექსტრემალურ სპორტს იკისრებს; არც თავად მოინწყის და გარშემო მყოფებსაც გაამბიარულებს. პატარა ბავშვებთან ერთად დასვენება არ უყვარს. პარტნიორად მეგობარს ან საყვარელ ადამიანს ირჩევს, რომელიც მის ინტერესებს იზიარებს და რჩევებით შვებულებას არ გაუმწარებს. კონტაქტურია, ადვილად უმეგობრდება ახალგაზნობილებს. ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა არ ხიბლავს და თუ თვის დასაწყისში მთაში გაემგზავრა, თვის ბოლოს შეიძლება, ზღვიდან დაბრუნდეს.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — დანია, იტალია, კანადა, იაპონია, პერუ.

თევზებს მშვიდ, წყნარ გარემოში, ხშირად მარტოს უყვარს დასვენება. კარავს აუცილებლად წყლის პირას გაშლის. უყვარს ფიქრი, ხშირად წერს ლექსებსა და მოთხრობებს. მოგზაურობის დაგეგმვას საკუთარ თავზე არასდროს იღებს. ურჩევნია ეს საქმე გამოცდილ ადამიანს მიანდოს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში რჩევისთვის მიმართავს, ხმაურიან კომპანიებს გაურბის. ერთგულ მეგობართან ერთად ქალაქის ქუჩებში ისეირნებს, მოინახულებს ისტორიულ ადგილებს, დატუბება მზის ჩასვლის ცქერით. მისთვის ყველაზე სასიამოვნო გემით მოგზაურობა იქნება.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — იტალია, მალტა, ტაილანდი, კოლუმბია.



საფიქსო კროსვორდები

პ	გ	ა	ვ	ო	ს	თ	ვ	ო	ს	ა	ო	მ	კ	ო	თ	ხ	ვ	ვ	ლ	ო	ს	თ	ვ	ო	ს	ა	ო
						ა				ა							ბ	ბ						ბ			
						ს				რ							ა	ა						ა			
						ბ				ბ							ბ	ბ						ბ			
ა	ო	ა	ო	ლ	ვ	ა	ო	რ	ლ	ლ		რ	ლ			ა	ო	ო	ს	ვ	ს	ა	ა	ბ	ო	ა	ო
										ბ							ბ	ბ									
										ბ							ბ	ბ									

შეხვედრის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებული უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

ბ. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ზ.** რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „რაჭა ჩემი სიყვარული“? **ა.** ქვითკირის სამარე; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ო.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ.** წვრილი ღვედი; **ბ.** ქალის პირბადე; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „თეთრი ...“; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ო.** ნორვეგიის დედაქალაქი; **ბ.** ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკის სახელწოდება თბილისში; **ა.** ამაღლებული ადგილი, სპეციალური დგამი, საიდანაც კითხულობენ ლექციას, მოხსენებას და ა.შ.; **ი.** ფრინველი, რომლის ხორცისგან გაკეთებულ ტოლმას ხუმრობით ასხენებენ ხოლმე; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ს.** ხმადაბალი სიცილი; **ბ.** მუსიკალური ინსტრუმენტი,

რომელზეც უკრავდა ალბერტ აინშტაინი; **ი.** რა ერქვა ჩე გევარას? **ლ.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში? **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** გამოცდა, გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; **თ.** პატარა ცხოველი, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მუდოს ეძახიან; **ბ.** მალტის დედაქალაქი; **ი.** რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან ბოროტება, შური, მტრობა, ღვარძლი, ავადმყოფობა და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა? **ს.** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც გადმოცემის თანახმად ფარულად მტრობდა მოცარტს; **ბ.** გამოუწვავი აგური; **ო.** კანადის დედაქალაქი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

- თ.** თასმა; **ბ.** ქაოსი; **ვ.** ვაფლი; **ა.** ელენე; **ს.** ნილოსი; **ა.** არიადნე; **რ.** რევერსი; **ბ.** შილოკი; **ა.** ერნესტი; **მ.** მზალო; **ც.** ცთომილი; **დ.** დუდუკი; **ა.** არარატი; **რ.** როენა; **ხ.** ხორუმი; **ა.** ასთმა; **რ.** რეიგანი; **თ.** თიკუნი; **ა.** ალაფი; **რ.** რურუა; **ჩ.** ჩოგანი; **ა.** ემისია; **ვ.** ვიკონტი; **ა.** ათაბაგი; **ს.** ნაცია; **ბ.** შნიცელი; **ი.** იპონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება: სოფელი ვინაო და ერთი კარგი კაციო

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	5	4	6	2	1	8	9	3
8	6	1	4	9	3	5	7	2
3	9	2	7	5	8	4	6	1
2	8	9	3	1	5	7	4	6
5	7	3	2	4	6	9	1	8
1	4	6	8	7	9	3	2	5
9	2	8	1	3	7	6	5	4
6	1	7	5	8	4	2	3	9
4	3	5	9	6	2	1	8	7
7	8	9	5	6	4	1	3	2
5	6	1	8	2	3	4	7	9
4	3	2	7	1	9	8	6	5
6	2	7	3	9	1	5	8	4
3	1	5	4	8	6	2	9	7
8	9	4	2	5	7	6	1	3
2	5	3	1	7	8	9	4	6
9	4	8	6	3	5	7	2	1
1	7	6	9	4	2	3	5	8
5	4	3	7	8	6	1	2	9
6	1	2	5	4	9	3	7	8
7	9	8	3	1	2	4	6	5
8	6	5	4	3	1	2	9	7
2	3	1	8	9	7	6	5	4
4	7	9	2	6	5	8	3	1
1	2	7	6	5	4	9	8	3
3	5	4	9	2	8	7	1	6
9	8	6	1	7	3	5	4	2

*** მარტივი**

	5		4				7	
7			2				8	
				1				9
		2	7		9			8
1				8				5
6		3			4			
9				6				
		4			3			7
	2			8				5

**** საშუალო**

				8	2			
	2		7					5
		6	9			8		
	7		1			4		
	1			5	2		6	
		4			9		3	
	5				6	7		
3					1		2	
		1	2					

***** რთული**

	9	7		2	8			4	6
		4	1						8
6					5		2		
3				9					5
8	4		2	7			3	9	
2				3					4
	1	7							3
4					2	8			
7	3		6	5		4	9		

„აქლე! ჟურნალი „ისტორიანი“ სარეკლამო ბანტი!

აქლე დროის საუკეთესო ისტორიული რომანი, სრული ვერსია 8 ნაწილად
მისაბუღიან საზოგადოებას სწავლის მიერ ამოღებული მონაცემებით

წიგნი II
კონსტანტინე
გამსახურდია

კაილი
ლომეხენბერი
წიგნი 2

„ისტორიანი“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ
შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ნაწილი (წიგნის ფასი 3 ლარი)

აკდილ-h სიროფი

ოთხფურცელა მარწყვებლახა, დარფილეფილი,
აღჰაღოტა ვასიკა, ძირტკბილა

მხანარაული ამოსახველაბალი საშუალაბა
ამსირაბს:

- სველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქაბუნი ნახველის შებუბაბას

სამკურნალო საშუალაბა მთელი ოჯახისათვის

აკდილ-h

აქაბტა ფარმა ლიმიტაბი, იმლოთი

PSP №1

რეანი ოჯახის აბთიანი
ალბაბანაბის ბაბუ 1484

გამოყენების წინ გაეცანი ოთხფურცელას. გვერდი ჰოვლენებზე
დეტალური ინფორმაციისათვის მიბართე ექბს.

მთითან ჰირველი ჰიზიტი უზასოა!

ELOS ეპილასია

- ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება სწრაფად და უმტკივნეულად;
- XXI საუკუნის უახლესი ტექნოლოგია;
- თანამედროვე, უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი.

ELOS შანსალგაზრდაბუბა

- დავიწყეთ ნათტები, ჰიგმენტური და სისხლძარღვოვანი
ლატები;
- აღიდგინეთ კანის ბუნებრივი სილამაზე;
- გალამაზდით ქირურგიული დანის და ინექციების გამოყენებლად.
- მეზ-თერაპია სახესა და სხეულზე: ბიორევიტალი-
ზაცია, ლიფტინგი, ლიპოლისტროფია, თმის
სტრუქტურის აღდგენა და მკურნალობა;
- ჰომეოთერაპია და აუტოჰომეოთერაპია;

ELOS ყოველი მისავე პროცედურა საჩუქრად!

- კონტურული პლასტიკა ჰიალურონის გელით;
- აკნეს მკურნალობა;
- კანის გაახალგაზრდაბება ნატურალური პრ-
ლექციის გამოყენებით;
- ბოტულოქსინის მეთოდით ნათტების გასწორება.



მილაბაა 29 00 66
ნანარა: 29 47 47

ELOS ეპილასია – თმის მოსილაბა
სწრაფად და ხარისხინადად
ყველაზე თანამედროვე და
უზაბუბრი მეთოდად

- 30

6 110/10

თუთაროუ არაი



aray TOMORROW

1500 ლარის ვაუჩერი

სადუქარი ჩვენთან თქვენ



☎ 31 10 70

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

კონდიციონერი



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

გაზქურა



4 607014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

ჩასაშენებელი ტექნიკა



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

ჭურჭლის განჯანა



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

გაზიზარი



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

სარეზნი განჯანა



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

კინოთეატრი



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

500
ლარი

3D

სამგანოშილუბიანი ტელევიზორი



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

100
ლარი

LCD

თხვადკრისტალური ტელევიზორი



8 807014 057011

სასარეუბრა კუპონი

200
ლარი

FULL LED

ულტრათხელი თხვადკრისტალური ტელევიზორი



8 807014 057011

ფოტოკუჩიონები

